

იოსებ ომაძე

საოცარი საზამთრო

რომანი-ექსტრაგანცა

თბილისი, 2012 წ.

Copyright: იოსებ ომაძე, 2012 წ.
ISBN 978-9941-0-4939-2

სარჩევი

კარი I. სასულთნო პანდურეთი ანუ ანტირესპუბლიკა რია-რია, სოფელი სანდაოცეთი. საწყალი ბიჭი ლაყუნა 2

კარი II. ლაყუნას საზამთროს ერთი ჭრელი თესლი მიუგდეს. ეული საზამთრო სწრაფად იზრდება, იზრდება... ლაყუნაც იზრდება, მაშა! 5

კარი III. საოცარი საზამთროს საუბარი სავსე მთვარესთან 11

კარი IV. საოცარი საზამთროს საუბარი მზესა და ღრუბელთან 14

კარი V. საოცარი საზამთროს სიმღერა. საოცარ საზამთროს უმღერიან 16

კარი VI. საოცარი საზამთრო – განხეთქილების ვაშლი 21

კარი VII. გვეშველა – სცენაზე გამობრძანებას თვით უბრწყინვალესი სულთანი ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცვტ-წერწეტა ინებებს! 24

კარი VIII. მსოფლიოს უფოლოგთა საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელობა სასწრაფოდ დაფაცურდა – მაქცია ტარტაროზაშვილის წარმატებული მისია 29

კარი IX. უამრავი ხალხი მოაწყდა სანდაოცეთს! 32

კარი X. საოცარი საზამთრო – კინოვარსკვლავი გახდება? 35

კარი XI. უფრო ახლოს გაიცანით მისი უმაღლესობა – პანდურეთის დიდი სულთანი ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცვტ-წერწეტა! ... 39

კარი XII. ვიშ, რა კარგია: ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენ ცერცვტ-წერწეტას საოცარი ფანტაზიების შადრევანი! 42

კარი XIII. ბაქიბუქას ფანტაზიების შადრევანი განაგრძობს ჩუხჩუხს – საზამთროს შიგნით მოეწყობა გიგანტური ატრაქციონი! 47

კარი XIV. ბაქიბუქას ფანტაზიების შადრევანი ამოუწურავია – ლაყუნამ სასწრაფოდ გამოიყვანოს ხოხბისა და ბაყაყის ახალი ჯიშები! 50

კარი XV. რა ღირს საოცარი საზამთრო? 56

კარი XVI. რთვორ წაიღონ დედაქალაქში საოცარი საზამთრო? 60

კარი XVII. სანდაოცელნი დასცინიან მოძალადეთ. მჭედელ პატულანას უიღბლო ექსპერიმენტი 64

კარი XVIII. საოცარი საზამთრო ესაუბრება დედამიწას 68

კარი XIX. საერთაშორისო გამოძახილი: მოულოდნელად პანდურეთს საგარეო საფრთხე დაემუქრა! 70

კარი XX. ბაქიბუქამ გადაწყვიტა: საოცარ საზამთროს პირადად უნდა ესტუმროს! 74

კარი XXI. მთავრობის გამსვლელი სხდომა ვეღარ ჩატარდა... სამაგიეროდ, მისი უდიდებულესობის დიდებული გამოსვლით გავიხარეთ! 77

კარი XXII. ბედისწერის ბარათი 86

კარი XXIII. ბაქიბუქა ცირკში 91

კარი XXIV. გამოსავალს ლაყუნა პოულობს – დიდი “ომი” გაიმართა! 94

კარი XXV. ვემშვიდობებთ ლაყუნას, ბრძენთა ბრძენ ბაქიბუქასა და პირმშენიერ პოპოქიას... გაუმარჯოს საოცარ დიდ საზამთროსა! 99

კარი I.

სასულთნო პანდურეთი ანუ ანტირესპუბლიკა რია-რია, სოფელი სანდაოცეთი. საწყალი ბიჭი ლაყურა

მეგობრებო, შემიძლია თამამად განვაცხადო: ერთი მეტად უცნაური, განსაცვიფრებელი, უჩვეულო, დაუჯერებელი, გასაშტერებელი, გასაკვირველი, გასაყვეყნებელი, არაჩვეულებრივი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ ამბავ-საბარი უნდა გიამბოთ!.. ფრიად ფანტაზიური და წარმოუდგენელიც კი მოგეჩვენებათ, მაგრამ წინდაწინ გეტყვი: ამისთვის კოსმოსში გაჭრა არ დამჭირვებია: არც ახლო პლანეტებზე – ვენერაზე, მარსზე, სატურნზე ან იუპიტერზე თუ მზეს დაქვემდებარებულ სხვა ციურ სხეულებზე – და არც შორეულ ვარსკვლავებზე – სირიუსზე, არქტურზე, ვეგაზე, კაპელაზე, რიგელსა თუ სხვაზე – მოხდა ყოველივე ქვემოთ ჩემს მიერ სრული სიმართლით, ჭეშმარიტი პასუხისმგებლობით, დიდი რუდუნებით, დაწვრილებით მონათხრობი – ჩვენთან, ჩვენს მშობლიურ ცისფერ პლანეტას, დედამიწას, ერგო ეს გამორჩეული პატივი! რატომ გამორჩეული? თუ მოთმინებით აღიჭურვებით და გააგრძელებთ კითხვას, ყოველივე ამის გაგებას ქვემოთ შეძლებთ... იქნებ ადრე თქვენც ყურმოკვრით გაგიგონიათ ან წაგიკითხავთ ამ გაუგონარი ამბის შესახებ, ან პირადად გინახავთ კიდევ არნახული საოცრება და გქონიათ ბედნიერება, დასწრებით კიდევ მის გარშემო დატრიალებულ ფრიად სალადოზო და თავშესაქცევ მოვლენებს, ჰოდა, თხრობისას თუ რამეს მოვჩინახავ, როგორც ითქმის, დაუკრეფავში გადავალ ან თუ რამე შემეშლება, იმედია, შემისწორებთ.

მაშ, თუ თქვენი ნებაც იქნება, ქაფქაფა სურნელოვან ყავას მოვსვამ და დაპირებული ამბის თხრობას ვიწყებ...

“ფადიშაჰის უცნაური მალაყები“, – ასეც შეიძლება დამერქვა ჩემი მონათხრობისთვის, მნიშვნელოვანწილად მიძღვნილს ფრიად უცნაური პიროვნებისადმი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ ყველაზე ხშირად ჩნდებოდა ჩვენს ტელეეკრანებზე; მისი ფერადი ფოტოები და სახელოვანი თავგადასავალი, ასევე, ყველაზე ხშირად ამშვენებდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების გარეკანებსა თუ პირველ გვერდებს...

ჯერ მოქმედების ძირითადი ადგილი უნდა გაგაცნოთ.

იყო და არა იყო რა, მშვენიერ სოფელ სანდაოცეთზე უკეთესი ამქვეყნად რაღა უნდა ყოფილიყო! ეს საკმაოდ დიდი სოფელი ერთი პატარა ქვეყნის ერთ-ერთ მხარეში მდებარეობდა. ამ ბუნებით ყოველმხრივ შემეულ და ნაქებ ქვეყანას ანტირესპუბლიკა რია-რია ან, სხვა, უფრო სარწმუნო მონაცემებით, სასულთნო პანდურეთი ერქვა და ამიტომ შემდგომ ამ სახელით მოვიხსენიებ. მანამდე ამ სახელმწიფოს რესპუბლიკა სიმღერეთი ეწოდებოდა, მაგრამ ერთ დროს ქვეყანას ერთპიროვნულ მმართველად მოველინა სულთანი ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეტ-წერწეტა, ჰოდა, ეს ბედნიერი, ბედის ნებიერი, ყველასა და ყველაფრის – საზოგადოებისა და მთლიანად ქვეყნის – ახლებურად და საფუძვლიანად გარდაქმნის დაუოკებელი სურვილით იყო შეპყრობილი და მის მრავალრიცხოვან ფრიად მოსაწონ ჟინს თუ სანაქებო ახირებას, ბევრი სხვა რამის ფერისცვალება-გადანსხვავებებსა თან ერთად, სახელთა გარდაქმევის წადილიც დაერთო; ამას კი ქვეყნის ძველთაძველი სახელის შეცვლაც მოჰყვა. რესპუბლიკა სიმღერეთის დასახელების სამწუსარო ბედი გაიზიარა მისმა დედაქალაქმაც: ერქვა ვარკეთილი და ბაქიბუქას ზეობის დროს გახდა პანდურდილი...

ტურფა სოფელი სანდაოცეთი ადრე ყველაფრით შემეობილი იყო; აღმოსავლეთით გიშმაჟი მდინარე ჩაუდიოდა – ერთ დროს ფრთიანი კალმახებით განთქმული სანდაოცეთურა, ამჟამად კი საღლა არის თევზი – თითის ტოლა ღორჯოები, ტაფელები და გოჭალებიც აღარ დატოვა დამშეულმა მოსახლეობამ. ადრე სოფელს სამხრეთით ბად-გენახები აკრავდა, ამ ბოლო დროს უპატრონობითა და მოუვლელობით გაჩანაგებული და სანახევროდ გადამხმარი, ჩრდილო მხარეს კი – სახნავ-სათესი სავარგულები, რომლებიც ამჟამად, – საერთო გაჭირვებისა და სოფლის მოსახლეობისგან სანახევროდ დაცლის გამო, – თითქმის დაუმუშავებელია და ყოფილი ყანები სათიბ-საძოვრებად არის გადაქცეული... დასავლეთით, მთიან-გორაკიან მხარეს, სანდაოცეთს ოდესღაც უღრანი ტყე ესაზღვრებოდა; ახლა ადგილობრივთ აკრძალული აქვთ ტყისპირების შორიანლო გაკარებაც კი, – ეკალას, მაყელის, ასკილის, პანტისა თუ სხვათა მოკრეფა, ფიჩხის შეგროვებასა და ზამთრისთვის შეშის მოჭრაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი: სოფელს ტყე ჩამოართვეს, უკეთ რომ ვთქვათ – უბოდიშოდ წაართვეს და ვიღაც გადამთიელებს მიჰყიდეს... ისინიც მიადგნენ და მოკლე ხანში უმოწყალოდ თითქმის პირწმინდად გააკაფეს – ოდესღაც უღრანი ტყისგან ამჟამად

მხოლოდღა მოგონება დარჩა... სამაგიეროდ, ადრე თვინიერმა მდინარე სანდაოცეთურამ “ისწავლა” გაზაფხულ-შემოდგომობით წვიმების დროს გიჟური წყალმოვარდნა... ტყეს ვინ ჩივის, სოფლის კუთვნილი ნაყოფიერი მიწებიც მოხერხებულმა ვიღაც-ვიღაცეებმა რაღაც ფრიად საეჭვო მანქანებით დაიმტკიცეს კერძო საკუთრებად, უკეთ რომ ვთქვათ – ყაჩაღურად მიიტაცეს. როგორც ჩანს, სულ მალე ჯერი საძოვრებზეც მიდგება და ისედაც ხალხისგან სანახევროდ დაცარიელებულ სოფელს მოკლე ხანში მხოლოდ მოხუცებიღა თუ შერჩებიან, რომელთაც, თუნდაც სადმე ჰქონდეთ წასასვლელი, მშობლიური გარემოს სამუდამოდ მიტოვება ესიკვდილებათ და, საიქიოს გამგზავრებამდე, მშობლიური არემიადამოდან ფენის მოცვლას არ აპირებენ. რამდენიმე მათგანი, ადრე ქალაქს წასული შვილებთან და შვილიშვილებთან, ერთ-ორ თვეში უკანვე გამოიქცა – ვერ გაუძლო ახალი სამყოფელის ხმაურსა და ჭუჭყს, აურზაურსა და დაძაბულ ურთიერთობებს...

ღიახ, ერთ დროს სანდაოცეთი ერთობ დიდი და საკმაოდ წელმაგარი სოფელი გახლდათ და, როგორც ყველგან, აქაც ჭრელი ხალხი ცხოვრობდა – მეტი წილი, რა თქმა უნდა, კეთილი, შრომისმოყვარე და პურდვინიანი. ჰოდა, ამ სოფელში, ერთ-ერთ საკმაოდ ხალხმრავალ ოჯახთან ერთად, სახლობდა ჩვენი მონათხრობის ერთ-ერთი მთავარი გმირი (მეორეა – ამ წიგნის სათაურში მოხსენიებული საოცარი საზამთროს, მესამე კი – ბატონი ბაქიბუქა, რომელსაც უფრო ახლოს შემდგომში გაგაცნობთ), – ერთი საწყალი, დაბალ-დაბალი, წითური ბიჭი, ცეცხლისფერი თმა რომ წინ ბაიროდვით გაფშეკოდა; ასევე – თვალაღაფარდი, დიდყურა და ძალიან მორიდებული. თეთრ სახეზე თითქოს ოქროს შხეფები შეფრქვეოდა – ჭორფლიანი გახლდათ და სანახევრელებული, ვით მწყერის კვერცხი. მას სახელად ერქვა... თუმცა მის სახელს რას დაეძებთ, მისი ნახვა რომ მოგდომებოდათ, ნამდვილი სახელით ვერ მიაგნებდით, რადგან სოფელ სანდაოცეთში დიდპატარა “ლაყუნად” იცნობდა; მოზრდილი ყურები ნამდვილად ჰქონდა და ლაყუნას რატომ ეძახდნენ მეტსახელად, ჩემთვის, მართალი რომ გითხრათ, გაუგებარია.

ლაყუნა ხუთ დედამიშვილს შორის – ოთხი ძმა ჰყავდა! – ყველაზე პატარა გახლდათ; იმ დროს, როცა ჩვენი ამბავი ხდება, 20 წლისა შესრულდა და ძმებივით ისიც ჯერ არ იყო დაოჯახებული. უფროს ძმებს სრულებით არ ჰგავდა არაფრით – ისინი შავგვრემანნი და ტანად ახოვანნი იყვნენ, ამასთანავე – საკმაოდ ზარმაცებიც.

– კიდევ კარგი, ჩვენს გადასწრებას არ ფიქრობს – არსად ეჩქარება ცოლის მოყვანა ამ ბედოვლათსა: საკუთარ თავსაც ვერ არჩენს, ჩვენი ხელის შემყურა! – დაცინვითა და ამპარტანობით ამბობდნენ ლაყუნას ძმები, თუმცა, ნაბოლარა მეტს საქმიანობდა, ვიდრე ყველანი ისინი, ერთად აღებულნი. ლაყუნა ბავშვობიდანვე მუხლჩაუხრელად შრომობდა, ერთ წამს უსაქმოდ გაჩერებულს ვერ ნახავდი და, ამის მიუხედავად, რატომღაც მისით კმაყოფილი არავინ იყო.

– ქალო, ე ბაღლი არ გამოგვადგა, – ეუბნებოდა ლაყუნას მამა დედას. – საიდან გამოვიდა ასეთი ყოველმხრივ უჯიშო? არც ახლა უქნია ღმერთსა ეგ კრუხის პალო, მაგრამა, ჩვენი თავი ჯანდაბას, მერეა უფრო ცოდო: ჩვენ ხომ ცას არ გამოვეკერებით, ერთხელაც ხომ დავიხოცებით, პატრონ-მომვლელი აღარ ეყოლება და მაგ უბედურს რაღა ეშველება!

– რას ერჩი, რას უწუნებ? თუ ძმებზე ტანმორჩილია, სამაგიეროდ, ბევრად ყოჩაღია, საქმით რომელი შეედრება? – შეეპასუხებოდა ხოლმე ქმარს ლაყუნას დედა. – თუ ლაყუნაზე ნაკითხი არის რომელიმე? ვერა ხედავ, სამწყემსად რომ მიდის, მაშინაც წიგნი მიაქვს!

– ჰო, იმიტომ არის ცხოვრებაში გამარჯვებული, ძროხების დვენის მეტს ვერაფერს მიაღწია! – დაცინვით ამბობს ლაყუნას ყველაზე უფროსი ძმა, მარად ჟამს ყბედი ლაშუნა; ეტყობა, მთელი ძალ-ღონე ლაქლაქში ეხარჯება და მეტს ვეღარაფერს აკეთებს.

– ჰო, ბებიაშავისამ, თითები სულ წიგნების ფურცვლით აქვს გაუხეშებული! – ღრეჭვით ამბობს მეორე ძმა, კამეჩივით ბრგე და მოუხეშავი ლაჩინა.

– იკითხოს, იკითხოს, ტანად პატარაა და თუ ზედმეტი არ მოუვიდა და ტვინი არ გაიწყალა, დიდი კაცი გახდება, იქნებ ძროხებსაც რაღაც ასწავლოს და რძე მოუმატოს! – არ აკლებს დაცინვას მესამე ძმა ლაფა, სახე რომ ცუდად მოხევილ გუნდას უგავდა; ხოლო მეოთხე ძმა, ლაჩუნა, იმ დროს უთავბოლოდ სადღაც სხვაგან დახეტიალობდა, თორემ ლაყუნას “ქება-დიდებას” ისიც უეჭველად რაიმეს დაამატებდა.

მართლაც, ლაყუნას ამ ქვეყნად ყველაზე უფრო წიგნების კითხვა იზიდავდა; სამწუხარო კი ის იყო, რომ, სკოლაში ვეღარ გააგრძელა სწავლა – მხოლოდ VII კლასი დაამთავრებინეს, მერე კი მამამისმა ძროხების მწყემსად განამწესა; ამასობაში კი სანდაოცეთში სკოლაც საერთოდ გაუქმდა მოსწავლეთა კონტინენტის შემცირების საბაბით...

ჰო, არ დამავიწყდეს: ლაყუნას დედ-მამასა და ძმებზე ცოტა რამ ხომ უნდა გითხრათ? ლაყუნას დედას ერქვა ლაშხა, ლაყუნას მამას – ნაცერა; დედ-მამას ლაყუნა არაფრით ჰგავდა, მხოლოდ ნაცერასავით კეხიანი ცხვირი კი ამშვენებდა – საკმაოდ დიდი! ლაყუნას ძმების სახელები უკვე იცით, მაგრამ გავიმეორებ: ლაშუნა, ლაფა, ლაჩინა და ლაჯუნა, – ხომ ძნელი დასამახსოვრებელია? ამაზე ნუ იდარდებთ, ჩემს მონათხრობში მათი სახელები არცთუ ხშირად შეგხვდებათ. სახელები ძმებს ყველას სხვადასხვა კი ჰქონდათ, მაგრამ დამოკიდებულებით ლაყუნას მიმართ ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდნენ: ჩვეულებად ექცათ უმცროსი ძმის ყოველდღიური დაცინვა, აბუჩად ავადება... გაუთავებელი დაჩაგვრა... ხშირად კინკრისოში წიპურტის გაკვრითაც

დაასაჩუქრებდნენ ან ქეჩოში მეგობრულად, მაგრამ საკმაოდ მტკივნეულად წაუთაქებდნენ და არც ვითომ ხუმრობით კვანტის დადებას დაამადლიდნენ, თან – სიცილით იჭაჭებოდნენ.

ღიახ, ვისაც არ ეზარებოდა, – შინაური, გარეული, – ყველა საწყალ ლაყუნას იბრიყვებდა, განსაკუთრებით – ძმები. გარდა ზემოაღნიშნულისა, ლაყუნა სხვა მხრივაც დაბეჩავებული იყო: ძმების მაგივრად მიდიოდა ნახირის სამწყემსად, შეშაც მოჰქონდა ტყიდან (სანამ ეს უკანასკნელი გაიყიდებოდა და გაიჩეხებოდა, რასაკვირველია); ოჯახის კუთვნილ ბაღ-ვენახში, ბოსტანსა და ყანაში მათ მაგივრადაც სხლაგდა, შეწამლაგდა, ბარაგდა, თესაგდა, თონხიდა, რწყაგდა და ასე შემდეგ; მხოლოდ მოსაგლის ადებისას შინაურები წაახმარდნენ ხელს... ბევრი სხვაც სარგებლობდა ლაყუნას კეთილი ბუნებით, დამთმობი ხასიათით – მეზობელიცა და თანასოფლელი უბრალო ნაცნობიც კი – და ხან რას ავალებდნენ, ხან – რას... თუკი მისი გაკეთებული საქმე არ მოეწონებოდათ ან, უფრო ხშირად, სრულიად უმიზეზოდაც, – გასართობად, სალაღობოდ, – სახეში, ვითომ ხუმრობით, სინამდვილეში კი – საკმაოდ მტკივნეულად, სილას გაულაწუნებდნენ, თან იცინოდნენ: “ბიჭო, ლაყუნ, ხომ მოგხვდა ლაყუნებში!..”. საწყალი ლაყუნა ხელს არავის შეუბრუნებდა, არასდროს საყვედურსაც კი არ ეტყოდა; თავჩაქინდრული, ერთს საწყლად გაიღიმებდა და ხმის ამოუღებლად იქაურობას გაეცლებოდა.

მხოლოდ ლაშხას თავიდანვე ეცოდებოდა ჩვენი ლაყუნა, უფროსი ძმების უშნო დაცინვისა და ჩაგვრისგან იცავდა; სხვა შეილებზე მეტად ეფერებოდა და, თუკი ამის საშუალება მიეცემოდა, გემრიელ ლუქმას გადაუნახავდა. მამა? ნაცერასაც თითქოს ეცოდებოდა ნაბოლარა შეილი, მაგრამ ძროხაზე ან ცხენზე მეტად არ უყვარდა, იქნებ – ნაკლებადაც, თითქოს ლაყუნა ამ ქვეყნად არც არსებობდა: სხვათა დაჩაგვრისგან არ დაიცავდა, არასდროს არც მამაშვილურად დაელაპარაკებოდა, არამცთუ მისთვის ერთი-ორი ტკბილი სიტყვა მაინც გაემეტებინა...

ამ გაზაფხულს ლაყუნა მაინც დიდად ბედნიერი იყო – პირველი, მწველი და დამდაგველი, სიყვარული ეწვია!

ქვრივი მეზობლის, მარად ეშმაკივით გაშავებულ მჭედელ პატულანას, პირმშვენიერი ქალიშვილი პოპოქია ლაყუნაზე ბევრად მაღალია, ფრიად კეკლუცი და პეწენიკი. მსგავსი რამ ალბათ რომელიმე ზღაპარში წაგიკითხავთ კიდევ და ამ ქალიშვილზეც დაცინვითა თუ შურით სოფლელი ქალები ამბობდნენ: “როცა პოპოქია სავსე მთვარეს დაინახავს, თავმომწონედ ეუბნება: “შენ ჩადი, მე უნდა ამოვიდეო!”... მართლაც, თუკი ქალებიც კი აღიარებდნენ პოპოქიას სიმშვენიერეს, რაღა გასაკვირია, რომ მისი სიტურფე ბევრ ყმაწვილკაცს არ აძინებდა ღამით... მაგრამ პოპოქიას გული კი, გული... ოჰ, რა სასტიკი და უღმობელი რაღაც ედო მეკერძში! გული კი არა – ქვა! ქვა და რკინა! ბევრად ახოვანი და ლამაზი უფროსი ძმების – და სხვათა მრავალთა – არშიყობას ამრეზით ხედებოდა პოპოქია და შეუხედავ, დაბალ-დაბალ ნაბოლარაზე რაღა ითქმის! მეტიც, აშკარად დასცინოდა: შეყვარებულ ჭაბუკს პირდაპირ კი არ ეტყოდა, “რას მომშტერებიხარ, მომწყდი თავიდან, გიჯობს, შენი ფარდი ვინმე მონახეო”, არა, გაეთამაშებოდა, როგორც კატა თავგს: გაუცინებდა, იმედის ნაპერწკალს უღვივებდა, რომ შემდეგ – სასაცილოდ აეგდო და უფრო მეტად ეტკინებინა ბიჭისთვის გული...

პოპოქია ბავშვობიდანვე პრანჭიკელა იყო, თავისი ოთახის ოთხივე კედელი მთლიანად დაფარული ჰქონდა პოპულარული ჟურნალების ყდებიდან ამოჭრილი ჰოლივუდის ქალ კინოვარსკელავთა ფერადი პორტრეტებით; თვითონ ხომ ყოველდღე, ბაღ-ბოსტანში საქმეებს საჩქაროდ მოითავებდა, რათა შემდეგ მრავალ საათს მდგარიყო დიდი სარკის წინ: ცდილობდა, მიეზაძა საყვარელ მსახიობთა კინოროლებისთვის... და – ჰოი, საოცრება! – სკოლაში სწავლით, შეიძლება თამამად ითქვას, თავს არ იკლავდა, მაგრამ თვითონ მონდრმა და ინგლისური საკმაოდ კარგად ისწავლა, რათა უცხოური კინოჟურნალები ეკითხა. აი, ასეთი ფერია, ოცნების ფრთებით სადღაც ღრუბლებში ნებიერად მოფარფატე, ლაყუნას, – მისი შეხედულებით, გაუთლელ, ნამდვილ “გლეხუჭას”, რომელიც სრული ანტიპოდი იყო კინოეკრანის ბრწყინვალე გარეგნობისა და დახვეწილი მანერებით გამორჩეული გმირებისა, – მის ტოლად როგორ მიიჩნევდა! არადა, ბიჭი ბევრად ნაკითხი და სხარტი გონებისა იყო, ვიდრე პოპოქია.

ძმები გაბრაზებულნი იყვნენ ნაბოლარა ძმაზე – უყურე ერთი, როგორი თავხედობა გამოიჩინაო; განსაკუთრებით ყბედი ლაშუნა იყო გაცეცხლებული, დაურიდებლად ლანძღავდა საწყალ ბიჭს:

– ეი, წითურო ვირისთავო, ძალიან მაღლა ახტომა ხომ არ მოგსურვებია, გინდა, ჩვენზე ადრე დაოჯახდე?

- კამბეჩუა ლაჩინა, თვალეხდაქაჩული, მკლავებს იკაპიწებდა:
- პოპოქია რა საშენოა, შე მათხოვარო, ლაყუნების ახევა ხომ არ მოგენატრა?
- ლაფა კი, რომელსაც სახე მოუხედეულ ცომის გუნდას მიუგავდა, უგემურად იღეჭებოდა:
- ბიჭო, არ გაბედო პოპოქიასთვის სიტყვის თქმა, თორემ, ჩემი თუ არ გეშინია, პატულანას ორფუთიან მუშტს მაინც ვერ გადაურჩები!

მხოლოდ უთავბოლოდ მოხეტიალე ლაჯუნა ძველებურად ედებოდა ღობე-ყორეს, მაგრამ რომ შემთხვევით სადმე გადაჰყოფოდა, ისიც არ დაიშურებდა ლაყუნასთვის ორიოდე ტკბილი სიტყვის თქმას...

ლაშხას დედის გულმა არ მოუთმინა და ერთხელ უთხრა ლაყუნას:

– შეილო, პოპოქია ძალიან ლამაზი კია, ვის არ მოეწონება, მაგრამ, დამიჯერე, ეგ ქალი შენ არ გამოგადგება... რატომ გინდა, ცხოვრება საწვალელებად გაიხადო? ხომ ხედავ, როგორი ამპარტანია, თავს არავის უყადრებს, თითქოს ჭიადლები ვიყოთ... ჯერ შეხედე, როგორ მედიდურად დადის, გარშემო ვერავის ამჩნევს, თითქოს მხოლოდ ცაში მზეს და მთვარეს ეთამაშება.

იმის მიუხედავად, რომ პოპოქიასგან მეტი სიმწარე იგემა, ვიდრე სიტკობ, თითქოს შინ საქმე აკლდაო, სიყვარულმა ლაყუნა ქალიშვილის მამის, პატრულანას სამჭედლოს მიაჯაჭვა – როგორც კი თავისუფალი წუთი გამოუჩნდებოდა, მაშინვე მჭედელს დაუდებოდა გვერდით: ხან საბერველთან საქმიანობდა, ხან ცულების, ნამგლებისა და ცელების გამოკვეთვაში ეხმარებოდა, ხანაც – ხარებისა და ცხენების დაჭედვაში.

პატრულანას მოსწონდა სიტყვაპვირი, პატიოსანი და მონდომებული ბიჭი; ფიქრობდა: “მე ვაჟი არ მარგუნა ბედმა და, როცა მჭედლობას ვეღარ შევძლებ, ჩემს საქმეს ლაყუნას გადავაბარებ, ალღოიანი და მუყაითი ყმაწვილია, მასზე უკეთ სამჭედლოს ვერავინ გაუძღვებაო”. შიგადაშიგ წვრთნიდა კიდევ – დამოუკიდებლად წვრილმანი რაიმეს გამოჭედვის საშუალებასაც აძლევდა; თუმცა, სიძვედ არაფრით ინდომებდა, ასეთი რამ ფიქრადაც არ გაუფლია – როგორც ლაყუნა საუბარში ატყობდა, პატრულანა დედისერთა ქალიშვილის გათხოვებას ვინმე შეძლებული ოჯახის შვილზე ფიქრობდა.

ლაყუნამ მჭედლის მძიმე, მაგრამ საინტერესო შრომას გემო გაუგო და, თუმცა პოპოქიას გულის მონადირებაში ერთი მტკაველითაც ვერ წაიწია წინ, მაინც ისეთივე სიხარულით მიდიოდა ხოლმე სამჭედლოში, თითქოს პოპოქიას პაემანზე დაებარებინოს. სამჭედლოში კი საქმეს ვერ აუღიოდნენ – რაც პანდურეთში დიზელის საწვავი მეტისმეტად გაძვირდა და მთელ ქვეყანაში, თითქოს ჯადოსნური ჯოხის ერთი დაქნევით, სასწაულებრივად სწრაფად ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა დინოზავრებივით გადაშენდნენ, პატრულანას მაშინვე დასაჭედი ხარი, ცხენი და ჯორ-ვირი მოუმრავლდა. იმავდროულად, ცულსა და ნაჯახსაც ფასი დაედო, ქარხნული წარმოების ხარი, თოხი, ნამგალი და ბევრი სხვა რამეც სანთლით საძებნელი გახდა და ახლა ყველაფერ ამას და, ბევრ სხვა წვრილმან რკინის ნაწარმსაც, სამჭედლოში ამზადებდნენ. სხვათა შორის, ქვეყანაში დინოზავრებისგან აქა-იქ მათი ჩონჩხი, გაქვავებული კვერცხები ან ნაკვალევი მაინც დარჩა, ხოლო ტრაქტორებისა თუ კომბაინებისგან კი ერთი ჭანჭიკიც არსად მოიძებნებოდა – კარგა ხანია, ჯართად ჩააბარეს.

ლაყუნამ არ იცოდა, რომ სულ მალე კიდევ ერთი დიდი სიხარული ეწვეოდა – სრულიად მოულოდნელად!

კარი II.

ლაყუნას საზამთროს ერთი ჭრელი თესლი მიუგდეს.
უული საზამთრო სწრაფად იზრდება, იზრდება...
ლაყუნაც იზრდება, მაშა!

ერთხელ გაზაფხულზე ლაყუნას უფროსი ზარმაცი ძმები, უსაქმობისგან გაბეზრებულები, ეზოში ამოწვერილ ქორფა ბაღახზე მიდი-მოდიოდნენ, ანეკლოტებს ჰყვებოდნენ, მოუხალაგ მზესუმზირას აკნატუნებდნენ და იპურჭყებოდნენ; თან უყურებდნენ, ნაბოლარა გომურის ვიწრო სანათურიდან როგორ მარჯვედ ჰყრიდა გარეთ ნებს. როცა ლაყუნამ საქმე მოათავა, გარეთ გამოვიდა და ხელ-პირი დაიბანა, უფროსმა ძმამ, ლაშუნამ, ყბედობით რომ იყო განთქმული, ჰკითხა:

– ეი, ბიჭო ლაყუნა, მომწონს, მომწონს, კარგად იმუშავე და ახლა ჯილდო გეკუთვნის! მზესუმზირა ხომ არ მოგენატრა?

– კი...
– მოდი აქ, აი, შენ შენი არჩივი, ჰი-ჰი-ჰი!.. – და ლაყუნას გაშლილ ხელისგულზე დაუდო... ბრაწი, სამი თითის კომბინაცია, არაფერი! და უშნოდ გაიღრჩია.

დანარჩენმა ძმებმა ჩაიქირქილეს, ლაყუნამ საწყლად გაიღიმა მხოლოდ.
ახლა მეორე ძმამ, ლაფამ, სახე რომ ცუდად მოხელილ ცომს მიუბავდა, გაუწვდინა მუჭი და მიმნდობ ლაყუნას ხელისგულზე დაუდო... მუჭი კენჭი!

– ჰი-ჰი-ჰი!.. ნახე, რა ლამაზია, ბიჭო, გასინჯე, გემრიელიც არის, იქნება გაკენიტო!
ლაყუნა ლაჩინასკენ მიტრიალდა – ნუთუ ისიც არად ჩათვლის?

ლაჩინამაც, კამეჩივით ზონზოტხა მუტრუკმა, არ დააკლო ხელი და საწყალ ბიჭს ხელისგულზე მზესუმზირის ჩენჩო დაუყარა...

– ბედოვლათო, ხელი მაგრად მოუჭირე, არ დაგეფანტოს! აბა, შენ იცი, ნდობა არ გამიცრუო და კარგად მოუარე, ერთიც არ დაკარგო, თვლით გაძლევ, იცოდე, ჰი-ჰი-ჰი!..
ლაყუნამ ხმა არ გასცა; ბოლო იმედიდა დარჩა, ისიც ხომ არ უხიმანებს?

მეოთხე ძმამ, ლაყუნამ, უხეირო და უთავბოლო სიარული რომ იცოდა, ლაყუნა დიდად “გააბედნიერა” – მხესუმშირაში შემთხვევით გარეული საზამთროს ჭრელი თესლი უბოძა და დაცინვით დამოძღვრა:

– ბიჭო ლაყუნავ! უმაქნისი ხარ და აჰა, შენ საკადრისი საჩუქარი, ჰი-ჰი-ჰი! შეხედე, რა მშვენიერია – შენი სიფათივით აჭრელებულია, ჰი-ჰი-ჰი!.. “ფერი – ფერსაო”, სწორედ თქვენზეა ნათქვამი, ჰი-ჰი-ჰი!.. თუ ამ საზამთროს თესლის გემო არ გეპიტნავენა, დათესე! იცი, რა კარგი ჯიშის საზამთროს თესლია? არ გადააგდო, იცოდე, დროზე დათესე და მერე კარგად მოუარე!.. აბა, შენ იცი, იქნება მთელი ჩვენი ოჯახი დააძღო და ჩვენს მეზობელსაც უწილადო – არ გინდა, პოპოქი-ას გული მოიგო? იქნებ გაგიმართლოს, ნაღდად ვიცი: საზამთროსთვის სული მისდის! ჰი-ჰი-ჰი!..

ძმების მხრივ აბუნად აგდების გამო, ლაყუნას ამჯერადაც საყვედური არ დასცდენია; საზამთროს თესლი გადასაგდებად ვერ გაიმეტა – არ დაიზარა, წავიდა და გომურის გვერდზე, ბოსტანში, შარშანდელი ნაკელის გროვაში ჩაფლა.

რამდენიმე დღე გაზაფხულურად ხამუშ-ხამუშ წვიმდა. ერთ კვირაში საზამთროს მწვანე ღივმა მიწიდან წვერი ამოყო და ორი, ბაცი მწვანე ლებანი გადაიშალა; მერე ციცქნა ფოთლებიც გამოიჩვენენ და გახარებულულნი, მხეს უცინოდნენ და მის სხივებს ხარბად ისრუტავდნენ... სულ მალე ლერწი მიწაზე გახონდა და... გაუტია! ხარბად წავიდა და წავიდა, სწრაფად იზრდებოდა; მერე ვრძელმა ბარდმა იბარტყა და მალე, სასწაულებრივად დიდი ზომის ფოთლებით, მწვანე ხაღინასავით ლამის მთელი ბოსტანი დაისაკურთა და ეზოშიც შეიჭრა!

თავიდანვე საოცრების მოწმენი გახდნენ – საზამთროს ხორკლიანი ღერო მსხვილი იყო – ბაგირივით, ხოლო მასზე გამოსხმული ფოთლები – უჩვეულოდ ფართო.

ლაყუნას დამატებით კიდევ ერთი ყოველდღიური საქმე გამოუჩნდა: მორწყვა და ბარდის იღლებიდან ზედმეტი ნაბარტყის მოცილება.

საზამთროს ბარდმა მალე ყვავილებიც გამოიღო, მერე ერთ-ერთი ყვავილის ძირში პატარა ბურთულა გაჩნდა – მომავალი ნაყოფი! საკვირველი იყო, დანარჩენი ყვავილები გაუნასკვავი ჩამოცვივდა, მხოლოდ ეს ერთი ნაყოფი გადარჩა!

გახარებული ლაყუნა ესიყვარულებოდა პატარას: – აბა, ჩემო კარგო და საყვარელო ციცქნა საზამთროვ, გეხვეწები, არ დამაღალატიანო, ამათ დაცინვას გადამარჩინე, დიდი და ტკბილი გაიზარდე, რომ ყველა გაგახარო! ვიცი, ყველაფერს ამ ქვეყნად მოფერება უყვარს და მეც, რისი შეძლებაც კი მექნება, არ მოგაკლებ ზრუნვასა და ამაგს, დანარჩენი შენ იცი!

მართლაც, საზამთროს ბურთულას ფრიად უხდებოდა ლაყუნას ყოველდღიური ზრუნვა და ოჯახი კიდევ ერთი საკვირველი მოვლენის მოწმე გახდა: საზამთრო მალე ბურთად გადაიქცა და ყოველდღე კი არა, ყოველ საათს ეტყობოდა დამსხვილება!

ლაყუნას ისევ და ისევ არ ბეზრდებოდა ალერსიანი საუბარი ნაყოფთან: – საყვარელო, ძალიან მომწონს შენი ხილვა, მიყვარს შენი მოფერება – მორწყვა, აბეზარი სარეველების მოცილება...

– ასე რატომ ზრუნავ ჩემზე? – ეკითხებოდა საზამთრო.
– იმიტომ, რომ მსიამოვნებს – ჩვენ ხომ მეგობრებიც ვართ!
– მერე, ეგ რა კაცობაა: მომივლი, დამაგაჟკაცებ და მერე, როგორც შენი ძმები თითქმის ყოველდღე ჩემს თუ შენს გასაბრაზებლად ამბობენ, ერთ მშვენიერ დღეს დამისვამთ ბასრ დანას, დამჭრით-დამანაწილებთ ნაჭრებად და შემჭამთ! ამას უწოდებ შენ მეგობრობას?

– რას იზამ, ასეა, ძმაო, მოწყობილი ეს ქვეყანა – ერთი მეორეს არ გამოორიცხავს!
ძმებმა ლაყუნას თავი მოაბეზრეს დაცინვით:

– ბიჭო ლაყუნავ! – ქირქილებდა უფროსი ძმა, ყბელი ლაშუნა, – შენი შვილია ეგ საზამთრო და შენსავით ჭორფლიანი რომ გამოვიდეს, არ გეშინია?
– ჯო, რა ჯიშისაა ე ამოტოლა? – ახლა მეორე ძმა, ცომივით სახიანი, ლაფა დასცინოდა. – რა წესია ეგა: შენ – ჯუჯა, ეგა კიდენა – გოლიათების ქვეყნიდან მოსულსა ჰგავ! ჯერ ორი კვირისაა და უკვე შენზე მძიმეც იქნება, იქნებ დამწიფდა კიდევცა, მაგრამ როგორ გავიგოთ, დამწიფდა თუ არა? იმოტოლაა, ხელისგულებს ვერ შემოვუჭერთ, რომ მისი სიმღერა გავიგონოთ და რა ვიღონოთ? მიტყაპუნებით კი გემრიელ ხმას გამოსცემს, დროა, გემო გავუსინჯოთ!

მათ არც მესამე ძმა, კამერივით ლაჩინა ჩამორჩებოდა: – ლაყუნას თავს ხომ მაინც შემოვუწვიდნენ ხელისგულებსა, მოვუჭიროთ და თუ ხმა გამაიღო, მწიფე ყოფილა!

ყბელმა ლაშუნამ ლაჩინას ნათქვამი მაშინვე აიტაცა: – ბიჭო ლაყუნავ, თვითონ როგორ ატყობ, შენი თავი სრულ სიმწიფეშია შესული თუ ჯერ ბევრი აკლია? ხმას რად არ იღებ, ჰა? ეტყობა, ჯერ მკვახეა შენი თავი! ის მაინც გვითხარ, რა წამალს აძლევ ამისთანას ამ საზამთროსა, რომ ასე გაიზარდა სიგრძეში და ნაყოფიც გიფივით მატულობს წონაში?! კრუხის პალოვ, არ გერჩივნა, ის წამალი შენ თვითონ დაგეღია – სიმადლეში ზრდაში ჩვენც გავვისწრებდი, ჰი-ჰი-ჰი!..

“სიყვარულით ვუვლი და იმიტომ გააღდა!” – უნდოდა ეპასუხა ლაყუნას ძმისთვის, მაგრამ გაჩუმება ამჯობინა.

მეოთხე ძმა, ლაყუნა, უშნოდ დააბოტებდა და კიდევ უფრო უშნოდ იკრიჭებოდა:

– მე რომ ახლა ერთი წავგარტყა გემრიელად ფეხი ამ ბურთივით გაბერილსა, ხომ ეტირება ყოფის დღე! ახიცი იქნება – ამ თავხედს უნდა, ჩემზე დიდი გაიზარდოს! ბიჭო, იქნებ ჯობს, მაგის მაგივრად შენ წამოგარტყა გემრიელად ქეჩოშია, ჰა?

ლაყუნა უმეტესწილად ხმას არ იღებს ხოლმე, ცდილობს, გაეცალოს იქაურობას, აბეზარი ძმების უკუღმართ კითხვებს დროებით მაინც გასცილდეს.

მაინც როგორ არ მობეზრდებათ უთქმელი ყმაწვილის ამგვარი აბუნად აგდება... მაგრამ ლაყუნა მაინც დიდად ბედნიერია – უფროსი ძმების ქირკილ-დაცინვაში დღე დღეს მისდევს, საოცარი საზამთრო კი ზღაპრულად სწრაფად იზრდება!.. ესაა ახლა მთავარი!

და, ასევე, როგორც ყველა ამჩნევს, საგრძნობლად იზრდება მასზე თავდაუზოგავად მზრუნველი ლაყუნაც!..

განა სიმაღლეში – სულიერად გაძლიერდა და ამაღლდა!

ემატება სიმხნევე, საკუთარი ძალების რწმენა, კუნთები ხომ ისედაც გაგარჯიშებული ჰქონდა დღედაღამ მოუღლეელი შრომით!

ღიას, უპირველესად – შინაურების თვალს არ გამოეპარა: ლაყუნას საუბარში სულ უფრო იგრძნობოდა თავდაჯერება, სიტყვა-პასუხი მეტად აწონილ-დაწონილია, დინჯადაც ლაპარაკობს და თითქოს ხმაც უფრო დაუბოხნდა; ადრინდელივით აღარ ფაციფუცობს და სიარულიც გამოსომილი გაუხდა... რაც მთავარია, ძმებსაც თავს აღარ აჩაგვრინებს, აღარაფერს უთმობს!

ლაყუნას ამგვარი მკვეთრი ფერისცვალება ყველასთვის ცხადი ერთ მშვენიერ დღეს გახდა, უფრო სწორედ, დილაადრიან: ლაყუნამ ხმამაღლა, ოჯახისთვის მოულოდნელად, განაცხადა, რომ საზამთროს მუდმივი მოვლა-ყურადღება სჭირდება და დიდი ხნით უმეთვალყუროდ ვერ მიატოვებს, ამიტომ საქონლის სამწყემსად ამიერიდან ყოველდღე აღარ წავა, – მხოლოდ მაშინ, როცა წესითა და რიგით მორიგეობა ეკუთვნის...

იმ დღეს ყველაზე დონიერ ძმას, კამეჩივით ლაჩინას, უწევდა ნახირის გადენა საძოვარზე და ლაყუნას მოულოდნელმა უარმა მის ნაცვლად წასვლაზე იმდენად გააოცა და დააბნია, რომ აღარც კი იცოდა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო. როცა გონს მოვიდა, ლაყუნას შეუბღვირა, მონდობა, ურჩისთვის დაეძალებინა საქონლის გადენა საძოვარზე; როცა სიტყვიერი მუქარით ვერას გახდა, ჯიქურ მიუხტა “ლაყუნების გასალამაზებლად”, რაც ადრე მრავალჯერ უქნია... ამჯერად – ძალაუნებურად შეცბა: რომ შეხედა ლაყუნას გაკერპებულ სახეს, მის აკვსებულ თვალებში და შეჭმუნნილ წითურ წარბებში რაღაც უჩვეულო სიჯიუტე და შეუვალობა შეამჩნია. თუმცა ნაბოლარა ძმის უტეხმა სახის გამომეტყველებამ უფრო ღრმად დაფიქრება ვერ აიძულა, – საერთოდ არ იყო მიჩვეული, რაღაც გაეაზრებინა, მით უმეტეს, ახლა ამისთვის დროც აღარ ჰქონდა, – უკვე ჩვეულად შემართული ჰქონდა ხელი და ჩვეულებრივადვე ელოდა, როგორ ახარხარდებოდნენ ძმები მორჩილებიდან გამოსულის ლოყაში მისი მარჯვე სილაქის გამო... მაგრამ მოხდა ყველასთვის ფრიალ მოულოდნელი რამ: ლაყუნამ ლაჩინას მოქნეული მარჯვენა მარჯვედ აიცილია და სამჭედლოში მუშაობით თუ ბაღ-ბოსტანში ბარვა-თოხნით გაკაუებული ხელის მუშტი ისე გემრიელად სდრუნა გვერდიდან ყბაში, რომ ჩვენი კამბეჩუა დანარჩენი სამი ძმის თვალწინ მიწაზე კოხტად გააგორა...

ამის მერე ლაყუნას უბატონოდ ხმას ვეღარავინ სცემდა.

საზამთრო კი მართლაც რომ დაბადებისთანვე საოცრებას წარმოადგენდა: სულ თავიდან ხომ ერთი ბეწო იყო – მუხუდოს ხელა, მერე, რამდენიმე დღეში, ვაშლის სიდიდისა გახდა, ერთ კვირაში კი – ბურთის ტოლა, ზრდასრული საზამთრო გვეგონებოდა; მერე და მერე – კიდევ უფრო დამსხვილდა და დამსხვილდა... თუმცა, თურმე ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისი იყო – ისეთ ეშში შევიდა, ზრდაში უფრო და უფრო გაუტია... რამ გამოიწვია ასეთი მოულოდნელი და ფრიალ უცნაური გახელება? რა ვიცი, აბა, ლაყუნა ხომ თავს ეგლებოდა – ყოველდღე რწყავდა, სარეველუბისგან ასუფთავებდა, ნიადაგს უფხვიერებდა – და თრ კვირაში ეს ჩვენი საზამთრო კასრის ხელა არ გახდა? უფრო დიდიც კი, ოღონდ სხვა ფორმა ჰქონდა – მრგვალი იყო და ოღნავ მაღლა წაგრძელებული, რადგან “ჭიპი” ქვევით, მიწაზე ჰქონდა, ყუნწი კი – ზევით, სულ ზედა ნაწილში, “თხემში”.

დრო მიდიოდა, ლაყუნას მიერ ჭრელი თესლიდან გამოსრდილი საოცარი საზამთრო კი ვერ ისვენებდა, არა და აღარ გაჩერდა – ყველანი განცვიფრებითა და აღტაცებით შესცქეროდნენ მის ყოველდღიურ ფერისცვალებას.

მართლაც, საოცარი საზამთრო დიდებული რამ გახდა – ავ თვალს არ ენახებოდა!

რა თქმა უნდა, ლაყუნამ ყველაზე ადრე შეამჩნია, რომ მისი საზამთრო განსაკუთრებული იყო, სხვა, ჩვეულებრივ ჯიშებს არ ჰგავდა და მაშინვე დაიწყო საგანგებო დღიურში ყოველდღიურად მისი სიგანე-სიმაღლის აღრიცხვა. სულ მალე საოცარი საზამთრო იმოდენა გახდა – სიგანეშიც და სიმაღლეშიც, რომ ჩვეულებრივი სახაზავით ვეღარ ზომავდა; ამიტომ იშოვა გრძელი ჭოკი და მასზე სიგრძის ნიშნულები დაიტანა. მალე მოუწია იმ ჭოკზე მეორე ისეთივე ჭოკის გადაბმა, მაგრამ ამანაც სულ ცოტა ხანს უშველა... და რაც დრო გადიოდა, არაჩვეულებრივი საზამთროს ზრდის სიჩქარეც მატულობდა: ერთ თვეში საოცარი საზამთრო ლაყუნას ერთსართუ-

ლიანი სახლის სიმაღლეს ასცდა!.. შემდგომ, კიდევ თვენახევარში, სოფლის სამსართულიანი სკოლის – სხვათა შორის, უქმად მდგარის – სიმაღლესაც გაუსწრო!..

მთელი სოფელი, დიდთან-პატარაანად, ნაცერას კარ-მიდამოსთან ტრიალებდა – შესცქეროდნენ ბუნების მიერ ნაბოძებ საკვირველებას. განსაკუთრებით ბავშვები იყვნენ გახარებულნი: მეზობელ სოფელში სკოლაში საკმაოდ შორს წასვლას, ამჯობინებდნენ, მთელი დღე დიდ საზამთროსთან გართობილიყვნენ: ეთამაშათ და ჟივილ-ხივილით ერბინათ, ოღონდ ნაცერას ეზოს გადაღმა, რათა საოცარი საზამთროს ფოთლები არ დაეზიანებინათ.

ღიახ, საზამთრო საოცარი იყო და როგორ არ გექნებოდა სურვილი მისი მზერისა: მეც, სინარულითა და აღფრთოვანებით ვარ გამსჭვალული და დიდ სიამოვნებას მგერის, კიდევ და კიდევ აღვნიშნო: იმდენად სწრაფად იზარდა და იზარდა, რომ სულ მოკლე ხანში უზომოდ დიდი გაიზარდა – დიდზე დიდი, უზარმაზარი! და, როგორც ჩანდა, გაჩერებას ჯერ არ აპირებდა – ისევე მსხვილდებოდა!

და ამგვარი საკვირველება ნაცერას ოჯახში მხოლოდ გაკვირებასა და სინარულს კი აღარ იწვევდა, არამედ, შეშფოთებასაც: საოცარმა საზამთრომ ჯერ გომურს შეუტია მრგვალი გვერდით და მიანგრია, მერე, რაღა თქმა უნდა, მეორე მხარესაც არ დასწყვიტა გული, იქით მხარესაც გაფუფადა – ბოსტანისკენ გაიწია და იქაც მწვანილეულის, კომბოსტოსა და სხვათა კვლებზეც საკმაოდ მეტადაც შეყო მწვანე ფერდი... და ასეთი ყოველ მხარეს უბოდიშო შეტევით მალე ლამის მთელი კარ-მიდამო გაავსო!..

ლაყუნას ოჯახი შეფიქრიანდა: საინტერესოა, ისედაც უზომოდ დიდი, კიდევ სადამდე აპირებს გაზრდას საოცარი საზამთრო?

ძმებმა ლაყუნა საყვედურებით აავსეს:

– ბიჭო, ეს ვინ უბედური შემოგვითესლე, რა შარში გაგვხვია – ქოხამდე მისვლაც კი ისე გაგვიჭირდა, ლამის გადავსახლდეთ აქედან!

მამამ, ნაცერამ, კი გადაჭრით მოსთხოვა:

– ჯობს, შენი ხელით დროზე “დაკალი” ეს ეშმაკის ნაშობი, სანამ მეზობლები არ აგვიჯანყა – აბე, ვერა ხედავ, უკვე პატუღანას ეზოსაც მიადგა, იმას რაღას ერჩის და! ისე შეგვაწუხა, ადარაა საშველი! ბიჭო, ან ეგ შენი საზამთრო გააგზავნე მოუსავლეთში, ან ჩვენ უნდა ავიყაროთ დედაბუდიანადა!

მაგრამ ლაყუნა ჯერჯერობით არ აპირებდა საოცარი საზამთროს სიცოცხლის საათის ძალით გაჩერებას:

– რას ამბობთ, ხალხო, ასეთი სასწაულის მოწმენი ვართ და სამაგალითო რეგენები ვიქნებით, თუკი ამ საოცარ საზამთროს დროზე ადრე მოვუსწრაფავთ სიცოცხლეს! ნუთუ თვითონ არ გაინტერესებთ, სადამდე გაუტევს საოცარი საზამთრო? ხომ ხედავთ, ჯერ ისევე ივსება ძალ-ღონითა ეგ დალოცვილი – ყველას მოლოდინს გადააჭარბა! და რა იქნება, რომ ცოტა კიდევ მოვითმინოთ, – მიუშვით მის ნებაზე, გაგახაროთ და ჩვენც გავიხაროთ, – ვაცალოთ ამ მართლაც ჭეშმარიტ საოცრებას დამწიფებამდე მიღწევა: რაც მეტი დრო გავა მის დავაჟაკებამდე, მით დიდი გაიზრდება და მეტი შესაჭმელიც გვექნება! ალბათ მთელ სოფელსაც გაუჭირდება მისი გათავება, იფ-იფ, წარმომიდგენია, რა გემრიელი იქნება! ბარაქიან გაზრდა-დამსხვილებაში დიდად ნიჭიერი ჩანს ეს დალოცვილი და ეჭვიც არ მეპარება, გემოშიც დიდად ნიჭიერი იქნება! როცა ხედავ, რომ ვიდაცას დიდი საზამთრო ამოუღლიავეთა და გაბადრული სახით მიაქვს, შენც სინარულით გინათდება სახე: თვითონ ხომ გაუხარდება და სხვებსაც გაახარებს, – აბა, ამოდენა საზამთროს მარტო ხომ არ შესანსლავს! – ჰოდა, წარმოიდგინეთ, ჩვენი საოცარი საზამთრო რამდენ ადამიანს გაახარებს – მთელ სოფელს!

ერთხელ სისხამ დილით დედ-მამა და ძმები უცნაურმა ჭრიჭინ-ჭრიალმა გამოღვიძათ, – მთელი სახლი ირყეოდა, – ძლიერი მიწისძვრა ხომ არ მოხდა? შეშინებულნი, წამოვარდნენ ზეზე და გარეთ, ეზოში ძლივს მოასწრეს გავარდნა, რომ მოყანყალებული სახლი წაფერდდა, მერე ძლიერ გადაიხარა და უცებ მისი სახურავი და კედლები ზრიალითა და ზათქით ჩამოიქცა!

ალბათ რაღაც დიდ უბედურებას გადაურჩნენ რაღაც სასწაულებრივად!

გაიხედეს: დახე ამ თავხედ საზამთროსა: ლამის განმავლობაში იმხელაზე გაზრდილა, რომ სახლის კედლამდეც მიულწევია!.. ამასაც ვერ შეუჩერებია საოცარი საზამთროს ზრდა და მისი მრგვალი გვერდის მძლავრ მიწოლას ეს სამწუნარო შედეგი მოჰყოლია!

გულშემოყრილი ლაშა მუხლებზე ხელისგულებს იტყაპუნებდა:

– რაღა გვეშველება, ეს რა დაგვემართა!

მეორე სასწაული ის იყო, რომ რატომღაც მამასა და ძმებს ლაყუნას ლანძვრა-გინება არ დაუწყიათ, – ალბათ მართლაც დაენანებოდათ საოცარი საზამთროს უდროო დროს გაქრობა! მათაც ცნობისმოყვარეობა გაღვიძებოდათ და სურდათ, ბოლომდე დაკვირვებოდნენ გოლიათი საზამთროს ძალმოსილებას, მერე კი, რაც მთავარია, – ჰაი-ჰაი! – რომ მისდგებიან მუცელგამოფატრულს, დიდიდან დაღამებამდე ჭამით არ დაიღლებიან, მაშა!

ამჟამად კი, რაღა უნდა ექნათ, სახლის ნაწილების გადატანა და იქვე, შორიახლო, მისი თავიდან აშენება მოუწიათ...

მთელი სოფელი ლაყუნას გვერდში ამოუდგა! კიდევ კარგი, ხის ქოხი ჰქონდათ – დარბები იყვნენ – და ფიცრები და ძელები ხელმეორედ გამოიყენეს. იმ მხრივაც გაუმართლათ, რომ, სანამ სახლს ახალ ადგილზე ააშენებდნენ, დარი იდგა, შეუფერხებლად საქმიანობდნენ და ღამის გათევაც ღია ცის ქვეშ შეიძლებოდა. ჰოდა, იცით, სად ეძინათ? საოცარი საზამთროს უზარმაზარი ფოთლების ქვეშ! გინდაც წვიმა მოსულიყო, ფიქრი არაფრისა ჰქონდათ – ფოთოლი-სახურავი იმდენად ფართე იყო!

დასვენების დროსაც სახლის მშენებლები საოცარი საზამთროს ფოთლებქვეშ წამოგორდებოდნენ ხოლმე გემრიელ ჩრდილში. იქვე ხშირად გაიშლებოდა ხოლმე სახელდახელო სუფრაც, როცა რომელიმე მეზობელი დიდი ქვაბით რაიმე კერძს მოუტანდათ: ხან – ერთი დედაკაცი, შემდეგ ჯერზე – მეორე თუ მესამე და ასე შემდეგ... თუკი წამოწოლილებს უხდებოდათ ჭამა, მერე რა, ძველ რომაელ პატრიციებზე ვითომ რით ნაკლები ბიჭები იყვნენ?

მართალი გითხრათ, მშენებლობის ძირითადი სიმძიმე ლაყუნამ გადაიტანა თავის მხრებზე. რა თქმა უნდა, შიგადაშიგ ეხმარებოდნენ მჭედელი პატუდანა, ღურგალი დოლა, მეთუნე პანტე, მეწისქვილე პეტრიკელა და სხვა სოფელელებიც, ძმები კი ათასგვარი მიზეზით თავს არიდებდნენ ხელის გამართვას, უფრო ლაზღანდარობით და მომუშავეთა, – უპირატესად, რა თქმა უნდა, ლაყუნას, – დაცინვაში შეჯიბრითა და მოუხალაგი მზესუმზირის კნაწუნ-კნატუნით ერთობოდნენ, – მისი მოხალაგაც კი ეზარებოდათ. ლაყუნამ ერთხანს კი წაუყრუა, ძმები როგორ სასაცილოდ იგდებდნენ მის თავგამოდებით საქმიანობას, ერთხელ კი, როგორც ითქმის, მოთმინების ფიალა აეფსო, დაუღრიალა მათ და ნაჯახით გამოენთო...

ლაშუნა, ლაფა, ლაჩინა და ლაჯუნა, – მარად ხანტები, – თუ ასეთი მკვირცხლი მორბენლები გამოდგებოდნენ, არავის ეგონა!..

მათი განსხვავებული სვლაგეზები შემდგომ, რამდენიმე თვის შემდეგაც, შეიძლებოდა, დადგენილიყო: გზა-გზა სირბილში სულ დაეფანტათ მუჭში მომწვედელი მზესუმზირა, დატენილი ჯიბეებიდანაც ამოუცვივდათ; მართალია, ნაწილი – ცქვიტმა ბელურებმა აკენკეს, ნაწილი – ჭიანჭველებმა წაათრიეს მიწისქვეშა ბუდეებში, მაგრამ ნაწილი მაინც გადარჩა და, დროზე მოსული წვიმის წყალობით, აღმოცენება მოახერხა.

ყბელი ლაშუნა, ცუდად მოზედილი ცომის მსგავსი სახიანი ლაფა, კამეჩივით მოუხეშავი და ღონიერი ლაჩინა და უთავბოლოდ ბოდილის მოყვარული ლაჯუნა შინ მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდნენ; ყველანი ცხვირჩამოშვებულები და უჩვეულოდ გაჩუმებულები იყვნენ, ლაშუნაც კი, და ახლა კი იკადრეს ცოტა ხელი წაეხმარებინათ მშენებელთათვის – მართალია, უხალისოდ, ძალისძაღვით, მაგრამ მაინც ირჯებოდნენ.

ლაყუნამ თადარიგი დაიჭირა, რომ, თუკი საოცარი საზამთრო ისევ ძველებურად განაგრძობდა ზომაში მატებას, მათთვის აღარაფერი ევნო – მთლად ახლოს არ ააშენა ქოხი.

და მაინც – საოცარი საზამთროს შესაძლებლობა ბოლომდე კარგად ვერ მოზომა!

ეს რა დვთის რისხვა დაატყდათ თავს – კიდევ რამდენჯერმე მოუწიათ სახლის გადატანა! კიდევ კარგი, მოისახრეს და ხის ქოხს კი არ ანგრევდნენ, ასწევდნენ, ქვეშ გრძელ ძელებს შეუყენებდნენ დიდი თხილამურებივით, მიაწვებოდნენ და ახალ ადგილას გადააცურებდნენ.

ამასობაში, ამ გადაჩოჩება-გადაადგილებაში, ახალი უბედურება დაატყდათ თავს: ისედაც ძველი თუ ყაველგასული საოჯახო ნივთები სრულიად უფარვის გახდა: ნაწილი – სახლის წაქცევისას დაიჭეჭყა თუ დაიმტვრა, ისედაც ძველთაძველი ქვეშავეები და ტანსაცმელი კი მოსულმა თავსხმამ საბოლოოდ გააფუჭა.

რალა უნდა ექნათ?

მამა და ძმები ლაყუნას აუხიროდნენ: ეს რა შინაური მტერი გაგვეზარდე, შე არგასაზრდელო, უფრო დიდი მტერი კი შენ გაგვიზარდე: ახლავე თუ არ შევანერეთ მაგ ოხერი საზამთროს შემოტევა, მერე გვიან იქნებაო და ნაჯახებით საზამთროს ლერწის გადასატყველად გაიწიეს, – უკვე მაჯის სიმსხოდ დამსხვილებულიყო! – მაგრამ ლაყუნა მათ წინ აღუდგა, დაუყვირა: “თუ საზამთროს რაიმეს დაუშავებთ, ვაი თქვენს თავსო!” და კეტი დაატრიალა, გააფთრებულმა ყველანი იფრინა!

სოფელი ღონიერიყო, ნათქვამია და მალე ლაყუნას ოჯახს მეზობლები და ნათესავ-მეგობრები მიადგნენ ძღვენით: ზოგმა – ჯამ-ჭურჭელი მოიტანა დაზარალებულთა დასახმარებლად, სხვამ – სხვადასხვა ტანსაცმელი და ლეიბები, საბნები, ბალიშები... სოფლის ღურგალმა დოლამ ხის დიდი მაგიდა აჩუქათ თავისი ექვსი სკამით, მეთუნე პანტემ – თიხის დოქები, ფიალები და მისთანანი, მეწისქვილე პეტრიკელამ ერთი ტომარა ფქვილი მოუტანათ საკუთარი თეთრი ვირუკათი, მჭედელმა პატუდანამაც გამოიღო ხელი და მეზობლებს ღურსმანი აჩუქა ბლომად და ყველამ ერთად, როგორც ვთქვი, მშენებლობაში ხელიც წაახმარა... საკვირველი ის იყო, რომ სოფელში ღორმუცელობით განთქმულმა ყასაბმა ღომფაშომაც მშენებლები ორჯერ ძღვენით გაახარა: პირველად მოხარული ძროხის ბეჭი მოიტანა, მეორედ – ცოლის მიერ გაკეთებული ცხვრის ორასი ხინკალი! ამ გაჭირვებულ ხანს, სანდაოცეთის მოურავ ტაბოციას თუ არ ჩავთვლით, ღომფაშო ერთადერთი ღიპიანი კაცი იყო დარჩენილი მთელს სოფელში, პირსუკან დაცინვით ყველანი გომბეშოდ მოიხსენიებდნენ, ზოგჯერ, გაბრაზებისას – მისი ცოლიც კი, და – აჰა!.. ყოჩაღ, ღომფაშო!

სოფლის თავგასიებულმა მოურავმა ტაბოციამაც ინება ერთხელ მობრძანება; არავის მისაღმებია, ისე მედიდურად გაიარ-გამოიარა, მშენებარე სახლს ახელ-დახედა, მოფუსფუსე ადამიანებს ამრეხით გახელ-გამოხედა და, ბოლოს, ნაცერას მკვახელ მიმართა:

– ეგ სახლი რომ გადაგაქეთ, შესაბამისი ნებართვა თუ გაქვს ალებული? ხომ იცი, ეგ მიწა სხვას ეკუთვნის!

ტაბოციას მამის მაგივრად ლაყუნამ გასცა პასუხი – საქმეს დროებით შეეშვა, გადმოუხტა და კეტი მოუღერა:

– აი, ნებართვა, თქვენო ბრწყინვალეებავ! – და უკანმოუხედავად გაქცეულ მოურავს მიაძახა: – როგორ მოგწონს, ხომ მაგარი საბუთია? თუ კიდევ რამე შეგაწუხებთ, მობრძანდით, ნუ მოგერიდებთ, დიდი სიამოვნებით მიგიღებთ და თქვენს დიდად საპატივცემულო ფერდებს საკადრისადაც მოგემსახურებით! არ დაგზარდებით, დიდი სიამოვნებით გავისარჯებით!

არავინ ელოდა სიტყვაძვირი ლაყუნასგან ასეთ, მისთვის უჩვეულოდ გრძელ მონოლოგს, განსაკუთრებით – ტაბოცია, რომელმაც მისი ბოლომდე მოსმენის სიამოვნება ვერ მოახერხა – ისე სწრაფად მოქუსლა, მალევე მიეფარა თვალითაგან.

და ასე, ნელ-ნელა, კეთილ ადამიანთა შეწვევით, საოცარი საზამთროს გვერდით, მათ ახალ-შემოდგომილ სამოსახლოში, მოკლე ხანში წამოიშრებოდა ხის, თუნუქით გადახურული სახლი, ძველზე ბევრად უკეთესი; გაჩნდა ნაჩუქარი პირუტყვ-ფრინველიც: ეზოში დარბოდა ათიოდე ცხვარი და ორი თხა; ორი ათეული ფრთა ქათამი და ოთხი ციცარი იქექებოდა მიწაში, სამი ფარშევანგიდან ორი მამალი ამაყად შლიდა ცისარტყელურა კუდებს და ორი საოცრად საყვარელი ლეკვიც ებლანდებოდათ ფეხებში, – ლაყუნამ მათ ლომა და ნეფხვა დაარქვა. დიდი საზამთროს მსგავსად, ლეკვებიც სწრაფად იზრდებოდნენ და რა იცი, რამდენი ოხერ-ტიალი და ქურდობაცა შეჰყურებს ხარბი თვალით ამ სასწაულებრივ საზამთროს და ნერწყვს ყლაპავს – მალე ნამდვილად დასჭირდება დღედაღამ საგულდაგულო დაცვა!

ამასობაში საოცარმა საზამთრომ კი ისევე არა და არ მოისვენა და, – ადრეც ვთქვი მგონი, – როგორც მოსალოდნელი იყო, მეზობლის ეზოსკენაც გაყოფერდი – მჭედელ პატუღანასთან უფრო ახლო ურთიერთობის დამყარება მოისურვა: საზიარო ღობეს მიადწია და მეტიც იკადრა – კარგა გვარიანად შეზინქა კიდევ! და სადაცაა, – ვიცი მისი ხასიათი! – ნამდვილად არც ამას დასჯერდება!

მეზობელი, მარად გამურულსახიანი მჭედელი პატუღანა, ყოველ დილა-სადამოს – და ხანდახან შუადღის შესვენების დროსაც – მიადგება ამ საზიარო ღობეს და უკმაყოფილოდ ჯიჯღინებს:

– უმაქნისო ნაცერავ, რა გინდათ ჩემგან, რას მემართლებით, არ ვიცი – კარგის მეტი თქვენი ოჯახისთვის არაფერი გამიკეთებია! დროზე მოუარეთ მაგ უზრდელ საზამთროსა, თორემ, არ ვიცი, რას ვიზამ! მაინცდამაინც ჩემი სახლიც უნდა დაანგრიოს? გემრიელად რო წამოწოლილა და თქვენი მთელი ეზო დაიკავა, მე რაღას მერჩის, აქ რაღა ესაქმება მაგ თავხედსა!

ნაცერამ უპასუხა:

– მეზობელო, ვერა ხედავ, რომ ლაყუნა მეტად მორიდებული ყმაწვილია და საზამთრო მის მაგივრად გესტუმრა – პოპოქიას ხელსა გთხოვს!

– ჰო, იხუმრე, იხუმრე, სწორედ იმ გუნებაზედ ვარ, რომ მაგ შენს უნიფგო ნაბოლარას ვაგტან ქალსა, ისე აგიდგათ გვერდები! ხომ გიტირათ მაგ ტიალმა საზამთრომ ყოფის დღე – სახლი აღარ შეგარჩინათ და კარი! დაბდურ-უხეიროები ხართ ყველანი და უხეიროდ მიგდით საქმეცა!.. მე რაღას მერჩის – ბაღჩაში იყო მაგ მახინჯი საზამთროს ადგილი!

– კაცო, რას აიფოფრე, შენც ბაქიბუქას სასახლე გიდგას რაღა! – საყვედურობს ნაცერა. – თუ დაინგრევა შენი სახლი, დიდი ამბავი, კიდევ უკეთესს აგიშენებთ, მაგაზე დაგიდგა დარდი?

მართლაც, – მიხარია, რომ ამას მერამდენედ ვიმეორებ! – უცნაური საზამთრო რა ზღაპრულად სწრაფად და ზღაპრულად დიდი გაიზარდა! სხვა მხრივაც გამორჩეულია – წაგრძელებული კი არა, ბურთივით მრგვალი გახლავთ, ოდნავ ბრტყელ ჭიპზე მკვიდრად ზის და მისი მწვანე გვერდები მუქმწვანე შეფერილი ზოლებით არის დამშვენებული. საზამთროს ლერწმს ყუნწი “მწვერვალზე” აქვს – “თხემზე” თუ “კინკრისოზე” – და მიწისკენ დაშვებული, მსხვილი ბაგირის სიმსხოა, ფოთლებიც ხომ შესაბამისი აქვს: უზარმაზარ მწვანე ქოლგასავით – ზედ ჩამომჯდარი ჩიტებისა და პატარა ბავშვების წონასაც კი თავისუფლად უძლებს!

მხოლოდ ადამიანები კი არ არიან უცხო სახილველით განცვიფრებულნი: ფრინველნიც მოფრინდებიან, – ბედურები, ჩხიკები, ტოროლები, ოფოფები, გუგულები, სხვანი მრავალნი, – მაგრამ საზამთროზე დაჯდომას და ნისკარტით დაკაკუნებას ვერ ბედავენ; საოცარი საზამთროს თავს ფრენით შემოუფლიან და დასასვენებლად მიწამდე ჩამოგრძელებულ ლერწმზე მოკალათდებიან... მხოლოდ ცნობისმოყვარე, თავხედი კაჭკაჭები წყვილ-წყვილად დასკუპდებიან მის წვერზე – ყუნწთან, კუდებს აქანავებენ, თავებს აქეთ-იქით ცნობისმოყვარედ ატრიალებენ და ერთმანეთს რაღაცას ეუბნებიან – აქ, ყველაზე მაღალ წერტილში, ლერწმის “ჭიპლარში”, კიდევ ერთი, სათადარიგო ბუდის მოწყობას ხომ არ აპირებენ? და კიდევ: ხანდახან ყვავებიც სტუმრობენ საზამთროს წვერსა, საქმიანად გაივლიან-გამოივლიან, შავი, მბრწყინავი დილებით-თვალებით ზევიდან ამაყად გადახედავენ ქვევით, მიწაზე მლოდავთ, საზამთროს ქერქს ერთი-ორჯერ დაუკაკუნებენ

მაგარ ნისკარტებს, მოსინჯავენ, საზამთრო როგორ ხმას გამოსცემსო, მერე მრავალმნიშვნელოვნად გადაულაპარკებენ ერთმანეთს: “ყვა-ყვა! ყვა-ყვა!” – ალბათ ჯერ კარგად დამწიფებული არ არისო, ცოტა მოგვიანებით ჯობს სტუმრობათ – და მიიმედ აფართქუნდებიან ჰაერში...

მეზობელი სოფლების გარდა, შორეულ დაბა-ქალაქებსაც მოედო გაუგონარი ამბავი და საოცარი საზამთროსკენ დაიძრა “მომლოცველების” ჯარი; ეწვევიან და, განცვიფრებისგან პირდაღებულნი, მისი ხილვით არ კმაყოფილდებიან, – ყოველი მათგანი მოვალედ რაცხს, ახლოსაც მივიდეს – ხომ ნამდვილი საზამთროა, რაიმე მამაძაღლობას ხომ არ აქვს ადგილი? – და მხიარულად მიუტყაპუნოს ხელისგული მის ფერდს. ვინც კი ყურს მიადებდა დიდი საზამთროს გალაქულ მუცელს, იმ მუსიკას უსმენდა, რომელიც უყვარდა. ვისაც სმენა არ ჰქონდა, ისინიც კი იძახდნენ, რა მშვენიერი ხმები მოდის დიდი საზამთროს შიგნიდანო:

– ვაჰ, ე რა გემრიელი ბუზიკა აქვს შიგა!

– ყველაფერზე ეტყობა – მაგარი საზამთროა!

– დალოცვილი საზამთროა!

– ბიჭო, რას მღერის – ნაღდად სრულ სიმწიფეშია შესული!

– ხომ არ დადგა დრო, ეუთხრათ: “მშვიდობით, ჩვენო საყვარელო საზამთროვ!” და დანები მოვიმარჯვოთ?

– არ გამოგაპაროთ, როდის აპირებთ მის დაგემოვნებას!

– სანაქებო გემო ექნება: 100%-ით ნატურალური პროდუქტია, ყოველგვარი პესტიციდებისა და სასუქების გამოყენების გარეშეა გაზრდილი!

– დიეტურიცაა და ფრიად მარგებელიც: ჭამე – ძლომამდე!

– ჭამამდე ცქერით გაძღები – ნახე, რა სათვალისა – დადექ და უყურე!

ლაყუნას გული ივსებოდა სიხარულით – ეს რა ჯადო ჰქონია ამ საზამთროსა, ყველა როგორ გააბედნიერა – დიდიცა და პატარაც, ქალიცა და კაციც!

მთელი დღე არ ილგვა მხიარული ხალხის ნაკადი, მოდიან დოღ-გარმონით, ცეკვა-თამაშით, ყველას სიამოვნების განცდით აღსავსე სახე მთვარესავით გაბადრულია – საოცარი საზამთროს მხოლოდ ხილვაც დღესასწაულია!

ლაყუნას თხოვნით, დურგალმა დოღამ საზამთროსთან შორიანხლოს ფიცრებით გამართა გრძელი მაგიდა, გააკეთა სკამები – მოეწყო საფიხენო; სადამოობით, როცა ზაფხულის გრძელი დღის პაპანაქება განელდება, აქ განსაკუთრებით ბევრი ხალხი იკრიბება. ხშირად იშლება არცთუ მდიდრული, მაგრამ გემრიელი სუფრაც – მოაქვთ, ვისაც რა აქვს; მთავარი კი ერთად ყოფნა და ურთიერთობა – საოცარმა საზამთრომ ამ შეჭირვებულ დროებაში თავისი გამორჩენით მრავალი საოცარი სადამო აჩუქა სოფელელებს!

გოგო-ბიჭები კი მოისურვებდნენ დიდი საზამთროს ირგვლივ თამაშსა და რბენას, მაგრამ ლაყუნა ფხიზლად დარაჯობდა – უკვე საკმაოდ წამოზრდილ ორ ერთგულ ნაგაზთან ერთად:

– ფრთხილად, ონავრებო, ფოთლები არ დაუზიანდეს! აგე, გვერდზე, მინდორში გადით, იქ ერთად იმხიარულეთ, იცელქეთ და იბტუნეთ, რამდენიც გაგიხარდებათ – იქიდანაც მშვენივრად დაინახავთ დიდ საზამთროსა, ბევრად უკეთესადაც!

გვიანობამდე გრძელდება სიმღერა-მხიარულება, მათ განწყობას ხელს უწყობს ბადრი მთვარე – ადრინადად ამოგორდება და ვერცხლისფერ ნათელში გახვეული არე-მიდამო, მოზეიმე სოფელელები და მთასავით აყუდებული საზამთრო ზღაპრულ ელფერს სძენს გარემოსაც და ადამიანთა ყოფა-საქმიანობასაც... სხვაგვარი აღტყინებით იმუხტებიან მოშაირენიც, მოცეკვავენიცა და მოსიმღერენიც – ჯადოსნური სანახაობაა!..

დამით კი დიდი საზამთროს ჩრდილში ან მისი უზარმაზარი ფოთლების ქვეშ შეყვარებულებს უყვართ შეუშვა – ლაყუნას მათი შურს... ლაყუნას მსგავსად, ბევრ ყმაწვილ კაცსაც გული სწყდება: მჭედელ პატულანას ტურფა ქალიშვილი პოპოქია მეტისმეტად წუნიაა, თავს არავის უყადრებს: ხვეით თუ ბადრი მთვარე ანათებს, დედამიწაზე მე ვარ მისი მეტოქე – ჩემი სილამაზით იბნიდებიან ყველანიო...

კარი III.

საოცარი საზამთროს საუბარი სავსე მთვარესთან

ბადრ მთვარეს, რომელიც დიდებულად ამოგორებულა და სანდოცეთს გაღიზიანებული დასცქერის, – “უყურე შენ, ეს რა უზარმაზარი საზამთრო წამოგორებულა მხარეთქობიელ”, მშვენიერი პოპოქიას ტრაბახი, – “მე მოვედი, შენ ჩადი, ვერ გამიტოლდები სიტურფითო”, – სასაცილოდ არ ჰყოფნის; ქალიშვილს არც უყურებს, მას სხვა რამ იზიდავს: უკვე მერამდენე დამეა, ცარგვალზე მოგზაურობისას სხვადასხვა მხრიდან სწორედ საოცრად დიდ საზამთროს აკვირდება, უკვირს და აბრაზებს მისი სიდიდე და უჩვეულოდ სწრაფი ზრდა... ეტყობა, დამის დარაჯს სხვა საშური საქმე არ აქვს და საზამთროს ღინცილით ეუბნება:

– ეი, შენ, ბიჭი ხარ თუ გოგო, ვხედავ, დიდი უჯიშო ვილაც ბრძანდები! რა გჭირს, ასე უბედურად რას გასივებულხარ, ჩემოდენა გინდა, გაიზარდო? იქნებ – უფრო დიდცი?

საზამთრო ღიმილით პასუხობს:

– პირმშვენიერო მთვარეო, მორიდებით გკადრებ: შენ ჩემი ამბავი რატომ გადარდებს? ეჭვი ტყუილად არ გდრღნის – აგერ ნახავ, ვარსკვლავები იქნება მოწმე: თუ დამცაღდა, შენზე დიდცი გაგხდები!

– არა, მართლა! – დაცინვით მოწკაურა თვალები მთვარემ.

– ლამის მანათობელო, გონება რამ დაგიბნელა? ძალიან მჭლე წარმოსახვა გქონია, ჩემი შესაძლებლობები შენთვის შეუცნობელი ყოფილა! საკუთარ თვალებს მაინც დაუჯერე!

– გაბღენძილო, ჭკუით იყავი და ძალიანაც ნუ იბრიქები, – გაბრაზდა მთვარე, – თორემ ხომ იცი, მეტიმეტად თუ გაიბერება ბუშტი, იმას რა ემართება? ტკაც! – დიდი ხმაურით გასკდება და მისგან მხოლოდ რაღაც საწყალი ნაფლეთებილა დარჩება!..

– პირმშვენიერო მთვარეო, მაგის იმედი ტყუილად გქონია: მე შეგნით ჰაერი კი არ მაქვს, მისგან არც ვივსები და არც ვიზრდები, ამიტომ ჩემს გასკდომას ვერასდროს მოესწრები! აგერ ცოტაც მოითმინე და თვითონ გექნება შესაძლებლობა, იხილო შენი ბედნიერი თვალებით, როგორ კიდევ უფრო გაგიზრდები, გაგივსები და, მთვარის სიდიდე რა ჩემი ფეხებია, იქნებ დედამიწის ხელაც გაგხდეს! არა, შენი გულის გასახეთქად, არც ამას დაგჯერდები და უფრო დიდცი გაგხდები, დედამიწას ბევრად გადავაჭარბებ! დიახ, ცოტაც მადროვე და, შენ გენდომება თუ არა, იმხელა ზომისაღ მივალწევ, დედამიწა ჩემი თანამგზავრი გახდება, მაშა! შენც, რაღა თქმა უნდა, ჩემი თანამგზავრის თანამგზავრი იქნები და, დედამიწასთან ერთად, ჩემს გარშემო ბედნიერად იტრიალებ-იცეკვებ, მაშა!

– მაშა, მაშა! – გამოაჯავრა მთვარემ, – უზრდელო, მანამდე არ აგიღბა გვერდები!

– ამასაც ვნახავთ!

– უყურე ერთი ამას! – კიდევ უფრო გაბრაზებული მთვარე ლამის გაღურჯდა. – შენ ჩემს მსაჯულად და ბედის გამგებლად ვინ დაგნიშნა? თავხედო, შენ ერთი გემრიელად გალახვა მოგიხდებოდა და ჩემგან ერთი ლაზათიანი ალიყურიც არ ავცდებოდა, მაგრამ შენისთანა რეგენზე დროის დაკარგვა არ ღირს, საქმე მართლა კი არ გამომლეკია! იცი, რატომ ხარ ჩემზე დაბოღმილი? დაგვაჯულო, ფრენა არ შეგიძლია და ლაღად ცაში ვერ აიჭრები! მთელი შენი წუთისოფელი მიწაზე დაკოსებულმა, ერთ ადგილს მიჯაჭვულმა, საწყლად უნდა გაატარო და ამიტომ ამრჩებით მიყურებ მე და ათვალწუნებით ეკიდები სხვებსაც, რომლებსაც ლაღად ფრენაში ვერ გაუტოლდები – არწივებსა და სხვა დიდ ფრინველებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პატარა ჩიტებსაც და ნებისმიერ მწერსაც კი!.. და კიდევ ჩემთან უტიფრად კამათსაც ბედავ, ბედშავო? ვაი, შენს პატრონს, უბედურს!

– ჩემს პატრონს რაღას ერჩი? ვისაც გინდა, ჰკითხე: დიდი ვარ და კეთილიც ვარ, შურთანობისა რა მეტყობა? ფრენა ჩემი საქმე არ არის და არც უაზრო ოცნებებს ვარ აყოლილი, დედამიწაზეც მშვენიერად ვგრძნობ თავს! შენ კი ტყუილად იბრიქები, უილაჯოვ: ქვევით ჩამოსვლა და ჩემთვის ჭკუის სწავლება რომ შეგეძლოს, აქამდე ამდენ დროს ფუჭ ლაპარაკში ნამდვილად არ დახარჯავდი!

– კიდევ კარგი, კიდევ კარგი, ბუნებას შენთვის ფრთები არ უბოძებია, თორემ, ამპარტაენობით აღვსილი, კიდევ უფრო გაიბერებოდი და გაფრინდებოდი! იქნებ ცეკვაც მოინდომო და ვინმეს, ფეხებიანს გაეჯობრო? აბა, ჰე, ერთი დავლური დაუარე – დიმიტიური-დამიტიური! ჰი-ჰი-ჰი! ან იქნებ სიმღერა სცადო? აბა, შენ იცი!

– რას დამცინი, არ იცი, რომ მე ცეკვა არა, მაგრამ სიმღერა მართლა შემიძლია?! ოღონდ არავის ესმის, მათ შორის – შენც, რადგან ჩემთვის, გულში ვმღერო!

– შენ და სიმღერა? არ გამაცინო!

– ჰო, რატომ გიკვირს? მღერის ყოველი ციციქნა ბალახიც კი, ეს ხეც, ეს ქვაც... მთები რომ მღერიან, არ გაგიგია? დიახ, მთები ომახიანად მღერიან!.. და ყველაფერმა ამქვეყნად საკუთარი სიმღერით უნდა გალიოს თავისი წუთისოფელი!.. ეს უნდა შეიგრძნო, შენ კი ამის უნარს მოკლებული ჩანხარ! შენ თვითონ რა შეგიძლია? თავს იწონებ – ვითომ ანათებ, მაგრამ ეს ნათელი უგულო და ცივია... არც არის გასაკვირი – შენი საკუთარი არ არის, მზისგან ნასესხებია...

– აი, ხომ ხედავ, ზრდილობასთან უკაცრავად გახლავხარ, როგორ სიტყვებს მკადრებ უდიერად და ბრალსაც კი მდებ... ლამის ქურდობაში დამადანაშაულო!

– არა, როგორ გეკადრება, ჩხუბი და დავიდარაბა რა ჩემი საქმეა, აყალმაყალი და მუშტი-კრივი ნამდვილად არ მიყვარს, მებრძოლის სულისკვეთებაც ჩემთვის უცნოა და არც გმირობაზე ვდებ თავს. მე თუ ჩემს არცთუ ხანგრძლივ ცხოვრებისეულ გზას მშვიდობიანად განვლევ, ჩემს დანიშნულებას პირნათლად შევასრულებ და კარგად დავმწიფდები სხვათა გასახარად – აი, ეს იქნება ჩემის მხრივ დიდი ხელოვნება და დიდი გმირობა! ჰოდა, ჩემო ლამაზო და მშვენიერო, მე არავის ვერჩი, არც ვეკამათები, თუ შენს მსგავსად უნებურად არ ჩამითრიეს პაექრობაში, მით უმეტეს – ჩემგან დაჩაგრული არავის უნახავს... ვინმეს მიმართ გამარჯვება, თუნდაც სიტყვიერ პაექრობაში, არ მსურს – ჩემთვის ვარ, ჩემთვის ვიზრდები და ჩემთვის ვმღერივარ, მიკვირს, რატომ გამინაწყენდი?

საოცარმა საზამთრომ მთვარეს გული ვერ მოუღებო, ღამის მნათობმა ასე უპასუხა:

– სწორედ შენზეა ნათქვამი: “ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო”, ერთი წუთის წინ განა შენ კი არ მებრიქებოდი, ვინა გდიხარ, შენზე ბევრად დიდი გავხდები და ამას და იმას გიზამო? “ჩემთვის ვმღერავარო”, საქმით კი ფრიად უტიფარი და აგრესიული ხარ: შენს გამზრდელს რომ სახლი დაუნგრეო, მეზობელს რაღას ერჩოდი, იმის ეზოში შეჭრაც რომ ისურვე? თავხედო, შენ იმხელა მადა გქონია, გინდა, მთელი სამყაროს გული გახდე! მაგრამ გარწმუნებ: ტყუილად იბრიქები, მაგ ცისფერ ოცნებას ასრულება არ უწერია – შენ მარადისობასთან წილნაყარი ვერ იქნები! დიახ, ამას დიდი გულთმისნობა არ სჭირდება! გინდა, გითხრა, რაც მოგეგის, უზომოდ და უაზროდ გაბღენდილო? ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ სულ მალე, შეგესევინა ბასრი დანებით მრავალნი და მრავალნი და სულ მოკლე ხანში შენგან მხოლოდ შენი ქერქის ნაჭრები და დარჩება და იმასაც ღორები შეთქვლეფენ! დიახ, ასე იყო, ახლა არის და მარად ასევე იქნება: შენისთანა თაგხედებს ყოველთვის კოვზი ნაცარში უვარდებათ – ძალიანაც გინდა, ყველას გაუხწრო და ჩემსა და შენს დედა-მშობელს, დედამიწას, თავზე დააჯდე და დაამცირო, მაგრამ იგი ამას არ დაუშვებს! უყურე ერთი, დედამიწაზე დიდად გაზრდა ისურვა, ვაჟბატონმა!

– პირიქით, დედამიწას გაუხარდება ჩემი წარმატება, რადგან მასაც ეშველება: ახლა ხალხი რომ ასე გამრავლდა – მოსახლეობის რაოდენობამ დღეისთვის 7 მილიარდს გადააჭარბა! – და სამყოფი სარჩო-საბადებლის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების მწვავე უკმარისობა იგრძნობა, სახელმწიფოები მეზობლებს ხარბი თვალით უმზერენ – იქნებ რამე ტერიტორიის ნაწილი წავგლიჯოთ ან სულაც მთლიანად დავიპყროთო, ჩემი გაზრდით და პლანეტად ქცევით კი ყველა პრობლემა მოგვარდება! კოლონიზაციისთვის უზარმაზარი თავისუფალი ფართობები განჩნდება; სამოსახლო ადგილები ყველას ეყოფა, წყლის დეფიციტიც არ დაემუქრებათ: გაბურღავენ ჩემს კანს და ტბილი წვენი ულევად ექნებათ – მეცნიერთა გამოანგარიშებით, ჩემს სტომაქში რბილობის 98 პროცენტი წყალია, მაშა! შენ კი? ერთი წვეთი ცვარიც არ მოგეძვეება, მე რას მეტოქები და შურიანი თვალებით მბურღავ?

– მაგ ზღაპრებით, იცი, ვინ მოატყუე? ჰო, არ შეგმცდარვარ: ძალიან გულზვიადი ყოფილხარ, თავხედურად მესაუბრები – მართლა გმირთა გმირი, ქვეყნიერების გადამრჩენი ხომ არ გგონია საკუთარი თავი? – პასუხობს მთვარე. – მაგარი მეზღაპრე ყოფილხარ, აი!

– რა უჭირს მერე, მეზღაპრეობაში რას ხედავ ცუდს? საქმით რაიმეს გაკეთება, კარგად ხედავ, მე არ შემიძლია და აღარც ვისაუბრო? ზღაპრები არ გიყვარს? ამბობენ, ღამე სწორედ რომ ზღაპრების საამბობი დროაო. ამ შუალამეს მარტონი დავრჩით, სხვა რა საქმე გვაქვს და ეს მოსაწყენი დრო ერთმანეთში სალაღობო საუბარში გავლიოთ! რომ შეგხედოს კაცმა, სახენათელი ბრძანდები, ვერცხლის სხივებსაც უშურველად ჰფენ არე-მიდამოს, და მიკვირს, ახლა რატომ ხარ ეგრე რიგად მჯავე ხასიათზე, ყოვლად უმიზეზოდ რატომ მეჯიჯლინები? რამ დაგბოღმა? ყველას უხარია ჩემი გასუქება, რაღა მხოლოდ შენ გამწუხრებს?

– მე ის მალონებს, რომ მეტისმეტად გულზვიადი და მკვეხარა ბრძანდები და ამპარტავნობით აღსავსე, აი, ეს არის სამწუხარო! გირჩევ, ერთ ფრიად მნიშვნელოვან რასზე დაუფიქრდე: შენ ვერ ამჩნევ და მე კი ცხადად ვხედავ: შენს გვერდებზე რომ ბაც მწვანე ფონზე მუქი მწვანე ზოლები იკლაკნება, ავადმყოფთა კარდიოგრაფებს ტყუილად არ ჰგავს! არ არის გამორიცხული, რომ მიიმე ავადობა გჭირს, ამიტომ ხარ ასე არანორმალურად გასივებული და, ვფიქრობ, შენი შიგთავსიც ტბილი კი არა, მწარე იქნება!

– ჰო, მივხვდი, მივხვდი, ასე რამაც დაგბოღმა! ახლა სავსე კი ხარ, მაგრამ როგორც გატყობ, შენ ნელ-ნელა კლებსკენ მიდიხარ, მე კი პირიქით – სულ ვივსები და ვივსები, ჰოდა, ამის გამო ხომ არ გახრჩობს ბოღმა? ჭლექიანივით სულ უფრო მჭლე ხდები; ცოტაც მოვიცადოთ და ორიოდ კვირაში ნამლევა ნამგალივით გახდები, მერე სულაც გაქრები რამდენიმე დღით და გეშინია, შენი მოსახლენი დედამიწაზე არ გადმოცივიდნენ!

– რომელი მოსახლენი, შენ ალბათ მაღალი სიცხე გაქვს, მწვანე მაჯლაჯუნები და შავი მოჩვენებები ხომ არ გაწუხებს?

– სიცხიანს რა მიგავს, პირიქით, ამ შუალამეს საკმაოდ გრილი ვარ! – გაიღიმა საოცარმა საზამთრომ.

– აბა, რას ბოდავ, ნეტავ რომელ მოსახლეებს გულისხმობ, მთვარეზე ცოცხალ არსებებს რა უნდა?

– კარგი რა, რას თვალთმაქცობ – არც ისეთი მიაბიტი და გაუნათლებელი ხარ! კარგად მოგეხსენება: ზოგიერთი ხალხის ძველი რწმენით, მთვარე ცოცხალი არსებებით არის დასახლებული; ინგლისელებს შენი ზედაპირის ლაქებში ადამიანის ფიგურა ეჩვენებოდათ – “მთვარის ადამიანი”! სხვებს ეგონათ, შენთან წმინდა ოჯახი სახლობდა – იოსები, მარიამი და იესო... ძველ ჩინურ თქმულებაში კი შენს ზედაპირზე მთვარის კურდღელი თუ მისი სული დანავარდობს და მალაყებს გადადის!

– კურდღელი? კურდღელს რაღა უნდოდა ჩემთან? – გაოცდა მთვარე.

– რა და, თურმე ბუდას ძალიან მოშივდა და კურდღელი მის საამებლად ცეცხლში ჩახტა, ჩახტა და კოხტად შეიბრაწა, მისი სული კი ბოლთან ერთად ზევით გაფრინდა – იგი ბუდამ მაღლიერების ნიშნად გაგზავნა მთვარეზე...

– შენ და ეგ შენი ბუდაც რაღაცას ხომ არ ურევთ? ბუდას რომ დაუჯერო, ცხოვრება ბოროტება და ტანჯვაა, ამის მიზეზია მოქმედებანი, გამოწვეული სურვილებით, ამიტომ საჭიროა სურვილებისგან განთავისუფლება, მათზე უარის თქმა... მაგ ჩინურ ლეგენდაში კი ბუდა სულ სხვანაირია – შიმშილის დაძლევა კი ვერ შეძლო; ნირვანის მიღწევის მაგივრად, ალბათ სურვილი შეისრულა – შებრაწული კურდღელი მაღიანად მიირთვა და არც კურდღლისთვის სიკეთის გამო სამაგიეროს გადახდა დაგიწყებია – ფრიად გემრიელი იქნებოდა!... მართლაც, მისაბაძი მაგალითია, მაგრამ გამაგებინე, მთვარეზე კურდღლის სულმა რა უნდა აკეთოს?

– რა და ბუდას გამოგზავნილი ის შენი კურდღლის სული თურმე ჯადოსნურ სანაყში მარადიული სიცოცხლის სასმელის მოსამზადებლად რაღაცეებს ნაყავს...

– სხვების არ ვიცი და პირადად შენ მარადიული სიცოცხლე ნამდვილად არ გემუქრება! – როგორც იქნა, გაიცინა მთვარემ. – უჰ, რას ვიმხიარულე! სულ მალე, – იმედია, მაშინ ჯერ კიდევ ვიქნები ცაზე, – მოგადგებიან ალესილი დანებით, დაგჭრიან ნაწილ-ნაწილ და ხარბად შეგჭამენ! და მათი თქლაფათქლუფი ჩემამდეც მოაღწევს, ჰი-ჰი-ჰი!..

– აკი ჩემს მიმართ ამბობდი, შიგნით მწარე იქნებიო, თანაც – შენთვის ესოდენ სასიხარულო მოვლენა დღისით მოხდება და მხოლოდ მზე იხილავს ყველაფერს, თუკი ცა მოღრუბლული არ იქნება...

– შენ იმხელა ხარ, დღისით ვარ მოასწრებენ შენს შეჭმას, ასე რომ... შენს სამუდამოდ გაქრობას ალბათ მეც დიდი სიამოვნებით დავესწრებ!

– მართალი ვითხრა, საკუთარი ბედი სულ არ მადარდებს – საზამთრო ხომ სწორედ იმისთვის არის გაჩენილი, რომ სხვებს სიამოვნება მიანიჭოს და თვითონ გაქრეს... რამდენ ადამიანს ახლაც ვახარებ და მერე კი – კიდევ უფრო გავაბედნიერებ! ალბათ მრავალს და მრავალს, შენ კი, რატომღაც – არა!

– მე რატომ უნდა გამიხარდეს? რაში მარგიხარ?

– კვლავ გეტყვი: ყველას უხარია ჩემი დანახვა, რაღა შენ ამითვალწუნე? ორივე დიდები ვართ, ორივე – მრგვალები და ორივე – ყველას ვუყვარვართ; ოღონდ შენ ცაში ჰკიდისხარ, მე კი მიწაზე ვარ, მაგრამ რა გვაქვს გასაყოფი?

– ვერ მიხვდი, რა არ მომეწონა შენი? მერამდენედ უნდა გითხრა: უშნოდ რომ იბრიკები და თავხედურად მეც კი მეტოლები! უმცროს-უფროსი არ უნდა იცოდეს?

– ეჰ, ჩემო კარგო და მშვენიერო, ერთსაც გეტყვი: ძალიან მაკვირვებს, ხომ იცი! ასტროლოგები ამტკიცებენ, რომ მთვარე განაგებს, წარმართავს გრძნობებს დედამიწაზე, ჰოდა, თუ ჩემი ნაუბარი არ მოგწონს, რატომ შესაბამისად ვერ ან არ იმოქმედე ჩემზე? ვერც საკუთარი ემოციების მოთოკვა შესძელი... თუ ისეთ ზოდიაქოში ხარ შესული, რომ “შავი მთვარის” პერიოდში იმყოფები? არ მოველოდი: არც ხუმრობა გყვარებია მაინცდამაინც და რაღა უნდა გელაპარაკო! ეგე, შენს ბედად, ღრუბლის თეთრი ფთილა გამოჩნდა, მიიფარე მაგ დამცინავ სახეზე და, თუ გინდა, საერთოდ ნუღარ დამენახვები!.. ჩემო ლამაზო და მშვენიერო, ნახვამდის!

გაბრაზებულმა მთვარემ ველარაფერი მოიფიქრა საპასუხოდ და, მართლაც, დროულად გამოჩენილ თეთრ ღრუბლის ფთილას სასწრაფოდ ამოეფარა.

კარი IV.

საოცარი საზამთროს საუბარი მზესა და ღრუბელთან

დილას სახეიმოდ ამოგორებულმა მზის ცეცხლოვანმა თვალმა თავისი მცხუნვარე ხელები ნაზად მიუსვ-მოუსვა დიდი საზამთროს გრილ, მწვანედ მბრწყინავ ფერდს, მიეაღერსა და ხასხასი დააწყებინა, შემდეგ თბილად გაუღიმა და უთხრა:

– გამარჯობა, საზამთროვ, ერთ ღამეში რამხელა მოგიმატებია; დიდებული ჯიშისა ჩანხარ, ყოჩაღ! იმედია, კარგად გეძინა, ხომ კეთილი სიზმარი ნახე?

– გაგიმარჯოს, ბრწყინვალე მზეო ბატონო, მადლობა მომიხსენებია გულთბილი სიტყვებისთვის! შენი წყალობით ვივსები და ვლადობ, ჩემო მზეო! დღე ხომ შენით მიდგას სული და ღამეც სულ შენ მესიზმრები... სულ შენ მენატრები, ერთი სული მაქვს, როდის გათენდება და შენს ნათელს ისევ ვიხილავ, შენი სითბოთი ისევ დავტკბები! მადლობა, დიდი მადლობა!

– სამადლობელი დიდი არაფერია, ჩემო საზამთროვ, სხვა რა საქმე მაქვს... ის კი ფრიად მიხარია და მემამყება, რომ ბევრს ვუყვარვარ! სხვათა შორის, ერთმა ენაჭარტალა კაჭკაჭმა ენა მომიტანა, წინა ღამეს თურმე ჩემს დობილ მთვარესთან დიდხანს გილაპარაკია...

– დიახ, სხივკეთილო ბატონო ჩემო, ერთი ჭორიკანა კაჭკაჭთა წყვილი შემომეჩვია, ხანდახან ჩემს წვერზე ათევენ ღამეს და უეჭველად ისინი იქნებოდნენ თქვენი ბრწყინვალეებისთვის სიტყვის მიმტანნი. მე და მთვარემ კარგა ხანს ვიქაქანეთ და, მგონი, ცოტა ნაწყენი დამირჩა რატომღაც... – დაიმორცხვა საზამთრომ.

– ჰო, გულითადად კი არ გისაუბრიათ, საკმაოდ მკვახედ ეპაექრებოდი თურმე. მიკვირს, ფრიად კადნიერად მოქცეულხარ, რაც ნამდვილად არ გეკადრება – ასეთი დიდი თუ გაიზარდე, ჭკუაც მეტი მოგეთხოვება, მეტი პასუხისმგებლობაც გმართებს და სანაქებო ზრდილობაც არ გაწყენს, პირიქით... და მხოლოდ მთვარესთან კი არა, სხვებთან ურთიერთობაშიც სითბოსა და თანაგრძობის გამოჩენა უფრო მოგიხდება, ჩემო ჩემსავით მრგვალო და კეთილო მეგობარო! მინდა, იცოდდე, რომ ამქვეყნად მრგვალი რაც კი არსებობს, უმეტესწილად უკავშირდება სილამაზეს, სითბოს, სიყვარულს, დოვლათს, მოხერხებულობას, კეთილდღეობას და სხვა სიკეთეს... მაგალითად, მრგვალია ან მრგვალთან მიახლოებული: ადამიანის თავი და თვალი, სიცოცხლის ჩანასახიანი კვერცხის გული... მცენარეების, მათ შორის, თითქმის ყველანაირი ხილის, კენკრისა თუ ბოსტნეულის ნაყოფი თუ თესლი, ასევე, მრავალი და მრავალი ყვავილი ხომ მზის დარია – მზესუმიზირა, გვირილა, ზიზილა და უთვალავი სხვა კიდევ... სივრცეში გადაადგილებასთან დაკავშირებული საგნებიც მრგვალია: ბორბალი, გემის თუ ავტომანქანის საჭე, კომპასი... ვაჭრობასთან დაკავშირებული – ლითონის ფული... კვებასთან – თეფში, ლამბაქი, თასი... ჭიქის, ქვევრის და უამრავი სხვა ჭურჭლის პირი, ლოტოს კოჭები, ნარდის ქვები, ბურთზე აღარაფერს ვიტყვი – სპორტის უამრავი სახეობა ხომ უბურთოდ წარმოუდგენელია... საათების უმეტესობის ციფერბლატიც ხომ მრგვალია!... უსასრულოდ შემოდია, ჩამოთვალა, გაგაგრძელო? ჰო, რაც მთავარია – დედამიწა, მზე და მთვარე! ყველაფერი, რაც კი მრგვალია, კეთილ საქმეს ემსახურება, თოფისა და ზარბაზნის ლულას და ნაღმს თუ არ ჩავთვლით, შენ რაღა დაგემართა?

– ბრწყინვალეო მზეო, მოწიწებითა და ბოდიშის მოხდით, კითხვას გკადრებ: ვერ გამიგია, რას მსაყვედურობ? შენც ხომ მშვენივრად იცი, რომ სიკეთე არც მე მაკლია, რას მღებ ბრალად, უკადრისი რა ჩავიდინე?

– შენ, როგორც მეც ვხედავ, ამპარტავნობას ტყვედ შეუპყრისხარ, ზევინდან დასცქერი და თავს არ უყადრებ შენს მრავალრიცხოვან სტუმრებს: ჭორიკანა კაჭკაჭებს, ცნობისმოყვარე ბელურებს, მომღერალ კალიებს, ფრთახატულა პეპლებს... ან თუნდაც – ამაყ არწივებთან ურთიერთობასაც კი არ კადრულობ, პირდაპირ მთვარესთან გინებებია კავშირის გაბმა და მასთან ლაქლაქი მოგსურვებია, ყმაწვილო! შენის მხრივ განა ეს არ არის ქედმაღლობის აშკარა გამოვლინება? თანაც, ისეთი რიხით და თავდაჯერებით ეპაექრებოდი მთვარეს, თითქოს მასზე მეტი გაგეკეთებინოს ამქვეყნად!

– მზეთა მზეო, შემოდაგებას როგორ გაგებდავ, – უპასუხა საზამთრომ, – დიახ, სრულ ჭეშმარიტებას დალადებ, ნათლის მფენელო, მაგრამ მცირე ცოდვა აღბათ მეპატიება: ჩემი გასაკეთებელი ხომ ჯერ კიდევ წინ მომეღის, როცა უამრავ ადამიანს სიხარულსა და კმაყოფილებას მივანიჭებ – გინდაც საზამთროს მირთმევის მიმართ აღერგია ჰქონდეს! უკვე ახლაც მრავალსა და მრავალს ჩემი მხოლოდ ხილვაც კი ახარებს და ხალისს მატებს! არც ახლა ვარ დღანჭია, მაგრამ სულ ცოტა ხანიც მაცალე, დალოცვილო, და როცა კარგად დაგემწიფდები და ჩემს მთავარ საქმეს შევასრულებ, – მრავალნი და მრავალნი გემრიელად მიმირთმევენ, – უკეთესი რაღა უნდა გქნა? ამის მერე განმიკითხე!

– როცა შეგსანსლავენ, მერე რაღა დროს – გვიანი იქნება!.. არ გეწყინოს, ვხუმრობ, რასაკვირველია, – გაიღიმა მზემ. – ახლა კი უნდა დაგეთანხმო, ნამდვილად ჭეშმარიტებას უბნობ, ჭირიმე: შენი მხოლოდ შეხედვაც მართლა ერთ რამედ ღირს და მერეც ხომ მეტის შემძლე გახდები: ზაფხულის სიცხესა და ზვატში მრავალსა და მრავალ მწყურვალს მოჰგვრი სიამესა და შვებას! მადლობისა და სიყვარულის სიტყვებსაც ბევრს დაიმსახურებ! დიახ, სხვებისთვის სიამოვნების მინიჭება და შვების მოტანა უნდა იყოს ამქვეყნად ყოველი მოვლენილის უპირველესი მიზანიცა და დანიშნულებაც! ამ თითქოსდა მარტივ ჭეშმარიტებას მარად ვუმეორებ საკუთარ თავსაც და ვასწავლი დაუღალავად ყველას – შენც და სხვებსაც... ჯერჯერობით კი, თუმც საყვედურიც გითხარი, ძირითადად მაინც, შენით კმაყოფილი ვარ: ახლა ხომ შესახედავად კარგი ხარ და მშვენიერი, მერმისს, იმეღია, კიდევ ბევრად უკეთესი იქნები – ყოველმხრივ! გლოცავ და გილოცავ: ვინც კი აქამდე გიხილა, ღიმილს ვერ იკავებს და მრავლად აღტაცების გამომხატველი შემახილიც თან ერთვის!

– სამწუხაროდ, მთვარისგან ერთ ტკბილ სიტყვასაც ვერ ვეღირსე! გამიღიმა კი არა, დაიღიმა ჯა და, რომ არ დავენახე, ღრუბლის ფთილაც კი მიიფარა სახეზე... მადლობა, ჩემო მზეო, რომ რაღაც მოგეწონა ჩემი და გამამხნევე! როგორც დაგპირდი, მომავალში უფრო მეტის შემძლე გახდები; გარწმუნებ – სიღარბაისლევ მომემატება, ამის იმედი მაქვს! და, იმედი გქონდეს, შეგეცდები, მეტადაც დავეჭკვიანდე – შენი წყალობით, ჯერ კიდევ არ დამისრულებია ზრდა!

– აბა, შენ იცი, კიდევ ერთხელ დალოცვილი ყოფილიყავ, უფრო დიდი გაიზარდე და უფრო თავმდაბალი გახდი, წარმატებას გისურვებ! შენი ხილვა და შენთან საუბარი არ მომწყინდება, სხვა დროსაც სიამოვნებით ვილაქლაქოთ, ახლა კი...

სიტყვის დასრულება არ დასცალდა მზეს, რადგან ამ დროს საიდანღაც ყომრალი ღრუბელი გამოჩნდა და მნათობს ჩამოეფარა.

– ღრუბელო, შე უსინდისო, საიდან გამოტყვრი, რატომ არ მაცალე, საყვარელ მზესთან გუნებისად მესაუბრა? – გული ეტკინა საოცარ საზამთროს. – უხვსა და სხივნათელს ჩემთვის კი-

დეგ მრავალი საგულისხმო რამ უნდა ეთქვა... რას ჩაგვეკვებო, რას მერჩოდო? გუნება მომიშხამე, რა საზიზღარი ვიღაცა ყოფილხარ!

– რათა ვარ საზიზღარი? – უპასუხა ამგვარი მოულოდნელი შემოტევით თვითონაც გაღიზიანებულმა ღრუბელმა. – ცოტა ხნით მაინც დაფიქრდი, სანამ ნაროშს რასმე გადმოაფრქვევ! უმადურო, მე რომ არ ვარსებობდე, ვინდა მოგივლენდა წვიმას, გვაღვისგან ხომ ფოთლები დაგიტკნებოდა, ჰოდა, ნამცეცავ, არც შენ თვითონ დაგადგებოდა კარგი დღე – ამხელა კი არა, ნორმალურიც ვეღარ გაიზრდებოდი!

– ნამცეცავო, დამცინი? ძალიანაც ნუ იფასებ თავს, შენი წყალობა სრულებით არ მჭირდება: მე ერთგული მეგობარი და მომვლელი – ლაყუჩა – სულ გვერდით მიდგას და არასდროს დაზარდება, რომ მომიაროს, – შენსავით წუწურაქულად წვეთები კი არ გაიმეტოს, ბარაქიანად, მიწის დაბუბუბებამდე, ვედროებით წყალი დამისხას!

– ჰი-ჰი-ჰი! – გაეცინა ღრუბელს, – როგორ გეტყობა, რომ ჯერ ნორჩი ხარ, ცხოვრებაში გამოუცდელი და უწვრთნელი. ცოტა ხნით მაინც დაფიქრდი: განა ის წყალი, რომელიც ჭიდან ამოაქვს შენთვის ლაყუჩას ან თუნდაც სანდაოცეთურაში მიედინება, ჩემგან დაბადებული წვიმის წყალობა არ არის? საბრალოვ, მიპატიებია შენი ესოდენი სიბრიყვე და კიდევ მეტი უმადურობა – უმწიფარო, ჯერ ყმაწვილი ხარ და ბევრი მნიშვნელოვანი რამ ჯერ შენთვის უცნობია. ახლა კი შენთან საუბარი უნდა დავასრულო – ჩემი საქმე არ უნდა დავივიწყო, მზესი არ იყოს, შენს გარდა, უამრავი ვინმე ელის ჩემს წყალობას...

– კარგი, ჩემო ღრუბელო, ბოდიშს ვიხდ, მართლაც, ფრიად ვინქარე მსჯავრის გამოტანა... შენი მადლობელი ვარ და თუ არ გამიბრახდები, ერთი სურვილი უნდა შემისრულო: ამ თვეში ეს ბოლო წვიმა იყოს, რადგან ერთ კვირაში უკვე ზრდას ვამთავრებ და შემდეგ ინტენსიურ მწიფობას ვიწყებ; სრულად დასატკობად მზიანი დღეები დამჭირდება, ზელმეტი მორწყვა კი, პირიქით, მაწყენს – შეიძლება დავსკდე კიდევც...

– კეთილი, იყოს ნება შენი! თუმცა, დალოცვილო, ამქვეყნად მხოლოდ შენ ხომ არ ხარ, სხვებს რატომ უნდა მიადგეს ზიანი? დარიც იქნება და ავღარიც – შიგადაშიგ მაინც მომიწევს ხელის გამოღება და ნუ გეწყინება!

და ზეცა თანდათან ჩამოქდა, ღრუბელი ნელ-ნელა შავად გაიბერა, მერე უცებ ელვებით დაისერა და, თითქოს სადღაც გაირღვაო, წვიმა თქეშით წამოვიდა. საზამთროს ფესვები მადლიერებით ისრუტავდნენ მაცოცხლებელ სითხეს და გაგრილებული და მტვრისგან განბანილი საზამთრო და მისი ლერწი შგებით სუნთქავდნენ, ძალ-ღონით ივსებოდნენ...

კარი V.

საოცარი საზამთროს სიმღერა.

საოცარ საზამთროს უმღერიან

ღიახ, ამბობენ, წესისამებრ, ტანად დიდი ადამიანები კეთილები, მომთმენნი და მოწყალენი არიანო, დიდი საზამთროც, რა თქმა უნდა, კეთილია! და არც ის არის გასაკვირი, რომ სიმღერაც უყვარს, აბა რა!

ემღერება და ხალისიანად მღერის კიდევ!

ღიახ, როცა ვინმესთან არ საუბრობს, საოცარი საზამთრო სულ მღერის! ხან – დიდინებს და ხანაც – მთელი ხმით მღერის!

რას მღერის?

თავის საკუთარ, გულიდან ალაღად წამოსულ სიმღერებს!

რაზე მღერის?

ყველაფერის შესახებ, რასაც გარშემო ხედავს, რასაც გრძნობს და განიცდის: დღესა და დამეზე, აისსა და დაისზე, მზესა და მთვარეზე (ღიახ, არ გაგიკვირდეთ, ზოგჯერ მთვარესაც უმღერის, აბა რა!), მთებსა და ველებზე, ხეებსა და ბალახ-ბუჩქებზე, ღრუბლებსა და წვიმაზე – მის ტანსა და ფოთლებზე წკაპუნით დაცემულ წვეთებზე; მზიანი დღით განხალისებულ ჰაერში მოფარფატე პეპლებსა და ბალახებში მოწინწრიხე კალიებზე, ლაღად მფრინავ ფრინველებსა და საოცნებო, მხოლოდ სხვათა მონათხრობით გაცნობილ ფრიად ფრთხილ ნადირ-ცხოველებზე, – საღამოობით მოხუცები საზამთროსთან შეკრებილ ბაღლებს ზღაპრებს უყვებოდნენ! – რომელთა დღისით დანახვა არც ისე იოლია, მით უმეტეს – სოფელში ვერასდროს შეავლებ თვალს და მთა-ველსა თუ ტყეშიც კი უფრო მთვარიან დამეში თუ დაღანდაგ...

საოცარ საზამთროს კიდევ ბევრი რამ უხარია და ამღერებს: რომ თვითონ არსებობს ამქვეყნად და ამით ბევრ ადამიანსაც ახარებს, განსაკუთრებით – პატარებს; იმასაც უმღერის, რომ ასე

სწრაფად იზრდება და ევსება მრგვალი ფერდები – სულ მღერის და ამით უფრო სწრაფად იზრდება და რაც სწრაფად იზრდება, სიმღერის ხალისიც ემატება...

ლაყუჩას ოჯახის გარდა, საოცარი საზამთროს ასეთი გაზრდა-გაგადაღება ყველაზე მეტად ვის გაუხარდა? როგორც უკვე ვთქვი, რა თქმა უნდა, სოფლის ბავშვებს! დიდი საზამთროს ირგვლივ შრიამულით შემორტყმულან დიდიდან დაღამებამდე და გვიანაც მხოლოდ დაცაცხანების შემდეგ თუ ბრუნდებიან შინ! დიახ, მთელი დღე არის ერთი ჟივილ-ხივილი და ისმის მხიარული ყიჟინა: “ჩვენ გვიყვარს დიდი საოცარი საზამთრო!”.

დიდებიც ხშირად სტუმრობენ დიდ საზამთროს, აკვირდებიან და, გაკვირვებულები, თავს აქნევენ: “ასეთი რამ სიზმარშიც არ გვინახავს და ცხადში თუ არსებობდა, ხომ ვერც წარმოვიდგენდით! ნეტავ მალე დამწიფდებოდეს და მისი დაგემოვნების შესაძლებლობა მოგვეცეს – როგორი გემო ექნება, კურთხეულს? ალბათ, გასაგებებელი!”. განსაკუთრებით სადამოს პირს არის ხალხმრავლობა: სანდაოცელნი ბჭობენ საქვეყნო თუ პირადი საჭირობოროტო საკითხების გამო; ყველაზე ხშირად მათი საუბრების თემებია: “ეს ჩვენი საოცარი საზამთრო ნეტავ სადამდე განაგრძობს ზრდას და როდის დადგება მისი “ორსულობის” დრო ანუ როდის დამწიფდება?”. საოცარი საზამთროს საკვირველი სიდიდის შემხედვარენი, დროდადრო უკვე ამაზეც ფიქრობენ და წინდაწინ ტუჩებსაც ილოკავენ...

არც არის გასაკვირველი, რომ ბევრნი, საოცარ საზამთროსთან მისულები, მისი ტანის მომრგვალებულ ზედაპირს ხელისგულებს აღერსიანად უტყაპუნებენ, კოცნიან, ზოგიერთნი ლექსებსაც უძღვნიან... რამდენიმემ სახოტბო პოემების დასაწერადაც გამოიღო თავი! აღფრთოვნებულთა გრძელ რიგს არ უჩანს ბოლო:

- ქვეყანა დიდია და რას არ ნახავს კაცის თვალი!
- დიდებულა, დიდებული – მაგის სადარი სად არი!
- საზამთრო კი არა, ოქროა, ოქრო!
- საზამთრო კი არა, ნატვრის თვალია!
- საოცარმა საზამთრომ გული ხომ გაგვიმხიარულა და, ამ დუხჭირ დროებაში, იქნებ სხვა

მხრივაც ცოტათი მაინც გვიშველოს!

- რა საყვარელია! – ლაყუჩას მეზობლის, მჭედელ პატულანას პირმშვენიერი ქალიშვილიც, პოპოქია, საოცარ საზამთროს ხშირად ესტუმრება, ხელს უთათუნებს პრიალა სალუქ გვერდზე ეფერება, მერე – ლოყით ეხუტება.

ლაყუჩა შურით შესცქერის საზამთროს: “ნეტა მე ვიყო შენს ადგილას!”.

- პოპო, გინდა, ამ საზამთროს შენ გაჩუქებ! – ეუბნება ქალიშვილს.

- ამხელა საზამთრო რა ჭირად მინდა, სად უნდა წავიღო? – ადებით პასუხობს პოპოქია. – საზამთრო მაინცდამაინც არ მიყვარს!

ლაყუჩა გაკვირვებულია:

- აბა, რას ეხუტებოდი?

- რა შენი საქმეა, მსიამოვნებდა და ვეხუტებოდი! შენ მხოლოდ საჭმელად გიყვარს!

- ჭეშმარიტად!.. ჩაციებული საზამთროს ჭამას ზაფხულის ცხელ დღეს რა სჯობს! აბა, შენ რა გირჩევნია?

- მარილმოყრილი ნესვი!

- კარგი, მერმისს ნესვსაც დაეთესავ... შენთვის!

- აბა, შენ იცი, არ დაგაფიწყდეს! – დაცინვით პასუხობს პოპოქია. – დიდზე დიდი ნესვი უნდა იყოს, იცოდეთ, ამ საზამთროზე დიდი!

სოფელში ერთი ახალგაზრდა, ჭკუამხიარული კაცია, კაკუნა ჰქვია, ისიც ბავშვებზე არანაკლებ არის აღტაცებული საოცარი საზამთროთი; ბავშვებში გარეული, მთელი დღე საზამთროსთან ტრიალებს, მათთან ერთად ცეკვავს და მღერის! ვინც კი შეხვდება, ხელებს ფართედ შლის და, სახეგაბრწყინებული, ეუბნება:

- ნახე, რამოტოლა გაიზარდა? გავგიჟდები, გავგიჟდები!..

ერთ მშვენიერ დღეს კი, დიდიდანვე, ვიღაც გრძელწვერა და თმაგაჩეხილი, მეტისმეტად გამხდარი, ნიფრხვის ამარა, შუახნის უცნობი გამოჩნდა სანდაოცეთში, საოცარი საზამთროს ძირში იღბა და ხელების ქნევით გაიძახოდა:

- ხალხო, ერთი რამ უნდა გითხრათ და გაგახაროთ: მე დღეს მსოფლიოში ყველაზე დიდი მოქანდაკე გახდი! საკვირველია, ჩემი სახელი არ გაგიგათ? მე მქვია ტარაკუჭა ტარალუკელი! როგორც იქნა, გავიხარე და თქვენც გაგახარეთ – ეს დიდი საზამთრო ჩემი ბოლო და საუკეთესო ნაწარმოებია! რომ იცოდეთ, სასწაულის მომსწრე გახდით, დიდი ბედნიერება გეწვიათ! ასეთი უზარმაზარი, იდეალური ფორმისა და დახვეწილი სილამაზის ნამუშევრის შექმნაზე დიდი ხანია, ვფიქრობდი და აი, ეს მე შევბედი, ჩემი ოცნება ასრულდა! გილოცავთ, ხალხო, ამ არაჩვეულებრივ დღეს, გაიხარეთ! სხვებიც, მთელი მსოფლიო გაგახაროთ: მოვიწვიოთ სხვადასხვა ქვეყნიდან ნიჭიერი მხატვრები და მე ნებას ვრთავ ყველას, დაასურათხატონ საკუთარი გემოვნების მიხედვით მათთვის გამოყოფილი საზამთროს სფეროს სეგმენტი – ვოთერ-მელონ-არტით ანუ მოხატული საზამთროთი კიდევ უფრო გაამშვენიერონ ჩემი გენიის მიერ შექმნილი ქანდაკება! საოცარი

სამხატვრო გალერეა შეიქმნება, მსოფლიოში ჯერ არნახული, არარსებული! ვაშა და დიდება დიდებულ საზამთროს ქანდაკებას! გაუმარჯოს ხელთუქმნელი საზამთროდიდის შემქმნელს!

დედაქალაქიდან საჩქაროდ გამოძახებულმა სწავლულმა ფსიქიატრებმა ჯერ ვერ გაბედეს, “დიდი ხელოვანის” სასწრაფოდ დაკავების ბრძანება გაეცათ ბრგე სანიტრებისთვის: ეს უცნაური ვიღაც ტარაკუჭა ტარალუკელი საკმაოდ უწყინარი ჩანდა და უცნაური ყვირილით არც არავის უშავებდა რაიმეს, მხოლოდ ართობდა...

ორ ექიმ-ფსიქიატრს შორის ამგვარი მეცნიერული ბჭობა გაიმართა:

- ამ დალოცვილ პანდურეთში რა არ ხდება და არ არის გამორიცხული, ეს კაცი შექანებულის როლს შეგნებულად და ძალიან ნიჭიერად თამაშობდეს - პროვოკაციის მიზნით აწყობდეს სკანდალს...

- ან, რა იცი, იქნებ თვით გადაცმული სულთანი ბაქიბუქაა და, როგორც მას ჩვევია, მორიგ წარმოდგენას მართავს?

- არა, ბევრი არაფერი აცვია და ასე უცვლად ამგვარად ვერ გაძვალტყავდებოდა. შეუიარაღებელი თვალითაც ადვილი დასადგენია, რომ ეს პიროვნება სულთანი არ უნდა იყოს... გთხოვ, ცოტა ნმადობლ ილაპარაკე, გარშემო საეჭვო ხალხს ვამჩნევ...

- მართალია, ბაქიბუქას გარეგნულად სრულებით არ ჰგავს, მხოლოდ უცნაური ქცევითა და ლაპარაკის აღზნებული ნირით ემსგავსება, მაგრამ იქნებ შესაბამისი ორგანოებიდან არის საგანგებოდ მოგზავნილი და ჩვენს სიფხიზელს ამოწმებენ?..

- ბრძენთა ბრძენს ყველა იცნობს, მისგან არაფერი უნდა გაგიკვირდეს!

- იყოს ასე ცოტა ხანს ეს საცოდავი... ჯერჯერობით არავინ უჩივის და გაკოჭვას ყოველთვის მოვასწრებთ. განვაგრძობთ დაკვირვება ავადმყოფზე და საბოლოო დასკვნა საკმარისი მასალის მოპოვების შემდეგ გავაკეთოთ.

- ჩვენ ბრძანებასავით გვითხრეს და თუ ამ საბრალს არ დავიჭერთ, არ არის გამორიცხული, ჩვენ თვითონ დაგვიჭირონ...

- შენც მართალი ხარ, ხომ იცი, ეს რა ხათაბალაში გავებით...

მაღე კიდევ ერთი შერეილი გამორჩნდა სოფელში, უფრო კი ალბათ - გაქნილი გაიძვერა; ისიც ფრიად ლაქლაქის მოყვარული გამოდგა, ტარაკუჭასავით უსაშველოდ გამხდარი და თვალებზავარდნილი, ოღონდ მასზე ბევრად ხნიერი, ბევრად მაღალი და არც მთლად შიშველი გახლდათ - მისი საკმაოდ შელანძღული სამოსი აშკარად სხვის მიერ და დიდი ხნის ნახმარი იყო. რომელიღაც შორეული მხარიდან მოვიდა სახელგანთქმული საზამთროს სახილველად, როგორც ჩანს, გაოგნდა მისი დიდებულებით და მაშინვე იწამა იგი... ღმერთად! დორთემ, - ასეთი სახელით გაეცნო იგი სანდაოცელთ და სოფლის სტუმრებს, - საოცარ საზამთროს მზერის მოუშორებლად ერთი ასჯერ მაინც შემოუარა გარშემო, თან რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის, შემდგომ კი იქ მყოფი ხალხისკენ იბრუნა პირი და ქადაგად დავარდა:

- დებო და ძმებო, ეჭვს გარეშეა - ეს მოვლენა ჭეშმარიტად ცით მოვლენილი კოსმოსური ნების გამოვლინებაა, მაღლით ზეციური ნიშანია, უტყუარი გზავნილი: ეს დიდი საზამთრო, მოვლენილი ჩვენდა მხსნელად და გასახარად, უნდა ყველამ ვაღიაროთ ერთადერთ და ჭეშმარიტ ღმერთად! უკიდურეს შემთხვევაში, თუკი ის თვით ღმერთი არ არის, იგი, ჩვენდა სასიხარულოდ, ჭეშმარიტად მოვლენილია ღვთისგან - ღმერთის წარმომადგენელია დედამიწაზე და მას უნდა უპირობოდ ყველამ ვცეთ თაყვანი!

იმდენი იქაქანა დორთემ, რომ ზოგიერთებმა ყურადღება მიაქციეს; შემდეგ თანდათან მხარდამჭერნიც გამოუჩნდნენ, შემოიკრიბა ირგვლივ თანამოაზრენი და ჩამოაყალიბა “დიდი საზამთროს ჭეშმარიტ თაყვანისმცემელთა საზოგადოება” და მისი თავმჯდომარე, რასაკვირველია, თვითონ გახდა!

დორთოე ხშირ-ხშირად მართავდა თეატრალური წარმოდგენის მსგავს შეკრებებს (ეჭვი მაქვს: ბატონი დორთოე ადრე ხომ არ მსახიობობდა და რომელიმე თეატრიდან ხომ არ იყო გამოგდებული ღოთობის გამო?), რომლებზეც უსაქმურობისგან თავგაბეზრებულ სანდაოცელებს ზღაპრების მსგავს ამბებს უამბობდა. როგორც აღვნიშნე, დორთოეს საკმაოდ გამოუჩნდნენ გულუბრყვილო თანამგრძობნიც და მის “სამწყსოს” დიდი საზამთროს სახელზე მასთან მიჰქონდა ნაირ-ნაირი შესაწირავი: უამრავი საჩუქარი, საჭმელ-სასმელი, დორთოე არც ფულს იწუნებდა... ახალი მოძღვრების მოციქული დიდის ამბით იფერებდა ამგვარ პატივს, არ იკლებდა გემრიელად ჭამასმას, ყოველი დღის ბოლოს გვარიანად გამოიბრუვებოდა კიდევ და აი, მაშინ უნდა გენახათ, როგორ ენამზებოდა! ბოლოს და ბოლოს, ამგვარი და ამდენი ქაქანით, ეტყობა, თვითონაც დაიჯერა საკუთარი ქადაგების უტყუარობა, ასევე, საკუთარი პიროვნების გამორჩეულობა და იქამდეც კი მივიდა, რომ საკუთარი თავი ახალი ღვთის მიერ ამქვეყნად პირადად მოვლენილად და მის მიერ ხელდასმულ პირველ მსახურად გამოაცხადა სანდაოცეთსა და მთელს დედამიწაზე!

დიდი საზამთროს ღვთაებრივი არსის ყველაზე გულმხურვალე მაღიარებლებმა, დორთოეს წაქეზებით, გააჩადეს ენერგიული მოღვაწეობა ახალი მოძღვრების გასავრცელებლად სანდაოცელთა და საოცარი საზამთროს მოსანახულებლად მოსულ მრავალრიცხოვან სტუმართა შორის; მისიონერები ახლომახლო დაბა-ქალაქებშიც წარგზავნეს და მოკლე ხანში საკმაოდ წარმატებასაც მიაღწიეს - სულიერად დათრგუნულ და მატერიალურად შეჭირვებულ მოსახლეობაში

დორთოეს, მიუხედავად ახალი მოძღვრების მამამთავრის უკიდურესი შეუწყნარებლობისა, მჭერ-მეტყველების მეოხებით, უამრავი მხარდამჭერი და მიმდევარი გამოუჩნდა.

დორთოე “სამეწარმეო” საქმიანობასაც ეწეოდა: სოფლის დურგალ დოლას ცაცხვის ხის მასალისგან გამოამარხებინა ბლომად მცირე ბურთულები, შუაში გაახვერტინა, ხოლო ახალი მოძღვრების მიმდევარ ქალებს მწვანედ შეადებინა, რა თქმა უნდა, მუქთად; ამგვარ მიივებს, – პატარა “სახამთროებს”, ძაფზე ასხმულებს, – ახალ სარწმუნოებაზე მოქცეულთა შორის სარფიანად ასაღებდა; ახალ მესიას ასეთი სამკაული თვითონაც ყელზე ეკიდა, მეორეს, უფრო წვრილბურთულებიანს – კრიალოსანივით ათამაშებდა ხელში და დაუღალავად ქადაგებდა:

– ძმანო და დანო ჩემნო, ეს დიდი გამოცდაა ჩვენთვის: რამდენად შეესაბამება ჩვენი აზრები და საქმენი იმ დიდ მისიას, რომელიც არის დაკისრებული დიდი საზამთროს მოვლინებასთან დაკავშირებით პანდურეთში? საზამთროდიდის გამობრწყინება სანდაოცეთში – ეს მისგან არის ნიშანი, მისნობა და იგი ღაღადებს: “მე მოვდივარ და ვინც ცოდვას ჩაიდენს და არ იწამებს საზამთროსა დიდსა და მშვენიერსა ფრიად, არ მიენდობა მისსა მადლსა, ვაი იმას, შეუსმენელსა და განდგომილსა! იქმენ წაწმენილი სული მისი და მომსპარი ხორცი მისი – ნებისმიერი ხერხით!”. დამიჯერეთ, მისი სიტყვები არ არის ტყუილი ქადილი, ქარისთვის უკვალოდ გასატანი! რა ჯადოქრობით წარმოიშვა და გაიზარდა აქ ეს კოსმოსური დიდი საოცრება, ჭეშმარიტად ზეციური დიდი საიდუმლოა და, იმავდროულად, მინიშნებაც, – რა უნდა გეწამდეს, საით უნდა მივდიოდეთ! დიდი საზამთრო რომ რაღაც საიდუმლოს ინახავს, ეს მის ტანზე განლაგებული მუქი ზოლებითაც დასტურდება: ეს მხოლოდ ზოლები არ არის, ისინი წარმოადგენს იღუმალ ჩანაწერს, რომლის გაგებაც ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია და მისი ჭეშმარიტი შინაარსის წაკითხვა და წვდომა მხოლოდ ჩვენი მოძღვრების ჭეშმარიტ მიმდევარს შეეძლება! და ბედნიერ და დალოცვილ იქნება, ვინც ამას შესძლებს და სხვებსაც უწილადებს უდიდეს მადლსა და უდიდეს სიხარულს! დიახ, ეს დიდი საზამთრო ტყუილად არ გაჩენილა და ასრევიგად სასწაულებრივად გაზრდილა – იგი წარმოადგენს მწვავე პროტესტის გამოვლინებას თანამედროვე ცხოვრების ბნელი და საზარელი მხარეების მიმართ, როცა ყოველმხრივ ცდილობენ ჩვენი ნების დაკნინებას, პიროვნულად დამცირებას, არარაობად მიგანჩივართ და გასრესას ლამობენ... დიდი საზამთრო – დიდი სასწაულია და დაკავშირებულია მომავალში ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის გარდაუვალ გამარჯვებასთან – დიდ სიკეთესთან, დიდ სითბოსთან, დიდ სინათლესთან... ჩვენი ყველას წმიდათაწმიდა ვალია, დავიცვათ სიწმინდე ჩვენი მოძღვრებისა, როგორც ერთადერთი მართალია და ჭეშმარიტისა და არ დაგუშვათ მისი შებღალვა ურწმუნოთა მიერ – დაცინვისა და აბუჩად აგდებისთვის მათ უნდა გაეცეს საკადრისი პასუხი! თუ საჭირო იქნება – დაუნდობლად თავპირიც დავამტვრიოთ! ჩვენ გეფარავს დიდი საზამთროს მადლი! ჩვენ ერთი ვართ და ერთიანი – დიდი საზამთრო და “დიდი საზამთროს ჭეშმარიტ თაყვანისმცემელთა საზოგადოება!” დიდი საზამთროს გარშემო ტრიალებს მთელი დანარჩენი სამყარო, იგი წარმოადგენს კოსმოსის გულს! და ჩვენთვის დიდი პატივია და უდიდესი პასუხისმგებლობაც, რომ სულით ვიწამეთ და გულით მივინდეთ, – ამ დიდი იდეის, დიდი საზამთროს სამყაროს განუყოფელი ნაწილი გავხდით, – ეს არის დიდი აღმოჩენა, განუმეორებელი, ეპოქალური მოვლენა სრულიად სამყაროს ისტორიაში და ჩვენ ბედნიერები ვართ იმით, რომ პირველები ვეზიარეთ მას, მისი ნაწილი გავხდით! დიდი საზამთროს რწმენა გაგანთავისუფლებს შეგბნეული ფიქრებისგან, უიმედობისგან, განურჩევლობისგან, დაგიბრუნებთ იმედსა და სიცოცხლის ხალისს! მომავალი ჩვენია! გიხაროდეთ, ჩვენთან არის დიდი საზამთრო და მისი მადლი!

დორთოე დღითიდღე ივსებოდა ფერ-ხორციით, რასაც თვითონ იგი გრძელთაგრძელ და ფერადოვან ქადაგებებში უკავშირებდა ახალი ღვთაების იმ ზეციურ წყალობას, რომლის ძალამაც განათლა მათი სულები, აგრეთვე, პირადად მის, დორთოეს, მიმართ აღვივებდა თაყვანისმცემლების სიყვარულს, ერთგულებასა და დაფასებას – სიბრძნის, სამართლიანობის ღარიგებისა და თავგამოდებული მისიონერული მოღვაწეობის გამო. მართალია, გემრიელი სმა-ჭამის მეოხებით, დორთოეს წონაში მატება საოცარ საზამთროს ზრდას ბევრად ჩამორჩებოდა და, ცხადია, ვერც მისი ტოლი გახდებოდა ვერასდროს, მაგრამ იგი მაინც ყველაფრით კმაყოფილი გახლდათ; და ალბათ ერთადერთი ადამიანი იყო მთელს დედამიწის ზურგზე, რომელიც შიშითა და ძრწოლითაც კი ელოდა საოცარი საზამთროს დამწიფებას. მიზეზი უბრალოდ აიხსნებოდა: ადრე თუ გვიან გარდაუვალი იყო დიდი საზამთროს “ეპოქის” დასრულება – მისი შეჭმა და ახალი ღვთაების უკვალოდ და საბოლოოდ გაქრობა, რასაც თაყვანისმცემლები და თვით დორთოეც წინ ვერაფრით აღუდგებოდნენ... დასრულდებოდა ახალი მესიის გრძელი და მომხიბლავი ზღაპარი ახალი მოძღვრების უსაზღვრო და ბრწყინვალე პერსპექტივებზე, საკუთარ უანგარობასა და თავგამოდებაზე... საკუთარი თავის ჭკუასა და მოხერხებულობას, სიბრძნესა და წინდახედულებას წინ დიდი გამოცდა ელოდა, რასაც დორთოე, როგორც ჩანს, ჯეროვნად ვერ ჩააბარებდა და მისი ავანტიურისტული წამოწყება ჩაფლავდებოდა, ხოლო “დიდი საზამთროს ჭეშმარიტ თაყვანისმცემელთა საზოგადოების” თავმჯდომარეს კი სანდაოცეთიდან სასწრაფოდ გაქცევა და სხვაგან გადაბარება მოუწევდა – სადაც მას ნაკლებ იცნობდნენ. და სანამ დორთოე ახალ ადგილას ახალ “საქმეს” გაჩარხავდა, კვლავ ფრიად გახდომის ხანა დაუდგებოდა...

კიდევ ერთი ყალბაბანდი – შუახნის წვრილთვალება, წვერგაუპარსავი, მეტისმეტად გამხდარი კაცი – ტრიალებდა საოცარ საზამთროსთან და ამულეტებს ჰყიდდა – ქაღალდის დახვეულ ვიწრო ზოლებს, რომელსაც ჯიქურ სჩრიდა ხელში ქალსა და კაცს:

– ერთი ფლური, მხოლოდ ერთი ფლური – ჯადოსნური შელოცვის ფორმულა! გახსენი, წაიკითხე შეთქმული შელოცვა და საზამთროს სამჯერ მაგრად აკოცე: თუ ავადმყოფი ხარ, მაშინვე გამოჯანმრთელდები, თუ გაჭირვებული – ფულს იპოვი, თუ შეყვარებული – გაგიმართლებს! მთავარია, უნივერსალური ჯადოსნური შელოცვა იცოდეს! სასწრაფოდ შეიძინეთ, არ დაგეანოთ – მხოლოდ ერთი ფლური!

დოროთეს ფრიად არ ეჭაშნიკა კონკურენტის გამოჩენა; “დიდი საზამთროს ჭეშმარიტ თაყვანისმცემელთა საზოგადოების” რამდენიმე ჯანიანმა წვერმა, რომლებიც დოროთეს შეკვეთით დაზადებული ყელსაბამებით ვაჭრობდნენ, ამულეტების გამყიდველი სულ პანჩურის რტემევით გააძევა იქაურობიდან:

– მოშორდი აქედან! დიდ საზამთროს მადლობა უთხარი, რომ გაგიმართლა და თვითონ ბედნიერი ამულეტი შეგხვდა, თორემ აქედან ცოცხალი ვერ გააღწევდი!

თითქოს მიწიდან ამოდგინდნენ, უცებ სანდოცეთში გამოჩნდნენ ბოშები; სანდოცეთურას ჭალაში გააჩერეს ჩარდახიანი საზიდრები და ორი მოტოციკლი, ცხენები საბალახოდ გაუშვეს, შემდეგ დასცეს მალაზიაში ნაყიდი ნარინჯისფერი ტურისტული კარავები, მოაგროვეს ფინჩი და ცისკენ ავარდა კოცონის ნაცრისფერი ბოლი... მალე მთელს სოფელს მოედგნენ: ქალები – სამკითხაოდ, კაცები – ცხენ-ჯორის დასაჭვად... უმეტესად – ბავშვები და ხშირად – დიდებიც, თუ სადმე მოახელებდნენ, არც იმაზე ამბობდნენ უარს, ხელს გაეყოლებინათ “უპატრონო” ქათამი თუ ბატი, უყურადღებოდ დატოვებული ნაჯახი თუ ბარი...

მჭედელ პატულანას გაკოტრება დაემუქრა, ლაყუა კი ფრიად გახარებული იყო – ბოშა ქალმა მიცემული გოგორა პურისა და ერთი წველა ყველის სანაცვლოდ მოკლე ხანში სიყვარულში დიდი წარმატება უწინასწარმეტყველა.

კიდევ ერთი, ოღონდ ბევრად დიდი, ბრეხენტის კარავი გამართეს სოფლის განაპირას – სანდოცეთს მოხეტიალე ცირკი-შაპიტო ესტუმრა! საოცარია, ბოშებისა არ იყოს, ამ მიყრუებულ სოფელს როგორ მიაგნეს, ან რა იცოდნენ, რომ ამჟამად აქაურობა ხალხნაკლებობას არ უჩიოდა, სამწუხაროდ – მხოლოდ დროებით...

საკვირველი ისიც იყო, როდის მოასწრეს ან მხიარული წარმოდგენის სცენარის შეთხზვა, ან დადგმა – ნახერხმოყრილ ასპარეზზე გაწვრთნილი ცხოველები ანსახიერებდნენ ფანტაზიურ ზღაპარს სასწაულებრივად გამოჩენილ უზარმაზარ ნესვზე: როგორ უნდოდა ზოგიერთს მისი დაპატრონება და სხვები კი წინააღმდეგობას უწევდნენ, იმართებოდა მხიარული დაკა-დაკა...

* * *

დიდი საზამთროს ფენომენის გაჩენასთან დაკავშირებით, პანდურეთის დედაქალაქ პანდურ-დიდში თითქმის მინაველებული პოლიტიკური ცხოვრების ტემპერატურამ უცებ ნახტომისებურად მაღლა აიწია. მოკლე ხანში ჩამოყალიბდა რამდენიმე ახალი პარტია: “დიდი საზამთროს ჭეშმარიტ თაყვანისმცემელთა პარტია”, “მე მიყვარს საზამთრო!”, “დიდი საზამთროს მოყვარულთა საზოგადოება”, “გაერთიანება გაუმარჯოს დიდ საზამთროს!”, “მხოლოდ დიდი საზამთრო გადაგვარჩენს!” და სხვები – თავიანთი ახალგაზრდული და ქალთა ფრთებით, თაყვანისმცემელთა მხარდაჭერის საზოგადოებებით... გაისმა ფრიად დაბეჯითებული მოთხოვნები, რათა, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი საზამთროს გამოჩენით გამოწვეული ფუნდამენტური ძვრების გამო, ძალთა გადანაწილებისა და ახალი რეალობის გათვალისწინებით, ჩატარებულიყო პანდურეთის საზოგადოებრივი დარბაზის ვადამდელი არჩევნები და შექმნილიყო ახალი მთავრობა. თანხედენილი ან ახლოს მდგომი ხედვების მქონე “საზამთროსეული” პარტიების კოალიციის შექმნის მიზნით, ჩატარდა ერთობლივი კონფერენცია, იყო საუბარი მომავალ არჩევნებში უფრო მეტი წარმატების მისაღწევად, პოლიტიკური გაერთიანის შექმნის შესახებაც, მაგრამ ამ იდეას არ ეწერა განხორციელება: ყველა პარტიას სურდა, რაც შეიძლება დიდი ლუკმა დაეგემოვნებინა, დიდი, დიდი ნაჭერი ჩაეგდო ხელში დიდი საზამთროსი და, აგრეთვე, დეპუტატთა მეტი ადგილი დაეთრია ახალ დარბაზში; კონფერენცია შუამდევ არ იყო მისული, როცა, გაცხარებული კამათისა და ურთიერთბრალდებების კორიანტელის დროს, ერთმანეთის სიტყვიერი შეურაცხყოფა ჯერ გინებაში გადაიზარდა, შემდეგ კი – ცხარე ხელჩართულ ბრძოლაში, – ყოველგვარი წესების გარეშე! – დაუნდობლად დასცხეს ერთმანეთს... საჭირო გახდა პოლიციის საგანგებო დანიშნულების გაძლიერებული რაზმის სასწრაფოდ გამოძახება, თუმცა, მათ მოსვლამდე საზამთროს დიდი ნაჭრებისა თუ სადეპუტატო თბილი საგარძღების მოყვარულებმა ერთმანეთის სიფათების მწიფე საზამთროს შუაგულისფრად შეღებვა მოასწრეს...

ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო პანდურეთის მიძინებულ მეცნიერულ აზროვნებასაც: ორსამ კვირაში საჩქაროდ გამოცხვდა დიდი საზამთროს ფენომენისადმი მიძღვნილი რამდენიმე სქელტანიანი მონოგრაფია, რომლებშიც მრავალგვარი თვალსაზრისი იყო გამოთქმული. კერძოდ, ერთი წიგნის ანოტაციაში ეწერა: “მსოფლიო მასშტაბით საყოველთაო აჟიოტაჟის გამომწვევი გი-

განტური საზამთრო უეჭველად კოსმოსიდან მოვლენილი სტუმარია: რა მიზნით – ამის შესახებ დაწვრილებით შეიძლება საუბარი გამოსაკვლევი ობიექტის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ; წიგნში დაწვრილებით არის განხილული ყველა ვარაუდი და შესაძლო შედეგები; არ არის გამოცხადებული, რომ დიდი საზამთრო ერთ-ერთი კოსმოსური ცივილიზაციის დელამიწაზე წარმოგზავნილი “ელჩია”, რაც უდაოდ უდიდეს მოვლენად უნდა შეგაფასოთ; მეორის წინასიტყვაობა, კერძოდ, გვამცნობდა: “დიდი საზამთრო, როგორც ყველა მონაცემის გამოწველივით განხილვითა და ყოველმხრივი შეფასებით შეიძლება დავასკვნათ, გენური ინჟინერიის შესწავლის დარგში არნახული წარმატებების მიღწევის ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი შედეგია და, ცხადია, შეიძლება ვილაპარაკოთ საზამთროს არა მხოლოდ განსაკუთრებულ ზომებზე; უეჭველია, შესაძლებელია, გაუმჯობესებულ იქნას საზამთროს სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრებიც, როგორცაა, მაგალითად, ფერი (შესაძლოა, გამოყვანილ იქნას წითელი, ყვითელი, ლურჯი და სხვა ფერის ნაყოფის მომცემი საზამთროს სახეობანი), ყინვაგამძლეობა, გვალვაგამძლეობა, ვეგეტაციისა და დამწიფების პერიოდის მკვეთრი შემცირება, გემური თვისებების გაუმჯობესება ან შეცვლა, მაგალითად, ანანასის, ბანანის და სხვა ეგზოტიკურ ხილთა გემოს მინიჭება”. მესამის ანოტაციაში ვკითხულობთ: “სავარაუდოა, რომ გიგანტური საზამთროს წარმოშობა განაპირობა მუტაციურმა პროცესებმა, რაც ფრიად საინტერესოა თეორიული თვალსაზრისითაც და საშურს ხდის მისი გენეზისის ყველა ასპექტის დაწვრილებით გამოკვლევას: შესაძლოა, მსგავსი მუტაციური პროცესები შეეხოს სხვა ცოცხალ ორგანიზმებსაც, კერძოდ, ადამიანებს – წარმოიშვან გიგანტები და დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ამგვარი პროცესი სწორედ პანდურეთში განვითარდეს! ამ შემთხვევაში სულ ერთი თაობის ცხოვრების განმავლობაში გიგანტი პანდურელი შეძლებენ მთელი მსოფლიოს დამორჩილებას და ეს არ იქნება ფანტაზური რომანის მსგავსი არნახული ამბავი! არსებობს იმის საშიშროებაც, რომ, თუკი ღმერთმა არ ჰქნას და გიგანტმანია სხვა ქვეყნებსაც მოედო და შეუჩერებელ მსოფლიო პროცესად იქცა, ადამიანების მოდგმა გადაშენდება დინოზავრების მათი სამყოფი საკვები დელამიწაზე აღარ იქნება – გიგანტური საზამთროს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფართოდ გავრცელებაც ვერაფერს შეცვლის... იქნებ ადამიანები ერთმანეთსაც კი დაერიონ შესაჭმელად და აი, მაშინ კი ჭეშმარიტად დადგება დრო სხვა პლანეტების ათვისებისა!”.

კარი VI.

საოცარი საზამთრო – განხეთქილების ვაშლი

სამწუხაროდ, ადამიანებში გამოერევიან ისეთებიც, რომლებთაც აღიზიანებთ სხვათა სილამაზე, სილადე, სიკეთე, სრულყოფილება... დიახ, საოცარია და დიდად გასაკვირი – ყველას არ მოსწონს საოცარი საზამთრო და ზოგიერთებს რატომღაც მისი მოსპობაც კი სურთ.

სოფელ სანდაოცეთშიც კი ყველა არ არის საოცარი საზამთროს მიმართ კეთილგანწყობილი და, ცხადია, არც ლაყუნა მოსდით თვალში. ლაყუნა ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ საოცარ საზამთროს ამდენი მტერი გამოუჩნდებოდა!

სოფლის მოურავს, ტაბოციას, დედაქალაქიდან არ მოსვლია მითითება დიდი საზამთროს საქებრად თუ საძაგებლად, თუმცა, კარგად იცის, რომ ყოველი ახალი მოვლენა, რომელიც არ არის უფროსობის მიერ ნებადართული და მოწონებული, განქიქების ღირსია და, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, ასკვნის:

– ეგ საზამთრო მახინჯია – სიმსივნე ბუდობს შიგა! მოსაშორებელია აქედან, საჭმელად მაინც არ ვარგა! ლაყუნა კი მაგნა, დასაჭერია და აქედან მოსაშორებელი! ვიყავით ჩვენთვის წყნარად, ბედნიერად, ახლა კი, მაგ ქარაქუცას გადამიკიდე, ათასი ოხერ-ტიალი დაგვესია და ახალი თავის სატკივარი გვინდოდა ჩვენ?

მეორე დამწუხნებელი, ტაბოციას დამქაში, სოფელში ერთადერთი დუქნის “მობრძანდი, გენაცვალე, დაბრძანდი!” მეპატრონე მაწაწურა, მხარს უბამს:

– მაშა, მაშა! მაგ უნიფხვომ განდიდება მოინდომა და ყველას თავზე დაჯდომა; ე ვირგლა საზამთრო კიდევ რა შავ ჭირად გვინდოდა?! რა იცი, იქნებ შიგ მაჯლაჯუნები სახლობენ და! ხალხო, გამოვლენ და ვაი ჩვენს ყოფასა, სულ ერთიანად ამოგვუშავენ!

მესამეც, ყასაბი ღომფაშო, კვერს უკრავს:

– ამ საზამთროს მახინჯ სხეულში მახინჯი სულია ნამდვილად ჩაბუდებული – ავი სული, უბედურების მომტანი! ეგ ეშმაკის ნაშიერი საჩქაროდ მოსაცილებელია სანდაოცეთიდან – მოგთხოვოთ ხელისუფლებასა, მოიტანონ ზარბაზანი და დედა გუტიროთ დიდ საზამთროსა! მისი დაფლეთა კაი სანახავი იქნება!

უამრავი ცნობისმოყვარე ვიდაც-ვიდაცეები მოდიან უცხონიც, ახლო დაბა-სოფლებიდან თუ უფრო შორეული სხვა მხარეებიდან. ქვეყანა ჭრელია და მათშიც გამოერევიან ისეთი ახირებულებიც, რომლებიც თავს არ იწუხებენ არგუმენტაციით და როყიოდ უარყოფით დასკვნის გაკეთებასაც არ დაახანებენ... ერთ-ერთმა მათგანმა, ამაპრტაგნულად ცხვირაწეულმა, დაჯღანული სახით, თითქოს კბილის აუტანელი ტკივილი აწუხებდეს, თვალმოჭუტვით შორი-შორ გარშემო შე-

მოუარა საოცარ საზამთროს, ერთხელ კიდევ ათვალწუნებით ახედ-დახედა და მკვანე იერით სწრაფი განაჩენის გამოიტანა არ დაახანა:

– შეხედეთ, შეხედეთ, რას ჰგავს! ნამდვილად გეუბნებით: ეგ მამაძაღლობაა, ხალხო! არ მოტყუვდეთ: რის საზამთრო, რა საზამთრო, საზამთროს რა უგავს – ბუშტია გაბერილი და მეტი არაფერი! ეტყობა, ბუნებამ თამაში იწება, თავისებურად ხუმრობს! სიფრთხილეს მაინც თავი არა სტკივა, გირჩევთ, ახლოს არ გაეკაროთ – რომ გასკდეს, იქნებ თავებიც წაგაცალოთ, რა იცი, იქნებ ბომბია ნამდვილი!

უცხო მხარიდან ჩამოსული ერთი ისეთი დაბალ-დაბალი ადამიანიც გამოჩნდა, უზარმაზარ საზამთროს სულ მთლად “აუქმებს”, – ალბათ, შურმა სულ მთლად დააბრმავა; თვითონ ერთი ცილაა, ძალიან კი იბერება, ამოდ ცდილობს, ბოხი ხმით იყვიროს და მსმენელნი დაარწმუნოს, რომ ის, რასაც საკუთარი თვალით ხედავენ, ნდობის ღირსი არაა:

– რამ გაზარდა ამ სიდიდე ან რატომ მაინცდამაინც აქ მოხდა ეს საოცარი ამბავი, არ გაინტერესებთ? სიმართლეს მე გეტყვით – რა დაგემატათ, დაბრმავედით? საზამთრო კი არა, კვანი არ გინდა? ვინ გაიგონა ამხელა საზამთრო, რად უნდა ლაპარაკი – ეს წმინდა წყლის მისტიფიკაცია! ეჭვის შეტანაც კი არ შეიძლება, რომ ეს ჭეშმარიტი საზამთრო კი არა, მოჩვენებაა, მასობრივი ფსიქოზის ნაყოფი! იქნებ – მასობრივი ჯადოს ან მასობრივი ჰიპნოზისაც! უფრთხილდით, ხალხო, ბოროტად გვატყუებენ, აქ ალბათ ბნელი ძალებია ჩარეული, ეშმაკის ნახელავს ჰგავს!

კიდევ ერთი, არაფრით გამორჩეული სახისა და ფრიად უფერული ხმის პატრონი, ალბათ დედაქალაქიდან ჩამოსული, სხვა მხრივ ავითარებს შეტევას – “მეცნიერულად” ასაბუთებს:

– დიდი საზამთრო – ბლეფია! ვერ დავიჯერებ, რომ ის მართლა არსებობს: ფიზიკის კანონების თანახმად, ამხელა საზამთრო საკუთარ სიმძიმეს ვერაფრით გაუძლებს და ნაწილ-ნაწილ დაიშლება! აუცილებლად!

ვიდაც მელოტი, სათვალისანი, წელამდე თეთრ წვერმოშვებული, ინტელიგენტური შესახედაობის კაცი, როგორც თვითონ აცხადებს, ფილოსოფიის დოქტორი-ფუტუროლოგი, უსაქმურთათვის უფასო ლექციას ატარებს; ზოგიერთი უტოპიური რომანის ავტორის მგავსად, ისიც ფრიად პესიმისტურ ჰანგზე მღერის:

– ასეთი რამ მსოფლიოს ისტორიას არ ახსოვს – ამხელა საზამთრო! ნებისმიერი საზომითა და ყველა შეფასებით – ფენომენალური მოვლენაა! არნახული, არგაგონილი! და უნდა მოგახსენოთ, რომ გიგანტური საზამთროს ასე მოულოდნელად გამოჩენა მრავალ საჭირობოროტო საკითხსაც ჰბადებს, რომელთათვისაც პასუხის გაცემა ფრიად ძნელდება... ხომ არ არის გიგანტური საზამთროს მოვლინება შედეგიცა და ერთგვარი პასუხიც ბუნების ტოტალურ შევიწროებაზე ურბანული ცივილიზაციის მხრივ? სამწუხაროდ, საყოველთაოდ გამეფებული უგუნურება, – სოფლის დაცლა მოსახლეობისგან, – ბოლოს მოუდებს გლეხობასა და ფერმერობას და მალე ამქვეყნად ერთი სოფელიც აღარ დარჩება... ბუნება კი “შურს იძიებს” ამგვარ გლობალურ დამღუპველ მოვლენებზე! არ არის გამორიცხული, რომ გიგანტომანიის ეს ერთეული შემოტევა უზარმაზარი სიდიდის საზამთროს სახით, რასაც ახლა აქ ვხედავთ, სხვა, უფრო მრავალფეროვან და მწვავე ფორმებს მიიღებს: წარმოიშობა აგრესიული მცენარეებიც, რომლებიც დაიპყრობენ ჩვენს საცხოვრებელ ადგილებს – დაფარავენ ქალაქებსა და სოფლებს, გადაჯიშებული უზარმაზარი შინაური ცხოველები აღარ დაემორჩილებიან ჩვენს ნებას და საყოველთაო ჯანყით შეეცდებიან ადამიანის მოდემის შევიწროებას და, ბოლოს, ალბათ ყველაფერი დასრულდება ჰომო საპიენსის, როგორც სახეობის, დამორჩილებით, დაკნინებით და, ბოლოს, სრული გადაშენება-გაქრობით... დიახ, უეჭველად ასე მოხდება, თუ დროზე არ მოვევით გონს! არ შეიძლება, პასიურად შევევოთ ჩვენს ირგვლივ მომხდარ საშინელ მოვლენებს და გულგრილად ვუყუროთ, რა ტრაგიკული მომავალი გველის წინ!

პრაქტიკული ჭკუის ერთ-ერთმა სანდაოცელმა მსმენელმა, – ლაყუნამ! – რომელიც საოცარი საზამთროს წინ თავშეყრილ ხალხში დადიოდა და ყველა ორატორს ყურადღებით უსმენდა, ამ უიმედობის განცდით შეპყრობილ “ლექტორს” ჰკითხა:

– პატივცემულო პროფესორო, ძალიან საინტერესო და ფრიად საჭირობოროტო საკითხებს შეეხეთ, ჩვენი სოფლების გაპარტახების უამრავ მაგალითსაც, აქაურნი და სტუმრებიც, ყველანი ვხედავთ... თქვენი გულისტკივილი და შემოფთება დიახაც გასაზიარებელია, მაგრამ წუწუნს ხომ არ სჯობს, გვითხრათ – სად არის გამოსავალი ამ დიდად სამწუხარო მდგომარეობიდან? თქვენ რას გეთავაზობთ?

ფილოსოფოსმა ვერაფერი უპასუხა... უილაჯობის დაფარვა კი იმით სცადა, რომ ვითომ ვერ ამჩნევდა ლაყუნას – აქაოდა ვიდაც გლეხუჭას თავს ვერ გაუფადრებ, ჩემისთანა განათლებისა და გაქანების მოსაუბრე-მოპაექრე სიბრძნისმეტყველი აქ სხვა არ მეგულებათ.

სხვა ყაიდის პიროვნებებიც, ავანტიურისტები, ნაირგვარი ყაიდის გამორჩენის მოყვარულნი, წარმოაჩინა საოცარმა საზამთრომ – სანდაოცელებიცა და უცხონიც.

რა უსახდერო ყოფილა უმადურობა, ცილისწამება, დასმენა... შურით დაბრმავებულებს არასრულფასოვნების განცდა გულის მოსაფხანად რა სისულელეს არ ათქმევინებს!

ერთ მშვენიერ დღეს სანდაოცეთს ესტუმრა კოჭლი, დიდცხვირა კაცი, სოფელში რომ მანამდე არავის ენახა და არც არავინ იცნობდა, რომელმაც სოფლის მოურავ ტაბოციას ცხვირწინ აუფრიალა რაღაც ქაღალდი:

– ეს ეზო-მიდამო კანონით ჩემია, – აჰა, საკუთრების დამადასტურებელი ბეჭდიანი საბუთი! და, რასაკვირველია, საზამთროც მე მეკუთვინის! პანდურეთის სამოქალაქო საქმეთა რეესტრში ფართობი კანონიერად გატარებული მაქვს, ოფიციალურად რეგისტრირებულია, ჩემს უფლებებს წყალი არ გაუვა!

– პატივცემულო, სამწუხაროდ, მოცდა მოგიწევთ, ამასაც წყალი არ გაუვა! – საკუთარი მოსაზრებებიდან გამომდინარე, აშოშმინებდა დიდცხვირას ტაბოცია. – ქალაქიდან მივიღებთ შესაბამის მითითებებს, მანამდე კი ვერაფერს გიშველით, საზამთროს თქვენს საკუთრებად ვერ ვადარებთ; გარდა ამისა, აღმასრულებელიც ჯერჯერობით აქ არ იმყოფება!

ლაყუნასთვის სრულიად მოულოდნელად, მის ამასაც, ლაჯუნას, ვინც გაზაფხულზე დაცინვით საზამთროს თესლი მიუგდო, ახლა მადა გაეხსნა და სხვებსავეთ საოცარი საზამთროს მისაკუთრების ჭია შეუჩნდა!

– ბიჯო, შე უმადურო, ხომ არ დაგავიწყდა, ეგ დიდი საზამთრო რომელი თესლიდან არი ამოსული? აბა, კარგად გაიხსენე, მოწმეებიცა მყავს, მე არ მოგეცი, ბედოვლათო, მაგ ტურტლიან ხელისგულში არ ჩავიდევ? ჰოდა, ეგ საზამთრო წესითა და კანონით ჩემია! ნებით მომიც, თორემ სასამართლოში გიჩივლებ!

– ვინ გეკამათება, რომ შენი არ არის? – არ შეწინააღმდეგებია ლაყუნა, შემდეგ კი, ლაჯუნასთვის გულის გასახეთქად, დაამატა: – შენიცაა, ჩემიცა, საერთოდ – მთელი ჩვენი ოჯახისაც და მთელი სოფლისაც! გული არავის დასწყდება, საოცარი საზამთრო ყველას გვეყოფა!

და ამის შემდეგ ლაყუნას აღარ გაჰკვირვებია, რომ მეზობელმა, მჭედელმა პატულანამაც, ხმა ამოიღო:

– შენმა თავხედმა საზამთრომ ღობე დამიზიანა, კომპენსაცია მეკუთვინის, მაშა! ზარალი უნდა ამინახლაურო!

სოფელმა ლაყუნა დაიცვა:

– დიდი საზამთრო კეთილია, თავის ბუნებას მიენდო, იმიტომაც გაიზარდა ამხელა, კი არავის ერჩის! ლაყუნაც კეთილია, იმასაც რას ერჩით?

* * *

საოცარი საზამთროს გამოჩენის გამო წარმოშობილი დავა-კამათი, როგორც მოსალოდნელი იყო, სწრაფად გასცდა სანდაოცეთის საზღვრებს, არის ერთი ამბავი ამტყდარი პანდურეთის რადიო-ტელევიზიაში, ჟურნალ-გაზეთებში...

მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო საშუალებების ცხელ-ცხელ ამბებშიც დიდმა სენსაციამ, დიდი საზამთროს შესახებ ინფორმაციამ, საპატიო ადგილი დაიკავა, სისტემატურად აცნობენ აუდიტორიას გიგანტური საზამთროს ზომაში ყოველდღიურად მატების ამბავს. აქამდე ყველასთვის უცნობ, სადღაც მიყრუებულ კუთხეში მოყუჩულ სოფელ სანდაოცეთს ბუზივით დაეხვივნენ უცხოეთის მრავალი ქვეყნის ტელევიზიისა და რადიოს, გაზეთ-ჟურნალების კორესპონდენტები, ფოტოგრაფები და კინო და ტელეოპერატორები...

არც არის გასაკვირი, რომ საოცარი საზამთროსადმი საყოველთაო ინტერესის აგორებულ ტალღას სენსაციას დახარბებული საინფორმაციო საშუალებები უმაღლ გამოეხმაურნენ. პანდურეთის წამყვან ტელეარხ “მღვრიე რუს” ეთერში, ყველაზე “ყურებად” დროს, სადამოს ერთ-ერთ გადაცემაში, დიდი საზამთროს პრობლემატიკის გარშემო საღისეკუსიოდ მოიწვიეს ცნობილი ექსპერტები შავლეგ შავჭიპაძე და შალიკო შალაფაშვილი.

მრავალმხრივი სპეციალისტი შავლეგ შავჭიპაძე, რომელიც თანაბარი წარმატებით მსჯელობს მსოფლიო პოლიტიკის საკითხებზე, ჰიბრიდული სიმინდის თესლის სიკეთესა თუ კოსმოსში შავი ხვრელების არსებობის ფილოსოფიურ ასპექტებზე, ამჯერად კი დიდი საზამთროს მოვლინების პრობლემის როგორც გლობალური, ისე მთელი რიგი ადგილობრივი ასპექტების შესახებ ვრცელი და დამაჯარებელი მსჯელობის შემდეგ, ცალსახად ასკვნის:

– მეგობრებო, დაბეჯითებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეგ უბრალოდ გიგანტური საზამთრო კი არ არის, არამედ, ამასთანავე, მის გამოჩენასთან ფრიად სახიფათო მოვლენასთანაც გვაქვს საქმე: არაჩვეულებრივი საზამთროს გარეგნული რესპექტაბელური იერის, შეიძლება ითქვას, ფრიად მიმზიდველი ჰაბიტუსის მიღმა, სინამდვილეში რას წარმოადგენს, მის შიგნით რა ხვითო ძეგს, ვინ იცის? ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად რომ უსიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზოს და აფეთქდეს და მთელი მხარე დაანგრეოს და მოსრას, მიწასთან გაასწოროს, რას ვშვრებით? ვინ აიღებს პასუხისმგებლობას დამდგარი მძიმე შედეგების გამო და ვინ აანახლაურებს ზარალს? ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, კომპეტენტურმა ორგანოებმა დაუყონებლივ ჩატარონ სათანადო ღონისძიებათა კომპლექსი დიდი საზამთროს გასაუფნებელყოფად! ასევე, აუცილებელია, სასწრაფოდ გაირკვეს – დიდი საზამთროს მომყვანი ეგ ლაყუნა მოგზავნილი ბორცტმოქმედი ხომ არ არის? დიახ, დროულად უნდა აღგვეეთოთ დიდ

საზამთროსთან დაკავშირებული საშიშროება და ხსენებული ობიექტი რაც შეიძლება სწრაფად მოვსპოთ! – აღტყინებით დაასრულა ბოლო წინადადება შავლეგ შავჭიპაძემ და თან მოულოდნელად ისე ძალუმად დასცხო მაგიდას ხელისგული, რომ გვერდით მჯდომი ტელეკაპეტრობის წამყვანი ქალბატონი შიშით შეხტა და მთელი ერთი წუთი ხმა ვეღარ ამოიღო.

კოლეგას მთელ რიგ საკითხებში, უპირველესად კი – დიდი საზამთროს წარმომავლობასთან დაკავშირებით, კატეგორიულად არ დაეთანხმა შალიკო შალაფაშვილი:

– ჭეშმარიტებას ვერ ვუღალატებ, ამიტომ ღრმად პატივცემულ კოლეგას დაუფარავად უნდა მოვახსენო, რომ, სამწუხაროდ, იგი ცრუ ინფორმაციის ტყვეობის მსხვერპლი გახლავთ – ეგ უზარმაზარი საზამთრო დედამიწაზე და, კერძოდ, სანდაოცეთში, არავის დაუთესია! ყოველ შემთხვევაში, ეგ ლაყუნაა თუ ვიღაც ტუტუცი, მაგ გიგანტური საზამთროს მომყვანად ვერანაირად და ვერაფრით ჩაითვლება!

– მაშ, ვინა? – იკითხა პაექრობის წამყვანმა დიქტორმა ქალბატონმა, რომელსაც კადრს გარეთ ნიშადური აყნოსეს გონს მოსასვლელოდ.

– უეჭველად ჰუმანიდების ნახელავია!

– ვისი, ვისი? – დიქტორი გვერდზე იყურებოდა, არიქა, ისევ რამე მიშველეთ, თორემ გავგიჟდებიო.

– ტელემეყურებელთა მრავალათასიან არმიას უნდა მოვახსენო, რომ, როგორც განსახილველ საკითხზე არსებული მასალების ობიექტურად შესწავლა უცილობლად ადასტურებს, გულივიერი საზამთრო დედამიწაზე წარმოებული პროდუქტი არ გახლავთ, ჩამოფრენილია, უცხოპლანეტელების ნამოქმედარია! ასეთი ზომის საზამთრო და, საერთოდ, ორგანული წარმოშობის ობიექტი, დედამიწის ისტორიას არ ახსოვს! დინოზავრებიც კი მაგ სიდიდისა არ იყვნენ და რაღა ახლა გაიზარდა ეგ საზამთრო ამოდენა? დამეთანხმებით, აქ გამოცანა არის, რაღაც საიდუმლო არსებობს – მისი ამოხსნა მეცნიერების უახლოესი ამოცანაა! საჭიროა, სასწრაფოდ გაიგზავნოს მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა განყოფილებების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერებით დაკომპლექტებული კომპლექსური ექსპედიცია ამ უჩვეულო ფენომენის ყოველმხრივ მეცნიერულად შესასწავლად და ყველა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად, როგორც პრობლემის დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე, მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები, რას უნდა ველოდოთ!

– პანდურეთის მეცნიერებთა აკადემია ფაქტობრივად გაუქმებულია და ვის გააგზავნი? – თქვა შავლეგ შავჭიპაძემ; კინაღამ დააყოლა: “ჩვენს სულთანს ხომ არა?”, მაგრამ დროზე დააჭირა ენას კბილი.

– ძალიან მიკვირს ხომ იცი, პატივცემული კოლეგა მაგას როგორ ვერ ხვდება? საზღვარგარეთიდან უნდა მოვიწვიოთ კომპეტენტური სპეციალისტები!

– დიდუ, ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა! – თავში გამწარებით წაიშინა ხელები შავლეგ შავჭიპაძემ, შემდეგ ალგზნებისგან ფეხზეც კი წამოიჭრა. – შენი დაუფიქრებელი განცხადება შენი მხრივ ჩვენი ქვეყნის მიმართ საზიზღარი უპატივცემულობის გამოხატულებაა, როგორ არ გრცხვენია? ღმერთო მომკალი, სამაგისო რა გვიჭირს! თავი მოიჭერი შენი უაზრო ახირებით, თავგაპრიანი, ქარაფშუტური მტკიცებით, თითქოს პანდურეთში მეცნიერება მოკვდა! ნუთუ ჩვენთან ჭეშმარიტი მეცნიერები გადაშენდნენ? თუმცა, შენგან ეგ არ მიკვირს და შემდგომ უარესსაც მოველი!

– მაინც, რას? შენზე უარეს სისულელეს მაინც არ წამოვროშავ! – თავის მხრივ მამლაცინწურად წამოიმართა და ლამის მუშტებით მიუხტა ოპონენტს შალიკო შალაფაშვილი. – მაგრამ უკეთესს რას უნდა ელოდე შენისთანა ვაი-მეცნიერისგან!

– ვაი-მეცნიერი, გაიძვერა, უსინდისო და ყალთაბანდი შენსკენ მოიკითხე – ნეტავ ვის მოუვიდა აზრად შენისთანა ვითომ-ექსპერტი ჩემთან საპაექროდ მოეწვია! – აიფოფრა თავის მხრივ შავლეგ შავჭიპაშვილი.

პატივცემული ექსპერტები ახალ-ახალ მომხიბლავ ეპითეტებს სტყორცნიან ერთმანეთის მისამართით; დაიწყეს შეუწყნარებლობისა და თავშეუკავებლობა-თავდაუჭერლობის თუ სხვა ცოდვების ბრალდებით, რაღა არ აკადრეს ერთმანეთს: თაღლითი, ეშმაკი, გაიძვერა, მამაძაღლი, ცბიერი, გაქნილი, გამოძრომ-გამომძრომი, ქვემძრომი უმეცარი, მდაბალი, უსინდისო, უპატიოსნო, პირშავი, პირშერცხვენილი თვალთმაქცი, კადნიერი, თავნება, უპატიოსნო მაიმუნი, ალვირახსნილი უნამუსო, აბეზარი ოინბაზი, დიდთავა თავისნათქვამა... მერე თანდათან გახურდნენ, ერთმანეთი მოიხსენიეს გათამამებულ პირუტყვად, მხეცად, ნადირად, ჭეშმარიტ ავ სულად, სატანად, გათაფხედებულ მაცდურად... შიგადაშიგ ნატიფი გინებაც გამოურიეს და, ბოლოს, ბოლო არგუმენტს მიმართეს: გამარჯვებულის გამოსავლენად მუშტი-კრივიც სცდიან ძალებს – ტელემეყურებელთა გასახარად ღია ეთერში გემრიელად იჩხუბეს! ფრიად დასანანია, რომ “რეფერი” – გადაცემის წამყვანი ქალბატონი – ამ ბოლო დროს ფრიად პოპულარულ სპორტულ დისციპლინაში, ბრძოლაში წესების გარეშე, სრულებით ვერ ერკვეოდა და პაექრობაში გამარჯვებულის გამოვლენა ვერ მოახერხა...

კარი VII.

გვეშველა – სცენაზე გამობრძანებას თვით
პანდურეთის უბრწყინვალესი სულთანი ბაქიბუქა I
ბრძენთა ბრძენი ცერცეტ-წერწეტა ინებებს!

როგორც შემდეგ გამოირკვა, ამ ტრაგიკომედიურ გადაცემას ტელევიზორში უყურებდა თვით პანდურეთის სულთანი, მისი უმაღლესობა ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეტ-წერწეტა, კარგად იხალისა – ამგვარ გასართობს არასდროს გამოტოვებს ხოლმე! – და, ბოლოს, მორიგი ბანანის შესანსვლის დაწყებამდე, – ბანანიც გაგიუბამდე უყვარს! – ჩაიქირქილა:

– ჰი-ჰი-ჰი, ძალიან ვიმხიარულე, ფრიად მოსაწონი იყო! ურიგო არ იქნება, დიდად პატივცემულ ექსპერტთა თუ სპეციალისტ-მეცნიერთა ამგვარი საღალღობო პაექრობა ყოველ საღამოს მოეწეოს – უკეთესს რას იხილავს ტელემეყურებელი! თუმცა, არა, უფრო დიდ საცირკო სანახაობას აწი მე თვითონ მოვაწყობ, ჰი-ჰი-ჰი!

– ვაშა და კიდეგ და კიდეგ დიდება და ვაშა ჩვენს საყვარელ დიდ სულთანს! ჰოი, საკვირველია პირდაპირ, როგორ ბრძნულ აზრებს ვისმენტ თქვენგან, თქვენო აღმატებულება! – მაშინვე გამყვიანი ხმით წამოიძახა მიდი-მოდიმ, ჩია ტანის, გრძელცხვირა კაცუნამ, რომელსაც გრძელი, ძოწისფერი ხალათი ემოსა – სხვა ფერისას სულთანი ვერ მოითმენდა, წითელი ფერი ძალიან უყვარს!.. ამიტომ სულთანსა და, ცხადია, მის ვაზირებსაც მხოლოდ ამ ფერის სამოსი აცვიათ.

ეს მიდი-მოდი გახლავთ ბაქიბუქას ერთ-ერთი ფრიად საპატიო თანამდებობის მფლობელი – მაქებარ ვაზირი; მის ყოველდღიურ მოვალეობაში შედის: ყოველ გამონათქვამს მისი უდიდებულესობისა გულწრფელი აღტაცების ხმამაღალი შეძახილით შეხედეს! ასევე, თუ სულთანი აღროგებს, მეუფის უსაზღვრო სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობის გამოჩნატველი ქებათა ქება უძღვნას და მხოლოდ ერთადერთი რამის შიში არ ჰქონდეს – მამამებლობის მწვერვალების ურცხვად და ურიცხვად დალაშქრისა. ჰოდა, მაქებარ ვაზირი მიდი-მოდიც ნემსის ყუნწში ძვრება: ცდას არ აკლებს, რომ პირნათლად გაამართლოს ბაქიბუქას იმედი, მით უმეტეს, რომ, თუკი განსაკუთრებით ასიამოვნებს მის უბრწყინვალესობას, ეს უკანასკნელი ჯიბეში ხელს ჩაიყოფს და... აბა, თუ მიხვდებით, შემდეგ რას იზამს? მას ოქროს ფულს სტყორცნის, მაშ!.. მაქებარ ვაზირის სახელს სულთანმა საგანგებოდ მოწვეული უცხოელი ფსიქოლოგ-კონსულტანტების რჩევით შექმნა და მიდი-მოდის კანდიდატურა პირადად შეარჩია. რა თქმა უნდა, ვაზირთ ვაზირსა და სხვა ვაზირებს ჭირივით ეჯავრებათ ბაქიბუქას უსაზღვრო ქება-დიდებაში დიდად დახელოვნებული მაქებარი ფავორიტი მიდი-მოდი! დიახ, სულთნის გარემოცვას შავი შური ღრღნის მისი და ცდილობენ, ჩუმ-ჩუმად კვანტი დაუდონ, მეუფის თვალში როგორმე გააშავონ – ოცნებობენ ამ დიდად საპატიო და მეტად სარფიან თანამდებობას თვით დაეპატრონონ! პირში კი მიდი-მოდის ეპირფერებიან, რადგან სულთანთან ძალზე დაახლოებული კაცია და, როგორც მიაჩნიათ, ფრიად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე დიდი გავლენითაც სარგებლობს.

როგორც მოგახსენეთ, სულთანი ბანანის ნამდვილი გიჟია (ასევე, ბევრ სხვა რამესაც ეტრფის, რის შესახებაც შემდგომ მოგახსენებთ), – დიდიდან საღამომდე და შემდეგაც – დაძინებამდე, ამ შესანიშნავი ტროპიკული ხილის ჭამას ახმარს დროის უდიდეს ნაწილს და, ვგონებ, სიზმარებშიც კი მხოლოდ ამ დიდად საპატივცემულ საქმიანობით არის დაკავებული! (იმდენად უყვარს, რომ ერთხანს ვყოყმანობდი: ჩვენს ბანანიჭამია გმირს სახელად ბანანა დავარქვა თუ ბაქიბუქა-მეთქი!). ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ მაქებარ ვაზირ მიდი-მოდის გვერდით სულ თან მიჰყვება ჯანიანი ჯეელი, რომელსაც ბანანებით მოპირთავებული დიდი, ხასხასა წითელი ლანგარი თუ სინი დააქვს და როგორც კი სულთნის გაწვდილ ხელს დაინახავს, მაქებარ ვაზირი მაშინვე შიგ ჩაუდებს მორიგ ბანანს... ამ მსახურის – უფროსი ბანანთ ვაზირის – სახელია ჟღარუნა, მაქებარ ვაზირის დისშვილი გახლავთ, ამიტომ სრულიად ენდობა, რომ ლპობაშეპარულ ბანანს არ შეაპარებს მეუფეს...

დიახ, ბაქიბუქა ბანანის მოყვარული გახლავთ ფრიად; ჯერ ერთი, მისი გემო ეამება, რაც არ არის გასაკვირი და მეორეც – დიდად სასარგებლო ყოფილა ადამიანისთვის მრავალმხრივ – ესეც ყველასთვის კარგად არის ცნობილი, ამიტომ ბაქიბუქას ვერ გავამტყუნებთ, რომ დღეში რამდენიმე ასეული ბანანის განადგურებას თავისუფლად ახერხებს. პირადად მეც, ამის საშუალება რომ მქონდეს, მას დიდი სიამოვნებით მივბამავდი, უამრავ ბანანს მივირთმევედი, ალბათ ოცამდე მაინც, მაგრამ ვაგლახ, მაგის სახსარი არ გამაჩნია... ის კი მიკვირს, ხომ იცი: სულთანი, ბანანის არ იყოს, წითელი ფერის გიჟიცაა და პომიდორს რატომ არ სწყყლობს? პომიდორი ხომ გემრიელიცაა და დიდად სასარგებლოც!

დიახ, სულთანს მუდმივად გვერდს უმშვენებს უფროსი ბანანთ ვაზირი ჟღარუნა (ამ თანამდებობის შექმნა კონსულტანტ-მრჩეველების დამსახურება არ გახლავთ, მხოლოდ და მხოლოდ ბაქიბუქას სურვილმა განაპირობა), რომელსაც ყელზე სასტგენი აქვს ჩამოკიდებული და როგორც კი უკანასკნელი ბანანი შემოეჭმება სულთანს და მის ქერქსაც საითაც მოეხასიათება, იქით ისვრის

და გააფრენს (ასეთი საყვარელი ჩვეულება აქვს!), ჩაჰბერს ამ სასტვენში და მაშინვე უმცროსი ბანანთ ვაზირი – სულთნის კარზე ესეც ფრიად საპატიო და დაფასებული თანამდებობაა, მაქებარ ვაზირის ძმიშვილი – ჯმეტი – ფლობს ამ სახელს! – მოარბენინებს და გადასცემს მას ახალ ლანგარს, რჩეული ბანანებით პირთამდე სასესს.

მიდი-მოდის არც ჰქონდა დამთავრებული სულთნის სიბრძნის საქებარი სიტყვა, რომ ბაქიბუქამ ოქროს ფული ამოიღო მარცხენა ჯიბიდან, მაქებარ ვაზირს სტყორცნა (რომელიც ამ უკანასკნელმა ძოწისფერი ხალათის კალთით მოხერხებულად დაიჭირა) და თან იყვირა:

– გამაგებინე ერთი, ვინ თუ რა ხვითო არის ეგ უცებ საიდანაც გამომტყვერალი უზომოდ გაზრდილი საზამთრო, ვინა გდია, რას წარმოადგენს, რომ ყველა მის შესახებ ლაპარაკობს? მერე რა, რომ მსოფლიოში წარსულში თუ დღეს არსებულ ყველა ცოცხალ არსებას გადააჭარბა სიდიდით! როგორ გაბედა ჩემს დაუკითხავად ამხელაზე გაზრდა? თავხედი!

იცით, საგანგებოდ რატომ აღენიშნე, რომ ბაქიბუქამ დასაჯილდოებლად ოქროს ფული მარცხენა ჯიბიდან ამოიღო-მეთქი? იმიტომ, რომ მარჯვენა ჯიბეს განსაკუთრებით უფრთხილდება: გამოტენილი აქვს თავისი ბრძნული აზრების ამსახველი ჩანაწერებით! რასაკვირველია, შეეძლო, კიდევ ერთი თანამდებობა შეექმნა – მიღიანბე ვაზირისა, რომელიც ყოველივეს ჩაიწერდა სულთნის კარნახით, მაგრამ ბაქიბუქა ამქვეყნად არავის ენდობა – ეშინია, მის ძვირფას ნააზრევს მოჰპარავენ და მიითვისებენ!

ჰოდა, ასე გამაღებელი მიდი-მოდის ბაქიბუქა და წამდაუწუმ ფეხი უბრუნდება, რადგან მის ოქროს ქოშებს ძალიან სქელი ლანჩა და მაღალი ქუსლი აქვს, რათა მეუფე უფრო მაღალი გამოჩნდეს. უნდა ითქვას, რომ სულთანი ტანად საშუალოზე ბევრად დაბალი გახლავთ – 160 სანტიმეტრი სიმაღლისაა, სურს კი, ბევრად უფრო მაღალი წარმოჩნდეს! ხშირად იმეორებს: “მერე რა, რომ, ერთი შეხედვით, კალათბურთელები ვითომ ჩემზე მაღლები არიან; ფიზიკური აზრით – ვერა, მაგრამ იდეურად – ვჯობნი ყველას! იცით, მე სინამდვილეში რა სიმაღლე მაქვს? 2 მეტრი და 20 სანტიმეტრი – ვერაგინ გამიტოლდება! ეს არის ჩემი კოსმოსური სიმაღლე – ცისგან მონიჭებული, ამ მხრივ ვერაგინ შემედრება!”. ბაქიბუქას ხასიათიდან გამომდინარე, გასაგები ხდება მისი ფსიქოლოგიური განწყობაც: ბაქიბუქას ახასიათებს გიგანტომანიისადმი, იქნებ გაუცნობიერებელიც, მიდრეკილება – ყველაფერი უზარმაზარი უყვარს! განსაკუთრებით – მოსული ტანის ქალები! და პირიქით, ახოვან კაცებს ვერ იტანს! გამონაკლისი მხოლოდ პირადი დაცვის ბრგე ჯეელებია. ალბათ მიხვდით, რომ, რა თქმა უნდა, ბაქიბუქას ვაზირები ყველა მასზე დაბალია. მეუფეს ვერაგინ უბედავს თქმას: “თქვენო უმაღლესობა, რად გინდათ, ასე რომ წვალობთ, თითქოს ოჩოფენებზე დადიხართ, თანაც – სასაცილოც ჩანხართ!”. საშიშროების ვაზირმა ყურდიდამ რამდენჯერმე დააპირა ბაქიბუქასთვის იმის თქმაც: “თქვენო უმაღლესობა, გაითვალისწინეთ, რომ თქვენი უდიდებულესობის პირად მცველებს ურთულდება მათი მოვალეობის შესრულება – თქვენს უბრწყინვალესობაზე თავდასხმისა და ლიკვიდაციის მსურველებს მნიშვნელოვნად უიოლებთ ამ სამწუხარო შედეგის მიღწევის შესაძლებლობას”, მაგრამ ყოველთვის გადაიფიქრა...

ბაქიბუქა თან – ბობოქრობს, თან – გამაღებით ამუშავებს ყბებს, ნეტარებით კატასავით ნაბავს თვალებს და სიამით კრუტუნებს; მერე უცებ სულ სხვაგვარი აზრები ეწვია მის წითელი ჩალმით შემოსილ გოგრას (არ გააკვირდეთ: ბრძენთა ბრძენს ფრიად ახასიათებს გუნება-განწყობილების ამგვარი სწრაფი ფერისცვალება) და მიდი-მოდის მახვილ სმენას მისწვდა მისი უკმაყოფილო ბურღლუნის:

– არა... დიახ... არა... ეგ დიდსაზამთრო... არა... ეგ საზამთროდიდი... სამარცხვინოა, ყველა მასზე ლაქლაქებს... ჩემზე მეტად... არა, ამას არავის ვაპატიებ... დიახ, დედა უნდა ვუტირო... – და უცებ სულთანმა იგრგვინა: – ახლავე გაჩნდეს აქ ვაზირთ ვაზირი!

მოკლე ხანში გამოცხადებულ ვაზირთ ვაზირ დიახ-დიახს (თუ მოვახერხე, მას მოგვიანებით გაგაცნობთ, ახლა კი, როგორც თვით დარწმუნდებით, უნდა მეტად საჩქარო საქმეზე გაიქცეს) ბაქიბუქამ უყვირა:

– ვიგინდარებო!.. რეგვენებო!.. უქნარებო!.. საჩქაროდ აღდგეს უკანონოდ და უაზროდ გაუქმებული პანდურეთის მეცნიერებათა აკადემია და მოწვეულ იქნას საგანგებო სხდომა საზამთროლოგიის საჭირობოროტო საკითხების ირგვლივ არსებულ საკითხთა განსახილველად! ბრიყვებო!.. მუქთამჭამელებო!.. სალახანებო!.. ჭკუის კოლოფებო!.. ამისთვის სულ გაძლევთ ორ საათს! ბოთებო, გაფრთხილებთ: წუთის გადაცილება არ გაბედოთ! თუ ვერ მოასწრებთ დროულად სხდომის გამართვას, გპირდებით: დედას გიტირებთ, ციხეში ყოფნა მოგენატრებათ – ყველას დაგიჭერთ და თავებს სათითაოდ დაგაჭრით!.. – და გამშრალ პირში მორიგი ბანანი იტაკა.

რა თქმა უნდა, მაქებარ ვაზირმა დიდად შეაქო სულთნის ეს გადაწყვეტილება:

– ყველანი დიდად, უსაზღვროდ ბედნიერი გახლავართ, რომ ასეთი ბრძენთა ბრძენი უდგას სათავეში ჩვენს ბედნიერ ქვეყანას და მტკიცე ხელით მიჰყავს ბედნიერი მომავლისკენ! უსაზღვრო სიბრძნე იღვრება თქვენს ღვთაებრივ ბაგეთაგან, დიდო სულთანო! როგორ დროულად ახერხებთ ყველაფრის განჭვრეტას და აუცილებელი შესაბამისი ღონისძიებების დასახვას! ჭეშმარიტი ერის მამა ბრძანდებით, თქვენი ბრძნული გადაწყვეტილებანი და სასახელო საქმენი საუკუნეთა შემდეგაც მიუწვდომელ ნიმუშად და მისაბამ მაგალითად დარჩება ყველა საჭეთმყრობელისთვის!

ამჯერად ბაქიბუქამ მიდი-მოდისთვის საჩუქრად არაფერი გაიმეტა.

ცხადია, მის უდიდებულესობას ვერავინ შეჰკადრა, შეეხსენებინა, რომ პანდურეთის მეცნიერებათა აკადემია თვით ბაქიბუჯა I-ის უზენაესი ნებით იქნა გაუქმებული, როგორც ყოველად უსარგებლო, უღიჯური, დრომოჭმული დაწესებულება, – თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა უიმედოდ ჩამორჩენილ, მიხრწნილ, უმაქნის მეცნიერთა თავშესაფარი...

ზუსტად ერთ საათში პანდურეთის დარბაზის საგანგებო სხდომამ დაამტკიცა შესაბამისი ბრძანებულება, ხოლო კიდევ ერთ საათში, – უკვე ღამის 2 საათი იყო, – საჩქაროდ შეიკრიბა სახელდახელოდ აღდგენილი პანდურეთის მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო სხდომა.

შემორჩენილ ხანდაზმულ მეცნიერთა თავყრილობა, ბრძენთა ბრძენის ბრძანებით, ტელევიზიით პირდაპირ ეთერში გადაიციმოდა: ყველამ უნდა დაინახოს, მტერმაც და მოყვარემაც, როგორ დღედაღამ განუხრელად ზრუნავს პანდურეთის მთავრობა და, კერძოდ – პირადად თვით სულთანმა, ქვეყნაში მეცნიერების ყოველმხრივი განვითარებისთვის!

არავის გაჰკვირვებია, რომ აღდგენილი მეცნიერებათა აკადემიის სახეიმო გახსნას სულთანმა დაესწრო და ამ დღიად მნიშვნელოვანი მოვლენისადმი მიძღვნილი მისასალმებელი სიტყვის წარმოდგენის პატივიც მას უნდა რგებოდა, აბა, სხვას ვის?

საზოგადოდ, პანდურეთში ასეთი ფრიად გონივრული და დიდად მოსაწონი წესი და კანონია მიღებული: ბაქიბუჯა I ბრძენთა ბრძენმა ცერცეტ-წერწეტამ გული არაფრით უნდა დასწყვიტოს პანდურეთს მისი ხილვის ბედნიერებით და ყოველდღე რომ არ გამოჭენდეს ტელევიზიის ეკრანზე, არაფრით შეიძლება! ხან – რომელიმე საპოლიციო უბნის ახალი შესანიშნავი შენობის გახსნისას აჯახებს სეფისიტყვას ბედნიერ დამსწრე საზოგადოებას, ხან – ახალი, სუპერთანამედროვე საპრობილის აშენებას მიულოცავს ტელემაყურებლებს და ხან – თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისი ახალი სასამართლო დარბაზით გაახარებს... თან – იმდენს ბაქიბუჯა I-ს მისი ხელმძღვანელობით მიღწეულ პანდურეთის წარმოდგენელ წარმატებებზე, რომ ფრიად უცნაური რამ ემართება: ამ დროს ყურები შესამჩნევად ეზრდება, ეზრდება და თვალები კი უპატარავდება, უპატარავდება... ზოგჯერ ისე ძალუმაღ გაუტყვს, რომ თვალები ქინძისთავის ოდენა უხდება, ხოლო ყურები მთლიანად ფარავენ ყველაზე ფართოფორმატიანი ტელევიზორის ეკრანს – ძველებური გრამოფონის ხელა უხდება; წარმოიდგინეთ, რამდენად სახალისოა ორი ამხელა “გრამოფონის” ერთად ხილვა! ცხვირი რაღას შერება ამ დროს? ხომ არ გაიჭყლიტება მათი ურთიერთდაჯახებით და დაიკარგება? ჰო, ცხვირიც პოულობს ამ ჰარმონიულ სურათში საკუთარ ადგილს, უკვალოდ არ იკარგება – ისიც იზრდება, ოღონდ, ყურებისგან განსხვავებით, – სიგრძეში, თან წვრილდება, ასე რომ, ხონტქრის დიდებული გამოსვლის ბოლოს ზოგჯერ ცხვირი იმდენად წვეტიანი ხდება, ლურსმნისგან ვერ გაარჩევთ. ალბათ დამეთანხმებით, რომ წესითა და სამართალით სულთანს ფრიად შეეფერება “ყურდიდას” მეტსახელი, მაგრამ ეგ თიკუნი სხვა პერსონაჟისთვის შემოვინახე და შემდგომში თვით მიხედვით, ამგვარად რატომ მოვიქცევი.

ღიახ, პანდურეთის ხშირად ხუმრობენ: “ჩვენი საყვარელი სულთანი ნაღდად ტელევიზორშია გაჭედოლი, საბრალოს როგორმე უნდა ვუშველოთ! როცა კი ჩართავ, სულ სულთანს აჩვენებენ – დღენიდაგ მისი ყურების ყურება და მისი ძვირფასი სიტყვების მოსმენა გვიწევს!”. მართლაც, დღე არ გავა, რომ ბრძენთა ბრძენი არ გამობრწყინდეს ტელეეთერში – ფრიად ენერგიული მოდგაწეობის იმიტაცია ღიმილს იწვევს: მაგალითად, მორიგი საპოლიციო შენობის მშენებლობას ეწვევა და, მუშათა გასახარად, განუწყვეტილად იძლევა ხელმძღვანელ მითითებებს: “შენ წადი მარჯვნივ!”, “შენ მიბრძანდი მარცხნივ!”, “შენ – აქ დადექი!”... თვითონაც ვითომ საქმიანობს: ხან – მიაქვს ბეტონის ბლოკი მშენებლობაზე... ხან – საგანგებოდ სასულთნო სასახლეში მოწვეულ მოსწავლეებს მოძღვრავს, რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თითოეული მათგანის სწავლა-განათლებისა და, საერთოდ, ქვეყნის წინსვლისთვის ინგლისური ენის დაუფლებასა და კომპიუტერის შესწავლას... ხან – გლეხებს ხენაში ეხმარება – ტრაქტორს მართავს... ხან უპოვართა თავშესაფარში მობინადრებულთა გულთბილად საუბრობს და მერე მათთან ერთად სადილობს, ხან – საფეხბურთო მაჩს ესწრება – მას უფრო ხშირად აჩვენებენ, ვიდრე ფეხბურთელებს! ხან – მთავრობის სხდომას მართავს: სასაცილო სანახავია, როგორ ტუქსავს ვაზირებს, ბრძნული იერით იძლევა მეტად ძვირფას მითითებებს სხვადასხვა სამეურნეო თუ საზოგადოებრივ საკითხებზე, არადა, აშკარად ჩანს, რომ განსახილველ საკითხებში სრულიად უვიცია; ხანაც – ესწრება სამხედრო მანევრებს და მხოლოდ მაყურებლისა თუ დამკვირვებელი პირის როლით არ კმაყოფილდება და პირადად მართავს უახლესი მოდელის ტანკს... ყველაფერი იცის, ყველაფერი შეუძლია – უიმისოდ პანდურეთს რა ეშველებოდა!

ამჯერადაც დამსწრე საზოგადოება და ტელემაყურებლები გატაცებით უყურებდნენ და უსმენდნენ ხონტქარ, ბოდიში, სულთან ბაქიბუჯა I ბრძენთა ბრძენ ცერცეტ-წერწეტას ბაქიბუჯობას იმის თაობაზე, თუ რაოდენ განუხრელად ზრუნავს იგი პანდურეთში განათლების საყოველთაო გაფუძრების, კულტურის არნახული აყვავებისა და მეცნიერების ყოველმხრივ განვითარებისთვის...

– და ამ უდავო ჭეშმარიტების კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია დღევანდელი დიდად სასიხარულო, ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენაც – გიგანტური საზამთრო! ხვალ და ზეგ კი, ამაში ეჭვი არავის ეპარება, კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით განვაგრძობთ ზრუნვას ჩვენი მეცნიერების განუხრელი აღმავლობისთვის!..

და რაც უფრო ბაქიბუქობდა ჩვენი გმირთა გმირი და ერთ მამალ ტყუილს მეორეთი ცვლიდა და მეორეზე მესამეს, მეოთხესა და ასე შემდეგ უმატებდა, მით სწრაფად ეზრდებოდა ყურები და მათ ბაძავდა ცხვირი, ხოლო თვალები უპატარავებოდა...

ამ დალოცვილ პანდურეთში საკმაოდ მოიძებნებოდა მოცლილი თუ “ჩასაფრებული” კირკიტა ხალხი, რომლებიც რეგულარულად აკვირდებოდნენ ხონთქრის, – ბოდიში, სულ მეშლება, – სულთნის ყურებისა და ცხვირის ზრდის დინამიკას სხვადასხვა გამოსვლებში; ერთმანეთს უდარებდნენ, როდის უფრო გამოიჩინა თავი ბრძენთა ბრძენმა ბაქიბუქსა და ტყუილების დახვავებაში. ამჯერად ბაქიბუქა ჩვეულებრივზე უფრო თავშეკავებულად მოიქცა, შედარებით ნაკლები ბუქი დააყენა და ყურებიც მხოლოდ და მხოლოდ სასადილო თევზის ხელახე გაეზარდა, რამაც საზოგადოებრიობაში გაკვირვება გამოიწვია. ამ მოვლენას მხოლოდ ის ახსნა აქვს, რომ ჩვენი სანაქებო სულთანი ბუნებით მოუთმენელი, პატარა ბავშვივით სულსწრაფი გახლავთ და სურდა, რაც შეიძლება მალე დაწყებულიყო აკადემიოსთა კამათი და დამტკბარიყო “უკვდავთა” ჩხუბის ცქერით – სხვათა ცემა-ტყეპის ცქერა, ბანანის ჭამის შემდეგ, ყველაზე მეტად იზიდავს ჩვენს ბედნიერ გმირს... ტელემეყურებელთათვის ბაქიბუქას ესოდენ ხანმოკლე სტუმრობა ტელეეკრანზე ერთგვარი შეღავათი იყო: მაყურებელთა მზერა დროებით დაისვენებდა ბაქიბუქას სახის ხილვის ბედნიერებისგან – მეორე დღემდე მაინც, სანამ ბრძენთა ბრძენის ყურები, ცხვირი და თვალები ჩვეულებრივ მდგომარეობას დაუბრუნდებოდნენ.

იცით, რატომ მეშლება ხოლმე, ბაქიბუქა სულთანია თუ ხონთქარი? ახლავე მოგახსენებთ ჩემს განსაჭირს (და, სამწუხაროდ, ეს მთლიანად ქვეყნის გასაჭირიცაა!). საქმე იმაში გახლავთ, რომ ბაქიბუქა ნომინალურად ვითომ ხალხის მიერ ქვეყნის არჩეული პრეზიდენტია, მაგრამ ისე იქცევა, თითქოს ფაშა, ხონთქარი, შაჰი, სულთანი ან იმპერატორი იყოს. რაც კი მოეხსნათება, ყოველგვარი ახირება თუ ხუმტური გასდის კაცს, ნაღდი სულთანივით იქცევა და ამიტომ გადაეწყვიტა, რადგან ეს წოდება ფრიად შეეფერება მის საქციელს, იგი ამ ჩემს მონათხრობში მხოლოდ სულთანად მოვისხენიო ხოლმე, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?

რაც შეეხება მეცნიერებათა განახლებული აკადემიის გახსნის შემდგომ გაჩაღებულ დისკუსიაში მეცნიერთა გამოსვლებს... პატივცემულ აკადემიოსებში, ეტყობა, კარგა ხნის განმავლობაში უნებლიე დასვენებამ ჭარბი ენერჯის დაგროვება გამოიწვია – როგორც სულთანი იმედოვნებდა, დიდი საზამთროს ფენომენის შესახებ სრულიად სხვადასხვაგვარი ვარაუდები გამოითქვა, თანაც – საკმაოდ ცხარედ, მაგრამ ბაქიბუქას მოლოდინი გაუცრუვდა – დაგა აკადემიური ხასიათის კამათის ჩარჩოს არ გასცდა და ხელჩართულ ჩხუბში არ გადაიზარდა... და ეს არ იყო მიზეზი მხოლოდ იმისა, რომ ფრიად მსცოვან ადამიანთათვის ბუნებრივად თანმდევი წელკავი, ართრიტი, სქოლიოზი და ათასი კიდევ სხვა ამგვარი, ბუნების მიერ ხანდაზმულთათვის ნაბოძები, სიკეთე, ამის საშუალებას არ იძლეოდა – ბაქიბუქამ ბევრი რამ შეცვალა პანდურეთში, მაგრამ ვერ შეძლო ყველა მოქალაქეში კეთილგანწყობის, შემწყნარებლობისა და თუნდაც ჩვეულებრივი ზრდილობის აღმოფხვრა, მით უმეტეს – ძველი თაობის ინტელიგენტებში...

როცა სულთანს გემრიელი სანახაობის ხილვის იმედი გაუცრუვდა, გაბრაზებული, ლამის გაცოფდა, საპატიო სტუმრების ლოჟიდან გამოფარდა; გალიაში გამომწყვდეული მშვიერი ვეფხვივით აქეთ-იქით წრიალებდა, დროებით ბანანის მირთმევაც კი დაავიწყდა...

ყველანი გაისუსნენ, უსმენდნენ მეუფის უკმაყოფილო წამოძახილებს: – მაგათ ერთი გემრიელი პანდური მოუხდებოდათ, იქნებ გამოცოცხლებულიყვნენ!.. უნიათოებო!.. უჯიშოებო!.. ჩაჩანაკებო!.. საპყრებო!.. ეს რა სისულელე ჩავიდინე, რომ არ უმაქნისებს აკადემია აღვუდგინე!.. ლეშეხო!.. უხეიროებო!.. დაგარდნილებო!.. უბადრუკებო!.. – და უცებ იღრიალა: – გეყოფათ ილიტური იწილო-ბიწილო, მომბეზრდა ამ ჩერჩეტი, ვითომ უცოდველი ანგელოზების სისულელეების მოსმენა, ახლავე შესვენება გამოაცხადეთ!

შესვენებისას სულთანმა მოიხმო საშიშროების ვაზირი ყურდიდა (ამ ჩვენს გმირსაც, თუ მოვიცალე, შემდგომ უფრო ახლოს გაგაცნობთ) და უყვირა:

– შე მკვდარბაღლო რეგვენო, ათ წუთს გაძლე, რომ მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო სხდომამ საგანგებო სიტუაციების არეგ-დარევის ვაზირი ძრომილა და დიდი ექსპერტები – შაგლეგ შაგჰიპაშვილი და შალიკო შალაფაშვილი – აკადემიის ნამდვილ წევრებად აირჩიონ! ახლავე!.. ძრომილა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტიც უნდა გახდეს!.. შემდგომ ღია ეთერში პაექრობა ძრომილამ უნდა წაიყვანოს და კარგი სანახაობაც მოგვიწყოს! თავმკვდარო, გაინძერი, დროზე გაადგი ფეხი, შე ოხერო ჯანჯალავ!

– დიდო მეუფეო, თქვენი ხმალი და ჩემი კისერი! თქვენი უდიდებულესობის იმედს ნამდვილად გავამართლებ და მეცნიერებათა აკადემიის ახალი წევრებიც, იმედი მაქვს, არ შეირცხვენენ პირს! – თავი მდაბლად დაუკრა ყურდიდამ და, რათა უფრო სწრაფად შეესრულებინა საპასუხისმგებლო დავალება, ხონთქრის ქოშის ჭვინტის ამორტემის გემოც შეიგრძნო და კარისკენ თითქმის გაფრინდა! თან, მიმქროლავი, გზად ფიქრობდა: “რა სისულელეს არ გადაეყრები ამ ჭკუა-ნაღრძობი სულთნის შემხედვარე! თან უაზროდ სულსწრაფიცაა, თითქოს ცეცხლი უკიდია... ოჯახაშენებულმა, ამ მოხუცებულ ხალხს მაინც რას ერჩის, ღამე უნდა გაათენებინოს?! ახია მათზე, რას მოჩერჩეობდნენ, ვერ დაეტიენ შინ? თუმცა... როცა ძალით წამოყვანით დაემუქრები, ჯანიანი ჯელებიც დაგემორჩილებიან”...

ამ შემთხვევაში საშიშროების ვაზირ ყურდიდას სავსებით ვეთანხმები: ეს ჩვენი ბედნიერი და სახელოვანი სულთანი ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცვტ-წერწეტა, რა თქმა უნდა, ვერ იქცევა მთლად რიგიან-პირიანად, მაგრამ რას ვიზამთ... ძალთამპყრობელი სულთანი გახლავთ და მეუფეს რომელი ჭკუათმყოფელი გაუბედავს საკუთარი შეხედულების შეთავაზებას, მით უმეტეს – ჭკუას ვინ დაარბიებს? გინდაც გამოჩნდეს ვინმე თავზე ხელაღებული, ან სულელი, ან რეგვენი და სულთანს თუნდაც სულ უბრალო რჩევა მისცეს, რას მივიღებთ შედეგად? მხოლოდ იმას, რომ უგუნურ არამკითხე მოამბეს თანამდებობიდან გამოაპანდურებენ და თუ ასე იოლად გადაჩა, დმერთს მადლობა უნდა შესწიროს... ისევ გკითხულობ: ბაქიბუქას ჭკუას ვინ ან რა ასწავლის? მხოლოდ და მხოლოდ – დრო! ჰოდა, ჩვენც რაღა დაგვრჩენია, დაგაკვირდეთ მისი უმაღლესობის უცნაურ და არაჩვეულებრივად მომხიბლავ ქმედებებს, რომლებიც, ერთთა შეფასებით, გაზულუქებულ-თავგასული პიროვნების ახირებებია, მეორენი კი, უფრო შემწყვალელებურად ხედვებიან სულთნის “ცელქობებს”, ერთი მსახიობის თეატრის პატარ-პატარა წარმოდგენებად ნათლავენ და მოგვიწოდებენ: “სხვა გზა არ არის, ჯობს, ვუყუროთ მის მალაყებს და ვიმხიარულოთ!”.

კარი VIII.

მსოფლიოს უფოლოგთა საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელობა სასწრაფოდ დაფაცურდა – მაქცია ტარტაროზაშვილის წარმატებული მისია

პანდურეთის მეცნიერებათა აკადემიის ახალმა ვიცე-პრეზიდენტმა პრომილამ, მისი ჭკუით, ძალისხმევა არ დააკლო სულთნის ბრძანების შესრულებას: მისი შეხედულებით, საუკეთესო, წაუგებელი სვლა გააკეთა – როცა უღიმღამო დისკუსიამ პანდურეთის უფალი ჯეროვნად ვერ გაამხიარულა, შემდგომ პაექრობაში მიღების უფლება შავჭაბაშვილსა და შალაფაშვილს მისცა! ეს უკანასკნელებიც ჩვეულებისმებრ ეცნენ ერთმანეთს... მაგრამ ამჯერად ამ დავის აღწერისგან თავს შევიკავებ, რადგან ახალს ხომ ვერაფერს იტყოდნენ და, ამასთანავე, წინა პაექრობისას ისე ჩახრინწოდათ ხმები, მხოლოდ ხავილი ამოსდიოდათ ყელიდან – ძნელად რასმე გაარჩევდი... თანაც, გულახდილად გეტყვით, ცოდვა გამხეილი ჯობს: ძალიან გვიანი იყო და ტელევიზორის წინ სავარძელში მჯდომს ტკბილად ჩამძინებოდა...

მოგახსენებათ, ჩვენ ინფორმაციის უსწრაფესად გავრცელების ეპოქაში ვცხოვრობთ და პანდურეთი, – ამ სადღაც მივარდნილი ქვეყანის სახელი ძალიან ბევრს აქამდე არც კი გაეგონა, – უცებ მთელი მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა – გიგანტური საზამთროს მოგვინება მსოფლიო სენსაციად იქცა!

როგორც კი საქვეყნოდ ფართედ გახმაურდა საოცარი საზამთროს ამბავი, სასწრაფოდ დაფაცურდა მსოფლიოს უფოლოგთა საერთაშორისო კავშირის ხელმძღვანელობა და პანდურეთის უფოლოგთა საზოგადოებას აუწყა: უფოლოგთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა კონსულტაციები გამართა სხვადასხვა ქვეყნების უფოლოგთა საზოგადოებების პრეზიდენტებთან და გადაწყდა, რომ კოსმოსური სტუმრის – დიდი საზამთროს – დაშვების ადგილზე, სოფელ სანდაოცეთში, სასწრაფოდ მოწვეულიყო ამ ფრიად ავტორიტეტული მსოფლიო მასშტაბის ორგანიზაციის რიგგარეშე მსოფლიო ყრილობა! ამ ფრიად საშური საქმისთვის საჭირო თანხების მოსახიდად, ღონისძიების მესვეურებმა წერილობითად და საინფორმაციო საშუალებების მეშვეობითაც მიმართეს მსხვილი ფინანსური შესაძლებლობების ფიზიკურსა და იურიდიულ პირებს – პოტენციურ სპონსორებს, აგრეთვე, იტერნეტის საშუალებით – მსოფლიოს ყველა კუთხეში მცხოვრებ კეთილ ქველმოქმედ ადამიანებს – ყველას, ვისაც თუნდაც მცირე თანხის გაღების სურვილი და შესაძლებლობა ჰქონდა... და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან წვიმასავით წამოვიდა შემოწირულობები – მოკლე ხანში ამ დიდად მნიშვნელოვანი ღონისძიების დასაფინანსებლად – სანდაოცეთში გიგანტურ კოსმოსურ სტუმართან მსოფლიოს უფოლოგთა კავშირის ყრილობის ჩასატარებლად – შეგროვდა 2 მილიარდ ევროსა და 5 მილიარდ დოლარზე მეტი! ოფიციალურ დელეგატთა გარდა, სანდაოცეთში ჩასვლის სურვილი გამოთქვა რამდენიმე ათასმა მოყვარულმაც, – უფოლოგიის ენთუზიასტმა თავყვანისმცემელმა, – რათა ადგილზე ეხილათ კოსმოსიდან მოფრენილი მოულოდნელი სტუმარი – საოცარი საზამთრო!

მართლაც, წარმოვიდგენიათ, რა დიდი მოვლენა იქნება პანდურეთის ისტორიაში – უფოლოგთა საერთაშორისო კავშირის რიგგარეშე მსოფლიო ყრილობის ჩატარება მის მიწაზე!

ამ ფრიად პატივსაცემი ორგანიზაციის მსოფლიო ყრილობის ჩატარების ადგილზე ორგანიზაციული საკითხების მოგვარება პანდურეთის უფოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტსა და მის აპარატს დაევალა და, უპირველესად, გადასაწყვეტი გახდა ერთი ფრიად დელიკატური საკითხი...

ყველაფერი, რაც პანდურეთში ახლა ხდება, ან მომავალში უნდა მოხდეს, დაუწერელი, მაგრამ მტკიცედ შესასრულებელი კანონის მიხედვით, წინასწარ პირადად სულთანთან უნდა იყოს შეთანხმებული! ბაქიბუქასგან დასტურის მიღების გარეშე, პანდურეთში უბრალო ფეხსაღაგსაც ვერაინ დადგამს საკუთარ ეზოში და წარმოვიდგენიათ, უფოლოგთა საერთაშორისო კავშირის ყრილობა რა მსოფლიო მასშტაბის ღონისძიებაა!

პანდურეთის უფოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტი მაქცია ტარტაროზაშვილი დატრიალდა, – სულთანთან შესახვედრად “საჭირო” ხალხთან დაკავშირებას ცდილობდა, – უფოლოგთა კავშირის ყრილობის პანდურეთში ჩატარებისთვის ნებართვის მისაღებად.

პანდურეთში საყოველთაო დემოკრატიისა და საჯაროობის ეპოქის დამკვიდრების ნათლიმა მასთან, სულთან ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენ ცერცეტ-წერწეტასთან, მისასვლელი “გზა”, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ ნარეკლიანი და ძვირადღირებული გამოდგა. ქვეყნის უფოლოგთა თავკაცი მაქცია ტარტაროზაშვილი ამგვარად შეუდგა ბაქიბუქასთან მიმავალ “მაღალ კიბეზე” ასვლას: პირველ “საფეხურზე” აცოცება 5 000 დოლარი დაუჯდა, მომდევნო, უფრო მაღალ “ღონეზე” ასასვლელად თანხა გაორმაგდა, მესამე “საფეხურის” დაძლევა უკვე 50 000 დოლარი დასჭირდა, ხოლო მეოთხე “ინსტანცია” კი უკვე თვით საშიშროების ვაზირი ყურდიდა გამოდგა! და მაქცია ტარტაროზაშვილს სულთანთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად კოსმოსური თანხის – ნაღდი კუპონურებით ზუსტად 100 000 დოლარის – დაყაჭვა მოუხდა!

ტყუილად კი არ ბაქიბუქობდა საჯარო გამოსვლებისას სულთან – პანდურეთში კორუფცია მთლიანად და საბოლოოდ დავამარცხეთო!

და აი, დადგა ნანატრი წუთიც – მაქცია ტარტაროზაშვილმა მეხუთე, ბოლო “საფეხურსაც” მიაღწია, “მწვერვალი” წარმატებით დაიპყრო: მაქციამ მიიღო თანხმობა – თვით ბრწყინვალე სულთანს შეხვედრა!

ყოჩაღ, ყურდიდა სიტყვის კაცი გამოდგა!

სანამ მაქციას სულთნის მისაღებ დარბაზში შეუშვებდნენ, ჯერ, პირველ საფეხურზე – სასახლის დაცვისა და შემდეგ, მეორე საფეხურზე – ბაქიბუქას პირადი დაცვის თანამშრომლებმა ბატონი უფოლოგი ძირფესვიანად გაჩხრიკეს, შეხვედრების დარბაზში შესვლის წინ კი, კიდევ ერთხელ შეამოწმეს: თითქმის მთლიანად გახადეს ტანსაცმელი და თითოეული ნაკეცი ხელით გულდაგულ “გაჩითეს”, თმებშიც კი ეძებდნენ, რაიმე მჩხვლეტავ საგანს ხომ არ მაღავესო; ყურებშიც ჩახედეს, ენაც კი გამოაყოფინეს! ფეხსაცმელი გახადეს, ჰალსტუხი და შარვლის ქამარი დაიტოვეს, მხოლოდ ტანსაცმლის ჩაცმის უფლება მისცეს და ასე, ფეხშიშველი, საშიშროების ვაზირის ყურდიდას თანხლებით, შებრძანდა მაქცია ტარტაროზაშვილი სულთნის მისაღებ დარბაზში; შარვალი ხელით ეჭირა, თორემ ჩასძვრებოდა.

ფრთხილად მიმოიხედა – გაჩირადნებულ, ოქროსფერ დარბაზში, შემოსულთა გარდა, არავინ იყო. მანამდე, სეფედარბაზის შესასვლელთან, კარის აქეთ-იქით, ორი, ავტომანქანის წითელი სდექ-სიგნალის მსგავსი რამ შეამჩნია და არ გაჰკვირვებია, კარგად იცოდა მათი დანიშნულება: უხილავი ლახერის სხივი ზუსტად ბაქიბუქას სიმაღლის ღონეზე – ანუ 160 სანტიმეტრის სიმაღლეზე – გადის და, როცა ვინმე მთხოვნილი მოდის, თუ ის ბაქიბუქაზე უფრო მაღალია, ნათურები ინთება და მომსვლელს კარი ავტომატურად ეკეტება, შესასვლელ გზას უღობავს... კიდევ კარგი, მაქცია ტარტაროზაშვილმა ამ ერთგვარ “პროგრუსტეს სარეცელში” გავლა მოახერხა – საკმაოდ დაბალი იყო! თუ არა და უკან გააბუნძულდნენ და, საწადელის მისაღწევად, იძულებული იქნებოდა, პანდურეთში საყოველთაოდ ცნობილი ხერხისთვის მიემართა – დაბალი შუამავლის გამოყენება მოუწევდა...

ხუთი წუთი იცდიდნენ ასე უფოლოგი და ვაზირი ყურდიდა; უცებ ოქროს კარი ზათქით გაიღო და დარბაზში თითქმის სირბილით შემოვარდა მისი უდიდებულესობა ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეტ-წერწეტა! უკან ქოშინ-ქოშინით მოსდევდნენ მაქებარ-ვაზირი მიდი-მოდო და უფროსი ბანანთ-ვაზირი და მისი ხელქვეითი, რასაკვირველია, ბანანებიანი ლანგრით ხელში. წარმოიდგინეთ ახლა, ბანანთ ვაზირის დამხმარეს რა უდიდესი ოსტატობა სჭირდებოდა, – ცირკის მსახიობის ღონისა! – რომ ამ სირბილში ლანგრიდან ბანანები არ გადმოსცვენოდა!

ვაზირი ყურდიდა და უფოლოგთა თავკაცი მაქცია ტარტაროზაშვილი წელში ორად ისე თავგამოდებით მოიხარნენ, ლამის ცხვირები ფუმფულა ხალიჩაში ჩარგეს.

სულთანმა წითელი ჩაღმა მოიხადა და ინით წითლად შეღებილ გრძელ წვერზე ხელი დინჯად ჩამოისვა, მერე ხელი აუქნია საშიშროების ვაზირს, მომწყდი თავიდანო და მაქციას დათაფლული ღიმილით მიმართა:

- რაზე შეწუხებულხარ, ჩემო კარგო? მზად ვარ გემსახურო!
- სულმნათო დიდო სულთანო, უპირველესად, შევთხოვ უფალს თქვენი უდიდებულესობის მარად კეთილად ყოფნას და ბედნიერ ზეობას სრულიად პანდურეთსა სასიხარულოდ... – მაქცია უცებ მუხლებზე დავარდა, რითაც ბაქიბუქა დიდად დააფრთხო. – შენი მუხლების ჭირიმე, უმორჩილესად გთხოვთ, უზენაესი ნება დაგვრთოთ, რათა მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერი-უფოლოგები შეიკრიბნონ ჩვენს მშვენიერ სამშობლოში – სოფელ სანდაოცეთში – და იქ ჩაატარონ უფოლოგთა მსოფლიო საერთაშორისო კავშირის საგანგებო ყრილობა! უშუალოდ დიდ საზამთროსთან! ამით ჩვენი საოცარი საზამთროსა და მთლიანად პანდურეთის პოპულარიზაციას დიდად შე-

გუწყოთ ხელს მთელი მსოფლიოს მასშტაბით... თქვენო უდიდებულესობა, მომავალი ყრილობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა გახლავთ და, დარწმუნებული ვარ, დიდებულად ჩავატარებთ, რა თქმა უნდა, თქვენი უბრწყინვალესობის პატრონაჟითა და თანადგომით!

ბაქიბუქამ შვებით ამოისუნთქა:

– ადექი, ადექი!... დიდად მსიამოვნებს ამის გაგონება და თანხმობაც მომიხსენებია! გეთანხმებით: ეს უდაოდ უდიდესი მოვლენა იქნება თანამედროვე პანდურეთის ისტორიაში!

– უღრმეს მადლობას გწირავთ, დიდად სულთანო! – მოიხარა წელში ფეხზე წამომდგარი მაქცია. – ნება მიბოძეთ, ფრიად საინტერესო ინფორმაცია მოგახსენოთ: ერთი ჩვენი სანდოცელი უფოლოგის დაკვირვება ფრიად ღირებულად გახლავთ; პატივცემული კოლეგა ამტიცებს, და მე მას სავსებით ვენდობი, რომ საკუთარი თვალთ იხილა, როგორ დაეშვა სისხამ დილით დედამიწაზე ეს უზარმაზარი, ადამიანის მიერ ჯერ მანამდე თვალთ უნახავი, საზამთრო პირდაპირ ციდან... და უდიდესი გრუსუნ-გრიალიც მოჰყოლია ამ ამბავს! წარმოგიდგინათ, რა სასახელოა ჩვენი ქვეყნისთვის, რომ ეს ისტორიული მოვლენა ჩვენს მიწა-წყალზე მოხდა და ჩვენი თანამემამულე უშუალო მხილველია ყოველივე ამისა! ეს გარემოება აათმაგებს ჩვენს პასუხისმგებლობას, რათა ყრილობა უმაღლეს დონეზე ჩატარდეს და ჩვენს ქვეყანას ახალი დიდება მოუტანოს! დიდად მოხარული ვიქნებით, და ეს ჩვენთვის დიდი პატივი იქნება, თუ თქვენი უმაღლესობა დათანხმდება პანდურეთის უფოლოგთა საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეობას!

– ამასაც გიდასტურებთ: დიდი სიამოვნებით ვთანხმდები! ახლა საქმეს მივხედოთ... – და ბაქიბუქამ მაქებარ-ვაზირს უბრძანა: – ცოტა ხნით გაისეირნე, დათაფლული სიტყვების მარაგი შეივსე! და კარის მაგრად მოხურვა არ დაგავიწყდეს! შენც მიბრძანდი, – ახლა უფროს ბანანთ-ვაზირს მიმართა, – ოღონდ ოცი ბანანი მაინც დამიტოვე პირის გასასველებლად!

– დიდად სულთანო, მე უძღური ვარ თქვენი სიბრძნის საღაროს ჩაგწვდეს და ოდნავ მაინც შესაფერისად დაგაფასო! – მიდი-მოდი თავისი სიტყვების დასტურად, ორად მოიხარა და ასე, სულთნისკენ პირმიქცეული, უკან-უკან სვლით, დარბაზიდან გავიდა, მას უხმოდ მიბაძა უფროსმა ბანანთ-ვაზირმა და მისმა დამხმარებამაც – ბანანებიანი ლანგრის გარეშე.

ჭამა-სმის დიდად მოყვარული ბაქიბუქა ტანად დაბალი და ჩაკუპატებულ-ჩამრგვალებულია, მაგრამ ვერცხლისწყალივით მოძრავიც გახლავთ – ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდება; მარად და ყველგან ერთგულია თავისი დაუდგომელი ხასიათისა: დახტის, დარბის, წიხლებს იქნევს; ერთს – პანჩურს ამოარტყამს, მეორეს – კინკრიხოში წიკპურტით დააჯილდოებს... თან – ბანანსაც გემრიელად გეახლება! ვნახოთ ერთი, სადამდე იხტუნავებს...

ამჯერად უფრო დინჯად იქცევა; სულ ახლოს მივიდა მაქცია ტარტაროზაშვილთან, პირი მის ყურთან მიიტანა, ბანანის ჭამა შეწყვიტა და ჩურჩულით განაგრძო საუბარი:

– ჩვენმა კომპეტენტურმა ორგანოებმა შენს ვიზიტამდე მომახსენეს უფოლოგთა საერთაშორისო კავშირის მომავალი საგანგებო ყრილობის შესახებ; ისიც ვიცი, რომ თქვენს საერთაშორისო ორგანიზაციას ინტერნეტის მეშვეობით მოკლე დროში შეუგროვებია მთელი მსოფლიოდან გადარიცხული შემოწირულობები ყრილობისა და შემდგომ დიდი საზამთროს დეტალური კვლევების ჩასატარებლად... მხოლოდ პანდურეთის უფოლოგთა საზოგადოებას – თითქმის მილიარდნახევარი დოლარის რაოდენობით! შემოწირულობა ისევე მოედინება ორგანიზაციის ანგარიშზე და, როგორც ვარაუდობენ, მოკლე ხანში, ალბათ, სულ ცოტა, გაორმაგდება კიდევ... ასეთია პროგნოზი. ხომ არ ვცდები? შეგიძლია, შემისწორო... თუ ინებებთ ჩვენს ქვეყანაში უფოლოგთა საერთაშორისო კავშირის ყრილობის გამართვისთვის ნებართვის მიღებას, ამისთვის გარკვეული თანხის გადაცემაც მოგიწევთ... და თქვენი კოლეგების ოცნებას წინ აღდარაფერი დაუდგება! მეტიც: მზად ვარ, თქვენს წინადადებას დაეთანხმდე და არა მხოლოდ პანდურეთის უფოლოგთა საზოგადოების საპატიო პრეზიდენტი გავხდე, არამედ – უფრო მეტიც: ამ დიდი ღონისძიების ოფიციალური მფარველობა ვიკისრო! თუ შევთანხმდებით, უნდა იჩქაროთ, რადგან დიდი საზამთრო ერთ-ორ კვირაში ჩემი სასახლის ბაღში იქნება გადმოტანილი და უცხო პირები, თუნდაც ფრიად პატივსაცემი უცხოელი უფოლოგები, ჩემი პირადი თანხმობის გარეშე, მასთან აღარ იქნებიან დაშვებულნი.

– უღრმესი მადლობა, დიდად სულთანო! – კვლავ მოიხარა წელში მაქცია. – თქვენო უდიდებულესობა, ხომ არ ინებებთ... ბოდიშს მომიხსენებია, უხერხულად ვგრძნობ თავს, მაგრამ ხომ ვერ მიმანიშნებდით, რა თანხაზე მიდის საუბარი? დაახლოებით მაინც...

სულთანმა ჩურჩულით უპასუხა:

– რა გაყვირებს, ცოტა ხმას დაუწიე... სახელმწიფო საიდუმლოებასთან გვაქვს საქმე, ამიტომ ჩვენი საუბრის შესახებ, ჩვენ ორის გარდა, კაციშვილმა ერთი სიტყვაც არ უნდა გაიგოს... ხომ კარგად გამიგე?

– დიახ, თქვენო აღმატებულებავ... – ჩურჩულზე გადავიდა მაქციაც.

– მახსოვრობა კარგი გაქვს?

– დიახ, დიახ, ჯერჯერობით არ ვუჩივი, – უპასუხა გაკვირვებულმა მაქციამ.

– მაშინ მე დაგანახებ აი, ქალაქის ამ ფურცელზე დაწერილ ორ ანგარიშს: ერთზეა შვეიცარიული ბანკის დასახელება... უკვე წაიკითხე?

– დიხ, დიახ...

– აგერ ხედავ ანგარიშის ნომერსაც, კარგად დაიმახსოვრე... მასზე უნდა გადაირიცხოს 250 000 ევრო ან, დღევანდელი კურსით, შესაბამისი რაოდენობის შვეიცარული ფრანკი. ქვევით ხედავ მეორე ბანკის დასახელებას ბაჰამის კუნძულებზე და ანგარიშის ნომერს... ისიც კარგად დაიმახსოვრე – მასზე უნდა გადაირიცხოს 500 000 ამერიკული დოლარი... დაიმახსოვრე?

– დიახ, 250 000 ევრო ან შესაბამისი რაოდენობის შვეიცარული ფრანკი და 500 000 დოლარი... დიდო სულთანო, შეიძლება, შემეშალოს ანგარიშთა ნომრები – მეტიმეტად გრძელი ციფრებია... მეშინია, არ შემეშალოს, რაღა ვქნა, არ ვიცი... ციფრებთან ძალიან მწყრალოდ გახლავარ, მათემეტიკაში ყოველთვის მოვიკოჭლებდი...

– ვაჰ, შე ბოთე, შენა, მათემატიკაში თუ არ ვარგიხარ, უფოლოგად როგორ ივარგებ? – მერე ისედაც შეშინებულ და დაბნეულ მაქციას ყურში სისინით უთხრა: – ეს როგორ გამოეპარა ყურდიდას, შენ მოგზაენილი ხომ არ ხარ? მიპასუხე, თორემ ისე გაგაქრობ, მთელი მსოფლიოს უფოლოგებმა შენი გზა-კვალი კოსმოსშიც ვერ იპოვნონ!

– დიდო სულთანო, როგორ გეკადრებათ...

– ხომ იცი, ჩვენ ქვეყანაში კორუფცია საბოლოოდ არის დამარცხებული, საერთაშორისო ორგანიზაციებმა ამ მხრივ პანდურეთი მსოფლიოს ქვეყნებს შორის კორუფციასთან მებრძოლ ეჭვმიუტანელ ლიდერად, № 1 ქვეყანად აღიარეს! რეფორმების გატარებაშიც ბადალი არ გეყავს! – ბაქიბუქას ყურებმა ზრდა დაიწყო და მალე ჩაის ლამბაქის ხელა გახდა. – ჩვენი საყოველთაოდ აღიარებული წარმატებებით დიდად ვამაყობთ, ეს პანდურეთის დიდი მონაპოვარია და არავის მივცემთ უფლებას, ჩირქი მოსცხოს ჩვენს ხელისუფლებას! მისი რეპუტაცია უმწიკვლო უნდა იყოს! ხომ კარგად გამოიგე?

– დიახ, დიახ, დიდო სულთანო... – ჩიფჩიფებდა უფოლოგი, თან უკან გადაიხარა, რადგან სულთანის ყურები უკვე მოზრდილი თეფშის ხელა გამხდარიყო, ხოლო მისი წვეტიანი ცხვირი ისე გაზრდილიყო, ლამის უფოლოგის მკერდი გაეხვრიტა.

– ჰოდა... რა ვქნათ ახლა?

– როგორც თქვენ ინებებთ, დიდო სულთანო...

– მაშ, მომისმინე... ხომ ყურადღებით მისმენ? კიდევ ერთხელ გაფრთხილებ: ჩემი ერთი სიტყვაც არ დაგავიწყდეს, თორემ... ხომ მშვენივრად იცი, რაც მოგელის! ვაჰ, ამას ვის გადავეყარე! კარგი, ამ ფურცელს მოგცემ, ოღონდ, როცა თანხებს გადაირიცხავ... გადარიცხავ?

– დიახ, დიახ, დიდი სიამოვნებით, დიდო მბრძანებელო!

– მერე ამ ქალაქს მაშინვე გააქრობ! კარგად გაიგე?

– დიახ, დიახ, მშვენივრად, დიდო მბრძანებელო!

– გინდა – დაწვი და ფერფლი ქარს გაატანე, გინდა – დაღეჭე და გადაყლაპე, ოღონდ თუ მისი ოღნავი კვალი მაინც დარჩა, ვინმემ ყურმოკერით თუ მაინც გაიგო ამის შესახებ... შენ თვითონ უკვალოდ გაქრები – ჩამოფრენილი უცხოპლანეტელებიც ვერ გიშველიან!

კარი IX.

უამრავი ხალხი მოაწყდა სანდოცეთს!

როგორც მოგახსენეთ, უამრავი სხვადასხვა ჯურის ხალხი მოაწყდა სანდოცეთს პანდურეთის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდანაც კი, მათ შორის – ყალთაბანდები, ავანტიურისტები, გაურკვეველი პროფესიისა თუ საქმიანობის ფრიად საეჭვო პიროვნებებიც, მაგრამ უკლებლივ ყველას ცნობისმოყვარეობა ჰკლავდა და აინტერესებდა, თვალნათლივ ენახა მსოფლიოს მერვე საოცრება, საოცარი საზამთრო! ყველა, თითქმის ყველა, ფრიად აღტაცებული იყო, თითო-ორთა კი, როგორც ადრეც მოგახსენეთ, რატომღაც დაიბოღმა, ალბათ შური ხერხავდა, რომ სხვამ გაზარდა დიდი საზამთრო, დიახ, ასეთებიც გამოეჩინენ.

ერთი ამგვარი, შურით დატენილი, საოცარ საზამთროს შორიახლოს გარს უვლის და უკმაყოფილოდ ბურტყუნებს:

– ვაჰ, რა პრეტენზიული ვიდაცა ყოფილა, კაცო, ეს საზამთრო, ყველას რა ამპარტაგნულად დასცქერის ზევიდან – ნახეთ, ვინცა ვარ და რაცა ვარო!

მეორე, მისი მსგავსი, ამატებს:

– მგონი, დაგვცინის კიდევცა!

მესამე, იმ ორზე უარესი, იმუქრება:

– ცოტაც გვადროვოს მაგ უშნოდ გაბერილმა და ნახავს, დედა როგორ ეტირება – სულ შეგჭამთ, მისგან მხოლოდ მოგონებაღა დარჩება!

ბევრს სურდა, სანდოცეთში ყოფნის მოსაგონებლად, რაიმე სამახსოვრო ნივთი შეეძინა და სანდოცეთში გამოჩნდნენ კიდევ სუენირებზე ამ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი, –

სხვადასხვა ადგილიდან ჩამოსული მხატვრები და სხვებიც, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, ბინა დაიდეს დიდ საზამთროსთან:

რამდენიმე მხატვარი დაუღალავად ხატავდა მცირე ზომის სურათებს საოცარი საზამთროს ზუსტი, თითქმის ფოტოგრაფიული გამოსახულებით;

დედაქალაქიდან ჩამოსული ცნობილი კერამიკოსი გამომწვარი თიხისგან დიდი ოსტატობით დამზადებულ სხვადასხვა ზომის საზამთროს ქანდაკებას სთავაზობდა გამგელ-გამომგელს (კერამიკული სახელოსნო მჭედელ პატულანას სამჭედლოში იყო მოწყობილი);

მელოტმა და გაბანჯგელულმა შუახნის კაცმა უზარმაზარი გაშლილი ქოლგის ქვეშ მაღალ ფეხებზე შემდგარი ფოტოგრაფიული აპარატი დადგა და მისი მეშვეობით “უკვდავყოფდა” მსურველთ საოცარი საზამთროს ფონზე; ასეთი “უკვდავების მაძიებელი” კი იმდენი იყო, რომ ფოტოგრაფი საკუთარი პირის გასაპარსავადაც ვერ იცლიდა.

ერთმა ხელმოცარულმა მხატვარმა სხვა მხრივ გამოიჩინა მოხერხებულობა და გააჩაღა ვაჭრობა საღებავებით, ფუნჯებით, ტილოებით...

რამდენიმე თმაგაჩეჩილმა და წვერმოშვებულმა ახალგაზრდა მხატვარმა ჯერ აჩეჩა, ბოდი არტი მოუხდებდა ფრიად ამ საზამთროსა, ბუნებამ თითქოს სწორედ ამისთვის შექმნაო, მაგრამ ლაყუნამ საოცარი საზამთროს საღებავებით მოხატვა მათ არ დაანება; არც შემდგომი შეთავაზება მოეწონა და ინსტალაციის მოწყობის უფლებაც არ მისცა, თუმცა ახალგაზრდები მაცდურ წინადადებას სთავაზობდნენ: ბუნების იმანენტური საწყისის – სილამაზის, სიუხვისა და სიკეთის – გამოსახატავად, საზამთროს ირგვლივ დიდებულ სუფრას გაეშლით, მოვრთავთ მას მწვანე რტოებით, ყვავილებით, ხილით, ბოსტნეულით, ხოლო მერიქიფეხებად იქნებიან სრულიად შიშველი ტურფა გოგონები, რომელთა შერჩევაც უკვე დავიწყეთ მთელ ქვეყანაში და სანდოცელ ქალიშვილებშიც მოიძებნებიან ასეთი პატივის ღირსნიო...

ერთი მხატვარი-აბსტრაქციონისტი ტილოზე სხვადასხვა ინტენსივობის მწვანე ზოლებს ავლებდა და ამგვარი “შედევრებით” სენსაციური წარმატებაც მოიპოვა, ოღონდ მხოლოდ სეირის საყურებლად ჩამოსულ ძვირფასად მოწყობილ სნობებში – პირდაპირ ხელიდან სტაცებდნენ ტილოს მხატვარს, საღებავებს გაშრობასაც არ აცლიდნენ. რატომაც სხვა მხატვრებში მის წარმატებას დაბოლმილები შეხვდნენ, ეტყობა, რამდენიმე სანდოცელი ბიჭი დაიქირავეს და ეს ჩვენი აბსტრაქციონისტი ერთ მშვენიერ დღეს უცნობებმა გემოზე მიბეგვეს... ამასაც არ დასჯერდნენ და დაპირდნენ: თუ მაშინვე არ წავიდოდა სოფლიდან, უარესი დაემართებოდა...

ლაყუნას მისი მეზობელი, მჭედელი პატულანა, ღრეჭვით ეუბნება:

– ბიჯო, შე უგერგილოვ, შენს საზამთროს მესერი შემოავლე და ბილეთები გაყიდე – დახე, რამდენი მსურველია მაგის ნახვისა, ბუხებივით ეხვევიან!

ლაყუნა იღიმება და პასუხობს:

– ოღონდ ფოთლებს ნუ დაუზიანებენ და ისე ნახონ რა!
– რათა, კაცო! – არ ეშვება მჭედელი. – ორი შაური რომ იშოვო, ყელზე დაგადგება? ხომ იცი, უფასოდ ჩიტიც არ სკინტლავს!

– პატულანა ძია, გეკადრება ასეთი ლაპარაკი?

– ჰე, ალბათ უკვე ყველაფერი მოკვარახტინებული გაქვს და თავს ისე იჭერ, თითქოს მამა აბრამის ბატკანი იყო... რამდენად გააყიდე, ჰა?

– ბოდიში მომიხსენებია, მამის ტოლა კაცი ბრძანდები და რას ბჟუტურობ, თუ იცი? – ცოტა არ იყოს უხეშად ცდილობს აბეზარი პატულანას თავიდან მოშორებას ლაყუნა. – ჩემი საქმისა მე უკეთ ვიცი! კარგი, საზამთროს ნახვა ფასიანი გავხადოთ, შემოსავლის ნახევარს შენ მოგცემ, ოღონდ შენ ამიშენებ იმსიმაღლე ღობესა, რო ჩვენი საზამთროს დანახვა უფასოდ ვეღარ შეძლონ, ყაბულსა ხარ?

– არა, ეგრე არ გამოვა...
– თუ არ გინდა, მაშინ ყველამ ნახოს და გაიხაროს, მეც ეგ გამიხარდება!
– ეჰ, ადრეც ვიცოდი, ეგეთი თავქარიანი იყავი... – თავს დანანებით აქნევს პატულანა.

უფროსი ძმებიც გადაეკიდნენ ლაყუნას:

– ბიჯო, ლაყუნ, ხომ ხედავ, ყველას თვალები აქვს დაჭყეტილი ჩვენს საზამთროზედა! – ეუბნება ყბელი ლაშუნა.

– ერთ მშვენიერ დღესაც, გაიხედავ და დილით აღარ დაგხვდება! – ამატებს ლაფა.
– მხოლოდ ცარიელი ქერქები შაგხვდება! – აშინებს ლაჩინა.
– გვიანდა იქნება თითზე კბენანი! – ადასტურებს ლაჯუნა.

ალალი ლაყუნა ვერ მიხვდა, საით მიჰყავდათ საუბარი:

– ისეთი საშინელი რა უნდა მოხდეს?
– რა და, დროზე თუ ჩვენვე არ მივხედეთ მაგ საზამთროსა, მშრალზე დავრჩებით, გაიგე? ცოტაა ამ ქვეყანაზე ავაზაკი? მოიპარავენ ან წაგვართმევენ და მერე უყარე კაკალი!

– მე ის გაგიგე, რომ თქვენ ამ საზამთროს დასაკუთრება და ხელის მოთბობა გინდათ! – გაბრაზდა ლაყუნა. – უბრალოს რასმე გკითხავთ და გამეცით პასუხი: რომელიმეს ერთი ვედრო წყალი მაინც თუ დაგისხიათ საზამთროსთვისა, ამხელაზე რომ დაგიღიათ ეგ ხარბი პირები, ჰა?!. მითქვამს და დამიმთავრებია: ეს საზამთრო სოფლისაა! ერთ დღეს დავთქვამთ, ერთად შევიკრი-

ბებით და სოფელი გადაწყვეტს საოცარი საზამთროს ბედსა! ჩემი წინადადება იქნება: ერთი გემრიელი დღესასწაული მივუძღვნათ ზაფხულის გასტუმრებას და შემოდგომის მობრძანებასა! ახლა გაჭირვების დრო კია, მაგრამ ყველა ოჯახმა, რისი შეძლებაც აქვს, შემატოს სურსათ-სანოვაგე საერთო დიდ სუფრას, სოფლიდან წასულებიც დაეპატიოთ, სხვაგან გათხოვილ-ჩასიძებულები და სასწავლად თუ სამუშაოს საშოვნელად გადახვეწილები – ფესვი ხომ მაინც სანდალ-ცეთში აქვთ! – და ერთად მოვილხინოთ, გავერთოთ, ვიმხიარულოთ!

ძმებმა უკმაყოფილოდ რაღაც ჩაიბურტყუნეს, ხელი დანანებით ჩაიქნიეს, “გიჟია, ეგ ოხერიო”, – ლაყუნას თითქოს მუქარის მაგვარიც მოესმა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია.

ლაყუნას ძმების იმედი არ ჰქონდა, ისევ თანასოფელი კარგი, ყოჩაღი ბიჭები შემოიკრიბა, საოცარი საზამთროს დასაცავად შექმნეს სახალხო რაზმი და, ყოველი შემთხვევისთვის, ღამის მორიგეობა დააწესეს. დღისით არაფრის შიში ჰქონდათ, – უამრავი ხალხი ირეოდა, – შორეული თუ ახლობელი ადგილებიდან უჩვეულო საზამთროს სანახავად მოსული ცნობისმოყვარენი, კორესპონდენტები, რეპორტერები და სხვანი და სხვანი, მათ შორის, ბლომად იყვნენ თაღლითნიც, რომლებიც მთელი პანდურეთიდან და უცხოეთიდანაც შეგროვილიყვნენ აქ და საოცარი საზამთროს სიდიადით გაოგნებულ პირდაღებულ დოყლაპიებს პირწმინდად “უსუფთავებდნენ” ჯიბეებსა და ჩანთებს...

სახალხო რაზმელები ტყუილად არ გაისარჯნენ: აგვისტოს მიწურულის ერთ უმთავრო ღამეს მოულოდნელად საოცარ საზამთროსთან დაუპატიჟებელი სტუმრები გამოჩნდნენ...

იმ ღამეს საოცარ საზამთროს ორნი იცავდნენ, – სანადირო თოფებით შეიარაღებული მორიგენი, – ლაყუნა და ცოტათი ჭკუამხიარული აყლაყუდა, მეტსახელად აბლაყი.

შუალამეს გვარიანად გადაცილებული იქნებოდა, როცა ლაყუნას უკვე საკმარის წამოზრდილი ორი ქოფაკი, ნეფხვა და ლომა, წამოხტნენ და ერთი-ორჯერ ბოხი ხმით დაიყვავს კიდეც, მაგრამ მაშინვე ხმა გაკმინდეს და წკმუტუნით კუდების ქნევას მოჰყვნენ. საზამთროს ძირში მიმჯდარმა ლაყუნამ დაინახა – რამდენიმე კაცი ფეხაკრეფით მიიპარებოდა საზამთროსკენ, ხელში გრძელი დანები და დიდი კალათები ეჭირათ. ლაყუნამ ჯერ იდაყვი წაჰკრა გვერდით მთვლემარე აბლაყს, მერე კი მომხდურების დასაშინებლად ჰაერში გაისროლა. აბლაყი გაოგნებული წამოხტა, ჯერ ისევ ძილ-ბურანში იყო, მაგრამ არ დაახანა და ხვრიში მარილით დატენილი თოფი ორივე ღუ-ლიდან გაქცეულებს უკან მიაყოლა...

– გენაცვალე ჩემს “სადათვესა”, ძველია, მაგრამ უმტყუნებელი, ჰი-ჰი-ჰი! – ხეხვივინებდა გახარებული აბლაყი და თოფის კონდახს ხელისგულს ალერსიანად უსვამდა, მერე ღულებს აკოცა: – ხომ დაგუფრთხეთ ანგელოზები, გაიგეს შენი გემო! აქ მოსვლა კიდევ გაბედონ – გემრიელად გაგუმასპინძლებით, ჰი-ჰი-ჰი!

* * *

ლაშხა და ნაცერა უცებ გაადვიბა და, შეშინებულები, ლოგინში წამოახტუნა მეზობელ ოთახში ზათქით გაღებულ კარის მიჯახუნებამ – თოფის გასროლასავით ხმა გაისმა!

რა მოხდა? მსოფლიო ისტორიისთვის განსაკუთრებული დიდი არც არაფერი: შინ სულ სირბილ-სირბილით მისული თოფნაკრავი ძმები შევარდნენ თავიანთ საძილე ოთახში და ყველანი თავთავიანთ ლოგინებზე გაიშოტნენ – რა თქმა უნდა, პირდაღმა...

ლაშხა მაშინვე ადგა ლოგინიდან, ბიჭებთან გავიდა და ოთახში ნათურა ჩართო:

- შვილებო, რა დაგემართათ?
- დედილო, მიშველე! – იყვირა ყბედმა ლაშუნამ.
- ვაი, დედა! – ღრიალით აჰყვა ძმას ლაფა.
- დედიკო, რაღა ვქნა?! – ამოიკვნესა კამბეჩუა ლაჩინამ.
- ჩქარა, გვედები! – იბღავლა ლაჯუნამ.
- ვაიმე, მოგიკვდათ დედა, რა უბედურებაა ჩემს თავს? – შეიცხადა და თავში ხელი შემოირტყა შეშფოთებულმა ლაშხამ.

– საზამთროს დაგემოვნება გადაგწყვიტეთ და... ხორხოშელა მარილის მუხტი გვდრუხეს ზურგში, – წამოიკნავლა ლაშუნამ.

– და დუნდულებში... – დაამატა ლაფამ.

– თქვე ოხრებო, რა დროს საზამთროა, სხვა დრო ვერ ნახეთ? – გაწიწმატდა ლაშხა. – ახია თქვენზე, ამ შუალამეს რა გესაქმებოდათ სხვის ბაღრაშია, ჰა? თქვე უბედურებო, რაღა სხვაგან გაგირბით თვალი, ჩვენი საზამთრო იმხელაა, მთელ სოფელს კი არა, ათ ჩვენზე დიდ სოფელსაც ეყოფა და კიდევ დარჩება! თქვე ბედოვლათებო, თუ საზამთრო მოგენატრათ, ლაყუნასთან ვერ მიხვედით?

- უ-უხ, მაგის! – ამოიგმინა ლაშუნამ, – სწორედ ლაყუნამ გვიყო ყველაფერი!.. ვაიმე, დედა!
- მოგელავ, არ გაგახარებ! – იმუქრება ლაფა.
- ერთი დაბრუნდეს შინ, კაცი არ ვიყო, თუ ორივე ლაყუნი არ აგახიო! – ბრაზით იხრჩობა ლაჩინა.

– კინაღამ მომკლა, ჩემი ხელით დავახრჩობ მაგ ნაბიჭვარს! – ღრიალებს ლაჯუნა. – ჩქარა, მიშველე რამე, დედა, თორემ გავგიჟდები!

– თქვენ კიდევ რაღა გაგიჟება გინდათ, მეც ლამის ჭკუიდან შემშალოთ! აბა, სასწრაფოდ გაიხადეთ! უიმე, რაღა მეშველება, თქვენი ტანსაცმელი სულ დახვრეტილია! – დაფაცურდა ლაშხა. – არა, ჯერ მაკარტლით გავჭრი და ისე გაგხდით, მაინც მხოლოდ ჩერებად თუ ვარგა! ნაცერა, კაცო, გეყო ხვრინვა! ადე, ადე დროზე, შე უმაქნისო, რაღა ახლა გეცა ძილქუში, საჩქაროდ ქინძისთავი ან ნემსი მომიტევენ!

* * *

დილით შინ მისულ ლაჯუნას ძმები ლოგინზე გაშოტილები დახვდა, ოთხივე მუცელზე იწვა და საწყალობლად კრუსუნებდა – მართალია, მათი ზურგიდან და საჯდომებიდან ქინძისთავით მარბილი უკვე ამოედო ლაშხას, შემდეგ თბილი წყალიც ბლომად დაასხა და ჩამობანა, მაგრამ აუტანელი წვისგან მაინც იტანჯებოდნენ – მოპარული საზამთროს ნაოცნებარი სიტკბო სინამდვილემ სიმწარედ აუსრულა...

საოცარ საზამთროსთან ღამე მომხდარი ლოკალური ინციდენტი აბლაყის გრძელი ენის მეშვეობით ფართოდ გახმაურდა სანდაოცეთში; იარა, იარა და, ბოლოს, დედაქალაქის რადიო-ტელევიზიის უკანასკნელ ცნობებსა თუ პრესის ფურცლებზეც შეადწოდა! რასაკვირველია, ჭორ-მართლის მოყვარულთა საამებლად, ოფიციალურ ტელეარხებსა თუ პრესის ფურცლებზე საკმაოდ ბევრად მეტი დრო დაუთმეს ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტის გაშუქებას და დაახლოებით ასეთნაირად შეაფერადეს:

“სოფელ სანდაოცეთში, საქვეყნოდ ცნობილი დიდი საზამთროს ერთგული დამცველების მიერ სანაქებო პროფესიონალიზმისა და შესაშური სიფხიზლის შედეგად, აღკვეთილ იქნა ვანდალიზმისა და ტერორიზმის რამდენიმე აქტის ჩადენის მცდელობა, რაშიც ცხადად წარმოჩნდა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და სიმშვიდის უზრუნველსაყოფად მისი უმაღლესობის, სულთან ბაქიბუქა I-ის ბრძენთა ბრძენის ცერცვტ-წერწეტას ბრძნული მითითებების თანახმად და საშიშროების ვაზირ ყურდიდას ნაცადი მეთაურობით ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურების მიზანმიმართული, გაბედული და საზრიანი მუშაობის შედეგი. კერძოდ, გასულ ღამესაც საზამთროს დასაცავად საგანგებოდ გამწესებულმა ქვეგანაყოფმა ძირფესვიანად აღკვეთა რამდენიმე თავზეხელაღებული აგაზაკის მიერ დიდი საზამთროს მოტაცების მცდელობა, დამნაშავენი უკუგდებულ უქნენ სერიოზული დანაკარგებით. დიდი საზამთრო, ჩვენდა საბედნიეროდ, სრულიად უვნებელი გადარჩა და ამჟამად და მომავალშიც მას საფრთხე არ ემუქრება. მომხდარი ინციდენტის გამო მიმდინარეობს მოკვლევა და, იმავდროულად, დაიწყო სამებრო სამუშაოთა კომპლექსის განხორციელება. სრული იმედი არსებობს იმისა, რომ, შესაბამისი ორგანოების მიერ ჩატარებული სამებრო სამუშაოების შედეგად, სულ მალე საშიში დამნაშავენი გამოვლენილ იქნებიან და სასამართლოს წინაშე საკადრის პასუხსაც აგებენ ბანდიტური თავდასხმის გამო – დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით!”.

* * *

ლაჯუნა კი, – საოცარი საზამთროსი არ იყოს, – ყველა თვალნათლივ ხედავს, ისევ იზრდება და იზრდება! მასზე ველარავინ იტყვის, რომ საწყალი და ბეჩავია და ისიც აშკარაა – პოლიტიკურადაც “მწიფდება!” ადრე ხომ არ იცოდა და არც აინტერესებდა, რაც მის სოფელს გარეთ ხდებოდა, ახლა სწრაფად უღებს ადღოს ყოველივე მომხდარსა თუ მოსახდენს და პრაქტიკულადც დგამს შესაბამის ნაბიჯებს – უპირველესად, ხდება ორგანიზატორი და თავკაცი სასწაულებრივი საზამთროს დამცველი რაზმისა!

თურმე თვითონაც არ იცნობდა საკუთარ თავსა და საკუთარ შესაძლებლობებს; როგორც ჩანს, მის ბუნებაში ხიფათის, რისკის მოთხოვნილების ჩანასახიც არსებობდა, რაიც ახლა თანდათან დევიდება და ლაჯუნა აქტიურ ქმედებებზე გადადის, ავანტიურისტიც კი ხდება! იტაცებს თავგადასავალი! და ხანდახან მისთვის საოცნებო ქალიშვილის – პოპოქიას – მოტაცებასაც კი გაივლებს გულში... მაგრამ მხოლოდ წამით, – ჯერჯერობით ამისთვის არა სცალია, ფრიად მნიშვნელოვანი საქმით არის დაკავებული, – სხვადასხვა თანამდებობის პირებს უწყობს სიურპრიზებს: ზოგს – ხუმრობით, საღალბოდ, ზოგს, გამორჩეულად აბეზარ სისხლის მწოვლებს სოფლის გლეხობისა – ფრიად მტკივნეულადაც! როგორ? ძალიან მოკლედ, მხოლოდ მინიშნებით მოგახსენებთ... ტანსაცმელს გადაიცვამს ხოლმე, სახესაც მოითხუპნის და ხმასაც დაიწვრილებს – რომ არ იცნონ! – და მოატყუებს, მოხერხებულად გააცურებს! უამრავი კომედიური სიტუაცია წარმოიშობა, როცა დასცინის “საგებეკუციო” რაზმის მეთაურს, სანდაოცეთის მოურავს... ჩამოხეტებულ ბრექია კინორეჟისორს ოინს უწყობს და თვით სულთანსაც კი კუდით ქვას ასროლინებს! ყველა ამ საღალბო ამბავს ახლა ვერ მოვყვები, აი, სულთანთან დაპირისპირების შესახებ კი ნამდვილად უნდა გიამბოთ, მე მგონი, ღირს ამად, ჩვენი მონათხრობის ორი მთავარი გმირი ბოლოს ხომ უნდა დავაჭიდო ერთმანეთს: ერთი – ცქვიტი, მოხერხებული, საქმიანი, კაცთმოყ

ვარე, კეთილი და მეორე, – მისი ანტიპოდი, – მცონარა, ტაშფანდურა, მატყუარა, ვერაგი, მოძალადე და თან – მშიშარა...

როგორ წარმართება მათი ჭიდილი და რით დამთავრდება, მეც ღიდად მაინტერესებს, ხომ იცი, – ვნახოთ, ვნახოთ, ერთიცა და მეორეც რის შემძლებიც არიან და როგორ დაამშვენებენ ჩვენს სალადოზო მონათხრობს!

კარი X.

საოცარი საზამთრო – კინოვარსკვლავი გახდება?

ლაყუნას სახელისა და გავლენის უჩვეულო ზრდა ზოგჯერ სწორედ რომ უჩვეულო სახით გამოველინებოდა ხოლმე.

– მომედი! – მიაღება ლაყუნას ვიღაც გაჩხინკული, სახეშეთეთრებული და ღია ქერად თმაშეღებილი გოგონა, მაწანწალა ნათრევე კატას რომ ჰგავდა, და სიგარეტის აყროლებული ბოლი პირდაპირ სახეში შეაფრქვია.

– რა მოგიდოთ? – გაუკვირდა ლაყუნას.

– შენი საზამთრო! ფასზე ნამდვილად შევთანხმდებით!

– ბოლიში, ვინ ბრძანდებით? – ეჭვით შეათვალიერა ლაყუნამ, არ მოეწონა მისი მოდურად გაჩენილი თმა და შემტევი ნირი საუბრის დაწყებისას: არც “გამარჯობა”, არც კეთილი ღიმილი მაინც – დასაწყისისთვის.

– მე განხლავარ მულტიგაერთიანება “ბაბა-ბუბა-ბაბუ გლობალ ინტერნეშნლის” სრულყოფილი ბიანი წარმომადგენელი პანდურეთში; ჩვენ სოფელ სანდაოცეთში დიდი, საერთაშორისო სტანდარტების სრულად დამაკმაყოფილებელი ტურისტული ცენტრის მოწყობა გვაქვს განზრახული! – ამპარტავნულად განაცხადა გოგონამ და თავი ჩვეულად გაიქნია, რათა თვალებზე ჩამოფენილი თმა მოეცილებინა.

– ჩემგან რა გინდათ? – გაუკვირდა ლაყუნას. – თუ სანდაოცეთში რაიმეს აშენებას აპირებთ, მე ვერაფრით დაგეხმარებით, ჯობს, სოფლის მოურავს, ტაბოციას, მიმართოთ... ბოლიში მომხსენება, მაგრამ მაგისტრის გვცხელა? მიკვირს, აქამდე როგორ ამოაღწიეთ, თქვენ თვითონ დარწმუნდით: რა დროს ტურისტული ცენტრია, ცოტა თუ წამოწვიმა, სოფელში ტრაქტორიც კი ვერ ამოღის, ავტომანქანაზე ხომ ზედმეტია საუბარი...

– ყველაფერი უმაღლეს დონეზე იქნება გაკეთებული! უარი არ გაგივა – ჩვენი გაერთიანების საპატიო პრეზიდენტი გახლავთ თვით სულთან!

– სულთან რა, მამა ღმერთია? თუ გზის გაკეთება უნდოდა, აქამდე სად იყო?

– აწი ყველაფერს გააკეთებენ, “ბაბა-ბუბა-ბაბუ გლობალ ინტერნეშნლი” ამ მასშტაბურ პროექტში რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ინვესტიციის ჩადებას გეგმავს, სულ ცოტა ხანში აქ ნამდვილი ტურისტული მექა შეიქმნება! თქვენი საზამთროს – იმედი მაქვს, მოკლე ხანში ჩვენი იქნება – სანახავად უამრავი ადამიანი ჩამოვა!

– წადით, მომწყდით თავიდან, ერთი თქვენი გლობუსიცა და ტურისტების დედაც! – ლაყუნამ ალალი პირდაპირობით მოიცილა თავიდან.

უგზობის მიუხედავად, სტუმრების ნაკადი სანდაოცეთში არ წყდება.

მსოფლიოში სახელგანთქმულმა იტალიელმა კინორეჟისორმა ჯანდავიდე ჯანდაბინიმ, თავის მუდმივ ოთხ სცენარისტთან ერთად, ერთ კვირაში საჩქაროდ შეთხზა სურრეალისტური ფილმის “დიდი საზამთროს დიდი საგა” სცენარი და, ადგილობრივი კოლორიტის უკეთ გასაცნობად და სცენარში შესაბამისი კორექტივების შესატანად, გადამდები ჯგუფის პროდიუსერებთან, მხატვართან, ოპერატორთან, კომპოზიტორთან და მრავალრიცხოვან ტექნიკურ ჯგუფთან ერთად, დედაქალაქ პანდურდიში გაჩნდა დაქირავებული დიდი თვითმფრინავით; მთავარია, არავინ დაასწროს ახალი ოქროს ძარღვის დამუშავება – მსოფლიოში სახელგანთქმული საზამთროს შესახებ სენსაციური სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღება!

დროს არ კარგავენ და ბევრად უფრო შორიდან, ჰოლივუდიდანაც, როგორც ბუზები თაფლისკენ, აქეთ მოიქაჩიან: პანდურეთში უგანრიგო რეისებით სასწრაფოდ ჩამოფრინდა რამდენიმე უმსხვილესი კინოკომპანიის პროდიუსერთა, სცენარისტთა და ტექნიკურ თანამშრომელთა ჯარი – 10 კერძო თვითმფრინავით!

ყველა ჩქარობს სანდაოცეთში სასწრაფოდ ჩასვლას, ცდილობენ ერთმანეთს დაასწრონ ლაყუნასთან კონტრაქტის გაფორმება – საოცარი საზამთროს შესახებ ფილმის ნატურაზე გადაღების სანაცვლოდ ოქროს მთებს ჰპირდებიან!

თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, ნაირგვარი შესახვედლობის, მაგრამ ყველა მეტ-ნაკლებად ცუდ-ლუბტოვალეა და სიტყვაუხვი შუამავლებიც მაშინვე გამოჩნდნენ.

- ლაყუჩა ბატონო, შენ ენა არ იცი, მე მომანდე მაგ ამერიკელებთან მოლაპარაკება, იცოდე, მოგებულები დარჩები! - თაფლავს ერთი, თაგვივით წვრილთვალებიანი. - დავედეთ, მოვილაპარაკოთ და დროზე გავაფორმოთ ხელშეკრულება, დამიჯერე, რასაც გეუბნები, ჩემზე მომგებიან პირობებს არავინ შემოგთავაზებს!

- მოშორდი აქაურობას!

- არ შეცდე, ბატონო ლაყუჩა, მახეში არ გაება, ჩემს გარდა არავის ენდო! იცი, რამდენი გაქეპილი და გადაგვარებული მატყუარაა ამ ქვეყნად? ოქროს მთებს დაგპირდებიან და, ბოლოს, მშრალზე დაგტოვებენ! - ჯიქურ უტევს მეორე, სახელაჯღანული და ცხვირმოღრეცილი და ხელში სჩრის გაზეთის ნაგლეჯში გახვეულ ფულის დასტას.

- ეგ ფული შეიტენე ერთ ადგილას - აღარ დამენახო!

აქვე ტრიალებენ მესამე, მეოთხე, მეხუთე...

რამდენი ახალ, დიდად მომგებიან თემას დახარბებულიც გამოჩნდა, იმდენიანი ხრიკითა და ხერხით ცდილობენ კონკურენტების ჩაძირვას. ერთი მოიწამლა და საჩქაროდ დედაქალაქში გადააფრინეს, თორემ შეჭველად ფეხებს გაჭიმავდა; მეორეს გვიან საღამოს მოსეირნეს დახვდნენ და, როგორც იტყვიან, ძვალი და რბილი გაუერთიანეს; მესამე ისე გაიპარა, მისი ასავალ-დასავალი ვერავინ გაიგო; ამბობდნენ, გვარიანი ქრთამი შეაძლიეს იქიდან ასაოროთქლებლად და იმანაც ცდუნებას ვერ გაუძლოო...

აბეზარი "საქმოსნებისგან" თავის დასახსნელად ლაყუჩამ ხერხი იხმარა - მხოლოდ თავისი ერთგული მეგობრების, ლომასა და ნუფხვას, თანხლებით დაიწყო სიარული!

სანდოცეთში იმ საოცარ ზაფხულს დატრიალებილი თავშესაქცევი ამბების გამოყენებით სულ სხვაგვარი გემრიელი სატირული ფილმის გაკეთება შეიძლება! მსგავსი ფილმი - კინოფილმის შექმნის თანმდევი ტრაგიკომედიური პერიპეტეიების შესახებ - აღრე გადაღებულიც არის, თუ არ ვცდები, რამდენიმეც კი, ამიტომ დაწვრილებით ამაზე აღარ შეგჩერდები, სხვა მოსაყოლიც ბევრი მაქვს.

ერთმა პროდიუსერმა, არჩიბაღდ ტეილორ სმით უმცროსმა, ყველაზე გაქეპილმა და თავხედმა, არჩია, თავიდანვე უმაღლესი მფარველი გაეჩინა და ამისთვის პირდაპირ სულთნის კარს მისდგომოდა. ამ ჭკვიანური განზრახვის ასასრულებლად, იმდენი იხვანცალა, რომ დიდად საკვირველი კია, მაგრამ ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენ ცერცერ-წერწეტის ხილვისა და მასთან საუბრის ბედნიერებასაც კი მიაღწია! წარმომიდგენია, ამისთვის რა ხარჯი გასწია!

ტკბილი სიტყვების მფრქვეველს, პირზე მამებლობის ღიმილის ვარდი გაფურჩქნია და, რასაკვირველია, მდიდრული საჩუქრებით ხელდამშვენებული, ბაქიბუქას ეუბნება (უკვე მიხვდით ალბათ, რომ სულთნის პირადი უშიშროების სამსახურის მუშაკები სანაქებოდ გაისარჯნენ და მისტერ სმითი ფეხშიშველა და თითქმის შიშველი წარსდგა კეთილად მოღიპარი მეუფის მოწყალებულ თვალთა წინაშე):

- დიდო სულთანო, უბრძნესო და უბრწყინვალესო, ჩვენ დიდად ბედნიერი ვიქნებოდით, თუკი თქვენი უდიდებულესობა ინებებს, იყოს დიდი საზამთროს შესახებ გრანდიოზული ფილმის შექმნის ოფიციალური მხარდამჭერი და მფარველი! პირობას გაძლევთ, რომ ჩვენი კომპანიის "ალფრედო დი კაპიშონე და ძმები" და პირადად ჩემი მხრივ არ დაგზოვავთ არც ჩვენს ულევ ენერჯიას, არც ფრიად სოლიდურ ფინანსურ შესაძლებლობებს, მოვიწვევთ ჰოლივუდის ყველაზე ძვირადღირებულ კინოვარსკეფლებს, რათა უზრუნველყოთ მომავალი უდიდესი ფილმის ბრწყინვალე წარმატება ყველა ქვეყანაში ხუთივე კონტინენტზე! წინასწარი ვარაუდით, ეპოქალურ, მძაფრსიუჟეტთან სათაგადასავლო კინოშედეგს ერქმევა "საზამთროდიდის საიდუმლო"!

ბაქიბუქა იმდენად დაინტერესდა ამ პროექტით, რომ - ჰოი, საკვირველებავ! - შორი ქვეყნიდან ჩამობრძანებულს ბანანიც კი შესთავაზა! თვითონ კი თითების მარჯვედ, ავტომატიზმამდე მისული მოძრაობით, საკვირველი სისწრაფით სანახევროდ გაფცქვნა მორიგი ბანანი, მაშინვე პირში იტაკა და ღეჭვა-ღეჭვით სტუმარს უპასუხა:

- იმედი მაქვს, მომავალი ფილმის მსოფლიო პრემიერა პანდურეთის დედაქალაქში გაიმართება, რაც ჩვენთვის უდიდესი პატივი იქნება. გულახდილად გამოგიტყდებით: მე პირადად უდიდესი თავყანისმცემელი გახლავარ დოლარეთის კინოხელეოვნებისა, განსაკუთრებით მიყვარს მისტიკური ტრილერები, ეროტიკული ფილმები და დეტექტივები! დიდად დამავალბებთ, თუ ექსკლუზიურად პირველს გამანდობთ თქვენს საოჯახო სამზარეულოს - ვის მოწვევას ვარაუდობთ მთავარი როლების შემსრულებლებად?

- დიდო სულთანო, ამისთვის ვფიქრობთ, ფილმში მთავარი როლის, - რა თქმა უნდა, ეს არის სულთნის როლი, - შემსრულებლად მოვიწვიოთ ჰოლივუდის რომელიმე უდიდესი ვარსკეფავი, რამდენიმესთან უკვე მიმდინარეობს კიდევ ინტენსიური მოლაპარაკება; უპირველესად კი, ჩვენს გადაძვებულ ჯგუფს სურს, რაც შეიძლება სწრაფად ჩავიდეს სოფელ სანდოცეთში ნატურული გადაღებებისთვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად და უმოკლეს დროში ფილმის გადაღების დასაწყებად!

- მე მაინც შეჭველად უნდა ჩავიდე სოფელ სანდოცეთში, იქ დიდ საზამთროსთან ჩემი მთავრობის სახეიმო საგანგებო გამსვლელი სხდომა უნდა ჩავატარო, დავპატიჟებთ უამრავ ტელე

და რადიოკომპანიას პირდაპირი ეთერის მოსაწყობად, ჟურნალისტებსა და კორესპონდენტებს და, ხარჯები რომ შეგიმცირდეთ, იქნებ ამ როლში პირდაპირ მე გადამიღოთ?

- დიდებულისა, გენიალურია! ნუ გიკვირთ, რომ ეს მარტივი და შეჭველი რამ აქამდე თითქოს ვერ მოვისაზრეთ! თქვენო უბრწყინვალესობავე, ჩვენ ბევრი გვსმენია თქვენი უდიდებულესობის უბრწყინვალესი მსახიობური ნიჭის შესახებ! რასაკვირველია, კინოკომპანია და მეც დიდად ბედნიერები ვიქნებოდით, თუკი თქვენი უბრწყინვალესობა მთავარ როლს შეასრულებდა ჩვენს ფილმში, რამდენადაც თქვენი უდიდებულესობა ყველაფერში და ყველგან გენიალურია, მაგრამ, გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ ვერ ვბედავდი შემოთავაზებას - უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმეებისგან ვერ მოგწყვეტდით... ისე კი, ამგვარი შესაძლებლობა თავიდანვე საუკეთესო ვარიანტად მიგვაჩნდა და ჩვენთვის უდიდესი ბედნიერებაა, რომ ჩვენი ოცნება ასრულდა: თქვენ თვითონვე გამოთქვით სურვილი, ფასდაუდებელი საკუთარი წვლილი შეიტანოთ - დახმარების ხელი გამოგვიწოდოთ... სინარჯისგან მოწოდებით გრძობების აზვირთების დაოკება მიჭირს - ახალ გრანდიოზულ სუპერფილმში თქვენი ბრწყინვალეობა იქნება წამყვანი როლის შემსრულებელი, ნუთუ ეს შესაძლებელია?! საკუთარი თავის როლის შესრულება იმითაც იქნება გამართლებული, რომ, სრული სახეობრივი მსგავსების მისაღწევად, აღარ იქნება საჭირო გრძობის გამოყენება და გაუთავებელი რეპეტიციები როლში სრულყოფილად "ჩასაჯდომად" - ეს თქვენ ბუნებრივად, თავისთავად გამოგივსო! როგორც კი თქვენს უდიდებულესობას დავემშვიდობები, მაშინვე დავრეკავ სტუდიის სათაო ოფისში, რომ მიღწეულია ეპოქალური, გენიალური შეთანხმება! მითითებასაც მივცემ: ახლავე სასწრაფოდ შეკრიბონ გადამღები ჯგუფი და სასწრაფოდვე გადმოაფრინონ პანდურეთში! ღმერთო, რა ბედნიერი ვარ!

- გპირდებით ყოველგვარ და ყოველმხრივ თანადგომასა და დახმარებას, - მოწყალედ იღიმებოდა ბაქიბუქა, - რამდენადაც ეს გრანდიოზული პროექტი ჩვენი ქვეყნის მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციას დიდად შეუწყობს ხელს და ძვირფას სამსახურს გაუწევს პანდურეთს შემდგომი წარმატებების მიღწევაში!

- დიდო სულთანო! ჩვენი სტუდია მზად არის ამ გრანდიოზულ პროექტში ჩადოს 1 მილიარდი დოლარი! ვითვალისწინებთ რა თქვენს უდიდეს და გადამწყვეტ როლს ამ პროექტის წარმატებით განხორციელებაში, თქვენს უდიდებულესობას ვთავაზობთ ოფიციალური კონტრაქტის დადების და ჰონორარს 333 მილიონი დოლარის რაოდენობით!

- დიდებულისა, დიდებულისა, ეს თანხა ალბათ მოხმარდება დიდი საზამთროს ფორმის შუშის ახალი, მსოფლიოში ყველაზე დიდი, სასახლის მშენებლობას! რაც შეეხება კონტრაქტს... ოფიციალური ხელშეკრულების გაფორმება მე არასასურველად მიმაჩნია, რადგან ჩემს პოლიტიკურ ოპონენტებს საშუალება მიეცემათ, ბრალი დამდონ კერძო ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობაში... იმედია, ჩემს სულთნის ზეპირ სიტყვას ენდობით...

- რა თქმა უნდა, დიდო სულთანო, თქვენი სურვილი ჩვენთვის სრულიად მისაღებია - შესანიშნავად ვითანამშრომლებთ! სრულ გარანტიას გაძლევეთ, რომ ჩვენს შორის ფინანსური ურთიერთობის საკითხები კონფიდენციალური დარჩება და თქვენს კუთვნილ ჰონორარს სრულად გადავირცხავთ ნებისმიერი ქვეყნის თქვენს მიერ მითითებულ ნებისმიერ ბანკში! ფრიად გვიხარია, რომ ახალ ფილმის გადაღებას თავისი წვლილი ექნება შეტანილი თქვენი უდიდებულესობის მიერ ჩაფიქრებული ახალი სასახლის მშენებლობის საშვილიშვილი საქმეში! ჩვენი სტუდიის ყველაზე გამოჩენილ სცენარისტებს ფრიად საინტერესო იდეები აქვთ და გპირდებით - ახლაც გამაღებით განაგრძობენ მუშაობას თქვენი უდიდებულესობის შესაფერისი სცენარის საბოლოოდ დასახვეწად... თქვენო უდიდებულესობავე, გავიგეთ, ძლიერ გყვარებით საოცრებების მოხდენა და ხალხის გაკვირვება; მაგალითად, ჭამა-სმაში ბადალი არ გყოლიათ და ჩვენი დიდი სურვილია, შთამომავლობას დაგუტოვოთ ცხადი საბუთი თანამედროვე გარგანტუას არსებობისა! რაღა გასაკვირია, რომ დიდი საზამთრო - მართლა საოცრება - თქვენი უდიდებულესობის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი გამხდარა! ფილმის ერთ-ერთი საკვანძო სცენა ამნაირად აქვთ მომავალი გრანდიოზული კინოფილმის ავტორებს ჩაფიქრებული: თქვენი უდიდებულესობა მონაწილეობთ დიდი საზამთროს სწრაფად შეჭმის საერთაშორისო შეჯიბრში და, რა თქმა უნდა, უდიდესი ტრიუმფატორი აღმოჩნდებით - პირწმინდად დაამარცხებთ ყველას!

- დიახ, მართალი ბრძანდებით, ყველაფერი დიდი მიყვარს! ამიტომ ვაპირებთ პანდურეთში ასსართულიანი ცათამბჯენების მშენებლობას; ჰიდროელექტროსადგური, შადრევანი, აეროპორტი - ყველაფერი გიგანტური უნდა იყოს! სხვათა შორის, ქალებიც მოსული ტანისა მიტაცებს, ეს უზარმაზარი საზამთრო რომ გამოჩნდა, ვერ აგიწერთ, როგორი აღტაცება დამეუფლა! და გპირდებით: თუნდაც რომ მართლა გამოჩნდეს ვინმე თავხედი და გაბედოს ჩემთან შეჯიბრი საზამთროს ჭამაში, მაინც ვერავინ მაჯობებს!

- თქვენო ბრწყინვალეობავე, ამასთანავე, თქვენ გარგანტუასავით მხიარული ყოფილხართ თურმე - როგორც გადმომცეს, ერთ რამედ ღირს თუნდაც თქვენს მიერ ჩატარებული მთავრობის ნებისმიერი სხდომის ნახვა: საამოა საცქერლად და მოსასმენად თქვენი გინება, ნაზირ-ვაზირთათვის პანდურ-პანჩურის ბოძება, საფერფლეებისა და მობილური ტელეფონების დამიზნებით სროლა მათ მიმართ, ვინც რაიმეთი ოდნავ მაინც გაგანაწყენებთ... იმედია, ერთ-ერთი ასეთი ფრიად სახალისო სხდომის გადაღების ნებასაც დავგერთავთ და, თუკი ვინმეს ყურს მოაჭამთ, ამაში კი-

ნოკომპანია დამატებით სოლიდურ ანაზღაურებას გპირდებით! ჩვენს კინომაყურებელს ძალიან მოეწონება!

- თუ საბოლოოდ 500 მილიონ დოლარს გადაიხდით, მეორე ყურსაც სიამოვნებით მოვაჭამ! - გაუხარდა ბაქიბუქას.

- რა თქმა უნდა, თანახმა ვართ!

- კიდევ რა გსურთ, გავაკეთო? მსოფლიო შედეგების შესაქმნელად - ახალი შუშის სასახლის ასაგებად - ყველაფერზე თანახმა ვარ! - აზარტში შევიდა ბაქიბუქა.

- თქვენო უბრწევინვალესობავ, ჩვენს სცენარისტებს ასეთი იდეაც აქვთ: გიგანტური საზამთრო გადაიჭრას შუაზე, "ეკვატორზე", ან ალბათ აჯობებს, უფრო ზევით - "ჩრდილო ტროპიკულ სარტყელზე", - რბილობი ამოღებულ იქნას და მოეწყოს საცურაო აუზი, საგსე საზამთროს ტკბილი წვენი! შიგ გავუშვათ საცურაოდ ტურფები, საგანგებოდ ჩამოყვანილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მკაცრი საკონკურსო შერჩევის შედეგად და თქვენ მათთან ერთად იცვლქებთ! ეს იქნება ფილმის კულმინაცია!

ხონთქარი ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეტ-წერწება აღფრთოვანდა:

- ოღონდ მშვენიერი მანდილოსნები მოდელეებივით მაღლები უნდა იყვნენ და, მათგან განსხვავებით, სიგამხდრე არ უნდა ახასიათებდეთ! სამი ტურფა მომღერალ-მოცეკვავე ამჟამად ჩემი საპატრო სტუმარია! სანდაოცეთში მათი და თქვენი გადამღები ჯგუფის წევრების გადასაყვანად ჩემს პირად ღირიშაბლს გამოვიყოფთ!.. ჩემთან და მთავრობის წევრებთან ერთად გადაფრინდებით!

- თქვენს უბრწევინვალესობას საკუთარი ღირიშაბლი ჰყავს?

- თქვენ გგონიათ, ღირიშაბლის იდეამ ჭირი მოჭამა? ცდებით! დიახ, აბა, რის სულთან ვარ, თუ ჩემი ყველა ბავშვობის ოცნება არ ავისრულე? პირადად ჩემი სურვილების გათვალისწინებით და ჩემი მეთვალყურეობით, საგანგებოდ ავაგებინე მსოფლიოში ყველაზე დიდი ღირიშაბლი გერმანიაში და მისი ესკიზიც კი მე შეკუთვნის, მაშა! სახელიც მე შევურჩიე: "მიუნხჰაუზენ ტარასკონელი", ხომ მაგარია?... ცოტა ადრე რომ გამოჩენილიყო დიდი საზამთრო, იქნებ ღირიშაბლისთვის საზამთროს ფორმა მიგვეცა, მაგრამ არა უშავს, შემდგომ წინ რა დაუდგება ამ ახალი იდეის განხორციელებას - ღირიშაბლის მსოფლიოში ჯერ არნახული ფორმის აღმომჩენები და დამნერგავეები გაეხდებით! ბავშვობაში ხშირად მესიზმრებოდა ღირიშაბლით მოგზაურობა და აჰა, ოცნება ავიხდინე კიდევ! ერთადერთი ადამიანი გახლავარ დედამიწის ზურგზე, ვისაც გერმანიაში საგანგებო შეკვეთით აგებული ღირიშაბლი ემსახურება! დიახ, გაგიმეორებ, რომ ერთ რამეზე მწყდება გული: დიდი საზამთრო რომ უფრო ადრე გამოჩენილიყო, ჩემს ღირიშაბლს ნაღდად საზამთროსავით მრგვალი ფორმისას გავაკეთებინებდი! ეს იქნებოდა დიდი სენსაცია! დაჯდებოდა ამგვარი ღირიშაბლი-საზამთრო დიდ საზამთროსთან და იქნებოდა ორი დიდი სფერო - ერთმანეთს შეეჯიბრებოდნენ სიდიდით! ამ ოცნებასაც აუცილებლად ავისრულე, ამჯერად კი სანდაოცეთში სწორედ "მიუნხჰაუზენ ტარასკონელით" ჩავფრინდებით!

- დიდი მაღლობა, ყველანი დავეტევი?

- რა თქმა უნდა! ფიქრი ნუ გაქვთ: ჩემი და მთავრობის წარმომადგენელთა საგანგებო დაცვის წევრებისთვისაც დარჩება ადგილი. ამის გარდა, რამდენიმე დაჯავშნული სამხედრო ვერტმფრენიც გამოგვეყვება თანმხლებად - ყოველგვარი საშიშროების აღსაკვეთად, მაშ! ყველა სხვა სატრანსპორტო საშუალებას, საჰაეროსა და სახმელეთოს, რომელიც სანდაოცეთისკენ განიხრახავს გადაადგილებას, - დავბლოკავთ! ვინც ჰაერში ჩვენთან მოახლოებას გაბედავს ან, თუ, კიდევ უარესი, ჩვენს გადასწრებას შეეცდება - დავაჯარიმებთ! დავატუსაღებთ! არა, რას ვამბობ, მაშინვე ჩამოვაგდებთ! სხვათა ჭკუის სასწავლად!

* * *

დოლარელები საქმიანი ხალხია: სულ მაღე, - "დრო - ფულია!" - არჩიბლდ ტეილორ სმით უმცროსმა შესთავაზა ერთობლივი ფილმის შექმნა ჯანდავიდე ჯანდაბინის და ხელშეკრულებაც გაფორმდა. ახალი გრანდიოზული ფილმის უზარმაზარი გადამღები ჯგუფი სრული შემადგენლობით უკვე პანდურეთის დედაქალაქში ჩაფრინდა, ხოლო იქიდან ღირიშაბლით, ბაქიბუქასა და მის თანმხლებლებთან ერთად, დაუფონებლივ გაემართნენ სოფელ სანდაოცეთში. სამწუხაროდ, სხვა მშვენიერი ქალბატონების კონკურსის ჩატარება და პანდურეთში დროულად ჩამოყვანა ვერ მოხერხდა და მხოლოდ ამ დროისთვის პანდურდიდში მყოფი სამი მათგანი ამშვენივდა სულთნის ამაღლას.

ცნობისმოყვარეობა არ მასვენებს, ხომ იცი - ნეტავ რა მოხდება სანდაოცეთში ამ პატივცემული სტუმრების ჩაბრძანების შემდეგ?... დოლარელები, როგორც ყველამ იცის და წელანაც ვთქვი, ფრიად საქმიანი ხალხია და ტყუილუბრალოდ ერთ სენტსაც არ გადააგდებენ, ერთი მილიარდი დოლარი კი, დამეთანხმებით, კარგი ფულია და ვნახოთ ერთი, რა გადასარეე ფილმსაც გადაიღებენ...

კარი XI.

უფრო ახლოს გაიცანით მისი უმაღლესობა – პანდურეთის დიდი სულთანი ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეტ-წერწეტა!

როგორც აღრეც მოგახსენეთ, სანდაოცეთში ლაყუნას მეცადინეობით დიდი საზამთროს მოგლინების ხანაში, ბედნიერ სასულთნოს პანდურეთისა განაგებდა ერთი ფრიად სულსწრაფი სულთანი ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეტ-წერწეტა, რომელის საქმენიც საგმირონია უკვე ნაწილობრივ იცით კიდევ, ახლა კი თქვენთვის მისი აღმატებულების ცოტა უფრო ახლოს გაცნობა მსურს... მისი უცნაური სახელი როგორ მოგწონთ? იქნებ სხვა ქვეყნების ხალიფებს, შაჰინშაჰებს, ფადიშაჰებს, ხონთქრებსა თუ მეფეებს უფრო გრძელი და ფერადოვანი წოდება ამშვენებთ, ჰოდა, ბაქიბუქა რით გახლავთ მათზე ნაკლები! მისი სრული სახელი ცოტა გრძელი კი არის, მაგრამ მე მომწონს და იცით, რატომ დაგარქვი? სულთან ბაქიბუქას გარეგნობას, ხასიათსა და ქმედებებს, ჩემი შეხედულებით, მშვენიერად გამოხატავს და ქვემოთ მონათხრობით, იმედი მაქვს, ამაში თვით დარწმუნდებით!

თუკი ბაქიბუქას კარგად გაიცნობდით, შესაძლოა, თქვენ, ჩემგან განსხვავებით, “მეგეხარა”, “ჯაკუის კოლოფი”, “ცანცარა ბაქია”, “ჩერჩეტ-ფუნთუშა”, “ლიზლი მეგეხარა” ან სხვა ფრიად მეტყველი მეტსახელები გაგემეტებინათ მისი უდიდებულესობის ტიტულატურისთვის; გეთანხმებით, არც თქვენი არჩევანი იქნებოდა ურიგო, მაგრამ მე ჩემებურად მოვნათლევ და სრულად აწი ასე მოვისხენიებ: სულთანი ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეტ-წერწეტა! დიან, ისევ გეთანხმებით, ცოტა გრძელი წოდება კია, მაგრამ უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე, არადა, ბაქიბუქა, ჩემი შეხედულებით, ნამდვილი გმირთა გმირია, თანაც ისეთი ამბიციურია, მეტისმეტად გულზვიადი და იმდენად თავისნათქვამა, რომ, გარწმუნებთ, ბევრად გრძელ და დახუჭუჭებულ სახელსაც მშვენიერად შეიფერებდა!

მკითხველი ჩემი მისამართით სამართლიანად იფიქრებს: ამ პერსონაჟს რომ ასეთი გამორჩეული სახელი დაანათლა, რითაც მის გარეგნულ იერსა და შინაგან თვისებებზე მიგვანიშნა, ალბათ, მისმა გმირმა, სანამ სულთნის სავარძელში მოიკალათებდა, გრძელი და ძნელი ცხოვრებისეული გზაც გამოიარაო, ჰოდა, ამის შესახებ ავტორი რატომ არაფერს ამბობს? ახლავე, ახლავე მინდა, მოგახსენოთ, რომ ამ ჩემი შეცდომის, თუ დაუდევრობის, გამოსწორებისთვის არ ვიზრუნებ – თითხაც არ გავატოკებ! ჩემი ეს განცხადება ნამდვილად გაგაკვირვებთ, მიზეზი კი მარტივია: თვით ბაქიბუქა და მისი წარსულიც ნაკლებ მაინტერესებს! ჩემი შეხედულებით, არაფრით გამორჩეული პიროვნება გახლავთ, მეც მიკვირს, ხომ იცი, როგორ მიაღწია მან ხელისუფლების მწვერვალს... ალბათ არცთუ კეთილი თვისებების სიჭარბით – პატივმოყვარეობით, სისასტიკით, დაუნდობლობით, ცრუპენტელობით და სხვა... მე ახლა არ მოყვები დაწვრილებით ბაქიბუქას სულიერი სახის ჩვენებას – გზის დასაწყისში სულ სხვა იყო და მერე, ევოლუციის შედეგად, შეიცვალა, თუ იმთავითვე თვალთმაქცობდა, ნამდვილ სახეს მალავდა და ნიღაბი მერე მოისროლა უბოდიშოდ, როცა ძალაუფლების მწვერვალზე მოექცა და აღარაფრის ერიდებოდა... დიან, მე მისი დანაშაულობების, ხრიკებისა და ცუდლუტობების დაწვრილებით აღწერა არ მაქვს მიზნად დასახული, მისი ბიოგრაფიის არ გახლავარ და, აღრეც გულახდილად მოგახსენეთ, არც მაინტერესებს: ბაქიბუქას ხასიათიცა და ცხოვრებისეული გზაც არ არის უჩვეულო – მსგავსი მეტამორფოზა ისტორიას მრავალგზის უნახავს... საკვირველი სხვა რამ არის: ჩვენს განათლებულ, სკეფისისითა და უნდობლობით გაჯერებულ დროში, ნუთუ კიდევ შესაძლებელი გახდა, რომ დემაგოგისა და ცრუ დაპირებების ნიაღვარით უამრავი ადამიანი მოეხიბლა და გაეცურებინა ამ არცთუ დიდი ნიჭით გამორჩეულ, მაგრამ თავხედსა და გაქნილ პიროვნებას და ძალაუფლების მწვერვალისთვის მიეღწია?! ვაგლახ, თურმე ამის გამორიცხვა შეუძლებელი ყოფილა, რასაც თვალნათლივ მოწმობს ბაქიბუქას მაგალითიც... დიან, იმედია, ამ საკითხით დაინტერესებული მკვლევარი მომავალში გამოჩნდება და მისი ნაშრომის გამოქვეყნებას დაველოდოთ... ორიოდე სიტყვას კი მაინც მოგახსენებთ.

ჩვენი ბაქიბუქა ბავშვობიდანვე მარტოსული იყო, მეგობარ-ამხანაგები არასდროს ჰყავდა; ერთადერთი მისი “მეგობარი” იყო მისი სახლის ეზოს შუაში ამოსული დიდი ხართუთა. მის ქვეშ საათობით იდგა ხოლმე მარტოდმარტო... მერე, როცა წამოიზარდა, საკუთარ თავს შეატყო, რომ განუზომელი სურვილი ჰქონდა, მისი ბავშვობის “მეგობარი” მოესპო, ამიტომ, რამდენადაც მისი მოჭრა მეზობლების შიშით ვერ გაბედა, ხან – მის ძირში ჩუმად ნავთი დაასხა, ხან – აღუდებულ ვყალი, ხანაც – ცეცხლი გააჩადა, მაგრამ ამაოდ... ხართუთა იმდენად მოღონიერებული იყო, რომ ვერაფერი დააკლო. შესაძლოა, წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ ბაქიბუქა არც ბავშვობისას გამოირჩეოდა სიმამაცით და ყოველივე ამას ქურდულად აკეთებდა, ნაჩქარევად, ეშინოდა, არაგინ მომისწროსო.

რატომ მტრობდა, რას ერჩოდა ბაქიბუქა ამ ლამაზ ხეს, რომელიც ყოველ გაზაფხულზე ბავშვებს უმასპინძლებოდა მსხვილ-მსხვილი შაქარა ნაყოფით, ზაფხულში კი მთელ ეზოს საუცხოო ჩრდილს აჭუნდა და ყველას უყვარდა მის ქვეშ დასვენება, ნარდის თამაში და სხვა და სხვა, ჩემთვის გამოცანად რჩება... იქნებ ის, რომ იმ ხეზე ასვლა არ შეეძლო – სიმაღლისა ძალიან ეშინოდა! – ამიტომ, სხვა ბავშვთაგან განსხვავებით, მხოლოდ მიწაზე ჩამოცვივნილ თუთას გეახლებოდათ...

კარგა ხნის შემდეგ, როცა სულთნის სავარძელში გამოიჭიმა, რატომღაც ის ძველი სურვილი შეისრულა – მშვენიერი ბერი ხართუთა სასწრაფოდ მოაჭრევენა...

როგორ წარიმართა შემდგომ ბაქიბუქას ცხოვრება, რა გზა გაიარა მან სულთნის ტახტის დაუფლებამდე და გახდა “მთავარი”, “ერის მამა”, როგორც აღვნიშნე, ალბათ ცალკე წიგნის თემაა, რომელსაც სხვა დაწერს, თუ ამის სურვილი გაუჩნდება, ახლა კი შემიძლია, აი, რა ვთქვა: ბევრნი ამტკიცებენ, რომ ბაქიბუქა, სანამ სულთანი გახდებოდა, სულ სხვანაირი იყო! მორცხვი, მეტისმეტად უპრეტენზიო, ოღონდ – ენერგიული: იხვანცალებს, გაძვრებ-გამოძვრება და ჯერ ერთ-ერთი მინისტრის ხელის ბიჭი ხდება, მის პარტიაშიც შეძვრება, მერე – მინისტრის მოადგილე (“განათლებულია, ჭკვიანურ რჩევებს იძლევა – გამოგვადგება!”); მერე – მთავრობის თავმჯდომარე, ბოლოს კი – პრეზიდენტი! არა, ბოლოს პრეზიდენტობა ფაქტობრივად გააუქმა – დიდ სულთნად დაჯდა! მინისტრები მისი ნების უსიტყვოდ შემსრულებელ ვაზირებად აქცია, პარლამენტი – წარმომადგენელთა დარბაზი – არაფრის მთქმელ ფორმალურ დანამატად, სადაც მხოლოდ ენებს იფხანენ და ბაქიბუქას მიერ რეალურად უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს მაშინვე მორჩილად ამტკიცებენ... თვითონაც როგორ შეიცვალა – ერთ დროს მშიშარა, მორიდებული ყმაწვილიდან მეტისმეტად თავქეიფა და თავდაჯერებულ სულთნად! ამისთვის ახლა არ მცალია და, როგორც ვთქვი, სხვა ვინმე დაწვრილებით დაწერს – სხვათა და უფრო კი ჩვენი საკუთარი ჭკუის სასწავლად, რომ უფრო ფრთხილები ვიყოთ, როცა ჩვენი ბედის განმგებლებს უსაზღვროდ ვენდობით და უსაზღვრო ძალაუფლებას ვანიჭებთ...

ადამიანის ხასიათი მავანის ფოტოსურათზე კარგად ჩანს ხოლმე, ჰოდა, ბაქიბუქას ბავშვობისდროინდელ ფოტოებს რომ შეხედავდი, დიდი ალბათობით მიხვდებოდი, მომავალში როგორი პიროვნებაც დადგებოდა მისგან – ჯგუფურ პორტრეტებში მუდამ სხვებზე წინ ცდილობდა დადგომას!

ბაქიბუქას ახალშეძენილთაგან ერთ თვისებას ნამდვილად ვერ დავუკარგავ: დემაგოგის, ანუ ქართულად რომ გადმოვთარგმნოთ, თვალეში ნაცრის შეყრის, დიდოსტატია! სურს, საკუთარი თავი წარმოაჩინოს წარმატებულ რადიკალ რეფორმატორად, მის მიერ ერთპიროვნულად მართული პანდურეთი კი – დემოკრატიისა და თავისუფლების შექმნად მთელს რეგიონში და, როგორც ბაქიბუქას მაქებარი დაქოქილი პროპაგანდისტული მანქანა სატელევიზიო ეთერიდან დღე-ღამე დაუდასტურებდა უტენის თავში მოსახლეობას, მთელ დანარჩენ მსოფლიოსაც კი უჩვენებს მისაბამ მაგალითს... როგორც სულთნის მიერ დაქირავებული მისი საზოგადოებრივი აზრის შექმნის საზღვარგარეთიდან საგანგებოდ მოწვეული ფრიად მაღალანაზღაურებადი სპეციალისტები – ტელერადიო გადაცემებისა და ჟურნალ-გზეთების სიუჟეტების მეშვეობით, ინტერნეტითა და სხვა ხერხებით ფართოდ გავრცელებული მასალებით – პანდურელთ არწმუნებდენ, თითქოს საოცარი, არნახული უნიკალური შემწყნარებლობის მეოხებით, პანდურეთში სრული შესაძლებლობაა განსხვავებული აზრის თავისუფალი გამოთქმისა, აყვავებულია მრავალფეროვან შეხედულებათა თაიგული და ეს ყველაფერი გამორჩეული სიბრძნითა და სიმახაცით დაჯილდოებული პანდურეთის ჭეშმარიტი მამის, ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენის ცერცეტ-წერწეტას, პირადი დამსახურებაა – ქვეყნის წინსვლისთვის აუცილებელი არნახული ახალი ნოვატორული ხედვისა და შესაბამისი რადიკალური ცვლილებებისთვის გადადგმული ნაბიჯების შედეგია! ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენ ცერცეტ-წერწეტას მიაჩნია, რომ, მის მიერ გაგებული თანამედროვეობის მოთხოვნებისადმი სრული შესატყვისობის თანახმად, მას აკისრია განსაკუთრებული მისია პანდურეთის ცხოვრებაში: სულთნის ხელისუფლებაში მოსვლამდე არსებული ყველაფერი – ყველაფერი! – ძირფესვიანად უნდა შეცვალოს, თუნდაც თავდაყირა დააყენოს! უჩვეულო მოვლენა არ გახლავთ, რომ, ზოგადად, ყველა ხელისუფლებაში ახლად მოსულს, საკუთარი ხედვის, საკუთარი პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლად, ახასიათებს მეგობრების, პოლიტიკური თანამოაზრეების ანუ “თავისი ხალხის” დანიშვნა ცოტად თუ ბევრად საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობებზე, მაგრამ ბაქიბუქამ ბევრად მეტი მოინდომა: დაწყებული ძირეული ცვლილებებით ცხოვრების ყველა სფეროში – განათლების, სასამართლოს, სამართალდამცავ და სხვა სისტემებში, ხელოვნებაში, და ასე შემდეგ, დამთავრებული თვით ხალხის საუკუნეების განმავლობაში მყარად ჩამოყალიბებული ზნეობრივი ღირებულებებისა და ფსიქოტიპის ძირეულად გარდაქმნითაც კი! ამ ბოლო ამოცანის შესრულების შეუძლებლობა ყველამ იცოდა, – ბაქიბუქას გარდა! – მაგრამ მისი უშუალო ხელქვეითი მაინც ერთგულად ასრულებდნენ ცერცეტ-წერწეტას ბრძნულ მითითებებს; ახალგაზრდობის ახალი სულისკვეთებით აღზრდა – ძველი, ყავლგასული შეხედულებების წინააღმდეგ მედგარი ბრძოლა მათი ამოძირკვის მიზნით: ძირს უფროსი თაობა, ძირს წინსვლის დამბრკოლებელი წარმოდგენები: “დრომოჭმული” ტრადიციები, ზნეობრივი “ხუნდები” – პირადი წარმატებისთვის ნებადართული კი არა, აუცილებელია ნებისმიერი ხერხის გამოყენება! საბავშვო

ბალიდანვე ყველას უნდა ჩავუნერგოთ ერთმანეთის სიძულვილი, ვაქციოთ ისინი უღმობელ კონკურენტებად, ერთმანეთის მძვინვარე დამსმენებად! ძირს “მოძველებული” კლასიკოსი მწერლები, არქიტექტორები, მხატვრები, კომპოზიტორები, გაუმარჯოს “თანამედროვე სტილს” პირად ურთიერთობებშიც, ყოფაცხოვრებაშიც! ვინც არ ეთანხმება კარდინალურ “თანამედროვე რეფორმებს” საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში – ტოტალური შეტევა მათ წინააღმდეგ, საყოველთაოდ განდევნა სახელმწიფო დაწესებულებებიდან – განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ხელოვნების და ასე შემდეგ დარგებიდან, აღარაფერს ვამბობ ეგრეთწოდებული ძალოვანი უწყებების შესახებ... ვინც უკმაყოფილების გამოხატვას გაბედავს, მიგუსიოთ დასარბევად უშიშროების საგანგებოდ გაწვრთნილი რაზმები, პოლიცია და, თუ საჭირო გახდა, სამხედროებიც, გაიძულოთ, გაიხიზნონ საზღვარგარეთ, თუ არა და – გამოვამწყვდიოთ ისინი ციხეებში; გაეყაროთ მათი ნათესავებიც სამსახურიდან, მოეუსპოთ არსებობის ყოველგვარი საშუალება!..

ღიას, ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცვტ-წერწეტას დიდად სიამოვნებს და ეამაყება კიდევ ერთპიროვნულად მართვა პანდურეთისა: “მე იდეალური მმართველი ვარ, ტყუილად კი არ მიწოდებენ ერის მზრუნველ მამას!”... მის მმართველობას ორი მხარე აქვს: ერთი – ოფიციალური: ბრწყინვალე დღესასწაულები, სამხედრო აღლუმები, საზეიმო კონცერტები საგანგებოდ უცხოეთიდან ჩამოყვანილი ვარსკვლავების მონაწილეობით, მეორე – რეალური: უმუშევრობა, სიღუბნეობა, ემიგრაციის საოცარი ინტენსივობა, განსაკუთრებით – ახალგაზრდობისა, ქვეყანა სისხლისგან იცლებება... თვით ბაქიბუქას იერიც გაორებულია: ოფიციალურად – გმირთა გმირი, გამჭრიახი, უდიდესი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე; სინამდვილეში – უკიდურესი ეგოცენტრისტი, საკუთარ თავზე შეყვარებული ეგოისტი, მუცელმერთი და მექაღმინე, ცანცარა, რომელიც ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად, თანაც ოდნავი განსჯის გარეშე, წამიერი განწყობის გავლენით იღებს... იწვევს ერთთა, – უმცირესობის, – აღტაცებასა და ბრმა თავყანისცემას, მეორეთა, – უმრავლესობის, – შიშსა და შეძრწუნებას, სიძულვილსა და ზიზღს... არაფერზე ფიქრობს, გარდა ძალაუფლების მწვერვალზე ნებივრობისა, საკუთარი უცნაური იდეების, ახირებული ფანტაზიების განხორციელებისა და საკუთარი თავის განცხრომაში ყოფნისა; როგორც ითქმის, თავქეფაა – ღვინო, დუღუკი, ქალები... სხვა არაფერი აწუხებს: “მე, მხოლოდ მე!”. ბრძენთა ბრძენმა მშვენივრად იცის, რომ მრავალი და მრავალი შურით უყურებს მის აღზევებას, მათ შორის, უახლოესი “თანამებრძოლებიც” და საოცრად ეჭვიანობს! ახასიათებს არასრულფასოვნების მძაფრი განცდა და ამ მარადი მტანჯველი განწყობილების დასაძლევად ქვეცნობიერად მიმართავს აგრესიულ ქცევას, – ყველას მიმართ! – საკუთარი უპირატესობის ყოველდღიურად დამტკიცება სურს... ყველა და ყველაფერი ეჯავრება, ვინც კი და რაც კი მის ძალაუფლებას შეუზღუდავს, ოდნავ მაინც არ დაეთანხმება, რაღა უნდა ითქვას მათზე, ვინც ღიად დაუპირისპირდება... ამიტომ, ცხადია, რა პრინციპითაც ირჩევს “თანამებრძოლებს”, აყალიბებს მმართველ გუნდს – მის გარემოცვაში იხილავთ მხოლოდ მამებლებს, მისი ყველა და ყოველგვარი ხუშტურის უსიტყვოდ შემსრულებლებს. ყველა მისი სურვილი, ხშირად ფრიად ახირებულიც, მაშინვე ხორციელდება; რაზეც კი ბაქიბუქას ბავშვობაში უოცნებია, ყველაფერი აქვს, მაგრამ არის კი ბედნიერი? ჩემი მოკლე ჭკუით, ალბათ არა, რადგან არ უყვარს! მაინც, კერძოდ, რა არ უყვარს? ზოგადად აღვნიშნავ – არაფერი! საერთოდ – აღამიანი და მთლიანად ხალხიც... არ ჰყავს საყვარელი ცხენი ან ძაღლიც კი, ქალზე რომ აღარაფერი ვთქვათ... და თუ ჰგონია, რომ მართლა ბედნიერია, თავს იტყუებს...

ბევრი ვილაპარაკე, ალბათ – ზედმეტადაც, ნამდვილად არ იყო ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცვტ-წერწეტა ამდენის ღირსი და, ბოლოს, ბარემ დასკვნასავით ერთსაც ვიტყვი: ძალადობაზე, ტყუილსა და დემაგოგიაზე ტაძარს ვერ აავებს!

აი, ლაყუჩა კი ნამდვილად ბედნიერია, თუმცა არაფერი აქვს, იმიტომ, რომ უყვარს! ბევრი რამ უყვარს – ჩამოთვლას არ შევუდგები; იმას კი ვიტყვი, რომ, შრომა-გარჯის სიყვარულის გარეშე, საოცარ საზამთროს ვერ გაზრდიდა!

კარი XII.

ვიშ, რა კარგია: ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცვტ-წერწეტას საოცარი ფანტაზიების შადრევანი!

დროა, მივუბრუნდე ჩვენი ამბის მდინარებას. როგორც კი იქუხა და ხმა გაგარდა მის სამფლობელოში საოცარი ამბის, საზამთროთ საზამთროს მოვლინების შესახებ, რასაკვირველია, სულთანს მაშინვე გაუგზავნეს მისი 3D-ს ფორ-

მატის წრიული ვიდეოგამოსახულება და სტერეოფოტოები – ხედი ზევიდან, წინიდან, მარცხანა მხრიდან, მარჯვენა მხრიდან, უკანიდან და ლამის მიწისქვეშა ნაწილიდანაც კი!

სულთანის ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცვტ-წერწეტა ფრიად მოუსვენარი ბუნებისაა, კარგად თვითონაც არ იცის, რა უნდა, რისთვის დაწვრილებს... სასულთნო ოქროს ტახტზეც კი ერთ წუთსაც ვერ ჩერდება, წამოხტება ხოლმე და სეფე დარბაზში სპარსულ ხალიჩაზე აქეთ-იქით მიმოდის, თითქოს საჯდომზე მარად სადგის ურჭობენო. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაქიბუქა ფრიად ჭამა-სმის მოყვარულია, რის გამოც ბურთივით დამრგვალებულია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ვერცხლისწყალივით მოძრავია, ჰოდა, თუ რასმე არ მიირთმევს, უმტეს წილად, რა თქმა უნდა, ბანანს ეტრფის! – დახტის, დარბის, წინლებს იქნევს და, იმაგდროულად, უამრავ ჭკვიანურ აზრს აფრქვევს...

ახლაც მიდი-მოდის მოწვეულ ვაზირთა წინაშე და ბანანს მიირთმევს, – შეგახსენებთ, ბანანი განსაკუთრებით უყვარს, – თან ტელევიზორის ეკრანს თვალს არ აშორებს, დიდი საზამთროს სიდიდითა და ფორმით ტკებდა... თითქოს სხვა რამ ღირსშესანიშნავი მსოფლიოს მასშტაბით არაფერი ხდებოდეს – პანდურეთის ყველა სატელევიზიო არხზე გაუთავებლად ატრიალებენ დიდი საზამთროს გამოსახულებას – ყველა მხრიდან! დიახ, სულთანი იმდენად აღტაცებულია ნანახით, დიდ საზამთროს ისიც კი აპატივა, რომ თუ მანამდე თვით მისი უდიდებულესობა ჩანდა უმეტეს დროს ეკრანებზე, ახლა ამ მაჩვენებლით დიდი საზამთროს შესახებ მომზადებული სიუჟეტები ბოლომდე კონკურენციას და ლამის ჭარბობენ...

ამ ბოლო დროს სულთანსა და მის “გუნდს” ახალი რაღაც უნდა მოეგონებინათ, რაიმე მყვირალა სენსაციის აგორება ისე სჭირდებოდათ, როგორც ჰაერი, აბა, სხვა რით უნდა “გადაეფარათ” ქვეყანაში არსებული საგალალო ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეული სოციალური დაძაბულობა; სულთანი და მისი გარემოცვა ფიქრობენ “ახალი”, გრანდიოზული წამოწყებით, რაღაც ვირტუალური პროექტის გარშემო ატეხილი ხმაურით, გააბათილონ მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილება და ოპოზიციურად განწყობილთა ბრალდებები... ჰოდა, ბედის მოულოდნელმა საჩუქარმა სწორედ რომ სულზე მიუსწროთ: თუ აქამდე პანდურეთი მისი სწორუპოვარი სულთნით იყო სახელგანთქმული მთელს დუნიაზე, ახლა გვასახელა დიდმა საზამთრომ – ეს არის უდიდესი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, პანდურეთის არნახული წარმატება!

როგორც ვთქვი, ბაქიბუქა ისეთი აღტაცებულია, სიხარულით კინაღამ გაგიჟდა, აქეთ-იქით დადის და ლამის ყვირის:

– დიდი საზამთრო მომავლის პროექტია – სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის საოცარი ნაყოფი! დიდი საზამთრო – ჩვენი სიამაყე! დიდი საზამთრო ადორძინებს პანდურეთის ძველ სიძლიერესა და დიდებას! ცხადზე უცხადესია: გადავწვეთ საზღვრებს, გავფართოვდებით, დიდ და მძლავრ იმპერიას შევქმნით – წინ ვერაფერი დაგვიდგება! ჩვენ ყოვლისშემძლენი ვართ და ამის დასტური და პირველი მერცხალია დიდი საზამთრო, ჩვენი დიდი საზამთრო!

ვაზირთ ვაზირი დიახ-დიახ თავის კანტურით ბრძენთა ბრძენს უდასტურებდა, რომ ყურადღებით და დიდი ინტერესით უსმენდა მისი ბრძნული აზრების შადრევანივით უწყვეტ გადმოფრქვევას და თან ფიქრობდა: “ვაგლახ, ჩვენი მეუფის შიზოფრენიული ხილვების მოსმენა მიწევს! საინტერესოა, კიდევ რა საოცარი აზრებს გადმოაფრქვევს? იქნებ ერთი ზღაპრის ახირებული პერსონაჟის მსგავსად, მოისურვილოს, – რით არის სხვაზე ნაკლები? – მზე და მთვარე ჩემი მოახლეობი გახდნენო...”

სულთანი კი, საკუთარი აზრების ხიბლით თვით დატყვევებული, შთაგონების ახალ რაშზე იყო ამხედრებული და თავდავიწყებით მიაჭენებდა:

– შეხედეთ, ჩვენს დიდ საზამთროს – რა სრულყოფილი ფორმა აქვს! რა ვიწრო მუქი და ფართე ღია ფერის მწვანე ზოლები დაუყვება! უყურეთ, უყურეთ, უკეთესი გინახავთ რამე განა?

ბაქიბუქა იმდენად აღფრთოვანდა, ფრთები რომ ჰქონოდა, უეჭველად გაფრინდებოდა, ზეცაში აიჭრებოდა და მთელი ხმით იმღერებდა! ამის სურვილი კი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ფრთების ქონით ვერ დაიტრახებოდა და არც სიმღერის ნიჭი გააჩნდა მანცვდამანც... თუმცა, ჰქონდა კი ბაქიბუქას რაიმეს ნიჭი? როგორ არა, გამორჩეული, ოღონდ მხოლოდ ნამყენი ბაქიბუქისა და უკიდევანო დემავლივისა...

– სასწრაფოდ ჩემს კარის ასტროლოგს დამიძახეთ, განგვიმარტოს, რას მოასწავებს ამ დიდი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ჭეშმარიტად კოსმოსური მოვლენის ჩემს სამფლობელოში ასე მოულოდნელად გამოჩენა!..

მაქებარ-ვაზირი მიდი-მოდის, სულთნის თვალგასახარად, წითელ მოსასხამს აფრიალებს და, როგორც ჩვეულებრივ, ახლაც მოუზომავ ხოტბას აფრქვევს:

– ჭეშმარიტად ბრძენთა ბრძენის ნააზრევია! თქვენისთანა ძლევათსილსა და დიდ სულთანს მართლაც რომ ამგვარი დიდი საზამთრო ეკადრებოდა!

საჩქაროდ მოცუნცულდა ვინმე ვირთამამა, – თავუნას სახიანი, ძოწისფერ გრძელ მოსასხამში გამოწყობილი (რა თქმა უნდა, სულთნის ხათრით, თვითონ ნაცრისფერს ამჯობინებდა) და თავუნასავით ფუსფუსა, უზარმაზარი ცოდნის ტვირთის ტარებით მხრებში მოხრილი კაცუნა, – სულთნის პირადი ასტროლოგი, მჩხიბავი, მაგი, ჯადოქარი, გრძნეული, მკითხავ-მარჩიელი და კიდევ რაც გინდათ, ის დაარქვით, გინდაც – კუდიანი. ვირთამამამ ბაქიბუქა ადვილად დაარწმუნა:

– ბრძენთა ბრძენო დიღო სულთანო, ერთხელ კიდევ შეგიძლიათ, თვალნათლივ დაინახოთ ასტროლოგიის საიმედოობა და უტყუარობა! შექვევლია, და სხვა აზრი არც შეიძლება არსებობდეს: რაც მოხდა, არ იყო შემთხვევითი და ბედისწერამ იმიტომ გამოარჩია სხვა ქვეყნებისგან პანდურეთი და დიდი საზამთრო იმის წყალობით მოეველინა სწორედ თქვენი უბრწყინვალესობის სამფლობელოს და არა სხვისას, რომ ამჯერად შავი და თეთრი მაგიის მონაცემები ერთმანეთს ბედნიერად დაემთხვა, ასევე, თქვენი უბრწყინვალესობის პირადი ჰოროსკოპის მიხედვით, პლანეტებიც საუკეთესოდ ურთიერთ განლაგდნენ და მეტეოროლოგიური ცნობებიც კი ფრიად კეთილსაიმედო გახლდათ...

ასტროლოგიის მონათხრობით ფრიად კმაყოფილი სულთანი ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეტი-წერწევა წინ და უკან კარგა ხანს დადიოდა ფერადოვან რბილ ხალიჩაზე, თან, როგორც ჩვეოდა, ბანანსაც მიირთმევდა და მასთან სასწრაფოდ დაბარებული უშიშროების საბჭოს ანუ უახლოესი გარემოცვის წევრებს აღვზნებისგან ესიამტკბილებოდა: მრავალფეროვნებისთვის ხან ერთს ამოჰკრავდა კონტად პანურს, ხან – მეორეს წკიპურტს უთავაზებდა კინკრისოში, მესამეს – ბანანის კანს ვითომ ქუდივით დაადებდა მელოტზე... ამგვარ ლაღობაში ფრიად გაგარჯიშებულ იყო. უცებ გაჩერდა და წამოიძახა:

– ახალი იდეა დამებადა: აწი მთელ პანდურეთში მხოლოდ და მხოლოდ საზამთროს მსგავსი მრგვალი ფორმის სახლები ავაშენოთ! მრგვალი ფორმის სახლები ყველაზე მშვენიერია! ყველაზე სრულყოფილია! ყველაზე მოხერხებულია! ყველაზე გონივრულია!.. დიახ, მიბრძანებია: ჩემი უზენაესი ნებით, ამიერიდან მთელს ქვეყანაში მხოლოდ ასეთი ფორმის სახლები აშენდეს – შეჩერდეს ყველა მშენებლობა და საჩქაროდ გადაკეთდეს პროექტები! ასევე, ყველა უკვე აშენებულ სახლსაც საზამთროს ფორმა მიეცეს! ასევე, ყველა ქალაქსა და ყველა სოფელში მთავარ მოედანზე დაიდგას დიდი საზამთროს შუშის ძეგლი! ასევე, ჩემი სასახლის ბაღში აშენდეს ზუსტად დიდი საზამთროს ხელა და მისი ფორმის სულთნის ახალი მრგვალი სასახლე, აუცილებლად ისიც – შუშის!.. ვაჰ, ხომ მაგარი იქნება? ნეტავ აქამდე სად ვიყავი, ეს რა ბრწყინვალე აზრები მომდის თავში, ხომ მაგარი ვარ?

– ჭეშმარიტად, თქვენო უბრწყინვალესობავ! – უნისონში წაიმღერეს დასტურად სულთნის ბედნიერება მსმენელებმა.

– და იმ შუშის ბრწყინვალე სასახლის გუმბათზე ზევიდან დაიდგმება ჩემი დიდებული ძეგლი – ათმეტრიანი! – ხელები მაღლა აღმართა სიხარულისგან სახეგაბრწყინებულმა სულთანმა, მარცხენაში სანახევროდ შეჭმული ბანანი ეჭირა. – კარგა ხანია, გადაწყვეტილი მქონდა ჩემი ძეგლის დადგმა, დიდხანს ვფიქრობდი, სად სჯობდა, რომელ გამოსაჩენ ადგილას? და აჰა, გამოჩნდა შუშის ახალი სასახლის აგების იდეა, უკეთეს ადგილს ვერც ვინატრებდი – იქ დიდებულად აღიმართება ჩემი ძეგლი, ათმეტრიანი! ჰა, ხომ მაგარია? მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს: პატარა ხომ არ იქნება? არა, ოცმეტრიანი აჯობებს, თანაც – ოქროსი! რომ ბრწყინავდეს! ხომ ბრწყინვალე მიგნებაა? დამით პროექტორებით ფერად-ფერადად განათდება!.. და როცა დიდ საზამთროს გადმოვიტანთ ჩემი სასახლის ბაღში, ეს დიდი საზამთროც ოქროთი დაფაროთ! ზღაპრულად ლამაზი სანახავი იქნება და უკეთაც შეინახება! – და ბაქიბუქამ ბანანის დარჩენილი ნაწილი პირისკენ გააქანა, ხოლო მონარჩენი, – იქ მყოფთ მოლოდინი არ გაუმართლდათ, თვალები ტყუილად დახუჭეს, – რომელიმე მათგანს კი არ დაუმიზნა, აღტაცებულმა, მაღლა აისროლა.

ბაქიბუქას მართლაც ბრწყინვალე იდეები ხშირ-ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე, ასე რომ, მათ განხორციელებას უამრავი ადამიანის დიდი ძალისხმევა და უამრავი ფულადი თუ მატერიალური სახსარი ხმარდებოდა. როგორც ამ ბოლო შემთხვევაშიც ნათლად გამოჩნდა, განსაკუთრებით არ ასვენებდა ხურთთმოდვრული და სკულპტურული იდეების მოზღვაგება, იზიდავდა პანდურეთის ქალაქთა ძირეული გარდაქმნები და, იმედია, მისი ეს ბოლო ბრწყინვალე იდეაც, სახლების საყოველთაო “შუშისა”, ისეთივე წარმატებით შესრულდება, როგორც სულთნის წინა ჩანაფიქრი: თითქოს პანდურეთის ყველა ქალაქში ღია ცის ქვეშ რაღაც საოპერო სპექტაკლი უნდა დაიდგასო – მყვირალა ფერებად შეღებილმა სახლებმა სათამაშო, ბუტაფორიული იერი შეიძინა და ქალაქები ერთმანეთს დაემსგავსა.

ბაქიბუქა ხომ ყველა სურვილს ისრულებდა და მაინც დიდი ხნის განმავლობაში აწვალებდა ერთი ფიქრი: დიდი მცდელობის მიუხედავად, ჯერჯერობით ვერ შეძლო, რაიმე ისეთი გრანდიოზული გაეკეთებინა, რომ პანდურეთის ისტორიაში მარადიული თუ არა, მნიშვნელოვანი კვალი მაინც დაეტოვებინა... და აჰა, ეს დიდი საზამთრო რა კარგ დროს გამოჩნდა! ბრწყინვალე იდეა: საზამთროს ფორმის სასახლე! შუშის! და მის წვერზე დამდამობით პროექტორებით განათებული მისი ოქროს ქანდაკება! დიდებულია! ტყუილად კი არ აქებენ – ბრძენთა ბრძენი მართლა ძალიან მაგარია, სხვა ამას ვერაფრით მოიფიქრებდა!

– დიღო სულთანო, მაგის სამყოფი ოქრო მთელს პანდურეთში ვერ მოიძებნება... – შეფიქრინებულა ვაზირთ ვაზირი დიახ-დიახ: ისედაც გამოცარიელებულია ხაზინა, ვალებში ყველამდე არიან ჩაფლული, რომელთა გადახდის ვადაც მოახლოვდა – თავის პროცენტებისანად – და ისევე ახალი საგარეო სესხის აღება გახდება საჭირო...

ბაქიბუქა დიახ-დიახის მჭიმუნვარებას ვერ ამჩნევს, საკუთარი ახირებული აზრის ჩვეულ ბედაურზე ამხედრებული, წინ არ იყურება, კვლავ ისე მიაჭენებს:

– ეგ არაფერი, ოქროს საზღვარგარეთ შევიძენთ – უკეთესს შთამომავლობას რას დაგუტოვებთ!.. ოქროს საზამთროს რა შეედრება! მომავალი თაობები მოგვიგონებენ და აღტაცებას ვერ დაფარავენ – ისეთი ძვირფასი საგანძური, უზადო ხელოვნების ნიმუში იქნება, რომ მსოფლიოს შვიდი საოცრება მასთან შედარებით საოცრად გაფერმკრთალდება! მოვიწვევთ მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმულ მოქანდაკეებს ჩემი ქანდაკების გასაკეთებლად, რასაკვირველია, ჩემი ეს-კიზის მიხედვით იხელმძღვანელებენ, შუშის მრგვალი სასახლე კი ჩემი საკუთარი პროექტით აშენდება!

“სულ მთლად გააფრინა ამ შობელქაღვლა, მეც კი გამაკვირვა! მაგრამ ვხედავ: ვერაფერს გაგხდები, სისულელეს ვერ დაგუმიტცივებ და სხვა რა გზაა, კოჭი უნდა გუგორო”, – გაიფიქრა ვაზირმა ვაზირმა დიახ-დიახმა, ხმამაღლა კი თქვა:

– დიახ, დიდო სულთანო, ამგვარი ბრძნული გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ თქვენს უდიდებულესობას შეეძლო! ახლა უნდა იმაზე ვიფიქროთ, რა სახსრებით შევასრულოთ პანდურეთის ქალაქების მთლიანი რეკონსტრუქციის ახალი ბრწყინვალე გეგმა – მართლაც რომ დიდებულნი იქნება შუშის მრგვალი სახლებით დამშვენებული ქალაქები, ზღაპრული გარემო შეიქმნება, ადამიანს მარსზე ან ვენერაზე ეგონება თავი!

– რა სახსრებით? ჰი-ჰი-ჰი, მაგაზე ადვილი რა არის, ახალს კი არაფერს მოვიგონებთ – ახალ გადასახადს შემოვიღებთ! – რატომღაც განხარებულია ბაქიბუქამ, ალბათ იმიტომ, რომ ხელთ ბანანი და გემრიელად ჩაბეჭასაც ხელს რა შეუშლის! – დიდი საზამთრო იმდენად სახელგანთქმული გახდა, რომ ჩვენი ქვეყნის სიმბოლოდ აღიქმება და ვერ წარმოიდგენია პანდურეთის მოქალაქე, რომელიც მისი დიდებისთვის მცირე თანხის დადებაზე იტყვის უარს!

– ლამის ყოველდღე ახალ-ახალი გადასახადის დაწესება ხალხის უკმაყოფილებას ხომ არ გამოიწვევს?.. – სიფრთხილე გამოიჩინა დიახ-დიახმა, ამჯერად საკუთარი სახელი არ გაამართლა, უსიტყვოდ არ დაეთანხმა სულთნის სურვილს, ფიქრად კი გაივლო: “ბანანის შემოტანას რომ შეეხოს ბაჟის გაზრდა, დათანხმდება?”.

– ჰაი, შე ფაფაყვერა! – შეუძახა დიახ-დიახს ბაქიბუქამ, მისკენ ბანანის ქერქის ტყორცნას აპირებდა, მაგრამ ბანანი ბოლომდე შეჭმული არ ჰქონდა და დაენანა. – რამ შეგაშფოთა? უკმაყოფილო ადამიანებს რა გამოლევს, საკუთარ ინტერესებს იქით რომ არ იხედებიან! თუ სიტყვა “გადასახადი” გაშინებს, რა პრობლემაა, დავართქვათ “ფონდი” ან მისი მსგავსი რამ და მისი ჯანი, წინ რა დაუდგება! ვთქვათ, შეგქმნათ “დიდი საზამთროს განვითარების ფონდი” და დავაწესოთ ყოველთვიური ნებაყოფლობითი გადასახადი ანუ შენატანი თუნდაც 10 ფლურის რაოდენობით და ამით ყველა პრობლემას მოგხსნით! ხომ დიდებული აზრია?

– თქვენო უბრწყინვალესობა, ჭეშმარიტად ბრძნულად გადაწყვიტეთ ეს საჩოთირო საკითხი, მაგრამ რა ვიღონოთ, თუ ვინმემ უარი განაცხადა თანხის შეტანაზე? – იკითხა ქონების დანიავების ვაზირმა ძლომილამ.

– ჰი-ჰი-ჰი, ძალიან გამამხიროლვე, ხომ იცი! – გაიცინა ბაქიბუქამ და უცებ მის სახეზე აგდრის შავი ღრუბლები დაიგრაგნა, ჭექა-ქუხილმაც არ დაახანა და, გაბრაზებულმა, იყვირა: – დაისაჯოს!.. სამაგალითოდ! ვისაც ქვეყნის კეთილდღეობისთვის 10 ფლური დაენანება, ის რა მამულიშვილია – ჩამოერთვას მოქალაქეობა! შემოწმდეს მისი ოჯახის წევრთა კეთილსამიქლობა, გაგვართო სახელმწიფო დაწესებულებებიდან! იგივე გურჩიოთ მეწარმეებსა და ბანკირებს; ვინც ჩვენს კეთილ რჩევას ყურად არ იღებს, ჭკუა ვასწავლოთ – დავიჭიროთ, დავაჯარიმოთ, ქონებასა და აქტივებს ყადაღა დავადლოთ – მიზეზის მოძებნა არ გავვიჭირდება!

რამდენადაც მორიგი ბანანი ყუამდე იყო დაყვანილი, სულთანს მისი კანის ტყორცნა ძლომილას მიმართულებით არ დაუხანებია და რამდენადაც დიდად გაგარჯიშებული იყო ამ საქმეში, “ამანათი” ადრესატს ზუსტად მიუვიდა კიდევ.

ძლომილას ფერფური წაუვიდა, წამოიკნავლა:

– ბოლიში, თქვენო უბრწყინვალესობა, სიბრიყვით წამომცდა...

– შენ კი არა, ვინც გადახდაზე იტყვის უარს, ის დაისაჯოს! სამაგალითოდ!.. ათმაგის... არა, სჯობს ასმაგის – 1 000 ფლურის – გადახდა დაეკისროს სასამართლოს გადაწყვეტილებით! თუ დროზე არ გადაიხდის, გაუორმაგდეს ჯარიმა და თუ ისევ განაგრძობს ურჩობას, ციხე და მისი ჯანი! სხვებისთვის კარგი ჭკუის სასწავლი გაკეთილი იქნება!

– თქვენო უბრწყინვალესობა, რა მიზეზით? – ამჯერად დაჭერისა და პანჩურის ამორტყმის ვაზირმა როზა-როზამ გაბედა ხმის ამოღება. – დიდი სიამოვნებით დავიჭერთ და გემრიელად პანჩურსაც ამოვარტყამთ, ოღონდ თქვენმა უბრწყინვალესობამ გვითხრას – რისთვის? გადაწყვეტილებას საჩუღად რა დაგუდოთ? ნებაყოფლობით თანხის გადაუხდელობისთვის ამგვარი შეუფერებელი სასჯელით მსოფლიოში ჩვენს დემოკრატიულ სახეს ჩრდილი ხომ არ მიადგება?

– მაგ კითხვაზე პასუხის გაცემაზე ადვილი რა არის, – მოულოდნელად ისევ გამოიდარა სულთნის სახეზე, – მაგრამ შენგან ამგვარი სულელური კითხვის დასმა ჩემთვის დიდად საკვირველია! თუ შენ მოისუსტებ მაგ საქმეში და არ ამართლებ შენს სახელს, აგერ ამგვარ სიტუაციებში დიდად გამოცდილ სპეციალისტს ყურდიდას ჰკითხვ და საიმედო და ნაღდ გამოსავალს, მრავალგზის გამოცდილსა და კლინიკური ცდებით სავსებით დადებითი შედეგების მომტან წამალს, ის გეტყვის... ყურდიდავ, ხომ ასეა?

– დიდო სულთანო, სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ! – არ დაახანა პასუხის გაცემა ყურდო-
დამ. – როგორც თქვენ სამართლიანად უწოდეთ, დაუმორჩილებელ უგუნურთა ჭკუის სასწავლი
“წამალი” ნამდვილად ბევრჯერ ვიხმარეთ და მისი ეფექტურობაც ეჭვს გარეშეა. მისი ასორტი-
მენტი ფრიად მრავალფეროვანია: დაემუქრეთ, რომ ურჩობის შემთხვევაში დაკარგავენ სამსა-
ხურს, მათ შეიძლება გაიტაცებენ უცნობი პირები, იარაღის უკანონო ტარებისთვის სასამართლო
დაჯარიმებს 1000 ფლურით, ციხეში კარგა ხანს მოუწევს დასვენება ნარკოზული ნივთიერებე-
ბის უკანონო შენახვისთან დაკავშირებით... რა ვიცი, უამრავი წამალი არსებობს უგუნურების
ავადობისგან განსაკურნად... ხომ შეიძლება, ქუჩაში დააპატიმრო სამართალდამცავთა მოთხოვნე-
ბის უგულვებელყოფის, დაუმორჩილებლობისა და ჩხუბის ატეხვისთვის ან, იგივე ქუჩაში, უარე-
სიც შემთხვევას: უცბად უცნობი მანქანა დაეჯახოს, კიდევ უკეთესი – ვიღაც უცნობმა დანა გაუ-
ყაროს, ან კასტეტით ყბა გაუღამაზოს...

– ყურდიდავ, დამემოწმები, რომ არსებობს კიდევ უამრავი ხერხი და ფართო არჩევანი, თუ
როგორ შეიძლება ეფექტურად დავაჭკვიანოთ ჩვენი ქვეყნის წინსვლის მოწინააღმდეგენი და მისი
სახელის შებღალვის მოსურნენი! პანდურეთის მტრებს, ნაძირლებსა და მოღალატეებს, არაფერს
ვაპატიებთ – ეს ჩვენი წმიდათაწმიდა და ურყევი პრინციპია!

– ბრწყინვალე აზრია, დიდებულო, თქვენო ბრწყინვალეობავ! – წამოიძახა დიან-დიანმა. – არა-
ვითარი დანადობა ტახტისა და სახელმწიფოს დანგრევის მოსურნეთ! რაც შეეხება შუშის სასახ-
ლეს, ცხადზე უცხადესია, რომ, რადამც თქვენი უზენაესი სურვილი და ნება არსებობს, არც ქა-
ლაქებში შუშის სახლებისა და არც დელაქალაქში თქვენი ახალი შუშის სასახლის მშენებლო-
ბას წინ ვერაფერი დაუდგება და ვინც მას ოდნავ მაინც შეეწინააღმდეგება, მის მიმართ დანდობა
არ იქნება – ბაღლინჯოსავით გასრესას იმსახურებს!.. შუშის სასახლე კი – ჩვენი ქვეყნისა და,
უფრო მეტიც, ჩვენი ეპოქის სიმბოლო – აუცილებლად აშენდება! თქვენო უბრწყინვალესობავ,
აღბათ უკვე ისიც გააზრებული გაქვთ, საზამთროს ფორმის დიდებულო სასახლე როგორ უნდა
იყოს დაცული დაგორებისგან...

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა... – ამჯერად რატომღაც დაიბნა ბრძენთა ბრძენი, არ იცოდა,
რა უნდა ეპასუხა. – არის რამდენიმე საშუალება, დარწმუნებული ვარ, ჩვენს გამოჩენილ მეცნიე-
რებს ამგვარი პრობლემის მოგვარება – შუშის მრგვალი სასახლის შესაბამისი მდგრადობის უზ-
რუნველყოფა – არ გაუჭირდებათ...

“საწყალი, მის ჩერჩეც გოგრაში რა უცნაური აზრები იბადება! თან დაავიწყდა, რომ მეცნიე-
რების ყველა დარგის დაწესებულებები, მისი გადაწყვეტილებით, კარგა ხანია, გაუქმებულია,
ვინც ცოტა ახალგაზრდა იყო, საზღვარგარეთ წასვლა არჩია აქ შიმშილით სიკვდილს”, – გაი-
ფიქრა საშიშროების გაზირმა ყურდიდამ, თან სულთანს ერთგული ძაღლივით შესცივინებდა
თვალებში და კული არ ჰქონდა, თორემ იმსაც გააქცინებდა; მოწინააღმდეგეობით წარმოსთქვა:

– დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, ყოველმხრივ საოცრად ღრმად აზროვნებთ და აღბათ გა-
რედან ბიჯგების შეყენებაზეც გიფიქრიათ...

– მიმიხვდი, როგორ მიმიხვდი, მეც ამის თქმას ვაპირებდი! – წამოიძახა გახარებულმა ბაქი-
ბუქამ და ორივე ხელში ბანანები რომ არ სჭეროდა, მათ შორის, ერთი საჭმელად გაფცქნეილ-
გამზადებული, მარცხენა ხელს მაინც ჯიბეში ჩაიყოფდა და ყურდიდას ოქროთი დასახაჩუქრებდა.
– თითქოს ჩემს გულში იჯექი და ჩემს აზრებს კითხულობდი! მეცნიერებასა და მეცნიერებს, რა-
საკვირველია, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ჩვენც შეგვიძლია ზოგი რამ!

“ეგ უბედური, თავისი ხუშტურებითა და ახირებებით თვითონაც დაიდუპავს თავს და ჩვენც
მას მივყვებით!” – გაიფიქრა ჯანმრთელობის დაცლის გაზირმა სიკვდილამ, ხმამაღლა კი სულ-
თანს ასე მიმართა:

– თქვენო უბრწყინვალესობავ, აღბათ თქვენც გიფიქრიათ იმაზე, რომ ეგ ბიჯგები ერთგვა-
რად შებღალავენ შუშის მრგვალი სასახლის იდეალურ ფორმას, ხინჯს შეიტანენ მის სილამაზე-
ში... ხომ არ სჯობს, სხვა შესაძლებლობაც განვიხილოთ საზამთროს სასახლის მდგრადობის მი-
სადწევად? შესაძლებელია, სასახლის საყრდენ რკინაბეტონის საძირკველში ჩამაგრებულ იქნას
სასახლის შუაში გამავალი შეეული ფოლადის ბოძი – სფეროს შეეული “დიამეტრი”, რომელიც
იქნება მთელი კონსტრუქციის მდგრადობის გარანტია.

– სასახლის შიგნითა ხედს რომ დაამახინჯებს? – განსხვავებული აზრის გამოჩენით გაბრა-
ზებული ყურდიდა ლამის იყო, სიკვდილას ყელში წვდომოდა და არც დაახანებდა ამის ჩადენას,
სულთანს რომ იქ არ ყოფილიყო.

– შენი წინადადება რომ გარეთა ხედს დააუშნობს? – უპასუხა სიკვდილამ. – რომელი
სჯობს, სასახლე გარედან იყოს მშვენიერი თუ შიგნიდან?

სულთანს ძალიანაც სიამოვნებდა კარისკაცთა კინკლაობა, სხვა დროს შეაგულიანებდა კი-
დეც ხელჩართულ ჩხუბში ჩასაბმელად, მაგრამ, ამჯერად, მაინც ჩაერია მის აღსაკვეთად – ფრი-
ად მნიშვნელოვან საკითხზე იყო საუბარი.

– ეგ ძალიან რთული რამ ჩანს: ჩემთვისაც კი, რომელსაც ჭიბი აქვს მოჭრილი არქიტექტურა-
ში, ეს საკითხი ძნელი გადასაწყვეტია... – ბანანის დეჭევით თქვა ბაქიბუქამ. – ყველა მოსაზრება
იქნება განხილული და ბოლო სიტყვაც ჩემი იქნება, რა უნდა გაკეთდეს აღნიშნული პრობლემის

მოსაგვარებლად, ახლა კი დაგუბრუნდეთ ჩემს იდეას – ყველა დაბა-ქალაქსა თუ სოფელში საზამთროს ფორმის შუშის შენობების მშენებლობის შესახებ...

– მეუფეო, – ჯანმრთელობის დაცვის ვაზირი სიკვდილა მუხლებზე დაგარდა და, უკიდებანო მორჩილების ნიშნად, შუბლი გამეტებით დასცხო იატაკის ხალიჩას, – იქნებ მეტი მრავალფეროვნებისთვის სჯობდეს, ზოგან – ბადრიჯნის, ზოგან – სტაფილოს, ზოგან კიდევ – ნესვის ან პომიდორის ქანდაკება დაიდგას?

– რეგვენო! – ბაქიბუქამ დაჩოქილ სიკვდილას ჯერ დამიზნებით ესროლა და ზუსტადაც მოარტყა (ეტყობა ხშირი ვარჯიში!), რაც კი ამ დროს შემთხვევით ხელში მოხვდა (ამჯერად – ვაზირთ ვაზირ დიახ-დიახის ჩაღმა), შემდეგ კი მიეჭრა და გემრიელი პანჩური უბოძა, – საზამთროს ფორმა სრულყოფილი სილამაზის გამოხატულებაა! შენ მასწავლი ჭკუას, თუ ჩემს სწორუბოვარ გემოვნებაში შეგაქვს ეჭვი? ამ წუთიდან გადაყენებული ხარ დაკავებული თანამდებობიდან და ამ ადგილზე ჩემი უზენაესი ნებით ამ სახელოს მფლობელი იქნება ძლომილა! ქონების დანიაგების ახალი ვაზირი კი გახდეს სიკვდილა, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის ახალ ვაზირად ვნიშნავ... ვნიშნავ... დღაღუნას!... ხოლო ჩემი ადმინისტრაციის უფროსი კიკოლიკო გახდეს დეზინფორმაციის ვაზირი... ხოლო კეკულა გახდეს... გახდეს... – ბაქიბუქა ხანგრძლივ დაფიქრდა, ბოლთის ცემაც კი შეწყვიტა – თანამდებობრივი კარუსელის ტრიალმა ალბათ მის უდიდებულესობას თავბრუს დაუხვია.

“ასეთი “ერთუჯრედიანი” როგორ მოხვდა ხელისუფლების სათავეში? – უნებურად გაიფიქრა დიახ-დიახმა. – და დემაგოგიის, ტყუილისა და ძალადობის მეშვეობით, ამდენ ხანს ყელყელაობს, ტკება ძალაუფლებით... ყველანი ამრეხით უყურებენ, მობეზრდათ მისი ხუმტურების ატანა, ყველანი შურით არიან აღვსილნი, ელიან, როდის დაუცდება ფეხი, რომ მისი ადგილი დაიკავონ... თუ ბაქიბუქამ შეძლო ასეთი წარმატების მიღწევა, მე რაღა დამიშლის? მასზე ბევრად ჭკვიანი ვარ და მასზე ბევრად ღირსიც – უეჭველია, მე წინ არაფერი დამიდგება! ოღონდ მოთმინებაა საჭირო, საჭიროა საჭირო დროის შერჩევა...”.

– ჩვენო მოწყალეო მბრძანებელო და სიბრძნის საჭურჭლეო! – წამოიკნავლა ვაზირთ ვაზირმა დიახ-დიახმა, თან შეუმჩნეველად ცალი ხელით მოსალოდნელი “დასაჩუქრების” მოლოდინში წინდაწინ საჯდომს იზილდა, მეორე ხელი კი მკერდზე მიიღო და, მოწიწებით თავდახრილი, ჩუმად მეუფის ჭვინტიან ოქროსფერ ქოშებს აკვირდებოდა, სურდა, ამოეცნო: თუ ჩემი ნათქვამი არ მოეწონება, ამჯერად რომელ ფეხს აამუშავებსო. – მშენებლობის სავაზირო ჩვენს ქვეყანაში უკვე რვა წელია, რაც თქვენი პირადი ბრძნული გადაწყვეტილებით გაუქმებულია და უკვე დიდი ხანია, ყველა სამშენებლო ფორმა მხოლოდ საკუთარი გეგმებითა და პროექტებით ხელმძღვანელობს; როგორ უნდა დაგვაგაღებულათ ყველგან მხოლოდ და მხოლოდ საზამთროს ფორმის შენობები ააგონ?

– რას ტატყანებ უშნოდ, თუ იცი? ასე მიბრძანებია და სულ ფეხებზე მკიდია, მათი გეგმებიცა და ნებაყოფლობით მოინდომებენ დამორჩილებას თუ არა! ვინც წინააღმდეგობის გაწევას გაბედავს, – ბაქიბუქამ მარჯვენა ხელში დაჭერილი ბანანი ფიშტოსავით ჯერ საშიშროების ვაზირ ყურდიდასკენ მიმართა, მერე – დაჭერებისა და პანჩურის ამორტყმის ვაზირს როზგა-როზგას მიუშვირა, – როგორც უნდა მოექცეთ, ჩემგან არ გესწავლებათ! დაუყონებლივ იმოქმედეთ!

– თქვენი, სამყაროს მანათობლის, ხმალი, და ჩემი, თქვენი ფეხთა მტვერის, კისერი! – წელში მოწიწებით მოიხარა და გულთან მარჯვენა მიიღო საშიშროების ვაზირმა ყურდიდამ. – თქვენს ბრძნულ გადაწყვეტილებას თუ რომელიმე რეგვენი წინააღმდეგობას გაუწევს, დიდად სანანებელი გაუხდება ურჩობა, ამას გაირდებით, თქვენო უდიდებულესობაგ!

– ო, ჩვენო სასოებაგ და ქვეყნის იმელო! – მუხლებზე დაეცა და ძვირფას სპარსულ ხალიჩას ემთხვია დაჭერებისა და პანჩურის ამორტყმის ვაზირი როზგა-როზგა. – თქვენი უბრწინვალესობის ბრძანება სრულად და დიდი გადაჭარბებით იქნება სისრულეში მოყვანილი! ერთს გაგებდავ და მოგახსენებთ: რა ვიცით, რომ ეგ სატყუარა არ არის, მართლა დიდი საზამთროა და შიგნითაც ის არის, რასაც ველით? ნაწილი ექსპერტებისა თვლის, რომ ეგ დიდი საზამთრო კი არა, უცხოპლანეტელებისგან დასმული კოსმოსური ხომალდია და მისგან ყოველ წუთს არის მოსალოდნელი საშიშროება...

– სად ხედავ აქ პრობლემას, შე ბრიყვო და უმეცარო?! გაგაგზავნოთ საზამთროს სტომაქში სამეცნიერო-საკვლევი ექსპედიცია! – ბრძანა ბაქიბუქა I-მა.

– ბრძენთა ბრძენო, ვინ იკისრებს ამგვარი დიდად საპატიო, მაგრამ, ამასთანავე, დიდად სახიფათო დაგალების შესრულებას? – ამოიკნავლა ჯანმრთელობის დაცვის ვაზირმა სიკვდილამ. – მოგზაურობა ფრიად საშიში იქნება!

– თქვენო უდიდებულესობაგ, პანიკისთვის და შიშის დათესვისთვის არავითარი საბაბი არ არსებობს – ჩვენი უბრძნესობის ბრძანების შესასრულებად, ჩვენი უწყების მშველელების გარდა, მზად იქნებიან მადაროელები, სპელეოლოგები, მთამსვლელები... – არ დაეთანხმა სიკვდილას საგანგებო სიტუაციების არეგ-დარევის ვაზირი ძრომილა.

ვაზირების დავაში ჩაერთო ვაზირთ ვაზირი დიახ-დიახ:

– დიდო მეუფეო, ეჭვი არაფრისა გქონეთ, ეგ ნამდვილი საზამთროა, თუნდაც კოსმოსიდან მოფრენილი იყოს: ჩვენმა სადაზვერეო სამსახურმა უკვე საგანგებოდ ჩაატარა მისი ექოსკოპიუ-

რი, ულტრაბერითი, თუ სხვა სახის გამოკვლევები და, მიღებული ყველა მონაცემის მიხედვით, ნამდვილად საზამთრო უნდა იყოს; პუნქციის პროცედურის შემდგომ აღებული მასალის შესწავლის შედეგად აღინიშნება ერთგვაროვანი შედარებით ტკბილი მასა, რომელშიც, ტომოგრაფიული კვლევის თანახმად, შიგ გაბნეულია მაგარი ჩანარები ანუ, როგორც ეჭვგარეშე შეიძლება დავასკვნათ, საზამთროს თესლები. ასე რომ, აქ ზოგიერთები ტყუილად გვირევენ გზა-კვალს და ცდილობენ დანერგონ პესიმისტური განწყობილება.

დროა და დიდი სურვილიც მაქვს, რომ სხვა თემაზე გადავიდეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ბაქიბუქას ფანტაზიების შადრევანს ვერაფრით ვაშოშმინებ...

კარი XIII.

ბაქიბუქას ფანტაზიების შადრევანი განაგრძობს ჩუხჩუხს – საზამთროს შიგნით მოეწყობა გიგანტური ატრაქციონი!

– ეგ საზამთრო თუ უცხოპლანეტელების მიერ არის დასმული, რატომ მაინცდამაინც ჩვენთან, პანდურეთში? ჩვენ რატომ გამოგვარჩია? აი, ეს არის გასარკვევი და დასადგენი! – სულთანმა ბაქიბუქა I-მა ბრძენთა ბრძენმა შიშნაჭამი თვალები მიაპყრო: ხან – სიკვდილას, ხან – ძლომილას, ხანაც – როზგა-როზგას, დიახ-დიახსა თუ სხვებს. – რაიმე საფრთხე ხომ არ გვემუქრება? ჩემს პირად ასტროლოგს ვირთამამას შეჭველად ყველაფერი ეცოდინობოდა და რატომ არაფერი მომახსენა ამის შესახებ იმ მამაძაღლმა, რატომ დამიმალა ასეთი საჭირო ინფორმაცია? ნეზე ფეხებით ჩამოგვიდებ მაგ ნაბიჭვარს!

ქონების დანიაგების ვაზირი ძლომილა გამოეხმაურა ბაქიბუქას:

– თქვენო უბრწყინვალესობაგ, ასეა თუ ისე, დიდი საზამთრო ჩვენს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არის აღმოჩენილი და, როგორც ეჭვიმუტანლად დასტურდება, უნებართვოდ და სრულიად უკანონოდ არის შემოჭრილი პანდურეთში; აქედან გამომდინარე, ყველა საერთაშორისო წეს-კანონის თანახმად, ის უპირობო კონფისკაციას ექვემდებარება! და მაშინვე უნდა იქნეს გამოცხადებული თქვენი უდიდებულესობის პირად საკუთრებად! ასე რომ, პრობლემა მარტივად მოგვარდება და არ იქნება საჭირო ლაყუნას სასამართლოსთვის გადაცემა თუ სხვა ღონისძიებების ჩატარება, რაზეც აქ იყო საუბარი...

– ყოჩაღ, სავსებით გეთანხმები, სწორი დასკვნაა! – ბაქიბუქამ გაუღიმა ძლომილას და ერთი ოქროც სტყორცნა.

ოქროს მონეტის ჰაერში ფრენის დროს დიახ-დიახს სულმა წასძლია და სანახევროდ ხელიც გაიწვიინა ოქროს მონეტის გზაში დასაჭერად, მაგრამ დროზე მოეგო გონს, მხოლოდ კბილები კი გააკრაჭუნა და ჩუმად შეიგინა კიდეც, თანაც მრავლობით რიცხვში – როგორც ბაქიბუქას, ისე ძლომილას მისამართით.

– სხვათა შორის, ვინმემ თუ სცადა ჩემს დიდ საზამთროზე აძრომა, ალპინისტები თუ ავიდნენ მის მწვერვალზე, თხემზე თუ მოექცნენ? – იკითხა ბაქიბუქა I-მა.

– თქვენო უმაღლესობაგ, თქვენი ნებართვის გარეშე ამას ვინ გაბედავდა? დიდი საზამთროს მწვერვალის პირველად დალაშქრის პატივი მხოლოდ თქვენი უნდა იყოს! – წელში მოიხარა და თავი მდაბლად დაუკრა დიახ-დიახმა. – დიახ, დიდი საზამთროს კინკრისოზე ფეხი პირველად თქვენ უნდა დაადგათ და გაისეირნ-გამოსეირნოთ, ამაში ვერაგინ შეგეცილებათ! დარწმუნებული ვარ, იმ სიმაღლიდან დანახული მშვენიერი ხედები თქვენს აღმატებულებაზე წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს!

– მაღლიდან გადმოხედვის მეშინია! – მოულოდნელად საკუთარი სისუსტე აღიარა ბაქიბუქამ და უცებ, გაბრაზებულმა, თვალები დააბრიალა: – რატომ ჩემი საზამთროს ზრდის მაჩვენებელი მასალა არ მომიტანეთ? რა ვიცი, იქნებ ეგ საზამთრო კოსმოსიდან კი არა, საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყნიდან არის ჩუმად შემოტანილი, როგორც ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს – უკვე გაზრდილი, გენური ინჟინერიის საოცრება?

– დიდო მზეო! – წელში მოხრილი საშიშროების ვაზირი ყურდიდა ლამის იატაკს შეეხო ცხვირით. – ჩვენი უშიშროების სამსახური, მოგესხენებათ, როგორ წარმატებით მუშაობს, თქვენი ქება და წყალობაც ბევრჯერ დაუმსახურებია... თქვენო უდიდებულესობაგ, ეჭვი ოდნავადაც არ შეგეპაროთ, რომ პანდურეთის სახელმწიფო საზღვრის მთელი პერიმეტრი საიმედოდ არის დაცული და მთლიანად გაკონტროლებული. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: ასანთის კოლოფის ოდენა აღურიცხავ საგანსაც კი უჩუმრად ვერ შემოაპარებს ვინმე ქვეყანაში! მით უმეტეს, ამხელა საზამთროს კონტრაბანდულად შემოტანა სრულიად შეუძლებელია!.. წარმოუდგენელია! ეგ ნაქები ექსპერტები კი დასაჭერია, ბოროტი ჭორების გავრცელებისთვის: მათ ლაქლაქს დიდი, აუნახლაურებელი ზიანი მოაქვს ქვეყნის შიდა და გარე უსაფრთხოების თვალსაზ-

რისით! ნება მიბოძეთ, ყველა მათგანი დავაკავოთ და მათი მანვე ზემოქმედება საზოგადოების ფართე ფენებზე ძირფესვიანად გაგანეიტრალლო!

– მაგ საკითხის მოგვარება მთლიანად შენთვის მომინდვია, შენი იმედი ყოველთვის მაქვს! – სიარული შეწყვიტა ბაქიბუქამ, რათა ახალი ბანანი გაეფცქვინა, მაგრამ ყურდიდასთვის ოქრო არ გაუმეტებია. – ჰო, როგორც გაირკვა, დიდ საზამთროსთან უამრავი დიდი პრობლემა ყოფილა დაკავშირებული... ისინი საჩქაროდ შესასწავლია – ძირფესვიანად! და ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია: ჩემი პატრონაჟით საჩქაროდ დაარსდეს საზამთროლოგიის საერთაშორისო აკადემია! მისი საპატიო პრეზიდენტი მე ვიქნები! სულთნის პირადი ფონდიდან ამ ღონისძიებისთვის გამოეყოფ შესაბამის თანხას და უმოკლეს ვადაში ქვეყანას შეემატება საერთაშორისო ღონის კიდევ ერთი სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება! ჩვენ მეცნიერების განვითარებისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, თანხებს არ დავზოგავთ! ახლაც იტყვიან ჩვენი ავის მსურველები, პანდურეთში მეცნიერებას არ სწყალობენო? ბოლმით გასკდნენ!

სულთნის ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენ ცერცვეტ-წერწეტის ეს ფრიად ბრძნული გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ერთხმად იქნა მოწონებული.

ბრძენთა ბრძენი ტახტზე დაბრძანდა და დამატებით ბრძანა:

– ეგ ლაყუნა უბრალო ვიღაც არ იქნება, საეჭვო პიროვნება ჩანს! ყურდიდას ვაგაღებ: სასწრაფოდ გამოიკვლიეთ მისი ავანზავანი და პირადად მომახსენეთ! როგორც მე პირადად ვეჭვობ, მაგას სხვა ჯადოქრობების მოხდენაც უნდა შეეძლოს, მაგალითად: გააშენოს სხვადასხვა ჯურის უცნაური ხეხილის მსხმოიარე ბაღი ჯადოსნური ნაყოფებით... ერთის დაგემოვნება უკვდავებას მოგანიჭებს, მეორესი – გრძელ ყურებს გამოგაბამს... ან ახალი თვისებების შემქმნელი ხილის დიდოსტატი იქნება: ერთის მირთმევა ჩქარი სირბილის უნარს მოგცემს, მეორისა კი – შორს, უცხო მხარეში ყველაფრის დანახვისა, მესამის – ყველაფრის მოსმენისა... ყველაფერი ეგ შენთვის იქნება ფრიად საინტერესო, ყურდიდავ!

– დიახ, დიდო მეუფეო, – ყურდიდას დაასწრო და გაბედა სულთნის ოცნებებში უბოდიშოდ შეჭრა ვაზირთ ვაზირმა დიახ-დიახმა, – ეგ ლაყუნა რომ დიახაც ბევრის შემდეგ ჩანს! თქვენს კარის მეზღაპრეს დავაგალოთ: ზღაპრებში მოხსენიებული ყველა ჯადოსნური ხეხილის სრული ნუსხა შეგვიდგინოს, შემდეგ კი მაგ ლაყუნას მოვთხოვოთ ამგვარი ხილის თქვენს სასულთნო სასახლის ბაღში გაშენება... დიდებული რამ იქნება!

– მართლაც, დიდებული აზრია, რაღას უცდით, შეუდექით საქმეს! – ბრძანა ბაქიბუქამ. – უპირველესად კი ეგ ლაყუნა არ გაგვეპაროს საზღვარგარეთ ან არ გაიტაცონ, რისი შესაძლებლობის გამოცხადებაც არ შეიძლება – ხომ იცით, ჩვენს ბედნიერ პანდურეთს რამდენი მტერი და მოშურნე ახვევია გარს!

– ბრძენთა ბრძენო! სულ რამდენიმე წუთი სჭირდება პანდურეთის ნებისმიერი მოქალაქის პირადი საქმის მოძიებასა და საჭირო მასალის ამოგუჭდვას და იმ წამსვე მოგართმევთ! – მაშინვე მოახსენა საშიშროების ვაზირმა ყურდიდამ, ხოლო დაჭერებისა და პანწურის ამორტყმის ვაზირმა როზგა-როზგამ ხელების ფშვინებით დაამატა:

– დიდო სულთანო სულთანო, თუ გნებავთ, ახლავე გავცემ განკარგულებას და პრევენციის მიზნით მაგ პოტენციურად საშიშ დამნაშავეს დავაჭერებ! ერთი ტილიანი ვიღაც ლაყუნა პრობლემებს ნამდვილად ვერ შეგვიქმნის!

ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცვეტ-წერწეტა ტახტიდან ზე წამოიჭრა და, გაბრაზებულმა, დროებით ბანანის ჭამაც კი შეწყვიტა:

– არა, ჯერ ეგ ურჯულო და უტიფარი საზამთრო დაისაჯოს!.. სამაგალითოდ!.. დიდი თავხედი ჩანს ეგ დიდი საზამთრო, როგორ გაბედა ჩემს დაუკითხავად, სხვაგან, სადღაც გადაკარგულში, მიყრუებულ სოფელში სანახევზე გაზრდა?.. თანაც – გიგანტური ზომისა!.. უჯიშო! ამგვარი გაუგონარი კადნიერება როგორ უნდა შერჩეს? აუცილებლად უნდა ვაზღვევინოთ ჩემდამი ასეთი უპატივცემლობა!

– თქვენო უდიდებულესობავ, დიახაც, დიდად ბრძნული და სწორი რამ ბრძანეთ, ოღონდ საკითხავი კი აი, ეს არის: როგორ დავსაჯოთ, დავჭრათ და გემრიელად შევჭამოთ? – ჰკითხა დიახ-დიახმა, თან გაიფიქრა: “ეგ მართლა უჯიშო, ბანანის ხეთქვის მეტი რომ არაფერი ეხერხება, ხან – ერთ სისულელეს პროტუნებს, ხან, უცებ – საწინააღმდეგოს დაახეთქებს... მიდი და გაიგერა უნდა მაგ უბედურ დღეზე გაჩენილს!”.

– არა, დიდი საზამთროს ეგრე დასჯა არ ივარგებს, დიდი შეცდომა იქნება, – უცებ დამშვიდდა სულთან, ტახტზე დაბრძანდა, ბანანის მონარჩენი მოხერხებულად სტყორცნა დიახ-დიახს, თითქოს მისი ნაფიქრალი გამოცნო და ჩვეული ოსტატობით შემდეგი ბანანის გაფცქვინა დაიწყო. – ჯერ გინების მსოფლიო რეკორდების წიგნში მის მოხვედრაზე ვიზრუნოთ – ეს ჩვენ ქვეყანას შორს გაუთქვამს სახელს, მერე კი გადმოვიტანოთ დედაქალაქში და მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან მოვიწვიოთ სტუმრები მის სანახავად! ტურისტები მოაწყდებიან რია-რიას და ატყდება ერთი რია-რია! ჩვენც ეს გვინდა! შემდეგომ დავჭრათ ეს ჩვენი კეთილი საზამთრო ნაჭერ-ნაჭერ და მოვაწყოთ უქციონი – ჩვენს საზინას... არა, პირდაპირ ჩემს ანგარიშზე გადაირიცხება მთელი მოგება – ეს სამართლიანობის უმაღლესი გამოვლინება იქნება! მსგავსი ეპოქალური მოვლენა სხვაგან არსად და არასდროს მომხდარა და არსთა განგებამ იწება, რათა მხოლოდ ჩვენთან გა-

მოჩენილიყო ამხელა საზამთრო და გაეოცებინა მთელი ცივილიზებული მსოფლიო! ეჭვს ვერაფერს შეიტანს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ჩემი, ვითარცა მსოფლიოში გამორჩეული მმართველის მოღვაწეობის წყალობით გაიზარდა გიგანტური საზამთრო! – მერე უცებ სულ სხვა გადაწყვეტილება გამოსტყორცნა: – არა, არავითარ შემთხვევაში არ დაიჭრას ჩემი დიდი საზამთრო, ის ხომ ასეთია – პირველი და განუმეორებელია, ყოვლად დაუშვებელია მისი განადგურება! შევინარჩუნოთ ჩვენი ეროვნული სიმდიდრე – ეს არის ჩვენი საშვილიშვილო ამოცანა! უნდა განვაცვიფროთ მთელი მსოფლიო და შურისგან მათი კბილების ღრჭიალით დავეტკებო!

– დიდო მეუფეო, დიახ, თქვენი დიდებული აზრი, როგორც ყოველთვის, ახლაც გენიოსურია! – აღტაცებით წამოიძხა ვაზირთ ვაზირმა დიახ-დიახმა. – დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, როგორ დიდებულად მიგვითითეთ, რომ დიდი საზამთრო პანდურეთის სიამაყეა და მისი შენარჩუნება ეროვნული პრესტიჟის საქმეა! ცხადია, შიგთავსის ანუ ტკბილი რბილობის ხანგრძლივი დროით შენარჩუნება შეუძლებელია და ალბათ მოგვიხდება მისი კონსერვაცია უახლესი მეთოდების გამოყენებით, რასაც თქვენი უმაღლესობის ბრწყინვალე ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ შეგძლებთ და ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალეებისა და მისი მეუფის სიბრძნის ამბავს მთელ მსოფლიოს ერთხელ კიდევ მოვფენო!..

– არა, დაფარულ სიმდიდრეს რა თავში ვიხლით, – ნაწილობრივ არ დაეთანხმა ბაქიბუქა I დიახ-დიახს. – საჭიროა, – საზამთროს შიგთავსი გამოვიღოთ და მისი ნაწილი, რასაც მოგერვით, მივითვით, დანარჩენი კი გავყიდოთ, რაც დამატებით შემოსავალს შემატებს პანდურეთის ბიუჯეტს... აბა, ჩვენი პატივცემული ასტროლოგი რას გვირჩევს – დიდი საზამთროს შეჭმა ღირს თუ არა? სად არის, რატომ არ ჩანს?

აქამდე სეფე-დარბაზის კუთხეში მიყუჩული კარის ასტროლოგი ვირთამამა მსწრაფლ გამოცუხცუხდა, სულთანს თავი დაუხარა და მოწიწებით მოახსენა:

– ჩვენო დიდო მწყალობელო, მოგახსენებთ, რომ ნებისმიერი ინფორმაცია ნებისმიერი არსების სიკვდილის შესახებ ასტროლოგის მიერ წესისამებრ არ გაიცემა, მაგრამ დიდი საზამთროს შემთხვევაში გამონაკლისს დაგუშვებ, გინდაც შავი მაგიისადმი მიდრეკილებაში დამადანაშაულონ! სრულიად ეჭვს გარეშეა, რომ თქვენი უმაღლესობის კოსმოსური მისია და სიკეთის გზა ჭეშმარიტად არის ამ დიდი საზამთროს შეჭმა! და ყველანი ერთხმად გისურვებთ: გაამოთ! თქვენი ენერგეტიკული ველი სუფთა გახლავთ და ამ დიდი საზამთროს სიცოცხლეს წერტილს თქვენ დაუსვამთ პირადად და ამით დიდ მადლსაც მოისხამთ სამარადღეამოდ! დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, ასე იქნება ეს, მისი აღსრულება გადაწყვეტილია ზეცაში და განპირობებულია კოსმოსური ნებით – წინ ვერაფერი დაუდგება! ჭეშმარიტად!

ბაქიბუქამ მადლიერების ნიშნად ვირთამამას ერთი ოქრო სტყორცნა და ვაზირთ ვაზირს შეეკითხა:

– ამ იდეის განსახორციელებლად რა იქნება საჭირო? როგორ გამოვიღებთ საზამთროს რბილობს გარსის დაუზიანებლად?

– დიახ, თქვენო უბრწყინვალესობავ, დიდი საზამთროს გარეგნული ფორმის შენარჩუნება იოლად შესასრულებელი ამოცანაა! – უპასუხა დიახ-დიახმა. – თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით შიგთავსს დავამუშავებთ დახურული სამთო გამონამუშევრებით, ამისთვის გავიყვანთ გვირაბებს, ასევე, შიგადაშიგ გაიჭრება ფანჯრებიც... კედლები და ჭერი შედარებით სუსტი იქნება და აუცილებელი გახდება მათი გამაგრება...

– არა, არა, – შეშინდა ბაქიბუქა, – მე ისედაც გადატვირთული გახლავარ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეებით და მაგისთვის ვერ მოვიცლი – დიდი საზამთროს შიგნით სამუშაოების ჩატარებას შენ სავსებით განდობ! ოღონდ მკაცრი კონტროლი დააწესე, რომ ჩემი საზამთროს გემოს გასინჯვა ზოგიერთმა სულსწრაფმა არ გაბედოს! ხომ კარგად გაიგე, რაც გითხარი? ერთი გრამიც რომ დააკლდეს, ათმაგად გაზღვევინებ – შენი ცხვირიდან მოჭრილი ხორციო! ჰი-ჰი-ჰი, ბიჭებო, ხომ მაგარი ვარ?! რა კარგი რამ მოვიფიქრე! ისეთი მაგარი ვარ, ზოგჯერ საკუთარი თავის მეშინია, ჰი-ჰი-ჰი!

– დიახ, დიახ, თქვენო უბრწყინვალესობავ! – წელში მოწიწებით მოიხარა ვაზირთ ვაზირი, მკერდზე მარჯვენაც მიიღო მორჩილების ნიშნად, გულში კი გაიფიქრა: “მართლა ძალიან მაგარი ხარ და არ გამიკვირდება, თუ კაციჭამიობასაც მიჰყოფ ხელს, კარგ გემოს ჩაატან! ოღონდ იმას ვერ მოესწრები, რომ ჩემგან დაიწყო!”.

– შიგნით შესაძლებელი იქნება გასართობი ატრაქციონების მოწყობაც! – თვალეები უბრწყინავდა ბაქიბუქა I-ს და გამალებით ამუშავებდა ყბებსაც და ენასაც: – არა, აჯობებს, ნამდვილი დიდი ცირკი მოვაწყოთ მასში!

– ჭეშმარიტი გენიოსი ბრძანდებით, თქვენო უბრწყინვალესობავ, – წამოიძხა სულთნის გართობისა და სურვილების ასრულების ვაზირმა ტაში-ტუშმა. – მასში ალბათ სულ ცოტა ოცი ათასი კაცი დაეტევა.

– საცირკო წარმოდგენების დაწყების წინ მათ წინაშე გამოვალ ხოლმე, ქვეყნის საჭირობორტო საკითხებზე ვისაუბრებ! პანდურეთის ხალხთან შესახვედრად უკეთეს ადგილს ვერც ინატრებ და, მე იმედი მაქვს, პირდაპირი სატელევიზიო გადაცემებისთვის ყოველგვარი პირობა იქნება

შექმნილი, მათ შორის, უშიშროების მხრივ უმაღლეს სტანდარტებს დააკმაყოფილებს და უამინდობისგანაც კარგად იქნება დაცული.

– ბრძენთა ბრძენო, თქვენს სურვილს წინ რა დაუდგება! – წამსვე მიუგო დიახ-დიახმა. – ზევიდან საზამთროს ზედაპირს დავფარავთ წყალგაუმტარი ნივთიერების აფსკით, მაგალითად, ცულოფანით, შიგნითა მხრიდან კი – რკინაბეტონით გავამაგრებთ...

– ყოჩაღ, მეც ეგ აზრი მიტრიალებდა თავში, როგორ გამოიცანი? ეს იქნება მსოფლიო დონის ატრაქციონი! – აღფრთოვანებას ვერ მალავდა ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი. – თუ არის დათვლილი, დიდი საზამთროსგან მისი შეჭმის შემდეგ თესლი რამდენი დარჩება?

– თქვენო უბრწყინვალესობავ! – წელში მოიხარა სოფლის მეურნეობის მოშლისა და გატიალების გაზირი ჩურჩუტ-ჩერჩეტა. – წინასწარი გამოთვლებით, სულ ცოტა, რამდენიმე ათეული ათასი უნდა იყოს...

– მომავალ სამეურნეო წელს მისი თესლით ყველგან საზამთრო დაითესოს! – გაუხარდა ბაქიბუქა I-ს. – ყველგან – მხოლოდ საზამთრო!.. და სხვა არაფერი გაბედონ, თორემ ყველას თავებს დაგაყრევინებ! საზამთრო ააყვავებს სოფლის მეურნეობას, ქვეყანასაც ეშველება და მთელ მსოფლიოსაც მოვამარაგებთ იაფი, უმაღლესი ხარისხის უგემრიელესი საზამთროთი, კონკურენციას ვერაფერი გაგვიწევს!

– თქვენი უდიდებულესობავ, ნამდვილი გენიოსი ბრძანდებით: ქვეყნის საგარეო ვალებსაც გავისტუმრებთ!.. ბიუჯეტის დეფიციტსაც აღმოვფხვრით! – ხელები მოიფშენიდა ქონების დანიავების გაზირმა ძლომილამ.

– თქვენო უბრწყინვალესობავ, ყოველ წუთს გვანცვიფრებთ თქვენი უბრწყინვალესი გონების გამონათებით: საზამთროს არნახული მოსავალი პანდურეთისთვის ხსნა იქნება – შიდაპოლიტიკურ ძლიერ ძვრებს გამოიწვევს, ოპოზიციის კნავილს ხმას ჩააკმენდინებს და ჩვენ ფინანსურადაც მოგებუნი დავრჩებით! – გახარებული იყო საშიშროების გაზირი ყურდიდაც.

სულთანმა ხან ძლომილას შეხედა, ხან – ყურდიდას, ვერ გადაეწყვიტა, ბანანის მონარჩენი რომელისთვის ეტყორცნა, საბოლოოდ კი დიახ-დიახისთვის გაიმეტა, და სანამ ახალ ბანანს გაფცქენიდა, განკარგულება გასცა:

– ხალხის წარმომადგენელთა დარბაზის თავმჯდომარის ალიბაბა მარჯაკელის საყურადღებოდ: ახლავე გაეარდი, შენი უშუალო ხელმძღვანელობით საჩქაროდ მომზადდეს შესაბამისი კანონპროექტი დიდი საზამთროს განკარგვის თაობაზე, რომ ის ჩემს პირად საკუთრებად ცხადდებო; ასევე, კანონპროექტი დიდი საზამთროს განვითარების ფონდის შესახებ! ორივე დაუყონებლივ განიხილეთ სახალხო წარმომადგენელთა დარბაზის კომისიებში და უმოკლეს ვადაში – ხვალვე! – წარედგინოს დარბაზის რიგგარეშე სესიას დასამტკიცებლად! ერთხმად მიღებული კანონები ხელმოსაწერად ხვალვე ჩემს მაგიდაზე იდოს, თორემ ყველას თავებს წაგაცლით!.. ჯამიტლეკია უმაქნისებო, უცხვირპირობო, ხორცმეტებო, უჯიგრობო, შატაბუტა ბუზიყლაპიებო!

კარი XIV.

ბაქიბუქას ფანტაზიების შადრევანი ამოუწურავია – ლაყუჩამ სასწრაფოდ გამოიყვანოს ხოხბისა და ბაყაყის ახალი ჯიშები!

კარის მეხობბენი უკვე მზად იყვნენ, ჩართულიყვნენ ურთიერთთან შეჯიბრში, ვინ უფრო სწრაფად და ფერადოვნად შეაქებდა სულთნის ბოლო ნათქვამს, მაგრამ ბაქიბუქამ ხელის მადლა აწევით წამიერად შეაჩერა ყველას ბაგეზე დათაფლული სიტყვების ნაკადის გადმოღინება – მაშინვე გადათქვა, უცებ ყველას ცივი წყალი გადაასხა:

– არა, ასე არ ივარგებს, არ გამოვა, ჩემო კარგებო, რომ დაგიღიათ პირი და სხვის საზამთროზე ნერწყვი მოგდით – სულ ტყუილად, მინდა მოგახსენოთ! ეგ ჩემი საზამთროა, მხოლოდ ჩემი! ყველამ იცის, მე ქვანარშია არ განლაგარ, მაგრამ ვიდაც წუწკ ვიგინდარებს რატომ უნდა ვუწილადო გემრიელი საზამთროს თუნდაც ერთი ნაჭერი მაინც? მე თქვენ გეკითხებით: რატომ და რისთვის, რა დამსახურებისთვის, სად იქნება ამგვარ ქმედებაში სამართალი და სამართლიანობა? იცოდეთ: არც ჩემი საზამთროს თესლის განაწილებას ვაპირებ! ჩემი დიდი საზამთრო ერთადერთია და ასეთად უნდა დარჩეს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში!.. სამარადისოდ!.. მოვიფიქრე: მისი უკეთ შესანახად, ჩემი სასახლის ბაღში გადმოვიტანოთ და საგანგებოდ გადავხუროთ შუშის დიდი პავილიონით! ვიშ, რა დიდებულნი იქნება! თქვე ბედოვლათებო, საუკეთესო გამოსავალი ისევ მე მოვიფიქრე, თქვენი იმედი არასდროს მქონია!

– დიდო მეუფეო, სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ! – წამოიძახა ქონების დანიავების ვაზირმა ძლომილამ. – თქვენს დიდებულ სასახლეს უბრწყინვალესი შუშის პავილიონი და განუმეორებელი დიდი საზამთრო ფრიად დაამშვენებს – მსოფლიოს მერვე საოცრება იქნება! მაგრამ ჯერ საჭირო იქნება დიდი საზამთროს პატრონს მოველაპარაკოთ, უფრო სწორედ, მეგობრულად ვურჩიოთ, რომ, თუ არ უნდა, მომავალში ფრიად დიდი უსიამოვნებებს გადაეყაროს, ნებაყოფლობით უნდა გაჩუქოთ თქვენ დიდი საზამთრო და ამით დაამტკიცოს დიდი შეგნებულობა და სანაქებო მამულიშვილობა!

– ვინც ეგ საზამთრო გაზარდა? – ჩაფიქრდა სულთანნი. – კანონით ჩემს საკუთრებად კი გამოვაცხადებთ, მაგრამ საერთაშორისო სასამართლოებში რომ იჩივლოს? ეგ ლაყუჩაა თუ მაყუჩა, დიდი მატრახაზი და ძაღლთაპირი ჩანს! დახე ამ ვირისთავსა, საფიქრელ-თავსამტვრევი გამიჩინა, თავის ტკივილი როგორ მაჩუქა? თითქოს სხვა საქმე არაფერი მქონდეს! როგორ გაბედა ჩემს დაუკითხავად ამხელა საზამთროს გაზარდა? ეგ დანაშაულია სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე! ვანანებ თავხედობას! ახლავე, დაუყოვნებლივ დაისაჯოს! და, რასაკვირველია, საზამთროც ჩამოერთვას – ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე! ფეხებზე მეიღია საერთაშორისო სასამართლოებიც – წერონ დადგენილებები და იკითხონ! დიდი საზამთრო ხვალვე სასამართლოს დადგენილებით ჩამოერთვას ბლაყუჩას – გასაჩივრების უფლების გარეშე!

– თქვენო უდიდებულესობავ, რა ბრალდება წაუყენოთ? – წელში მოიხარა დაჭერებისა და პანჩურის ამორტყმის ვაზირი როზგა-როზგა, თან გუნებაში გაიფიქრა: “ჩვენი მეუფე დღეს განსაკუთრებით ცეტობს – ხან ასე ჭრის და მერე სულ სხვაგვარად კერავს, ვერაფერს გაუგებ მისი აცაბაცა აზროვნების უეცარ ნახტომებს!”.

– ვაჰ, რა გვარიანი რეგვენი ბრძანდები, მაინცდამაინც პანჩური უნდა ამოგარტყა, რომ ცოტა აზრზე მოხვიდე? ბრყეო, მიზეზი ცხადზე უცხადესია: დააპატიმრეთ და გასამართლეთ სულთნის მიმართ გამოჩენილი უპატივცემულობისთვის!

– თქვენო უბრწყინვალესობავ, ეგ მიზეზი საკმარისზე მეტიცაა სამაგალითოდ დასასჯელად და სხვა მხრივაც სასარგებლო იქნება: სხვათათვის გამოდგება თვალსაჩინო მაგალითად და ჭკუის სასწავლად! დიდი სიამოვნებით შევასრულებ თქვენს საპატიო დავალებას და, გარდა ამისა, თუ თქვენი უმაღლესობის თანხმობაც იქნება, დამატებით პანდურითაც დავასაჩუქრებ! – მაშინვე კვერი დაუკრა როზგა-როზგამ.

– თანახმა ვარ! თუ გაგიხარდება, მეორე ფეხითაც გაისარჯე – გემრიელი ძღვენი ჩემი სახელითაც უბოძე!.. საზამთროს სანაცვლოდ, ჰი-ჰი-ჰი!..

– დიდო სულთანო, დარწმუნებული ვარ, ლაყუჩას ასეთი გამორჩეული პატივი ფრიად გაახარებს და უდიდეს სიამოვნებასაც მოჰგვრის! – როზგა-როზგა წელში მოიხარა, ლამის ცხვირი იატაკზე დაფენილ ხალიჩას შეახო, გასწორდა და განაგრძო: – თუ უფლებას მომცემთ, უფრო მომგებიან სვლას შემოგთავაზებთ, რომ კანონიერი გზით ჩავაჩუმოთ მაგანთა კნავილი სამართლის ნორმების დარღვევის გამო... უნდა შემოვიღოთ ახალი კანონი – დასაბუთებული ეჭვის შესახებ! ჩვენი კანონმდებლობა ოფიციალურად ნებას მისცემს ჩვენს პროკურატურას, პასუხისგებაში მისცეს და სისხლის სამართლის ნორმების სრული დაცვით გასამართლდეს ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც თქვენს უმაღლესობას გაუჩნდება გონივრული ეჭვი, რომ მას ჩაფიქრებული აქვს ტერორისტული აქტის მოხდენა, სახელმწიფო გადატრიალებისთვის ემზადება ან სხვა სახის ძაღადობრივი მოქმედება აქვს ჩაფიქრებული სახელმწიფოსა და პირადად თქვენი უმაღლესობის წინააღმდეგ. თქვენის მხრივ ამგვარი გონივრული ეჭვის არსებობა სრულიად საკმარისი იქნება, რათა დედა ვუტიროთ ჩვენს ყველა არაკეთილმოსურნეს, ან თუნდაც – პოტენციურ მოწინააღმდეგეს თუ ნებისმიერ წინააღმდეგობის გამწვევს...

– დიდებულისა, დიდებულის! – წამოიძახა ბაქიბუქამ, აღტაცებისგან შეჩერდა და ბანანის ჭამაც კი შეწყვიტა. – აქამდე ასეთი გენიალური კანონის მიღება როგორ ვერ მოვიფიქრეთ! მთელი მსოფლიო პირს დაადებს: უპრეცედენტო კანონშემოქმედებითი მოვლენის მოწმენი იქნებიან! საჩქაროდ მივიღოთ და ჩვენი ყველა პრობლემაც უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნება! აჰა, შენ! – და როზგა-როზგას ოქროს ფული სტყორცნა.

– აბა, ჩემო მაგარო ყურდიდავ, რატომღაც სულ ჩუმადა ხარ; შენ რას ფიქრობ, რა შეფასებას მისცემ დიდი საზამთროს პანდურეთში ასე მოულოდნელად გამოჩენას? – მიმართა ბაქიბუქამ საშიშროების ვაზირს.

– დიდო სულთანო, დრო არ ითმენს, ყოველი წუთი ძვირფასია და ნება მიბოძეთ, სანამ ახალ კანონს მივიღებთ, ლაყუჩას მოსალოდნელ დაკავებასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი, ჩემი შეხედულებით, ფრიად მომგებიანი სვლა შემოგთავაზოთ... – ყურდიდამ, მეუფის უუმაღლესი თავგანისცემისა და უკიდევანო მორჩილების ნიშნად, მეკრძრე ხელისუფლი მიიღო, წელშიც მოიხარა და, სულთნის მხრივ თანხმობის ნიშნად თავის დაქნევის შემდეგ, განაგრძო: – ჩვენი სვლა მარტივი და მეტად ეფექტური იქნება – დაუყოვნებლივ გამოვაცხადოთ ლაყუჩა შემოგზავნილ ტერორისტად! ამისთვის ფრიად საფუძვლიანი არგუმენტი გვაქვს: მის მიერ გამოზრდილ დიდ საზამთროს ყოვლის დამანგრეველი ჯადოქრული ძალა გააჩნია, რაიც, რაშიც ეჭვის შეტანა შეუძლებელია, მიმართულია სრულიად პანდურეთის დასაღუპად! უტყუარი და მრავალრიცხოვანი ოპერატიული მონაცემების მიხედვით, დიდი საზამთროს გამოჩენა შემთხვევითი არ არის და ეს

ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა არ შეიძლება შექმნილი საერთო საგანგაშო სიტუაციისგან იზოლირებულად წარმოვიდგინოთ და განვიხილოთ! შეჭველია, შავბნელი ძალების მხრივ შემუშავებულია შავბნელი გეგმა და მზადდება ფართომასშტაბიან არეულობათა მთელი წყება, რომლებიც, თქვენო უბრწევინალებო, ფრიად საშიშროების მომტანია პანდურეთისთვის და თუ ჩვენ მათ აღსაკვეთად გადამჭრელი ღონისძიებების მიღებას დაგაგვიანებთ, შეჭველად ქვეყნის მშვიდობისა და კეთილდღეობის დამანგრეველ არეულობაში და საბოლოოდ – აჯანყებაში გადაიზრდება! ჩვენი ვარაუდით, ლაყუჩა ზესაიდუმლო, განსაკუთრებული დანიშნულების იატაკქვეშა ორგანიზაციის მეთაურია, იგი იმართება უცხოეთიდან – ჩვენი ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილი ფრიად გავლენიანი ძალებისგან, ამასთანავე, იგი დაკავშირებულია სულთნისა და ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილ პარტიათა ლიდერებთან! ისინი ერთიანი ჯაჭვის რგოლებია – ყველანი თქვენი უდიდებულესობისა და ქვეყნის ინტერესების გამყიდველია! ისინიც დავიჭიროთ – დაუყონებლივ!.. უკლებლივ ყველანი!.. მათ დაკავებას დაგავალდებულებს მიერ თქვენი მითითების საფუძველზე შექმნილ საიდუმლო ორგანოს “იქს-იგრეკ-ზეტ” ყოჩაღ ბიჭებს, რითაც ქვეყანაში აღკვეთილ იქნება დესტაბილიზაციის ცდა და საყოველთაო წესრიგი და მშვიდობა საბოლოოდ უზრუნველყოფილი იქნება! და ეს იქნება მთლიანად პანდურეთის დიდი წარმატება, თქვენი უმაღლესობის უდიდესი გამარჯვება!

– უყურე ერთი მაგ გათანხმებულს! – წამოიძახა ადელეგებულმა ბაქიბუქამ და ბანანის ჭამასაც კი შეეშვა, მაგრამ, საბედნიეროდ, მხოლოდ მცირე ხნით, სანამ სულიდან ადგზნების ორთქლს გამოუშვებდა. – უნდათ, ჩემი ტახტზე ჯდომის 10 წლისთავის აღსანიშნავი დიდებული დღესასწაული ჩამაშხამონ და მთელ ქვეყანას დიდი ზემის ჩაშლით გაუფუჭონ გუნება-განწყობილება? ავაზაკები! მოღალატეები! მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან, ეგ მყრალი ბაღლინჯოები და უნდობლად უნდა გავსრისოთ! ჩემო ერთგულო ყურდიდავ, შენი სიბრძნისა და ფხის დიდი იმედი მაქვს! დიდებულა, ჭეშმარიტად დიდებულა, რა ჭკვიანურად ილაპარაკე, ჰოდა, ერთი ოქროს კი გეკუთვნის, ნამდვილად დაიმსახურე, დაიჭი! ისიც გასათვალისწინებელია, – უცებ სხვა მხარეს გაუტია ბაქიბუქამ, – რომ ეს ლაყუჩა თუ ბლაყუჩა ამხელა საზამთროს პატრონია და, დარწმუნებული ვარ, ქონების გადასახადი არ აქვს გადახდილი! სასამართლოში უჩივლეთ და დამატებით შესაბამისი ჯარიმაც დაეკისროს თითო გადაცდენილ დღეზე!

“საწყალი სულთანი, რას ბუჭურობს, თუ იცის? აკი დიდი საზამთრო ჩემიაო? – გაიფიქრა ვაზირთ ვაზირმა. – მაშინ წესით ჯარიმა თვით სულთანმა უნდა გადაიხადოს!”

– დიდო მბრძანებელო, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ჭეშმარიტად ბრძნული გადაწყვეტილება მიიღეთ! – ვაზირთ ვაზირსა და მაქებარ ვაზირსაც კი დაასწრო ძლომილამ, ქონების დანიშნავების ვაზირმა, და მამებლობაში კონკურენტების – დიახ-დიახისა და მიდი-მოდის – მრისხანე მზერებიც დაიმსახურა.

ბაქიბუქა ხელქვეითთა ჭკუის დარიგებას განაგრძობდა:

– თქვე ბედოვლათებო, დიდყურებო, გლახაკებო, სულ ჩემს იმედად უნდა იყოთ? ცოტა ტვინი თქვენც გაანძრეთ! მოსთხოვეთ იმ ლაყუჩა-მაყუჩას, საბუთი თუ აქვს, რომ დიდი საზამთრო მისია? რა თქმა უნდა, ვერ წარმოადგენს ვერავითარ საბუთს, ჰოდა...

– თქვენო უმაღლესობავ, მაშ, ვისი არის? – წამოიძახა დიახ-დიახმა.

– ჰი-ჰი-ჰი! – ბაქიბუქა ვაზირით ვაზირის ნათქვამზე სიცილით გადაფიქრდა: – ეგეთი დებილი თუ იყავი, არ მეგონა! ჰი-ჰი-ჰი! მაგარი ხუმარაც ყოფილხარ, ცოდვია შენი ვაზირთ ვაზირობა, დღეიდან გნიშნავ ჩემს პირად ტაკიმასხარად!.. აქამდე რატომ არ დაგნიშნე, მიკვირს – სწორედ საშენო სახელოა! დარწმუნებული ვარ, ხომ გაგინახრდა? უნდა დააფასო – მე სულ თქვენზე ვზრუნავ, აბა, რა! იმგვარად დაგასაჩუქრებ, კარის ტაკიმასხარას როგორც ეკადრება! ჰი-ჰი-ჰი!.. გაიხარე: ყოველ მოწონებულ ხუმრობაზე თითო ოქროს გტყორცნი! ვერ გაამართლებ ჩემს მოლოდინს და ვერ გამაცინებ – პანდურით დაგაჯილდოვებ ან, თუ გირჩევნია, იფნის სახრეს გადაგიჭერ ბეჭებზე, ამოირჩიე! ჰი-ჰი-ჰი!..

– სულზე უტკბესო დიდო სულთანო, რა თქმა უნდა, თქვენი გამორჩეული წყალობის დიდად მაღლიერი დავრჩი, მაგრამ თქვენი უმაღლესობა სხვა დონის ღირსია და, თუ თქვენ ნებას დამართავთ, კარის მასხარად ჩემზე ბევრად უკეთეს კანდიდატურას შემოვთავაზებთ...

– ჰი-ჰი-ჰი, ვისი? ყურებპარტყუნა ძლომილასი, პირდაუბანელ ჩურჩუტ-ჩერჩეტის, ჭკუის კოლოფ როზგა-როზგასი თუ ყურდილა-ტვინმცირესი? ყველა გამორჩეულად ნიჭიერია და მათგან განსაკუთრებით რომელს გამოარჩევ?

– თქვენო უბრწევინალებო, თქვენი წყალობა ნუ მომაკლოს განგებამ, კარის მასხარის მართლაც სასახელო სახელოს ერთი მართლაც დიდად ნიჭიერი კაცი დიდებულად გაუძღვება – ლაყუჩა! ის რომ გამორჩეულად ნატიფი ხუმრობის მოყვარულია, ცხადად დაამტკიცა: იმხელა საზამთროს გაზრდა ხუმრობაა?

– ჰი-ჰი-ჰი, ყოჩაღ, ყოჩაღ, მართლა კარგი იყო, ძალიან გამაცინე! – ბაქიბუქამ დიახ-დიახს ოქროს ფული სტყორცნა. – ჩემი უზენაესი გადაწყვეტილებით, ისევ გაბრუნებ ვაზირთ ვაზირის თანამდებობაზე! მაგრამ სანამ შენგან დიდად ნაქებ ლაყუჩა-ბლაყუჩა-კაკუნა-ტლაყუჩას დაიჭერენ და აქ მომგვრიან, – ვნახო ერთი რა ბიჭია! – მანამდე შეთავსებით იქნები ჩემი კარის ტაკიმასხარაც! რა გენადვლება, ხშირ-ხშირად იხუმრე, მაღაყებს გადადი და მიითვალე ოქროები, ამას რა

სჯობს! ფრიად საპატიო ახალი მოვალეობა დაგაკისრე; აბა, შენ იცი, გამიხარდება, თუ ხშირად გამაცინებ და როზგზე მეტად ოქროს მოიმიკი!

– დიღო სულთანო, რაც შეეხება იმ დიდი საზამთროს საკუთრების პრობლემას... – განაგრძო გახალისებულმა დიახ-დიახმა. – აქ ბევრი ვისაუბრეთ მისი გადაწყვეტის გზებზე, მე გთავაზობთ კიდევ ერთ, ყველაზე უბრალო და ეფექტურ გამოსავალს: წარმომადგენელთა დარბაზის სხდომაზე დეპუტატებმა საჩქაროდ მიიღონ კანონი: ყველა საზამთრო, რომელიც წონით 20 კილოგრამსა და მეტს მიაღწევს, მაშინვე ცხადდება სახელმწიფო საკუთრებად და ექვემდებარება ჩამორთმევის ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე, მორჩა და გათავდა!

– დიდებულია, დიდებული! – წამოიძახა გახარებულმა სულთანმა. – მიკვირს, ამგვარი კანონი აქამდე არ გვაქვს მიღებული, როგორ ვერ მოვისაზრეთ! ოღონდ შენს მიერ შემოთავაზებული წონა მეტისმეტად დიდია – დაიწიოს 10 კილოგრამამდე – ასე უფრო სამართლიანი იქნება! მსგავსი კანონი ბანანის შესახებაც ხომ არ მიგველო?

– თქვენო აღმატებულებავ, სამწუხაროდ, ჩვენთან ჯერჯერობით ბანანი ვერ ხარობს, – თქვა ყურდილამ.

– ჩვენო დიღო მეუფე და დიღო მწყალბოლო! მართლაც დროული იქნება და დარბაზის რომელ კომიტეტებში გსურთ, რომ მოხდეს საზამთროს ზღვრული წონის შესახებ საკითხის განხილვა? – ხმა ამოიღო პანდურეთის წარმომადგენელთა დარბაზის თავმჯდომარემ ალიბაბა მარჯაკელმა, რომელიც აქამდე ჩუმად იყო.

– შენ ჯერ კიდევ აქ გდინარ? – აბობოქრდა ბაქიბუქა. – აკი გიბრძანე, ახლავე გაქცეულიყავი და კანონპროექტები მოგეკვარახტინებინა! ასეთი ბრიყვი როგორ დაიბადე? ჩანჩურავ, ბაიყუშო, უპასუხისმგებლო ცოდვიყლაპიაგ! თუ დროულად მიგაჩნია საკითხის ამგვარად გადაწყვეტა, რა გიშლის ხელს? შე ჭკუანაკლული, ახლავე, დაუყონებლივ მოიყვანე საგანგებო სხდომაზე ეგ უსაქმურობისგან გასუქებული გაქსუებული დეპუტატები და ამ შესამე კანონპროექტსაც კენჭი უყარეთ! საპყრები, ტაკიმასხარა ვაჟბატონები, – ნახევარზე მეტი სხდომებს არ ესწრება, დანარჩენებს სძინავთ ან ანეკდოტების მოყოლის, დომინოს თამაშისა და გაზეთების კითხვის მეტს არაფერს აკეთებენ!

– თქვენო უბრწყინვალესობავ, ასე საჩქაროდ დეპუტატების შეკრება გაჭირდება – ახლა უკვე სადამოა...

– ჩიტირეკია სულელლო, უფრო უკეთ კი რომ მოგახსენო, ნაღდო დებილო, არ ვიცი, თქვენი გადამიკიდე, როგორ ვარ ჯერ სრულ ჭკუაზე ან ინსულტმა ადრეულად როგორ არ გამისტუმრა საიქიოს! ღამის სამი საათიც რომ იყოს, შეკრიბეთ ეგ გაბღენძილი ტყელეპია თაღლითები და დაუყონებლივ სამივე კენჭისყრა ჩაატარეთ!.. ხომ გითხარი, დილისთვის სამივე კანონი ხელმოსაწერად ჩემს მაგიდაზე იდოს! ყვეწო, რაღას მიყურებ ასე გაკვირვებული, დაუყონებლივ მიხედე საქმეს! დროზე, დროზე, შე უხიაგო დოყლოგ!

– თქვენო უბრწყინვალესობავ, ახლავე მივდივარ!.. მივფრინავ! – ჯერ ჩქარი ნაბიჯით და მერე კი, მეუფის ენერგიული პანდურით გახალისებულმა, სირბილით დატოვა სეფე დარბაზი პანდურეთის სახალხო წარმომადგენელთა დარბაზის თავმჯდომარემ ალიბაბა მარჯაკელმა.

სულთან კი ვეღარ ჩერდება, ბანანის ჭამაც კი დროებით მიატოვა, ბაქიბუქობს, თითქოს მისი პირადი დამსახურება იყოს:

– ყველამ გაიგეთ, დიდმაც და პატარამაც, რომ დიდი საზამთრო პირადად ჩემი საკუთრებაა, ამავე დროს – მთლიანად ჩვენი ერის საკუთრებაცაა! შინ და გარეთ ყველანი დარწმუნდნენ: აი, რა მაგრები ვართ! მთელ მსოფლიოს, მტერსაც და მოყვარესაც, დავანახეთ: მსოფლიოს მერვე საოცრება – გიგანტური საზამთრო – ჩვენთანაა, ჩვენია! მთელი მსოფლიო, გაკვირვებული, საკუთარ თავლებს არ უჯერებს: პანდურეთის მრეწველობის უპრეცედენტოდ სწრაფ და ეფექტურ განვითარებასთან ერთად, იმავდროულად, სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და უმაგალითო აყვავების მოწმე გახდა! წარმატების მიღწევის ფორმულა მარტივია: ჩვენ ერთადერთი სწორი პოლიტიკა გავატარეთ! გვერდით მეზობელი სახელმწიფოები და მრავალი სხვაც ეკონომიკურად და ფინანსურად სულ ჩამოიშალა, სულს დაფავს – გაკოტრება ემუქრება, ჩვენ კი, მსოფლიო გლობალური კრიზისის პირობებში, მოვახერხეთ და მტრების ჯინაზე ასეთ არნახულ წარმატებას მივაღწიეთ, რომელსაც მთელი მსოფლიო ხედავს და განცვიფრებისგან პირდაღებული შემოგვყურებს! ხალხის კეთილდღეობისთვის განუხრეღმა ზრუნვამ დიდებული ნაყოფი გამოიღო: ძალიანაც რომ უნდოდეთ თვალის დახუჭვა, – “ვერაფერს ვხედავ!” – ეს ფანდი აღარ გაუვათ! ამ ჩვენი დიდი საზამთროს არსებობა ცხადი დადასტურებაა, რომ ჩვენს მიერ დასახული სტრატეგიული ამოცანები და გეგმები სწორი გამოდგა და ამ დიდებულმა საზამთრომ ერთხელ და სამუდამოდ ბურთი ჩასწარა პირში ყველა ჩვენს ავის მოსურნესა და ცილისმწამებელს!

– მეუფეო, ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო განვითარების სტრატეგიული გეგმის მიხედვით, რომელიც პირადად თქვენი თაოსნობით არის შედგენილი და შემდეგ პირადად თქვენს მიერ უზენაესად დამტკიცებული, განსაზღვრულია, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეში წამყვან დარგს წარმოადგენს ხობისა და ბალის ლოკიკინის მოშენება... მეორე რიგის ამოცანად კი დასახულია სანიანგეების მოწყობა, შემდგომ კი – ნიანგების ჩამოყვანა და გამრავლება, – ხმა ამოიღო სოფ-

ლის მეურნეობის მოშლისა და გატიალების ვაზირმა ჩურჩუტ-ჩერჩეტმა და გემრიელი პანჩურის მოლოდინში, შეშინებული, ორად მოიკუნტა.

მისი შიში უსაფუძვლო გამოდგა, ბაქიბუქამ, გახარებულმა, წამოიყვირა:

- რა კარგია, რომ გამახსენე, მე ხომ ამ ქვეყნად ყოველგვარი სახის ხორცის კერძს ფრიად ვეჭრები! ნიანგის ხორცსაც დიდი სიამოვნებით გავსინჯავდი; უცხოეთში გველის ხორციც მიმირთმევია და მესამე რიგის ამოცანად საგველეების მოწყობაც გავითვალისწინოთ... ვერ წარმოიდგენთ, ისე მიყვარს: შვლის მწვადი, ჩახოხბილი, ჩაქაფული, ლულა-ქაბაბი, ხაშლამა ხომ თავისთავად!

- დიდო მეუფეო, ხინკალმა რა დააშავა? დიახ, შემწვარი გოჭი და ქათამ-ინდაურიც გამოგრჩათ... - გაბედა ხმის ამოდება ვაზირთ ვაზირმა დიახ-დიახმა, თან გაიფიქრა: "ჩემი შებრაწული ცხვირ-ტუჩის დაგემოვნებასაც ხომ არ ისურვებდი?"

როდესაც ბაქიბუქას გაბადრული სახე იხილეს, ვაზირები თვითონაც მოვიდნენ იშტაზე და, ატყობდნენ რა, რომ სულთანს დიდად სიამოვნებდა ამ თემაზე საუბარი, ერთმანეთს ასწრებდნენ საკუთარი საყვარელი კერძების ჩამოთვლას:

- თქვენო უდიდებულესობავ, აფხაზურა, ინდაურის საცივი, ჩანახი...

- თქვენო უმაღლესობავ, ჩიხირთმა, ხარჩო, ლორი...

- თქვენო უბრწყინვალესობავ, შქმერული, აპოხტი, ყაურმა...

- დიდო სულთანო, კუჭმაჭი, ჯურჯანი, ზისხორა...

- დიდო მეუფეო, შემწვარ-შეპიწკინებულ გოჭუნაზე რას იტყვით? დარწმუნებული ვარ: თქვენი უდიდებულესობა არც მრგვალად მოხარშულ და შემდეგ შებრაწულ, ნიორწყალში ჩაწყობილ ვარიკას აკადრებთ უარს!

სირინოზისებრ მომღერალ ვაზირებს ნეტარებისგან თვალბმული უღელის ბაქიბუქაც აჰყვა:

- უჰ, რა ნერწყვი მომადგა, ლამის დავიხრჩო! ყველაფერი მიყვარს, მაგრამ ხოხობისა და ბაყაყის ჩიჩიაზე კი ნამდვილად ვგიჟდები, ლამის გავაფრინო! ასევე, ვაზის ლოკოკინის გემოს რა შეედრება და რამდენჯერაც კი ჩავდივარ პარიზში - წელიწადში ათ-თორმეტჯერ მაინც - აუცილებლად დავაგემოვნებ ხოლმე! დიახ, ჩვენებური ბაყაყების მოშენება ძალიან მომგებია იქნება, უპირველესად მთელ ქვეყანაში ყოველ სოფელში სასწრაფოდ გაგაკეთოთ დიდი გუბურები და მოვაწყეთ ბაყაყსაშენები - თანამედროვე მეცნიერების უკანასკნელი მიღწევების გათვალისწინებით!

"შენ თუ აფრენ, შვილოსა, თან წყვილ-წყვილად, ჩვენ რაღა დავაშავეთ?" - გაიფიქრა ვაზირთ ვაზირმა დიახ-დიახმა. და თითქოს მის შეფასებას გამოეხმაურაო, ბაქიბუქამ უცებ თვალები დააჭყიტა და ხაფი ხმით იყვირა:

- დიახ-დიახ, გავალებ: ლაყუნამ სასწრაფოდ, - ერთ თვეში... არა, ერთ კვირაში! - გამოიყვანოს ხოხობისა და ბაყაყის ახალი ჯიშები, რომლებიც ზომით, სულ ცოტა, ხუთჯერ მაინც იქნებიან დიდები! ამასთანავე, გიგანტურ ზომებთან ერთად, შენარჩუნებული ექნებათ მათთვის დამახასიათებელი განსაცვიფრებელი გემოვნებითი თვისებები! დარწმუნებული ვარ, ლაყუნას არ გაუჭირდება - ფრიად ყოჩაღი ბიჭი ჩანს! ხომ იცით, ჩემი სურვილის დროულად შესრულება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია და გაფრთხილებთ: თუ ერთ კვირას თუნდაც ერთი საათი გადასცილდება, სუყველას თავებს დაგაჭრით! დიახ-დიახ, პირადად გავალებ ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების გაძღვლას, ჰოდა, რომ არ დაგავიწყდეს, ახლოს მობრძანდი, ოქრო ხომ გიბოძე, ახლა პანჩურითაც უნდა დაგაჯილდოვო!

- დიახ, ჩვენი იმედო, ბრძენთა ბრძენო! - გემრიელი პანჩურის მოლოდინში წელში მოწიწებით მოიხარა დიახ-დიახი და მაშინვე, დაუმსახურებელი პანჩურის აცილების მიზნით, წამოიძახა: - თქვენო უმაღლესობავ, რას იტყვით, ლაყუნას წითელი ფერის ბანანის ახალი ჯიშის შექმნაც რომ დავაგალოთ? თანაც ზომით ჩვეულებრივზე ხუთჯერ დიდი რომ იყოს!

- ფერი ნამდვილად მოწონების ღირსია, აი, რაც შეეხება ზომას... ამხელა ბანანის ხელში დაჭერა და, მით უმეტეს, მისთვის კანის გაცლა რამდენად მოსახერხებელი იქნება? თუმცა, ამდენი უსაქმური ვაზირი ტყუილად მახვევია გარს? ისინი გამიფცქვნიან!.. თანაც, დამიჭრიან და ისე მომართმევენ! თანახმა ვარ: ეს ახალი პროექტიც გაკეთდეს!

დიახ-დიახმა როგორ მაჯობაო, ეწყინა ყურდიდას და, თავის მხრივ, მეუფის გულის მონადირება განიზრახა:

- თქვენი უბრწყინვალესობავ, მოგესხნებათ, ხასხასა წითელ პომიდორს ფერთ ვერცერთი სხვა რამ ამქვეყნად ვერ შეედრება, ლაყუნამ ინებოს და გიგანტური პომიდორის ახალი ჯიშიც გამოიყვანოს - ზომით საზამთროდიდს რომ აჯობოს!

დიახ-დიახ მაშინვე ყურდიდას წინდადების გაბიბრებებს შეეცადა:

- თქვენო უბრწყინვალესობავ, ეს პროექტი განუხორციელებელია - საზამთრო მიწაზე დევს და რა დაუშლის - რა სიდიდისაც უნდა, იმ ზომისა გაიზრდება, ამხელა პომიდორის სიმძიმეს კი რა ყუნწი გაუძლებს?

- ეგ სიმძელე ადვილი დასაძლევია - ქვევიდან შესაბამის სადგარს გავუკეთებთ, გიგანტური პომიდორი ვიშ, რა ლამაზი სანახავი იქნება! - მოუწონა საშიშროების ვაზირს აზრი ბაქიბუქამ. - ესეც დავაგალოთ ლაყუნას!

ღიახ-ღიახმა ყურები ჩამოყარა – ყურდიდამ აშკარად აჯობა; დამარცხებას ვერ შეეგუა და მოიწადინა, რამენაირად საერთოდ მოესპო ლაყუნა... ბაქიბუქას შემპარავად უთხრა:

– თქვენო უმაღლესობავ, რომელ გადაწყვეტილებას აძლევთ უპირატესობას: ლაყუნა დავიჭიროთ და მასსა და მის თანამზრახველებზე საჩქაროდ საჩვენებელი სასამართლო პროცესი წამოვიწყოთ ტერორიზმისა და სახელმწიფოს დალატის ბრალდებით თუ ამას თავი დავანებოთ, ლაყუნას სამოღვაწეოდ ხელსაყრელი პირობები შევუქმნათ და დავავალოთ ხოხბისა და ბაყაყის და სხვათა ახალი ჯიშების გამოსაყვანად დაიწყოს ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება? ჰო, კიდევ ერთი საკითხი არ გამოგვჩქვს: თქვენო უბრწყინვალესობავ, ლოკოკინას რაღა ვუყოთ? რამხელა ზომისას ინებებთ?

– ლაყუნას დაჭერა რაში მარგია, ვითომ მისი ხორცი ხოხბისა და ბაყაყისას აჯობებს? – იხუმრა ბაქიბუქამ. – უბრძანე: რაც დიდი ლოკოკინა იქნება, მით უკეთესი!

– თქვენი სურვილი ჩვენთვის კანონია!

ბაქიბუქა უცებ აფეთქდა:

– დასაჭერია ვგ ბრიყვი, სულელი, უმეცარი, რეგენი! ეს რა მიქნა, კაცო, როგორ მიხიმანა ამ გაიბეგრამ, ა?

– ვინ, თქვენო უბრწყინვალესობავ? – შიშით მეპბედა ღიახ-ღიახმა, დანარჩენებსაც ტანში ჟრჟოლამ დაუარა.

– ვგ ხეპრე, ტეცია, სოფლის მეურნეობის მოშლისა და გატიალების ვაზირი ჩურჩუტ-ჩერჩეტი! როგორ გაბედა მთელი ვენახების თითქმის პირწმინდად ამოძირკვა? თქვე გაუნათლებლებო, არ იცით, რომ ვაზის ლოკოკინებზე ევროპაში უდიდესი მოთხოვნილებაა? ჩვენი გოლათი ლოკოკინებით მსოფლიო ბაზრებს დავიპყრობდით, მაგრამ ჩურჩუტ-ჩერჩეტმა ეს რა ოინი გვიყო, ხალხო, პირდაპირ ყელი გამოგვჭრა!

– თქვენო უბრწყინვალესობავ, ლაყუნას ჯერ გიგანტური ვაზის ჯიშის გამოყვანა დავავალოთ! – მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის ხერხი იპოვა ღიახ-ღიახმა. – ახალი ჯიშის ვაზი ნაყოფს საერთოდ არ გამოისხამს, სამაგიეროდ, უხვფოთლიანი, თანაც დიდფოთლიანი იქნება და გიგანტურ ლოკოკინებს მოსაშენებლად საუკეთესო საკვებ ბაზას შევუქმნით!

ბაქიბუქას ასეთ წვრილმანებზე საფიქრელად არ ეცალა – მოუთმენლობით აღსავსე, მორიგ ბანანს ქერქს აცლიდა – და მიუგდო:

– ამდენი ტვინის ჭყლეტით თავი ამტკივდა! ყველაფერი წვრილმან-მსხვილმანი ჩემი გადასაწყვეტი რატომაა? შე უტვინო, ერთი პანჩურით არ დაკმაყოფილდი და ახლა მეორეც უნდა გამომტყუო? გაანბრიე ტვინი და, როგორც ქვეყნისთვის იქნება უკეთესი, ისეთ გზას დაადექი! ჰო, პირველი რიგის ამოცანებში არ გამოგჩქვს: დი-ი-დი ბანანის ჯიშში გამოიყვანოს, არანაკლებ ერთ კილოგრამს რომ აიწონის, შიგნითაც და გარეთაც აუცილებლად წითელი ფერისა უნდა იყოს და, ამასთანავე, აქ, პანდურეთში უნდა შეგვეძლოს მისი მოყვანა! დანარჩენს თვითონ მიხედე, ხელს ნუ მიშლი, ხომ ხედავ, რა დღეშიც ვარ! თქვენისთანა ბატისტვინა დონდლომანდლოებთან ლაყობობისთვის სად მცალაია: მე ჩვენი მშობლიური ქვეყნის წინსვლის განმაპირობებელი კარდინალური საკითხების შესახებ ფიქრით დღედაღამ ვარ დაკავებული!

ამჯერადაც, როგორც ყოველთვის, ბაქიბუქამ მართლაც სრული ჭეშმარიტება ბრძანა, ნათქვამის დასტურად კი ყურები და ცხვირი საკმაოდ გაეზარდა... ამას ბრძენთა ბრძენი ფილოსოფიური სიღინჯით შეხვდა, – პირველი შემთხვევა ხომ არ იყო, – ტახტს მიაშურა, მორიგი ბანანი გემრიელად ჩაბიჩა და თვალები ნეტარებით მიღუღა – ქვეყანაზე ზრუნვით აშკარად დაიღალა და ერთხანს კუჭის ღმერთის მსახურებას მთლიანად მიენდო.

დანარჩენები ხმის ამოუღებლად იდგნენ და, მოწიწებით აღსავსენი, სულთნის სიტყვას ელოდნენ – თვალის დახამხამებისაც კი ერიდებოდნენ...

კარი XV.

რა ღირს საოცარი საზამთრო?

კიდევ რამდენიმე ბანანის მირთმევის შემდეგ, ბაქიბუქამ საქმისთვისაც მოიცალა: თვალები გაახილა და, როგორც ჩანს, ერთი ლანგარი ბანანის მირთმევასთან ერთად, ფრიალ საჭირბოროტო საკითხებზე ფიქრსაც განაგრძობდა. ამის დასტური იყო ის, რომ, უშიშროების საბჭოს სხდომის ბოლოს, კიდევ ორი განკარგულების გაცემა ინება; ერთი – საზოგადოებრიობისთვის იყო განკუთვნილი:

– საოცარი დიდი საზამთრო დაუყონებლივ მომართვით სასახლეში! საჩქაროდ! როზგა-როზგავ, ტუტუცო, ბრიყვო, ყეყეჩო, გძინავს თუ რა გემართება, ვერ გაიგონე, რაცა ვთქვი? გავარდი ახლავე, თუ საჭირო გახდება, ყურდიდაც დაიხმარე!

დაჭერისა და პანჩურის ამორტყმის ვაზირი როზგა-როზგა და საშიშროების ვაზირი ყურდიდა იმავე წამს თითქოს აორთქლდნენ დარბაზიდან, ბაქიბუქამ კი განაგრძო:

– დიდ საზამთროს აქ, ჩემი სასახლის ბაღში, საგანგებოდ აშენებულ შუშის პავილიონში მოვათავსებთ! ჩემი სტუმრები, – სხვა სახელმწიფოთა უმაღლესი პირები, საპატიო სტუმრები – ჩემს საზამთროს რომ შეხედავენ, შურით ენა ჩაუვარდებათ, ღრანჭი მოექცევათ გვერდზე! ჩემი სასახლის ბაღის ჭიშკარი ყველასთვის ღია იქნება, უცხოელი ტურისტების მექად გადაიქცევა! აგერ ნახავთ: უცხოური ვალუტა ნიაღვარივით მოსკდება!

მეორე განკარგულება, ფრიად საიდუმლო, მხოლოდ ყველაზე სანდო ადამიანთა ვიწრო წრისთვის იყო განკუთვნილი:

– ბიჭებო, კარგი იდეა მომივიდა: საჩქაროდ ახალი პარტია ჩამოაყალიბეთ, სახელად – “დიდი საზამთროს პარტია”! თან ისე, არავინ გაიგოს, რომ ისიც ჩვენი პარტიაა!

– თქვენო უბრძნესობავ, სამი ვითომ ოპოზიციური პარტია უკვე გვყავს და მეოთხე რაღა საჭიროა? ზედმეტი ხარჯი ხომ არ იქნება? – იკითხა პანდურეთის ქონების დატაცება-დანიაგების ვაზირმა ძლომილამ.

– ბრძივო, ახალ პარტიას შეუბღალავი რეპუტაცია ექნება! დევიზად კი წაუშემდგაროთ: “ჩვენ ახალი ძალა ვართ, ახალი ხედვით, ახალი იმედებით მოვდივართ პოლიტიკაში”. ბევრი სხვა ლოზუნგიც ააფრიალეთ: “საოცარ საზამთროსავეთ უსწრაფესად მოვიკრებთ ძალას და დიდზე დიდები გაეზრდებით! საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!” და სხვები, დანარჩენი – საზოგადოებრივი აზრზე ზემოქმედების გამოცდილ სპეციალისტებს მიანდეთ, თუ მაგის ჭკუა და უნარი თვითონ არ გაგაჩნიათ... შეუკვეთეთ შესაბამისი საგაზეთო წერილები, ტელესიუჟეტები, სამუსიკო კლიპები – კარგად იცით ყველაფერი, რაც საჭიროა წარმატების მისაღწევად, თქვენ ჩემი სწავლება არ გჭირდებათ! ახალი პარტიის ხელმძღვანელად რამდენიმე საზოგადოებაში პატივსაცემი და დაფასებული პიროვნება შეარჩიეთ, რომ შემდგომ არჩევანი ერთ-ერთზე გააკეთოთ! იქნებ ორი პარალელური “საზამთროს პარტიის” დაარსებაც იყოს მომგებიანი, ერთმანეთს ვითომ კონკურენციას გაუწვევენ! მანამდე კი, ჩვენ დროს ნუ დაგვარგავთ და რამდენიმე დღეში გაგმართოთ მთავრობის საგანგებო გამსვლელი სხდომა სანდოცეთში – ეს იქნება საუკეთესო საშუალება, რათა, პირდაპირი ტელეტრანსლაციის მეშვეობით, მთელი ქვეყანის მოსახლეობა თვალნათლივ დარწმუნდეს, როგორ ზრუნავს უმაღლესი ხელისუფლება მოსახლეობაზე და, განსაკუთრებით, რეგიონების უბრალო მშრომელებზე!

სულთანმა ის კი აღარ დაამატა, რომ, ასევე, პანდურელნი კიდევ და კიდევ უნდა დამტკბარიყვნენ ტელეეკრანებზე ბაქიბუქას ეგზომ ნაცნობი, ლამის მშობლიური სახის ხილვით, მოესმინათ მისი ფრიად ტემპერემენტისანი გამოსვლისთვის, შემდგომ კი იქ გამოთქმული მისი ბრძნული, ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებისთვის ფუძემდებლური აზრებისთვის უამრავ მიმომხილველს რამდენიმე დღის განმავლობაში განუწყვეტლივ გაეკეთებინა ბრძნული კომენტარი...

– მიუფეო, თუ თქვენი უზენაესი ნებაც იქნება, იქნებ სჯობდეს, შექმნილი მდგომარეობისა და საზოგადოებრივი აზრის გათვლისწინებით, მთავრობის საგანგებო გამსვლელი სხდომა გაიმართოს უშუალოდ დიდ საზამთროსთან! – ურჩია ვაზირთ ვაზირმა დიხ-დიხმა.

– აბა, სხვაგვარად როგორ იქნება – ჩემს გულში ზიხარ, დამასწარი თქმა, ხომ იცი! – დაეთანხმა სულთანი ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეტ-წერწეტა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და თვალებგაბრწყინებულ ვაზირთ ვაზირს მორიგი ოქროს მონეტა სტყორცნა; შემდეგ გამოართვა გამოწვდილი ბანანი ბანანთ ვაზირს, ცქეიტად გაფცქენა, გემრიელად მოაკბინა და, თან, როგორც ჩვეოდა, რომ არ მომცდარიყო, დეჭვა-დეჭვით განაგრძო: – აუცილებლად, აუცილებლად მთავრობის გამსვლელი საზეიმო სხდომა უნდა ჩატარდეს ამ არაჩვეულებრივ მოვლენასთან – უშუალოდ საოცარ დიდ საზამთროსთან! არა, კიდევ უკეთესი იდეა მაქვს, გასაყვეყნებელი, ჯერ მსგავსი რამ რომ არასდროს და არსად გაუკეთებიათ! მთავრობის სრული შემადგენლობა საზეიმო სხდომის ჩასატარებლად შეიკრიბება დიდი საზამთროს წვერზე! აბა, ხომ მაგარი იქნება? რა კარგია, რომ გიგანტური საზამთრო მაქვს, ყველანი თავისუფლად დავეტევიოთ! მთელ მსოფლიოს განვაცვიფრებთ! გრანდიოზულ სანახაობაზე დაგვატიჟოთ მთელი მსოფლიოს წამყვანი რადიო-ტელე და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები, მოვიწვიოთ საზღვარგარეთის ესტრადის ვარსკვლავები... იქ ერთ-ორსაათიან დიდებულ სეფესიტყვას დაგურტყამ და, რა ვიცი, იქნებ ვიცეკვო და ვიმღერო კიდევ მათთან ერთად! ბავშვობაში ისეთი არაჩვეულებრივი ხმა მქონდა, ყველას ვაოცებდი, ვოცნებობდი, გამოჩენილი მომღერალი გამოვსულიყავი და ესტრადაზე გამებრწყინა! ეჰ, ქვეყნის საქმეებზე ზრუნავს ჩემს ოცნებას ფრთები ვერ გააშლევინა, თორემ... სცენის გაფორმების ყველა წვრილმან-მსხვილმანი მე შემითანხმეთ, ხომ იცით, ჩემი დახვეწილი გემოვნების შესახებ – უცხოეთში მრავალგზის დავსწრებივარ საარაკო კონცერტებს, ეს ახალი შოუ კი, ნაღდად გპირდებით, მსოფლიოში ყველას გადაუჯოკრავს!.. მთავრობის საზეიმო სხდომა უზარმაზარი საზამთროს წვერზე – დიდებულია! მსოფლიოში მსგავსი რამ ჯერ არსად და არასდროს მომხდარა, ჩვენ პირველები ვიქნებით! ოცნებით უკვე ასული ვარ დიდებული საზამთროს მწვერვალზე – ოჰ, რა დიდებული ხედი გადაიშლება იმ სიმაღლიდან! სხვათა შორის, საინტერესოა ფრიად, რა სიმაღლისაა ჩვენი დიდი მეფე საზამთრო?

– დიდო და დიდებულ მეუფეო, – წამსვე შეაგება პასუხი ვაზირთ ვაზირმა დიახ-დიახმა, – ჩვენი გეოდეზიური სამსახურის მიერ სასწრაფოდ ჩატარებული სამუშაოების მიხედვით, საზამთრო წარმოადგენს თითქმის სწორ სფეროს; დაახლოებით ისეთივე ფორმის გახლავთ, როგორც დედამიწაა, და მისი სიმაღლე, გუშინდელი მონაცემებით, შეადგენს 36 მეტრსა და 19 სანტიმეტრს. არ არის გამორიცხული, რომ დღეისთვის ეს სიდიდე მნიშვნელოვნად გადიდებული იყოს, საზამთრო ხომ ჯერ კიდევ განაგრძობს ზრდას.

– სასწაულია, სასწაული, ძალიან სასიხარულოა! ეს დიდი სიმაღლეა?

– დიდო სულთანო, ნამდვილად ასეა, დაახლოებით, ათ-თორმეტსართულიანი სახლის სიმაღლის გამოდის, – მოწიწებით მოახსენა საგანგებო სიტუაციების არეგ-დარევის ვაზირმა ძრომიამ. – თქვენო უბრწინვალესობაგ, დიდი საზამთროს თავზე აუცილებელი იქნება უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღება: დამცავი ბაგირებით სხდომის ადგილის შემოკავება, ქვემოთ კი, მიწაზე, უზარმაზარი, ჰაერით გაბერილი ბალიშების დაწყობა, – ყოველი შემთხვევისთვის, უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, თუკი ვინმე მაინც გადმოვარდება...

– დალოცვილებო, დროზე ვერ მითხარით? არა, იქ ვერ ავძვრები, ბავშვობიდან სიმაღლის შიში მჭირს! – წამოიძახა ხონთქარმა, ბოდიში, სულთანმა. – თავიდან ისიც კი გავიფიქრე, საზამთროს წვერზე თვითმფრინავიდან არ ვერტმფრენიდან პარაშუტით ხომ არ დავეშვა-მეთქი, – უჰ, რა არნახული, სენსაციური ეფექტი ექნებოდა, მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებები გადაიარეოდნენ – თითქოს ბომბი გასკადაო! სახელის გარდა, ბლომად ფულსაც გამოვკრავდი ხელს – ექსკლუზიურ მასალაში არაფერს დაიშურებდნენ!.. მაგრამ შემდეგომ, რომ წარმოვიდგინე, როგორ ვხტებოდი პარაშუტით, კინაღამ ცუდად გავხდი... არა, ამ სიმაღლეზე მხოლოდ ცეტი და სულელი ავა! აჯობებს, დიდი საზამთროს ძირში მოვაწყოთ ესტრადის მსგავსი ფიცარნაგი და იქ, მთავრობის კაბინეტის სხდომის დასრულების შემდეგ, დიდი სუფრაც გავშალოთ და ქეიფის აფრაც ავუშვათ – ჩვენ რომ გვეკადრება, დიახაც ისეთი ზეიმი და ტაშ-ფანდური გავმართოთ! წინააღმდეგი ხომ არავინ არის?

– ჩვენო დიდო მბრძანებელო, თქვენი ყოველი იდეა ყოველთვის გენიალურია, ეს ბოლო კი ნამდვილად ყველაზე ყველაზე უკეთესია! – ერთხმად დაუდასტურეს ბაქიბუქას დიახ-დიახმა, ძღომილამ, მიდი-მოდიმ და მისი გარემოცვის იქ მყოფმა სხვა წევრებმა; ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ, მადლიერებისა და მორჩილების ნიშნად, ყველანი ერთდროულად წელში მოიხარნენ და დიდებულ სულთანს მდაბლად დაუკრეს თავი.

– ხომ არ დაგავიწყდათ ჩემი ადრინდელი წინადადება? ჩამოვიყვანოთ მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული მომღერლები, რომელთა სახელებიც ერთ დროს ქუხდა და ახლა კი კარიერას ასრულებენ – იაფადაც გამოვალთ!

– თქვენო უდიდებულესობაგ, თუ ისინი არ ივარგებენ, თქვენი უბრწინვალესობა აქ არ ბრძანდებით? – მიდი-მოდის დაუფასდა ნათქვამი – ნატყორცნი ოქრო ჰაერშივე დაიჭირა.

– დიდო მეუფეო, საზამთროს კუთვნილების საკითხი როგორ მოვაგვაროთ? – იკითხა დიახ-დიახმა.

– მომბეზრდა ამდენი სულელური კითხვის მოსმენა! რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ, ხომ არ დაყრუვდით? რა დიდი იწილო-ბიწილო ამ მარტივი საკითხის მოგვარებას სჭირდება: საზამთრო ჩამოერთვას იმ ვიგინდარა ლაყუჩას – ჩვენი ეროვნული განძის მიმართ უდიერად და უპასუხისმგებლად მოპყრობისთვის – და გადაეცეს სახელმწიფოს ანუ სულთნის პირად საკუთრებად გამოცხადდეს! მორჩა და გათავდა!

– დიდო სულთანო, ოფიციალურად როგორ წავართვათ? კანონიერი საფუძველი არ გვაქვს... – ისევ იკითხა დიახ-დიახმა.

– შტერო, ბრიყვო, უმაქნისო, საკუთარი ჭკუა-გონება თუ სანთლით საძებნელი გაქვს, ჩემს ნათქვამს მაინც არ ისმენ? მერამდენედ მესმის ისევ სულელური კითხვა... ათჯერ ხომ არ გასწავლი ჭკუას! დაიჭირეთ ეგ ვირეშმაკა ლაყუჩა-ბლაყუჩა, წაუყენეთ ნებისმიერი ბრალდება, მაგალითად, რომ არ ჰქონდა კანონიერი ნებართვა დიდი საზამთროს გაზრდისა, მიუსაჯეთ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა და ეს საქმე სასწრაფოდ გადაეცით სასამართლოს! მაგ თავხედ და ურჩ ბლაყუჩას უნდა დაუყონებლივ ჩამოერთვას საზამთრო – თუნდაც ლიცენზიის არქონისა და უკანონო სამეწარმეო საქმიანობისთვის, ასევე, სახელმწიფოსთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობის ზარალის მიყენებისთვის!

– დიდო სულთანო, არ არსებობს კანონი, რომელიც დაარეგულირებს საზამთროს მოყვანის წესებს... – გაბედა ხმის ამოდება პანდურეთის ხალხის წარმომადგენელთა დარბაზის თავმჯდომარემ ალიბაბა მარჯაკელმა.

– მერე, შენი ბედნიერი დეპუტატები რას მიკეთებენ? ბიჭო, ისევ აქა ხარ, აქ საიდან გაჩნდი, თავი უნდა მომაკვლევიო? კიდევ გეუბნები: მთელი სხდომა მხოლოდ ბუფეტში ჭამა-სმით, ლაყ-ბობით, ანეკდოტების მოყოლით, ძილით, გაზეთების კითხვითა და დომინოს თამაშით უნდა იყვნენ დაკავებულინი? მოიცა, შენთვისაც მოვიცლი! – კარისკენ გაქცეულ ალიბაბა მარჯაკელს უკან დაადგენა ბანანის მონარჩენი და ყვირილიც მიაყოლა: – ხომ გითხარი: საჩქაროდ მოიწვიეთ წამომადგენელთა დარბაზის რიგგარეშე სესია, სამივე კანონპროექტისგანხილვაც სამივე წაკითხვით ერთ დღეში ჩაატარეთ, უფრო სწორედ, ამ საღამოსვე, და მიღებულ კანონს მაშინვე მოვა-

წერ ხელს – ხვალ დილისთვის ის დაიბუჯდოს გაზეთებში და გამოცხადდეს რადიო-ტელევიზი-ით!.. ვაჰ, ამდენ დებილს როგორ ვუძღვებ, ნაღდად უნდათ, გამაგიჟონ! ვეღარ უნდა გაიგოთ, რომ ჩვენი დევიზი უნდა იყოს: დრო ცოტა გვაქვს, გასაკეთებელი საქმე კი – ბევრი! დროა, ყველამ ისწავლოთ სწრაფად და ეფექტურად მოქმედება! ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნისა და მისი მშრომე-ლი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესები, ეს უკლებლივ ყველამ უნდა გაითავისოთ!

– ჩვენი მზეთა მზეო, მიკვირს, ჯერაც რომ არავის მოსვლია აზრად ამგვარი კანონის მიღე-ბის აუცილებლობა! – წამოიძახა ქონების დაცვა-დანიავების ვაზირმა ძღომილამ. – ასეთი ძვირადღირებული ნივთის თუ არსების, დიდი საზამთროს, ვიღაც ლაყუჩას პირად საკუთრებაში ყოფნა წარმოუდგენელი აბსურდია – არა მხოლოდ ზნეობრივად გაუმართლებელია და საყოველ-თაოდ დასაგმობი, არამედ, დაუფარავად და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენი სახელმწიფოს წინაშე დიდი დანაშაულიც არის! ნამდვილად! ჩვენ ვერ დავეუშვებთ, რომ ვიღაც გლეხუჭამ უზარმაზარი უმშრომელი შემოსავალი მიიღოს და უზომოდ გამდიდრდეს! ეს აბსურდია!

– რა ელირება ეგ ჩვენი დიდი საზამთრო? – დაინტერესდა ბაქიბუქა.

– დიდო სულთანო, ბაზარში კილოგრამი 40 თეთრი ღირს, ქუჩაში, მანქანებიდან მოვაჭრეებ-თან – 30 თეთრი, მაშინვე უპასუხა სოფლის მეურნეობის მოშლისა და გატიალების ვაზირმა ჩურჩუტ-ჩერჩეტმა.

– სულ რამდენი კილოგრამი გამოვა?

საჩქაროდ მოიყვანეს გეორგიის პროფესორი სეფედავლე სირაკუხელი, რომელმაც ჯიბიდან ამოიღო პორტატული ელექტროკალკულატორი, სულთნისთვის გამოგზავნილი დიდი საზამთროს ანაზომების მიხედვით რამდენიმე წამში დაიანგარიშა და სულთანს მოახსენა:

– შესწავლილი ობიექტი გარეგნული მონაცემებით დაახლოებით მრგვალი ფორმისაა; თუ წარმოდგენილი მონაცემებით ვიმსჯელებთ, დიდი საზამთროს სიმაღლე ანუ დიამეტრი 36 მეტრი და 19 სანტიმეტრი გამოდის, რადიუსი იქნება ამის ნახევარი... მოცულობა იქნება... დაახლოებით 14 420 კუბური მეტრი. თუ გამოვაკლებთ 15 ან მაქსიმუმ 20 სანტიმეტრის სისქის კანის მიერ და-კავებულ მოცულობას, მივიღებთ დიდ საზამთროში არსებული რბილობის მოცულობას – არა-ნაკლებ თოთხმეტი ათას კუბურ მეტრს...

– წონა? წონა რამდენი იქნება, ის მაინტერესებს!

– თქვენო უდიდებულესობაგ, მთელი რბილობის წონა იქნება არანაკლებ 14 000 ტონისა ანუ 14 მილიონი კილოგრამისა...

– ოჰო! ესე იგი, ეგ საზამთრო ღირს სულ ცოტა...

– დიდო სულთანო, დიდი საზამთროს რბილობის მოცულობა კილოგრამებში გაგამრავლოთ 30 თეთრზე, მივიღებთ 4 მილიონ 200 ათას ფლურს...

– არა, რას ამბობ, დიდი საზამთროს ასე იაფად გაყიდვა დიდი შეცდომა, უფრო მეტიც – დიდი დანაშაული იქნება! – აბობოქრდა ბაქიბუქა. – ამოდენა სასწაულ საზამთროში – ოთხი მი-ლიონი? სასაცილოა! მე მაგაზე მეტი ერთ ანტიკვარულ აგტომანქანაში მაქვს მიცემული! დარ-წმუნებული ვარ, კილოგრამი სულ ცოტა ნახევარ ფლურად დიდი წარმატებით გაიყიდება! კიდევ უკეთესი იქნება, თუ ფასს ერთ ფლურს დავადებთ; ამ საზამთროს, ეჭვიც არ მეპარება, სულ სხვა, განსაკუთრებული გემო ექნება და განსაკუთრებული ფასიც უნდა ჰქონდეს – ერთი ფლუ-რი კილოგრამ განსაცვიფრებელ საზამთროში წარმოუდგენლად იაფიც არის! მაგრამ ჩვენს მოქა-ლაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა გვაავალდებულებს, გავითვალისწინოთ მათი ინტერესი და ყვე-ლასთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ საოცარი საზამთრო! გარდა ამისა, აი, აქ გამონჩდება, ვინ არის ნაღდი პატრიოტი – დარწმუნებული ვარ, მრავალნი და მრავალნი დიდი სიამოვნებით შეას-რულებენ სამშობლოსა და ხალხის წინაშე დიდ მამულიშვილურ მოვალეობას და რაც შეიძლება მეტ კილოგრამ საზამთროს იყიდონ! ნებით არ იყიდონ და კარგ ჩიტსაც დაიჭერენ! თუ კილოგ-რამს ერთ ფლურად გავასაღებთ, სულ რამდენ მაყუთს მივიღებთ?

– 14 მილიონ ფლურს და მეტსაც, დიდო სულთანო...

– აი, ხომ ხედავთ, ხომ არის განსხვავება 4 მილიონ 200 ათასსა და 14 მილიონს შორის! – გაუხარდა სულთანს.

– თვალსაჩინო, თქვენო ბრწყინვალეობაგ და ჩვენ თვალნათლივ ვხედავთ თქვენი სიბრძნის უკიდურესობას! – მაქებარ ვაზირ მიდი-მოდის დაასწრო ვაზირთ ვაზირმა დიახ-დიახმა.

ბაქიბუქამ მორიგ ბანანს გააძრო კანი, გემრიელად ჩაკბინა და მხოლოდ ამის შემდეგ ღეჭვა-ღეჭვით გაშაგროს:

– საშიშროების ვაზირ ყურდიდას ვავალეებ: შეადგინეთ იმ პირთა სია, ვინც უარს იტყვის ნე-ბაცოფლობით კილოგრამი საზამთროს ერთ ფლურად ყიდვაზე – ჩვენ საშუალება გვექნება, სულ იოლად გამოავამკარავოთ ქვეყნის შენიღბული მოღალატენი და იმედია, დაჭერებისა და პანჩუ-რის ამორტყმის ვაზირი როზგა-როზგაც არ დააყოვნებს და სათანადო ღონისძიებას მიიღებს ჭეშმარიტად დამნაშავე პირთა მიმართ!

– დიდო სულთანო, ჩვენთვის დიდი პატივია და თქვენი ბრძნული მითითება სრულად და დი-დი გადაჭარბებით შესრულებულ იქნება! – გაიჯგიმა დიახ-დიახ. – როგორც კი ყურდიდა და როზგა-როზგა დიდ საზამთროს ჩამოტანის ოპერაციას დაასრულებენ, მაშინვე შეუდგებიან თქვე-ნი ბრძნული გადაწყვეტილების უშუალოდ განხორციელებას!

– ჩვენო მბრძანებელო, გარდა ამისა, დიდი საზამთროს ქერქს თუ კანს წარმატებით გამოვიყენებთ პოლიტიკურ პატიმართა საკვებად, რითაც ხაზინა დამატებით სოლიდურ მოგებას ნახავს!

– უპატაკა ქონების დატაცება-დანიაგების ვაზირმა ძლომილამ.

– ყოჩად, ძლომილა! – გაუხარდა სულთანს და მას ბანანის მონარჩენი ესროლა. – საზამთროს კანიც ზედმეტია სამშობლოს გამყიდველებისთვის, მაგრამ ჩვენ ჰუმანისტები, ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების წარმომადგენლები ვართ და, იმედია, ამას ყველა შესაბამისად შეაფასებს და საკადრისადაც დააფასებს – შინაც და გარეთაც!

– უბრწყინვალესო სულთანო, ნება მიბოძეთ ერთი წინადადება შემოგთავაზოთ... – და როდესაც ბაქიბუქამ მოწყალედ თავი დაუქნია, ძლომილამ განაგრძო: – ჩვენ შეგვიძლია დიდ საზამთროში ბევრად მეტი თანხა მივიღოთ – 15-20 მილიონი, თანაც ფლური კი არა, ვალუბა – გირვანჯა სტერლინგი! როგორ? ჩემი წინადადებაა: გავიტანოთ ღონღონში სოტბის აუქციონზე და, დარწმუნებული ვარ, 15-დან 20 მილიონ გირვანჯამდე თავისუფლად გავასაღებთ ან იქნებ ბევრად მეტადაც.

– ჩვენო მოწყალეო მბრძანებელო, – არ დაეთანხმა ძლომილას ვაზირთ ვაზირი დიახ-დიახი, – ძალიან მომხიბლავი წინადადებაა, მაგრამ ერთი საჩოთირო საკითხია გასათვალისწინებელი: ეს ჩასაფრებული ოპოზიცია მომაბეზრებლად გვიკიჟინებს, რომ მთელი პანდურეთის ენერჯეტიკა, ტრანსპორტი, მრეწველობა, სასოფლო-სამეურნეო მიწები, ტყეები და მდინარეებიც კი ჩალის ფასად გავყიდეთ უცხოელზე და ახლა ჩვენს სიამაყეს, ეროვნულ განძს, დიდ საზამთროსაც თუ გავიტანთ დიდ ბრიტანეთში საერთაშორისო აუქციონზე გასაყიდად, ამას ფრიად არასასურველი რეაქცია მოჰყვება... ღმერთო მომკალი, რა გვიჭირს სამაგისო, ჩვენო დიდო საჭეთმპყრობელო? დიდი საზამთრო უეჭველად პანდურეთში უნდა დარჩეს, როგორც თქვენმა უბრწყინვალესობამ ბრძანა, და დაამშვენოს თქვენი სასახლის ბაღი – ეს ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის საქმეა საერთაშორისო მასშტაბით!

– კიდევ ერთი წინადადება მაქვს, დიდო სულთანო, – არ ცხრებოდა ძლომილა. – მოგეხსენებათ, ჩვენი სასახელო დიდი საზამთრო ვერცერთ დარბაზში ვერ დაეტევა, ცხადია, აუქციონის დროს ის ქუჩაში იქნება გამოფენილი, პოდა, სანამ გაჭრობა დაიწყება, საზამთროს გვერდებზე მსოფლიოს უდიდესი ფირმების რეკლამები განგათავსოთ! ამ ძვირადღირებულ რეკლამას მთელი მსოფლიო ნახავს, კოსმოსური აპარატებიდანაც კი დაინახავენ!

– სრული სისულელეა, თქვენო ბრწყინვალეობა! – არ დაუთმო ძლომილას დიახ-დიახმა. – ჩვენი ეროვნული სიამაყის, დიდი საზამთროს, ბუნებრივი სილამაზე როგორ შეიძლება, შეიბღალოს პამპერსების, ქალთა საფენების, შამპუნებისა და ათასგვარი სხვა სისულელის რეკლამით! ეს გაუგონარი საშინელება იქნება!.. არნახული მკრეხელობა!.. მხოლოდ საზამთროდიდის, ჩვენი ქვეყნის სიდიადის სიმბოლოს, კი არა, პანდურეთის სახელმწიფოს შეურაცხყოფაც! მთელი მსოფლიო სასაცილოდ აგვიგდებს!

– მშვენიერი საყურებელია თქვენი კინკლაობა, თუ ერთმანეთს დასცხვებთ – მთლად უკეთესი, მაგრამ ახლა ამისთვის არ გეცხვება, – ჩაერია ბაქიბუქა და ბანანს ჩაკბინა.. – დიახ-დიახ, როგორც ადრეც ვთქვი, ჯერჯერობით დიდებული საზამთრო ჩემი სასახლის ბაღში გადმოიტანეთ, ერთი სული მაქვს, საკუთარი თვალით როდის ვინილაგ... არ დაგავიწყდეთ: საზამთრო მაშინვე ჩემს საყვარელ ფერად – წითლად შეღებეთ! გასაყვეყნებელი სანახავი იქნება!

– თქვენო უდიდებულესობა, როგორც ყოველთვის, დიდებული გადაწყვეტილება მიიღეთ! – წელში მოწიწებით მოიხარა ვაზირთ ვაზირი. – დიდო სულთანო, მართალი გითხრათ, დავიბენი – თუკი დიდ საზამთროს აქ გადმოვიტანთ, თქვენს სასულთნო ბაღში, მაშინ იქ, სანდაოცეთში, მთავრობის გამსვლელ სხდომას როგორდა გავმართავთ დიდ საზამთროსთან?

– არ ვიცი, არ ვიცი, ათასი საფიქრალ-საზრუნავი მაქვს, ეგ საქმე შენ მოაგვარე! – ხელი აუქნია ბაქიბუქამ, მომწყვდი თავიდან.

“ვაჰ, რა აბღაუბდა აზრები უტრიალებს თავში, თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ და აღარ იცი, უპირველესად მისი რომელი გადაწყვეტილება უნდა შეასრულო – ჯერ საზამთროდიდთან მთავრობის გამსვლელი სხდომა ჩატარდეს, თუ დიდსაზამთრო ახლავე სასწრაფოდ სულთნის სასახლეში გადმოვიტანო? ვაი ჩემს თავს!“, – დაბნეულ დიახ-დიახს სახე დაეღრიჯა.

– დიდო მბრძანებელო, ლაყუჩას რომ ქონების გადასახალი და ჯარიმა დავაკისრეთ დიდ საზამთროსთან დაკავშირებით, იმას რა გუყოთ? – იკითხა ძლომილამ.

– ბრიყვო, ტუტუტო, ყეყეჩო, მერამდენედ უნდა დაგარიგო! – მამაშვილურად დატუქსა ბაქიბუქამ ქონების დატაცება-დანიაგების ვაზირი და მასთან ცოტა ახლოს რომ ყოფილიყო, არც პანდურს დაამადლიდა. – ეგ ნაბიჭვარი ლაყუჩა რით არის სხვებზე უკეთესი, რა, ოქროს კოჭია თუ ფარშევანგის კვერცხიდან არის გამოჩეკილი? გადაახდევინეთ!

კარი XVI.

როგორ წაიღონ დედაქალაქში საოცარი საზამთრო?

იმავე დღეს, როცა ბაქიბუქამ დაჭერებისა და პანდურის ამორტყმის ვაზირს, როზგა-როზგას, უბრძანა, დიდი საზამთრო საჩქაროდ დედაქალაქში გადაეტანათ და სულთნის სასახლის ბაღში მოეთავსებინათ (საოცარია: იმავედროულად, სანდაოცეთში დიდ საზამთროსთან მთავრობის გამსვლელი საზეიმო სხდომის გამართვაც სურდა!), როზგა-როზგა და მისი გაწვერთნილი რაზმი რამდენიმე ვერტმფრენით საჩქაროდ გადაფრინდნენ სანდაოცეთში.

ვერტმფრენები ტრიალ მინდორში დაეშვა. სანაოცეთამდე არცთუ შორს იყო და აქედანვე კარგად მოჩანდა დიდი საზამთრო, – მუქი და ბაცი მწვანეზოლებიანი, უცნაურ მომრგვალებულ მთასავით ამაყად აზიდული, სოფელეთა სახლებზე და ალვისა და ჭადრის ხეებზეც ბევრად მაღალი, – მართლა კარგი სანახავი იყო!

ბაქიბუქას მიერ საგანგებო დაგალებით გამოგზავნილი როზგა-როზგა მაშინვე მიხვდა, რომ ამ მწვანედ აჭრელებული გოლიათის ადგილიდან დაძვრაც კი ძალიან ძნელი იქნებოდა, არამცთუ მისი სადმე წადება – თუნდაც მისი სპეციალური დანიშნულების ფრიად ჯანიანი რაზმელების ძალისხმევით უკიდურესი დაძაბვის მეორებით.

საოცარი საზამთროს სხვაგან გადასატანად, კიდევ ერთი, არანაკლები მნიშვნელობის წინაღობაც აღმოჩნდა: თავიდან წასადებ “ობიექტთან” მიახლოებაც კი გაუჭირდათ და მხოლოდ გვა-რიანი ცემა-ტყეპის შემდეგ მიაღწიეს დიდ საზამთრომდე – მთელი სოფელი ერთსულთნად ფეხზე დადგა და, ლაყუნას მეთაურობით, გადაედო უცებ ცით მოვლენილ უტიფარ ავაზაკებს, რომელთაც არავითარი საკუთრების უფლება დიდ საზამთროზე არ ჰქონდათ, მისაკუთრებას კი ყაჩაღურად, ძალმომრეობით ცდილობდნენ...

– ხალხო, ჩვენს ბედნიერად გასივებულ-გაქსუებულ ტინგიცა ბაქიბუქა სულთანსა, ხალხის ყვლეფის ხარჯზე, ჩიტის რძეც არ აკლია, ჩვენ კი არაფერი გაგვანია, ამ საზამთროს გარდა, და დახე ამ მათხოვარ-ოხერსა, მოგვისია მაჯლაჯუნები და მისი უნამუსოდ წართმევაც რომ მოისურვა? – ეუბნებოდა ლაყუნა საზამთროს ახლომახლო საგანგებოდ შეკრებილ სანდაოცელებს. – ყველანი ხედავთ: სიმართლე და სამართლიანობა ჩვენს მხარეზეა, არაფრით დაეუთმობთ ამ პირდაღლ მტაცებლებს ჩვენს საოცარ საზამთროსა! ქუდზე კაცი გამოვა და ჩვენს საკუთრებას არავის გავატანთ ნებითა!

– ეგრე იქნება, ეგრე, წყალი არ გაუვა! – ერთხმად დაუდასტურეს თანასოფლელებმა.

სოფლის მოურავი ტაბოცია ჯერ ჩუმად უსმენდა თანასოფლელებს, შემდეგ ლაყუნასთან მივიდა და მოქუფრული სახით მოსთხოვა:

– ლაყუნავ, გულლადი არასდროს იყავ, მითხარ, ახლა რამ გადაგრია? ხალხს ტვინს ნუ უმღვრე, ამ უსაქმურებს უთხარ, ახლავე დაიშალონ!

– ესენი მე აქ ძალით კი არ მომიყვანია, როგორც ბაქიბუქა მირეკავს ხოლმე თავისი გამოსვლების მოსასმენად ხალხსა, არც არავინ აიძულებს ჩვენი საოცარი საზამთროს დაცვასა... მიატაბოცია, შენი მიკვირს, ჩვენი სოფლელი ადარა ხარ? ამ მტაცებლებს როგორ ექომაგები? ეგ მოურავის სკამი გალაპარაკებს?

– ბიჭო, სად გაგონილა, მეუფის ნებას რომ ეწინააღმდეგები? იცოდე, ძვირად დაგიჯდება უაზრო გაყვიზინება!

ლაყუნას აღარაფერი უპასუხია, მის მაგივრად ლომა და ნეფხვა გაისარჯუნენ: ეტყობა, არ მოეწონათ, მათ პატრონს რომ ეგრე უდიერად ელაპარაკებოდნენ და ტაბოციას შეუღრინეს.

სოფლის მოურავს ფერფური წაუვიდა, მიბრუნდა და უკან მოუხედავად მოუსვა; სირბილში უბიდან რაღაც ნივთი გადმოუვარდა.

– ეი, ბიძაჩემო, ზარალში ხარ, რაღაც დაგრჩა! – დაუძახეს სიცილით, მაგრამ ისედაც დამფრთხალ ტაბოციას დაკარგულისთვის უკან მობრუნება ფიქრადაც არ გაუვლია.

ტაბოციას უბიდან გადმოვარდნილი მცირე კოლოფი აიღეს – ნეტავ რა უნდა ყოფილიყო? პლასტმისის ყრუდ დახურული კოლოფი ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ მისი დანიშნულებისა ვერაფერი გაიგეს; ბოლოს, ბომბი ხომ არ არისო, იფიქრეს, მაგრამ მათი ვარაუდი არ გამართლდა: ერთ ჯარში ნამსახურებ ბიჭს დაუძახეს და იმან დაასვენა: საშიში არაფერია, – მისაყურადებელი მოწყობილობა ჩანსო...

იქვე ნაირ-ნაირი ჯურის უცხო ხალხიც ირეოდა. საშიშროების ვაზირის მიერ საგანგებოდ მიგზავნილი მრავალრიცხოვანი საიდუმლო მსტოვრები, ვითომ სხვა სოფლებიდან სახელგანთქმული დიდი საზამთროს სანახავად მოსულნი, რომლებიც მათხოვრებად, მეწვრილმანე ვაჭრებად თუ მომღერალ-გამრთობებად ასალებდნენ საკუთარ თავს, სანდაოცელთა შორის გარეულიყვნენ, ხალხში ხელიკებივით დაძრომილობდნენ, რათა ყურდილასა და როზგა-როზგას დაწვრი-

ლებით სცოდნოდან, რა განწყობა სუფევდა დიდი საზამთროს დამცველთა შორის და, რამდენადაც მოახერხებდნენ, განხეთქილება და არეულობა შეეტანათ მათ რიგებში.

– კაცებო, რას ვეურჩებით სულთნის სურვილსა, რამდენი სიკეთე მოუტანია ჩვენთვის! – ქაღაბებდა ერთი მათგანი, თვალის ასახვევად საგანგებოდ კონკიძველაში გამოწყობილი. – შევადართო გუშინდელი ჩვენი მდგომარეობა დღევანდელსა: უმადურობა იქნება, არ დავინახოთ ის აშკარა წინსვლა, ის უზარმაზარი სასიკეთო ძვრები, რომლებიც ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად შეიმჩნევა!

– აბა, აბა! ბრძელები ხომ არა ვართ, არ დავინახოთ! – კვერი დაუკრა მისმა ამფსონმა. – ვენაცვალე ჩვენს სულთან ბაქიბუქასა, დღედაღამ ხალხზე, ქვეყნისთვის სასიკეთო ცვლილებებზე ფიქრობს, წარმატებულ ძირეულ რეფორმებს ატარებს! ყველანი კარგადა ვხედავთ, ქვეყანა როგორი დიდი ნაბიჯებით სულ წინ და წინ მიდის! უწინდელივით სიბნელეში აღარ ვსხედვართ, ელექტროდენი აღარ გვენატრება, გაზრდილ პენსიასაც დროულად ვიღებთ... მეტი რაღა გვინდა, თქვე დალოცვილებო, უნდა დაგუფასოთ ჩვენზე ზრუნვა – ეს საზამთრო რა ჩემი ფეხებია სულთნის ამავთან შედარებით, წაიღონ რა, უფრო მეტი სიკეთესა გვწევს, ხალხო!

– არ მესმის, რას ვერჩით ბაქიბუქასა, ხალხო! აბა, ის იყო კარგი, ნავთი და შეშა რომ გვენატრებოდა? ძალი პატრონს ვერა სცნობდა, სახლიდან გარეთ გამოსვლისა გეშინოდა, მძარცველები და მკვლელები თავისუფლად დათარეშობდნენ? ახლა სულ სხვა ვითარებაა: აღარავინ გვაწუხებს: თითქმის სრულიად შეწყდა ძარცვა-ყაჩაღობა, ქურდობაც იშვიათი ხილი გახდა... ვერა ხედავთ, ცხოვრება თანდათან სიკეთისკენ რომ მიდის? – შეესმატკბილა მესამეც.

სანდაოცვლთა მხრივ მათ პასუხის გამცემნიც მაშინვე გამოუჩნდნენ, თანაც – ფრიად მრავალრიცხოვანნი:

– მომილოცავს, ახლა სულთანი გახდა ყველაზე დიდი ქურდი! ლაყბიერო, ხო ჩემზე კარგადა ხედავ, ქურდზე მეტიც გახდა – უბოდიშოდ გეტაცებს დიდ საზამთროსა, მითხარი, რა კანონის ძალითა, ჰა?

– ე-ე-ე, რას მიედ-მოედები, ქანდირბაზო, სახელმწიფო რას მამადლის, რომ ქურდ-ავაზაკებს იჭერს? მაშ, მე უნდა ვდიო მძარცველებსა და მკვლელებს? დიდი მადლობა მომიხსენებია! სამაგიეროდ, ახლა პოლიციელი ყველაზე მნიშვნელოვან პიროვნებად იქცა ყველგან: გინდა – სოფელში, გინდა – ქალაქში; ჩვენი სახელგანთქმული საშიშროების ვაზირი ყურდიდა-ნამუსმცირე კი ძალაუფლებითა და გაგლენით ხონთქრის შემდეგ მეორე კაცი გახდა სახელმწიფოში! უხარია და ეამაყება კიდევ, რომ მაგის სახელით ბავშვებს აშინებენ!

– განცვიფრებული ვარ: თქვენმა ნაქებმა ბაქიბუქამ, მაგ უჯიშომ, დომპლემ მაგანა, როგორ უსირცხვილოდ მოგვატყუა! ათასი რამ დაგვიპირდა და მითხარი, რომელი ერთი შეასრულა?

– არც არაფერი! ფაბრიკა-ქარხნები რომ საბოლოოდ გააუბედურა და ჯართად გაიტანა საზღვარგარეთ, მათ უკან ხალხიც მიჰყვა... აბა, რა ექნათ, გაექცნენ შიმშილს და უმუშევრობასა, ვინც კიდევ დარჩა, ისინიც უმეტესობა მათხოვრებად გადაიქცნენ... აი, შენ, იმ ყაჩად ბაქიბუქას რომ თავგამოდებით იცავ, საიდან მოსულხარ, აქ რა დაგრჩენია? ორი დღეა, აქ დაწანწალებ, სულ თვალში მესობი, აქ რა გინდა, შინ საქმე გამოგელია? და ბევრს ტლიკინებ კიდევ – ბაქიბუქა ღმერთით კაციო! თვითონ არაფერს იკლებს, გასივდა რუმბივითა, საკუთარი თავის მეტი არავინ და არაფერი ახსოვს, ჭამითა და უსაზღვრო ძალაუფლებით ტკებება, მისი შენარჩუნებისთვის დაგეშილი ჰყავს ეს კაციჭამიები, ახლა რომ ჩვენი საოცარი საზამთროს წასართმევად წარმოგზავნა... ისედაც კისერზე დაგვაჯდა და ახლა თქვენი საზამთროც მეო, გაგიგია ეგეთი რამე, კაცო?! ეგ დამრბევ-მძარცველი საკუთარი ახირებების დასაკმაყოფილებლად არაფერზე დაიხვეს უკან!

– და ძალაუფლების შესანარჩუნებლადაც – ყველაფერზე წამსვლელია, ეგ პირბნელი, სულთამსუთავი ევა!

– ჰო, აბა, ბიჭო, როგორა გვჯეროდა მაგის ბაქიბუქისა, მაგისი... აშენებას დაგვიპირდა ყველასა და უღუკმაპუროდ კი დაგვტოვა მაგ უსინდისომ, წამხდარმა! რა გულუბრყვილოდ, უსაზღვროდ ვენდობოდით, ყოველმხრივ გუჭერდით მხარსა და როგორ უნამუსოდ გაგვაცურა, კაცო! მიწები სულ უცხოელებს მიჰყიდა, ტყეში საჩვენო პანტა და ტყემალიც აღარ არი, ფიჩხიც კი ვერ მოგვიგროვებია! რასა ჰყავს ესა, ჰა? თქვენ, უჯიშოები, მათხოვრები ხართო, ჩემთვის არ არსებობთ, ძალდადაც არ გაგდებთ, თუნდაც მოკვლით შიმშილითა და სიცივითო! კაცია ევა? მხოლოდ არჩვენების წინ გაახსენდება ჩვენი არსებობა და რაღაცას დიდ წყალობასავით გადმოგვიგდება – ორიოდ ფლურს – და მერე სულ გვაბადლის...

– მათხოვრული პენსია პურის ფულად არ გეყოფნის, ფასების ორმაგად და სამმაგად მატება იმსე გააუფასურა!

– რა გახდა მათი ნაქები ეს გაუთავებელი “ძირეული რეფორმები”? დამანახე ერთი, რაში ჩანს წინსვლა? ისე გაგიფხიკეთ, აგერ ჩვენი შვილები სკოლაში ვეღარ დადიან, სახელმძღვანელოების ყიდვაც კი გვიჭირს, ჩასაცემელსა და ფენსაცემელზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი! სანახევროდ მშვიგრები ვფრივართ...

– სკოლაც კი არ დაგვიტოვეს – თუ სწავლა უნდათ, ბავშვებმა სხვა სოფელში იარონო! თქვენთვის ისიც არამია – თქვენ გაუნათლებლები ხართ, ველურები, ზარმაცები – თქვენი ადგი-

ლი ციხეშიაო! არც ექიმი გჭირდებათ, წადით, საცა გინდათ, კისერი მოგიტეხიათ და კინჩხი მი-
გიყოლებითაო!

- ჩვენს ბაქიბუქას ჰგონია, რომ თუ განათლებას მოსპობს, ძველ ადამ-წესებს ამოძირკვავს, უფროს-უმცროსობის წესს მანვე, ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების შემაფერხებელ გად-
მონაშთად მონათლავს, უცოდნარ ხალხს უფრო ადვილად მოატყუებს და ათამაშებს თავის გე-
მოზე - განსაკუთრებით, არჩევნების დროს!

- სამაგიეროდ, მისი ძმაკაცები თავიანთ შვილებს ლონდონში და ამერიკაში ასწავლიან, საე-
ქიმოდაც და გასართობადაც იქ გარბიან... ვითომ სხვა გასაჭირი გვაკლდეს, მოგვისია ეს კაციჭა-
მიები - ეს საოცარი საზამთროც - მეო! არაფერი გამოუვა, ვერ მივართვით ბადრიჯანი! ბაქიბუ-
ქამ ქურდობა-ყაჩაღობა მოსპოო, მაშე ეს ორმეტრიანი, საგანგებოდ გაწვრთნილი ვაჟბატონები
რისთვის გაისარჯნენ, რა მუცლის გვრემა აუტყდათ, რომ ამ სიშორეზე ჩამოაფრინეს აქა, ჰა? რა
ხვითო დარჩენიათ აქა, ვითომ მხოლოდ ჩვენს მიყრუებულ სოფელში გასეირნება და საოცარი
საზამთროს ნახვა უნდათ?

- ჰო, მართალი ხარ! მართალია, წვრილმანი ქურდ-ბაცაცები იმდენად აღარ გვაწუხებენ, მაგ-
რამ ისინი მხოლოდ იმიტომ ჩააყუდეს ციხეში, რომ თვითონ სულთნის დამქაშებმა მეტოქეების
გარეშე თავისუფლად ითარეშონ და იპარპაშონ! ჯარიმებითა და გადასახადებით სული ამოგხსა-
ღონ, გაგვალატაკონ, სახლ-კარი და მამული ვალში გაგვაყიდინონ!

- მაგ მუდრეგს უნდა, ქალაქს გადაესახლდეთ დედაწულიანადა ან, კიდევ უკეთესი - გუდა-
ნაბადი ავიკრათ და უცხოეთში გადავიხვეწოთ სამათხოვროდა! სანამ ცოცხლები ვართ, ვერ მო-
ესწრება მაგასა! ვერც საოცარ საზამთროს ვარგუნებთ მაგ უწმინდურ ცუდლუტ ცანცარასა,
ტყუილად ნუ გაისარჯება!

- რამდენ ხანს შეგძლებოთ ამ მოძალადეების შეკავებას, მათ პარპაშს როგორ მოვუღოთ ბო-
ლო, რა ვიღონოთ? კაცი ხომ არ გავამგზავროთ ქალაქს, ოპოზიციურ პარტიებს ხომ არ მივმარ-
თოთ დასახმარებლად?

- კარგი ერთი, რა! ჩვენი თხოვნა რად უნდათ, აქამდე სად არიან დაკარგულები, სძინავთ?
რატომ არც ერთს ხმა არ ამოუღია ჩვენს დასაცავად, ჰა? ვაი მაგათ პატრონსა! ბედოვლათი
ოპოზიციონერების იმედი როგორ უნდა გქონდეს, საკუთარ თავს თვითონ უნდა მივხედოთ! ეგრე
არ არი, ხალხო?

- ჰო, ყველამ იცის: ეგ საპარლამენტო ვითომ-ოპოზიციანა თუ ვიღაც კუდა-მელა კვანტები,
ბაქიბუქას ჯიბეში ჰყავს თბილად მოყურებული, ოფიციალურად აფინანსებს მათ საქმიანობასა!
საკანონმდებლო დარბაზში ეგ გაიძვერები სიტყვით ვითომ ბაქიბუქას რეჟიმს აკრიტიკებენ, ჩვენ
მოსახლეობის ინტერესებს ხმალამოდებული ვიცავთ, დიდ სახალხო საქმეს ვაკეთებთო... სინამ-
დევილეში, თვალბეში ნაცარს გვაყრიან - ერთმანეთს ეჯიბრებიან, სულბადლ სულთანს რომელი
უფრო კობტად აულოკავს ფეხისგულებსა, ჩვენ კი ყველანი ფეხებზე გვიდივართ - საკუთარ საქ-
მეებს აკვარახჭინებენ, ნამუსგარეცხილები!

ერთი მეგობარი, დურგალი დოლა, ლაყუნას ეუბნება:

- ბიჭო, ლაყუნავ, ტყუილად გვეშინია, ამხელა საზამთროს რა წაიდებს!

- თვითონ მთა-კაცი თუ იქნები, რატომაც არა! - პასუხობს ლაყუნა.

- ხმები დადის, გაზეთშიც წავიკითხე, რომა ეგ შენი საზამთრო არ არის მთლად ჩვეულებ-
რივი; მეცნიერები ამტკიცებენ, ასეთი უზარმაზარი ბუნებრივად ვერაფრით გაიზრდებოდაო, ხე-
ლოვნური გზით არის მიღებული, თანამედროვე მეცნიერული ხერხებით კლონირებული არისო...
- და დურგალმა დოლამ ხუმრობით დაამატა: - ბრალდებულო ლაყუნავ, ჰა, რას იტყვით, თავს
რით იმართლებთ?

- იმითა, რომ სულელური კითხვები პასუხის ღირსი არ არის... ეტყობა, ხუმრობის ხასიათზე
ხარ, მითხარი, რისთვის მეკითხები, რა გინდა, რა გაგახარებს?

- მოდი, შენც კლონირებას გაგიკეთებ!

- რათა, საქმე გამოგეღია?

- რათა და ჯანიანსა გაგზრდი, შე ოხერო, დევივითა გაგხდი, მთა-კაცსა! ორმოცდაათ საქმე-
სა ხარ ერთდროულად შეჭიდებული, ყველგან საჭირო კაცი ხარ, უკეთ გაუძღვები საქმესა, შენც
გეშველება და ჩვენცა, ჰი-ჰი-ჰი!

- დაგაგვიანდა, ჩემო დოლა, ეგ ჩემს დაბადებამდე მამაჩემისთვის უნდა გეთქვა, ახლა რაღა
დროსია! - გაიცინა ლაყუნამაც. - ისე კი, კარგი იქნებოდა, ხომ იცი: დევივით დიდი გავიზრდე-
ბოდი და ამ ბაქიბუქას არაკაცებს მხოლოდ ერთი სულის შებერვით დედას ვუტირებდი - ცხრა
მთის იქით გადავაფრენდი!

- ე-ე-ე, რას ამბობ, ვერან, მაშინ ხომ მარტო შესჭამდი ამ საზამთროსა, ჰი-ჰი-ჰი!.. იქნებ არცა
გყოფნოდა, ჩვენ ვირის თავ-ფეხი დაგვრჩებოდა, ჰი-ჰი-ჰი! მაშე, მოგეწონა ჩემი წინადადება?

- ო, ეგ კარგი აზრი მოგსვლია კლონირებისა, ოღონდ თუ ძმა ხარ, შენი იდეები კარგად
გააშალაშინე და შენთვის კარგად შეინახე კიდობნის კუთხე-კუნჭულში, ძალიან საშიშია!

- რათა? - ამჯერად დურგალმა დოლამ გაიკვირვა.

- იმათა, რომა ბაქიბუქას არავინ ჩააწვეთოს ყურში კლონირების შესაძლებლობის შესახება,
თორემა, ადრე თუ გვიან ხომ მოუწევს საიქიოს წაბრძანება, მის მაგივრად ახალი, ახალგაზრდა

ბაქიბუქას დატოვება გვინდა კიდევ ჩვენა? ბაქიბუქების ჯიშ-ჯილაგს ველარასოდეს მოვიცი-
ლებთ – ქვეყანას საბოლოოდ მოსპობენ ეგ უჯიშოები და!

* * *

სულთნის მიერ მოგზაგნილთათვის ნებაყოფლობით დიდი საზამთროს დათმობას სოფლებე-
ბი ცოცხალი თავით ნამდვილად არ აპირებდნენ და, როგორც მოსალოდნელი იყო, მოხდა მომ-
ხდურთა შეტაკება ფიწლებით, კომბლებით, ბარებითა და სხვით “შეიარაღებულ” ადგილობრივ
მოსახლეობასთან, რომელთაც ლაყუჩა თაკაცობდა. სანდაოცელები ისეთი გააფთრებით იბრძოდ-
ნენ, რომ როზგა-როზგას კბილებამდე შეიარაღებულ ახმას რაზმელებს უკან დაახევინეს. ლაყუ-
ჩას გვერდს უმშვენივრდნენ მისი წამოზრდილი ნაგაზებიც – ლომა და ნეფხვა...

დაჭერისა და პანდურის ამორტყმის ვაზირი როზგა-როზგა იძულებული გახდა, საჩქაროდ
თვით სულთანს შეეწუხებინა, მობილური ტელეფონით დაუკავშირდა:

– თქვენო უმაღლესობაგ, სამწუხაროდ, სანდაოცელები წერას აუტანია – წინ დაგვიდგნენ!
ადგილობრივი ველურები გააფთრებით გვეწინააღმდეგებიან, ამ უგუნურებს არაფრით უნდათ,
გაგვატანონ თქვენი დიდი საზამთრო... ამ თავხედებს, ქვეყნის მოღალატეებს, არ დავინდობდით
და ყველას დიდი სიამოვნებით ამოვხოცავდით კიდევც, არ გაგვიჭირდებოდა, მაგრამ აქ მთელი
მსოფლიოს კორესპონდენტები არიან ჩამოსულნი და საყოველთაო სკანდალის აგორებას მოვერი-
დეთ... სულ ახლახან კიდევ ერთი უსიამოვნება გვეწვია: მეზობელი სოფლებიდან მოცვივდა ხალ-
ხი მოჯანყთა დასახმარებლად – ნამდვილი ამბოხია! თან ისიც გამოირკვა, რომ ამჟამად ჩვენს
ხელთ არსებული ძალებით ამ უზარმაზარი საზამთროს ტრანსპორტირება მაინც სრულიად შე-
უძლებელი გახლავთ... დიდო სულთანო, რას გვიბრძანებთ, რა ვიღონოთ?

– შე ბოთე, ყველაფერი ჩემი გადასაწყვეტი უნდა იყოს? ხომ გითხარი, ყურდიდას ვერ მიმარ-
თე? უტვირთე! ყვეჩო! – და სულთანმა გათიშა ტელეფონი.

ბაქიბუქას ვერ გაამტყუნებ – ვირის რძით სავსე აუზში მონებივრე სამ მზეთუნახავთან შე-
სახვედრად ეჩქარებოდა.

* * *

დაჭერისა და პანდურის ამორტყმის ვაზირ როზგა-როზგას ესიკედლებოდა საშიშროების ვა-
ზირ ყურდიდასთვის დახმარების თხოვნა, მაგრამ სხვა რა ჩარა იყო. საგანგებო დანიშნულების
რაზმის დასახმარებლად მობილიზებული დამატებითი ძალები ვერტმფრენებით რამდენიმე საათ-
ში უკვე სოფელ სანდაოცეთში ჩაფრინდნენ; სულთნის დავალებით, გაერთიანებულ სპეციალური
დანიშნულების რაზმს საშიშროების ვაზირი ყურდიდა მეთაურობდა.

მოსალოდნელი იყო ახალი, უფრო მძაფრი შეტაკება ადგილობრივ მოსახლეობასთან, არც
სანდაოცეთის დაწიოკება იყო გამორიცხული... ყურდიდამ გააფრთხილა ყველა ზედმეტი მოწმე, –
ორასამდე ტელე-ფოტო, რადიო და გაზეთების კორესპონდენტები და ბევრი სხვაც, სხვა სოფლე-
ბიდანმოსულები, – არასასურველი “თვალი და ყური”, – რომ სოფელი სანდაოცეთი და მისი შე-
მოგარენი უზენაესი ხელისუფლის, სულთნის ნებითა და მისი პირადი ბრძანებით ერთი თვით გა-
მოცხადებულია აკრძალულ ზონად, სადაც ამიერიდან უცხო პირთათვის სპეციალური საშვის გა-
რეშე ყოფნა დაუშვებელია და წესის დამრღვევნი დაისჯებიან კანონის მთელი სიმკაცრით; შემ-
დგომ კი, როცა ტერიტორია სპეცოპერაციის ჩასატარებლად “გასუფთავებული” იყო, საშიშროე-
ბის ვაზირი, საოცარი საზამთროს ორგვლივ კედელივით აღმართული, ფიწლებით, კომბლებითა
და ნაჯახებით შეიარაღებული სოფლებების წინაშე შორიახლო წარსდგა და მეგაფონით ულტი-
მატუმი წაუყენა:

– ჩემო ძვირფასო სანდაოცელებო! მოგიწოდებთ, ნუ აჰყვებით გაიძვერა პროვოკატორებს, გა-
თახსირებულ ამრევთ, რომელთაც თქვენთვის მხოლოდ ზიანის მოტანა სურთ, და, თქვენივე
უსაფრთხოებისა და უშიშროებისთვის, გირჩევთ, დაემორჩილოთ ჩვენს კანონიერ მოთხოვნებს:
ხელი აიღოთ ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევაზე და დაუყონებლივ დაიშალოთ! მშვიდობით
წადით თქვენ-თქვენ სახლებში და დაუბრუნდით ჩვეულებრივ ყოველდღიურ მშვიდობიან საქმიან-
ობას! გაფრთხილებთ: თუ ერთ საათში არ გაანთავისუფლებთ დიდი საზამთროს ირგვლივ მიდა-
მოს და არ დაიწვეთ მისგან უკან ყოველი მიმართულებით არანაკლებ 100 მეტრით, პანდურეთის
სამართალდამცველი ქვედანაყოფები იძულებული იქნებიან, მიმართონ კანონით გათვალისწინე-
ბულ გადამჭრელ მკაცრ ღონისძიებებს, მათ შორის – ურჩი მოპიკეტების დასაშლელად გამოვი-
ყენებთ ცრემლსადენ გაზს, რეზინის ტყვიებსა და, თუ საჭირო გახდება, უფრო რადიკალურ სა-
შუალებებსაც!.. კიდევ ერთხელ მეგობრულად გირჩევთ: გამოიჩინეთ კეთილგონიერება, დაუყონებ-
ლივ შეწყვიტეთ წინააღმდეგობა და დატოვეთ ტერიტორია დიდი საზამთროს ირგვლივ!

– ჩემი და კიდევ რამდენიმე სოფლების სახლი აკრძალულ ზოლში ხვდება, სად წავიდეთ? –
უპასუხა ლაყუჩამ. – თქვენი ქმედება აშკარა ძალადობაა! თქვენ თვითონ უხეშად არღვევთ კა-
ნონს: თქვენი ქებული “ჯიბის” სასამართლოს დადგენილებაც კი არ მოგიტანიათ, ჩემი საზამ-

თროს ჩამორთმევის შესახებ! ჩემი საკუთარი სახლ-კარისა და ქონების დაცვის უფლებას ვერა-
ვინ წამართმევს!

– საყვარელო სანდოცელო, გონს მოდიო! უკანასკნელად გაფრთხილებთ: თუ განაგრძობთ
ურჩობას და დროზე არ შეასრულებთ ჩემს ბრძანებას, ანდერძს აგიგებთ!.. ძალით გავწმენდთ ტე-
რიტორიას, წინასწარ კი თქვენს სახლებსა და კარ-მიდამოს გადავწვავთ!.. – მეგაფონში ჩასძახა
ყურდიდამ. – კი, ბატონო, თუ გინდათ, თქვენ მაგ სახლებში დარჩით, ჩვენ არ ვართ წინააღმდე-
გი, რაც მოგივათ, საკუთარ თავს დააბრალეთ, ჰი-ჰი-ჰი!

გაიცა საშიშროების ვაზირის ბრძანება, ახლომახლო სახლებს ფიცხლად შეესივნენ საგანგე-
ბო დანიშნულების რაზმების მეზობელები; ავარდა ალი და მალე სახლები, ბედლები, ბოსლები
უზარმაზარ კოცონებად იქცნენ...

გადამწვევებ შტურმამდე საოცარი საზამთროს სოფელეთაგან საბოლოოდ “გასანთავისუფ-
ლებლად” მხოლოდ რამდენიმე წუთი რჩებოდა, როცა ყურდიდას მოახსენეს, რომ დიდი საზამ-
თროს ირგვლივ დამცველთაგან აღარავინ იმყოფებოდა, თუმცა, ამ უცნაურ გარემოებას თვითო-
ნაც მშვენივრად ხედავდა.

– რაღაც პროფოკაციას გვიმზადებენ ეგ არამზადა სანდოცეოელები, საზამთრო ხომ არ და-
ნადმეს? – შეშინდა საშიშროების ვაზირი. – ფრთხილად იყავით, არ დავიღუპოთ, ამ გადარეული
სოფელეებისგან ყველაფერია მოსალოდნელი!

მოყვანილმა მესანგრეებმა დიდ საზამთროს ირგვლივ ერთი ოცჯერ მაინც შემოუარეს, სა-
გულდაგულოდ დაზვერეს ყოველმხრივ საოცარი საზამთროც და მიმდებარე არე-მიდამოც, მაგ-
რამ გაწვრთნილი ძაღლებითაც კი საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს.

და აი, მოიყვანეს დიდი ტვირთამწეობის რამდენიმე ავტომწე, მოლოდდა სამთო კარიერები-
დან ქანის გამოსატანად განკუთვნილი სპეციალური უზარმაზარი სატვირთო ავტომობილიც
პლატფორმით, საოცარ საზამთროს ობობას აბლაბუდასავით ირგვლივ შემოახვიეს ფოლადის
მსხვილი გვარლები... გაიცა ყურდიდას მორიგი ომახიანი ბრძანება, ადრიალდა ძრავები, დაიჭიმა
მსხვილი ბაგირები და რაზმელებიც დასახმარებლად მიესივნენ საოცარ საზამთროს, მაგრამ...
ძვრაც ვერ უყვეს!

“ჰი-ჰი-ჰი! – გულში იცინოდა როზგა-როზგა, – ასეც ვიცოდი, ბაქიბუქას ტყუილად კი არ ვუ-
პატაკე! მეტი არაა ჩემი მტერი, ათჯერ მეტი ტექნიკითაც და ხალხითაც დიდ საზამთროს მოერი-
ოთ! კიდევ კარგი, ოპერაციის ჩასატარებლად უფროსად ყურდიდა დანიშნეს, ჩაფლავდება და
სულთანი დედას უტირებს!”.

მართლაც, საზამთროს ჯვალამბარებითა და ბაგირებით მისეულები, სულ ტყუილად ფაფხუ-
რობდნენ...

ყურდიდა ყვირის და უშვერი სიტყვებით იგინება, იგინება და ყვირის ხმის ჩახლენამდე, მაგ-
რამ საქმეს ეს უშველის? გინდაც საოცარი საზამთროს აწვევა და გადაადგილება მოახერხონ,
ვერც ერთ ყველაზე დიდი ტვირთამწეობის სატვირთო მანქანაზე მისი მეთაურობა ვერ დაეტივა,
აი, ჭირი!

კარი XVII.

სანდოცელონი დასცინიან მოძალადეთ. მჭედელ პატუდანას უიღბლო ექსპერიმენტი

სოფელელები შორიახლოს შეჯგუფულიყვნენ, უყურებდნენ საზამთროდიდს მისეულთა ამას
ფაფხურს და სიცილით იხოცებოდნენ.

– ჩვენი საყვარელი დიდი სულთნის ბრძანებას ვერე ასრულებთ? გარედან საოცარი საზამ-
თრო, ხომ ხედავთ, მრგვალია და მეტი არაფერი, შიგნით მოძებნეთ, შიგნითა, იქ იპოვით თქვენი
გასაჭირის გასაღებსა, თქვე დოყლაპიებო!

– რამდენიმე ნაჭერად გაჭერით, სხვა მხრივ საოცარ საზამთროს ვერ მოერევით, თქვე ჭი-
აღებო, ქონდრისკაცებო თქვენა! ჭამა კი არ გაბედოთ, თორემ ჩვენი კეთილძალდი სულთანი დე-
დას გიტირებთ, გრამი რომ დააკლდეს, ზურგზე სუ ბოლს აგადენთ!

– ჰაი, თქვე ყარყუმებო, შეულოცეთ, ისე არაფერი გამოგივათ! თუ გინდათ, ჩვენი სოფლის
მკითხავს ბრუცინ თეკლეს ჯადოს მოგახსნენებთ, არ დაგზარდებით, ციმციმ მოვარბენინებთ!

– ეგ საოცარი საზამთრო როგორ არ დაგმორჩილდათ, თქვე წვინტლიანებო, ჰა? ვერ ატყ-
ობთ, ნაღდად დაგცინით, შეაგინეთ მაგ ოხერსა, ბრაზი ძალებს გაგიორმაგებთ!

– თქვე ტაკიმასხარებო, ხელებით ხომ არაფერი გამოგდით, ახლა სული შეუბერეთ, სული,
მაგრად შეუბერეთ, იქნებ ასე მაინც გადააგოროთ!

– დაბღურებო, ჩვენი საზამთრო სათქვენო რომ არ არი, ვერ ატყობთ? ამხელა საზამთროს წამლებები ხართ? მთა-კაცს თუ მოიყვანთ – კი, ბატონო, ნებით დაგიტომობთ, ან თუ ბაქობუქაი თავის ხელით მოერევა, ხმას არ ამოვიღებთ!

ყურდიდა და როზგა-როზგა ბჭობენ, ფრიად რთული ამოცანის შესასრულებლად გამოსავალს ეძებენ – საზამთრო მეტისმეტად დიდია და პრობლემატ უზარმაზარი წარმოიშვა – რა უნდა იღონონ მისი დედაქალაქში გადასატანად? სულთნის ბრძანების შესასრულებლად რა მოუხერხონ ამ ოხერ-ტიალ საზამთროს?

– კოვზი ნაცარში ჩაგივარდათ, ბედოვლათებო, ხომ არ დაგეხმაროთ? – არ ისვენებენ სანდაოცელი ოხუნჯნი. – ხელს წაგახმართ, სამაგიეროდ, თითო ნაჭერი დაგვირიგეთ საზამთროსი!

– თქვენა, შვილოსა, ტყუილად იჭინებთ, მაგ საქმეს მხოლოდ მაშინ ეშველება, თუ თვითონ დიდი სულთანის მობრძანება აქა – მოგვენატრა მისი ნახვა, ხომ იცი! ჭამა-სმის ნაკლებობას არ უჩივის ბაქობუქაი, ძალ-ღონეც ერჩის, შამოიღებს მხარზედა ამ ჩვენს ლამაზ საზამთროსა და წააცუნცულებს კოხტად თავის სასახლეშია! თქვენ ოღონდ ხელი წაახმარეთ, რომ ანახვად არ გადმოუგორდეს!

საოცარ საზამთროს რომ ვერაფერი დააკლეს, გაბრაზებულმა საშიშროების ვახირმა ყურდი-დამ ბაღანი აიშვა, გაბრაზებულმა, ყვირილით ბრძანება გასცა:

– აბა, ბიჭებო, მიდით, დასცხეთ ამ ძაღლისშვილებსა, გავარჯიშდით, აჩვენეთ სეირი ამ მახინჯ ოხუნჯებსა!

რაზმელებმა მხარი იცვალეს, საზამთროსთან ამო ჯაჯგურს დროებით შეეშვენ და იერიში სოფლებზე მიიტანეს.

დიდი შეტაკება მოხდა დიდი საზამთროს მისადგომებთან. სანდაოცელთ არ იკადრეს გაქცევა, ყურდიდას რაზმელთა რეზინის ხელკეტების დახმარებით მათი ცხვირებიდან არცთუ ცოტა სისხლიც დაიღვარა, რამდენიმე თვალი დაღურჯდა, ფერდები დაიბეგვა და ბლომად კოპებიც მოიმკეს, თუმცა მათმა მოწინააღმდეგეებმაც იწვინეს საკუთარ გვერდებზე შინდის კომბლების, ფიწლების, თოხ-ბარისა თუ სხვა სასოფლო იარაღის არადანიშნულებისამებრ გამოყენების სიამე – ინანეს, რომ ფარები თან არ ჰქონდათ წამოღებული, სოფლელთაგან ასეთი მძაფრი წინააღმდეგობის გაწევას არ მოელოდნენ.

სანდაოცელები კი არიან დარბეულ-ნაცემნი, მაგრამ სულით არ გატეხილან, ისევ შეგროვდნენ დიდი საზამთროს შორიახლოს, ხუმრობასაც არ იშლიან – გასძახებენ ხოლმე დიდ საზამთროსთან მოჭიდავეთ:

– ეი, ქარაქუცებო, გამაიხედეთ აქეთ, კარგად დაგვენახვით – ვერა ხედებით, რო საოცარი საზამთრო დაგცინით, თქვე უბედურებო! ჩვენ რო დაბალი ღობე გენახეთ, აბა, ჰე, მიდით, ერთი მაგასთანაც ივაჟკაცეთ, პირღრენიებო, აჩვენეთ, რა მაგარი ბიჭებიცა ხართ!

– სადა აქეთ მაგის შნო მაგ დაბღურებსა! ვენაცვალე საოცარ საზამთროსა, ეგ ქვეშაფსიები რას დააკლებენ, რკინიგზის მძიმე პლატფორმასაც გაუჭირდება მისი ზიდვა!

– აბა, ბიჯო, ერთი საზამთროს გულისთვისა რკინიგზის ტოტს გამაიყვანენ და ჩვენთვისა კიდენა სადგურსაც ააშენებენ, მეტი დარდი არ აქეთ!

– თუკი თავქეიფა ბაქობუქას საკუთარი ხუშტურის დაკმაყოფილება სურს, რატომაც არა? ოღონდ გულის წადილი აისრულოს და ყირაზედაც დადგება!

– ბიჭებო! კეთილი ხალხი ჩანხართ, ვუყურებ თქვენს იწილო-ბიწილოსა და ცოდვით გული მეთუთქება! ერთ მუქთა რჩევას მოგცემთ: დიდი საზამთროს ეგრე ალყაში მოქცევით ტყუილად გულის ხეთქვა და ოფლის ღვრა შეგრჩებათ, მეტი არაფერი; ჯობს, ცალი მხრიდან მიაწქით, საზამთროს ვერევე დააგორეთ და სუ გორება-გორებით მიიტანეთ თუნდაც სულთნის სასახლემდე! იაფიცაა და იორღაც! მიდით, ჰე!

– წვინტლიანებო, რას ჩამოგტირით ეგ ცხვირ-პირი? არ დაგზარდებით და ხასიათზე მოსაყვანად აქაურ შაქარ შალიკოს დასტას მოგუხმობთ, რომელი ქვიფ-ქორწილი სჯობს თქვენი ფაფხურის ყურებასა! ისეთ ლაზათიან საცეკვალს გაახურებენ, რომ იქნებ საოცარმა საზამთრომაც კი ფეხი აიდგას და როკვა დაიწყოს! შენ დაუქარ!

ყურდიდა და როზგა-როზგა წარუმატებლობას ერთმანეთს აბრალებენ, ჩხუბობენ, ფარულად მობილური ტელეფონით ასმენენ ერთიმეორეს სულთანთან...

– რა გუყოთ ამ ტიალ მთა საზამთროსა, ჰა? – დაზაფრულია აქაური მხარის უფროსობაც და, განსაკუთრებით – მხარის გამგებელი: “მაღლა” უკვე ერთი კვირაა, რაც უპატაკეს: მთელს ამ მხარეში საზამთროს მოსავალი სრულად და სავსებით უდანაკარგოდ აღებულიაო, – სავსებით გასაგები გარემოების გათვალისწინებით, დიდი საზამთროს გარდა, – და მომავალი მოსავლისთვის საშემოდგომო ხენაც დაწყებულიაო, მაღლობას, ჯიღლოს და დაწინაურებასაც ელიან და არ არის გასაკვირი, მაგანნი რომ საოცარ საზამთროს შემოსწყრნენ და მასზე გულისწყრომითა და მუქარით საუბრობენ, თანაც – არც ერიდებიან და, გაბრაზებულნი, სიფრთხილეს ივიწყებენ და, ყურდიდასა და როზგა-როზგას გასაგონად, პირდაპირ საოცარ საზამთროსთან ბჭობენ:

– დახე, ეს ერთი მეტიჩარა დიდი საზამთრო კვანტს როგორ გვიდებს სუყველასა!

– რა ეკუთვნის ახლა მაგას დალატისთვისა, ჰა? მოსასპობი არ არის განა, ჩვენდა თავის სამტვრევად და სავაგლახოდ ეგ ეშმაკის გაჩენილი?

- ზარბაზანი ვესროლოთ, მაგის დედაც!.. – შესთავაზა ერთმა ჭკვიანმა ყურდიდას.
- ჰო, ძალიან დიდია ეგ ოხერი, სხვაფრივ ვერას დავაკლებთ! – აღფრთოვანდა მეორე ასეთი-ვე ჭკვიანი. – ამ ხათაბალას იოლად მოვიცილებთ თავიდან... ოღონდ ზარბაზანი სად ვიშოვოთ? ხომ არ ჯობს, ერთი გემრიელი ტროტილის მუხტი შეეუცუროთ იმ გაბერილს ფერდქვეშა, ჰა? ჰო-ჰო, რა სანახაობა იქნება! გავერთობით კიდევცა!
- ჰოდა, ისეთი დახელოვნებული ამფეთქებელი ოსტატები გვჭირდება, ისე უნდა გაკეთდეს, რომ საოცარი საზამთრო დიდად არ დაზიანდეს და საჭმელად ვარგისი დარჩეს – შუაზე ორად გაიხლიჩოს სახელწი ატამივითა... – თავისას ამატებს მესამე ჭკვიანი – სანდაოცეთის მოურავი ტაბოცია.
- მეოთხე ჭკვიანიც გამოჩნდა:
- წინდაწინ მისი უმაღლესობა ჩამოვიყვანოთ, გართობაზე სული მისდის და ამ დიდებული სანახაობას რომ არ დავასწროთ, არ გვაპატიებს! იქნება დაგვაჯილდოვოს კიდევცა!
- ყურდიდა უსმენს ადგილობრივი წვრილფეხობის, მისი შეხედულებით, სრულიად უადგილო და უაზრო ბუტყურს; გაბრაზდებოდა, მაგრამ სამაგისოდ არ სცხელა, სულთნის ბრძანების შეუსრულებლობა ძრწოლასა ჰგვრის და ენას უბამს...
- ამ დროს სოფლელებს ერთი შუახნის გამურულსახიანი კაცი გამოეყო, საზამთროსთან შეგროვილი რაზმელებთან მივიდა და ვაზირებთან მიყვანა ითხოვა.
- მე თუ დიდი საზამთროს წადებაში დაგეხმარებით, რა სიკეთესა მწევთ? – ჯიქურ მიმართა ყურდიდასა და როზგა-როზგას.
- ჯერ ეს გვითხარ, შენ თვითონ ვინა ბრძანდები, სიღამ გამოტყვევრი? – ეჭვით შეათვალიერა თავფეხიანად გამურული კაცი ყურდიდამ, ნაპერწკლებისგან სამოსი რომ თითქმის შეჭმოდა, – გაუკვირდა, რომ ასე უსალმოდ, კადნიერად შესთავაზა მათ სამსახური.
- მე პატულანა ვარ, სანდაოცელი მჭედელი...
- მჭედელი? მერე, საზამთროს პანდურდიდში წადებასთან რა ხელი გაქვს?
- თქვენი გაჭირვების შეველა მინდა... დიდი საზამთროს წადებაში დაგეხმარებით!
- საოცარია, რა თავდაჯერებული ბრძანდები! კარგი, შენ საკუთარი სურვილი გაგვიმხილე, რას თხოულობ სანაცვლოდ? 100 ოქრო გეყოფა? – ეუბნება დაცინვით ყურდიდა.
- 100 ოქროზე უარს ვინ იტყვის, მაგრამ მე უფრო დიდი რამ მსურს!
- მაგარი მადა გქონია, მაინც რა? აქ შენთვის სასახლის აშენებას ხომ არ გვთხოვ? თუ სასახლე გეცოტაგება და იგი დიდ მამულში უნდა იდგეს?
- სასახლეს და მამულს რა თავში ვიხლი, სოფლის უბრალო მჭედელი გახლავარ!
- ჰო, დროზე ამოშაქრე, რა გინდა, თორემ, ჯილდოს მაგიერად, მაგ ტილიან თავსაც დაჰკარგავ! – შეუბღვირა მოთმინებადაკარგულმა ყურდიდამ.
- მოწყალეო ბატონო, თუ თქვენი ნებაც იქნება, მე მსურს, ჩემი ქალიშვილი პოპოქია სულთნის კარზე მისი მეუღლის ან ქალიშვილის ფრეილინების დასტაში მოხვდეს! ჩემთვის ჩემი ერთადერთი ქალიშვილის სანუკვარი სურვილის ასრულება და მისი ბედნიერება ამქვეყნად ყველაზე ძვირფასია!
- კი, ბატონო, სულთანს შენს თხოვნას გადავცემ, ოღონდ ორი პირობით: პირველი – თუ საქმეს ახლავე შეუდგები და მეორე – თუ შენი ქალიშვილი მაიმახი არ არის! – დარდისგან გასივებული გულის გადასაყოლებლად ელაქლაქება პატულანას ყურდიდა, იმას კი აღარ ეუბნება, რომ ბაქბუქას ცოლი უკვე კარგა ხანია, გაექცა – ქმრის აღვირასნილობას დიდხანს იტანდა, მაგრამ მასაც გაუწყდა მოთმინების ძაფი...
- როგორ გეკადრებათ, ჩემი პოპოქია ტურფაა მაისის ვარდივითა! სანდაოცეთში ვისაც გინდათ, ჰკითხეთ!
- თუ მართლს ამბობ, შენი საქმისთვის ბევრად აჯობებდა, თვითონ მოსულიყო სათხოვნელად, შენი გამჭვარტლული სიფათის ხილვას გადავრჩებოდი!
- არ ვტყუი! თუ გნებავთ, ახლავე მოვიყვან ჩემს პოპოქიასა და საკუთარი თვალებით დარწმუნდებით!
- მოესწრება, ვიდაც პამპულიას ჩვენთვის ჩვენება არ არის საჩქარო, ხომ გითხარი, ჯერ საქმეს მიხედვე! ამდენი ხალხი ვიმტვრევთ თავს და ჩვენზე მეტი ჭკუა გაქვს? ახლავე მოგვახსენე, როგორ აპირებ დახმარებას?
- ბატონო ჩემო, ხერხი უბრალოა: საზამთროს გარედან “ჩავაცმევთ” კაპრონის გამძლე ბადესა, შემდეგ ამ ბადეს სულ ზედა ნაწილში მივაბამთ გვარლს ანუ ბაგირსა, ამ ბაგირს ზევით მივაბაგრებთ უზარმაზარ საჰაერო ბურთსა... საჰაერო ბურთი ზომით ამ საზამთროზე ბევრად დიდი უნდა იყოს, ჰოდა, მისი ქვემო ნაწილი გახსნილი იქნება, მასში მივმართავთ ცხელი ჰაერის ნაკადს ბურთის გასაბერად... ცხელი ჰაერით რომ გაივსება, ბურთი ზევით წავა და აქაჩავს, ჰაერში აიტაცებს დიდ საზამთროსაც და მერე...
- საჰაერო ბურთი?.. ხუმრობ? – შეაწყვეტინა დაეჭვებულმა ყურდიდამ.
- დიახ, დიახ, მაღლა აწევს...
- მერე საით წაიღებს, ღმერთმა უწყის! პასუხს ვინ აგებს, შენ თუ ღმერთი?
- არა, ბატონო ჩემო, ჩვენ საითაც გვინდა, საჰაერო ბურთს იქით გაგაფრენთ!

- სულს შეუბერავ თუ როგორ?... შემთხვევით შენ თვითონ გვარიანად ხომ არ აფრენ, ჩემო ლამაზო?

- როგორ გეკადრებათ! დედაქალაქისკენ მიმქროლავ ქარს უნდა დავუცადოთ და ბურთი მაშინ გავბეროთ...

- შენ მართლა გიჟი ყოფილხარ, ტუტუცო! - უცებ გულზე ცეცხლი მოეკიდა ყურდიდას. - ქარის საჭირო მიმართულებას რამდენ ხანს უნდა ვუცადო? ჩვენ საკუთარი გასაჭირი გვეყოფა, თავზე ცეცხლი მიკივია და შენისთანა თაგპარიანის ბუტუტუს მოსასმენად უნდა მოვცდე? ახლავე გამეცალე აქედან, შე ტურტლიანო, თორემ...

- ევრიკა! - წამოიძახა ამ დროს როზგა-როზგამ, - საჭაერო ბურთი ვერტმფრენს მივაბათ და ისე წავიყვანოთ, საითაც გვინდა!..

* * *

მესამე დღეს ყველაფერი მზად იყო საჭაერო ბურთის ასაფრენად და საოცარი საზამთროს მოგზაურობის დასაწყებად...

დაღვრემილი სანდოცელნი იქვე შორიანლოს შეჯგუფულიყვნენ ლაყუნას გარშემო და ხსნას ვერსად ხელაგდნენ: ძალა აღმართსა ხნავს და რა უნდა ელონათ? ლაყუნას სანდორო თოფიც კი ჰქონდა მოტანილი - დამიზნებაც არ უნდა, იმოდენაა, საოცარ საზამთროზე ბევრად დიდი, ბუთქავს იმ ბურთს, ახლა რომ ცხელი ჰაერით ავსებენ და... მაგრამ ეს არ არის გამოსავალი: სოფელს, აქამდე ისედაც აკლებულ-დაწიოკებულს, საბოლოოდ დაარბევენ და გააცამტვერებენ...

ჰა და ჰა, ცოტაც და საჭაერო ბურთი ცხელი ჰაერით მთლიანად აივსება, გაიბერება და მაღლა აიტაცებს საოცარ საზამთროს, მერე ვერტმფრენის დახმარებით წაიღებს, წაიღებს და ორივენი თვალთაგან სამუდამოდ მიეფარებიან...

სოფელელი უიმედოდ შესცქერიან კაპრონის ბადით დატყვევებულ საოცარ საზამთროს, გულში სამუდამოდ ემშვიდობებიან...

აჰა, კაპრონის მსხვილი ბაგირი დაიჭიმა, დაიჭიმა, საოცარმა საზამთრომ ძიგძიგც დაიწყო - საცაა მოწყდება მშობლიურ მიწას და...

საოცარი საზამთრო ძრწოლამ აიტანა, ცხელი ჰაერით გაბერილ საჭაერო ბურთს საყვედურით მიმართა:

- რას მიშვები, ლამაზად გაბერილო ბურთო, ბურთმა ბურთს უნდა უღალატოს?

საჭაერო ბურთმა უპასუხა:

- მართალია, შენც ბურთი ხარ და მეც, მაგრამ, რა ვქნა, ძმაო, თითოეულ ჩვენგანს თავთავისი საქმე აქვს და ის უნდა აკეთოს, ვერე არ არის?

მოღუშულ სანდოცელთ გულები ტკივილით შეეკუმშათ, ყურდიდასა და როზგა-როზგას კი სინარულით აუჩქროლდათ...

მაგრამ ვაზირებს მოლოდინი გაუცრუვდათ!

საოცარი საზამთრო რის საოცარი საზამთრო იქნებოდა, მოძალადეებს რომ ასე ადვილად დამორჩილებოდა, - მისი ზომა-წონა სათანადოდ ვერ შეაფასეს, - პანდურეთის მეცნიერებათა აკადემიის პენსიაში უდროოდ გაშვებულ მასალათა გამძლეობის სპეციალისტებისთვის მაინც მიენდოთ გამოთვლები! დიახ, მეცნიერებათა აკადემიის ბრიყვეულმა გაუქმებამ ცუდი ოინი უყოთ, - არცთუ დიდი ხნის შემდეგ! - უცებ კაპრონის ბადე გაირღვა და ჩამოიშალა, მერე სწრაფად აფრენილმა საჭაერო ბურთმა მისი ნაფლეთები ზევით აიტაცა, სულ ზევით-ზევით წაიღო, ისე, რომ ბაგირზე მიბმულმა ვერტმფრენმაც კი ვერ გაუწია წინააღმდეგობა და ისიც მძლავრად წარიტაცა გაფიცხებულმა უზარმაზარმა საჭაერო ბურთმა... სულ ბზრიალ-ბზრიალით მიჰქროდა ზევით-ზევით ვერტმფრენი და სადამდის ათამაშებდა ასე, კაცმა არ იცის, საჭაერო ბურთის გონდოლასთან მისი დამაკავშირებელი მსხვილი ბაგირი საჩქაროდ რომ არ გადაეჭრათ...

ბურთს ქვევით დაკიდებულ გონდოლაში იჯდა მჭედელი პატუღანა, სწორედ მას ჰქონდა გაზის სანთურა დანთებული და ცხელ აირს საჭაერო ბურთის ქვედა, გახსნილ ნაწილში გასაბერად მიმართავდა; მომხდარი სამარცხვინო მარცხის გამო საწყალი ახალგაზოცხვარი ჰაერნაოსანი რა დღეშიც ჩავარდებოდა, ადვილი წარმოსადგენია... პატუღანას უმართავი საჭაერო ბურთით, მისდა უნებურად, იქნებ სხვა კონტინენტზე გამგზავრებაც მოეხდინა, მაგრამ მოისაზრა და გაზის სანთური სასწრაფოდ ჩააქრო. ტვირთისგან განთავისუფლებული საჭაერო ბურთი ერთხანს ისევ მაღლა მიისწრაფოდა, მერე, ბურთში ჰაერის გაგრილების კვალობაზე, ნელ-ნელა ქვევით დაიწყო დაშვება და მეორე დღეს შიშნაჭამმა პატუღანამ რომელიდაც უცხო ქვეყანაში კი ამოყო თავი... და ადგილობრივი მოსახლეობა დიდადაც გააკვირვა!

სხვათა შორის, ამ საჭაერო ბურთზე, ყურდიდას ბრძნული გადაწყვეტილებით, დახატული იყო სულთან ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენ ცერცებ-წერწეტას დიდი ოსტატობით დახატული უზარმაზარი ფერადი პორტრეტი, რათა, ერთი მხრივ, დიდი საზამთროს მოგზაურობისას გზა-გზა პანდურელი დამტკბარიყვნენ საყვარელი სულთნის მშვენიერი პორტრეტის ხილვით (ამ პორტრეტის შექმნის ამბავი ცალკე მოსაყოლად ღირს, ასევე - პატუღანას საჭაერო მოგზაურობის ამბავიც, მაგრამ ახლა ამისთვის არ მცალია) და, მეორე მხრივ, ამ ფრიად მახვილგონივრული გადაწყვე-

ტილებით, ყურდიდას სურდა, ერთხელ კიდევ დაემტკიცებინა ბაქიბუქასთვის საშიშროების ვაზირის უსაზღვრო ერთგულება... და, რა თქმა უნდა, უზარმაზარ საჰაერო ბურთს შესაბამისი დიდი წარწერაც ამშვენებდა: “სანდაოცელთა საჩუქარი ბვირფას სულთანს!”.

მზეთუნახავი ქალიშვილის, პოპოქიას, ბედნიერ მომავალზე მზრუნველ მამას, მჭედელ პატუღანას რაღა ბედი ეწია?

ახალგაზრდა პაპიანოსი ბედის უეცარმა ცუდლუბობამ სასოწარკვეთაში ვერ ჩააგდო; უცხო მხარეში ერთხანს კი გაუჭირდა, – იქაური არც ენა იცოდა, არც ფული ჰქონდა, – შიმშილიც იწვინა და ღია ცის ქვეშ რამდენიმე ღამის გათევაც მოუწია, მაგრამ შემდეგ საჰაერო ბურთი სარფიანად გაყიდა და პანდურეთში მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოახერხა დაბრუნება. ამ დროს ჩვენს მიერ მოთხრობილი საოცარ საზამთროსთან დაკავშირებული ამბები კარგა ხნის დასრულებული იყო; მაგრამ ნუ გგონიათ, რომ მამის ხანგრძლივი დროით გაუჩინარებამ პოპოქიას ხელი შეუშალა და სულთნის ყურადღების დამსახურება ვერ მოახერხა...

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ შინ დაბრუნებულ პატუღანას ორი ერთიმეორეზე უსიამოვნო სიურპრიზი დახვდა: პირველი ის იყო, რომ მისი საყვარელი ქალიშვილი, რომლის ბედზეც ასე ზრუნავდა, სადღაც გამქრალიყო – მისი ასაგალ-დასაგალი ვერაფრით გაარკვია; მეორეც – მისი სახლის ადგილას მხოლოდ ნანგრევის ნაგავი დარჩენილიყო: ვიღაც კეთილსიმყოფელებს უპატრონოდ მიტოვებული სახლი აგურ-აგურ დაუშლიათ და ყველაფერი წაუღიათ... სამჭედლოც გაძარცვული დახვდა – ერთი გრამი ლითონი არ იყო დატოვებული, თუნუქის სახურავიც კი აღარ ჰქონდა – ჯართში ახლა კარგ ფასს იძლევიან...

კარი XVIII.

საოცარი საზამთრო ესაუბრება დედამიწას

როგორც იცით, გამოჩნდნენ ჭკვიანები, რომლებმაც მოინდომეს საზამთროს უცნაური გზით მოსპობა-განადგურება. ზარბაზნის დაშენისა, თუნდაც უზარმაზარ საზამთროს კი არა, ვინც გინდა იყოს, გვარიანად შეეშინდება!

დაზაფრულმა დიდმა საზამთრომ დედამიწას მიმართა:

– მიწავ, ჩემო მშობელო, ვის რა დაეუშავე, რომ ჩემი მოსპობის მსურველნიც კი გამოჩნდნენ? კაცო თუ ქალო, ბოდიშს ვიხდი, არ ვიცი, რომელი ხარ, მაგრამ იმდენ სულიერს შობ და ზრდი შენს წიადში, – წყალსა თუ ხმელსა შინა, – რომ უფრო დედაკაცი უნდა ბრძანდებოდე, ჰოდა, ერთი კითხვა მაწუსებს ფრიად: რატომ გააჩინე ბაქიბუქასთანა ხალხი ან როგორ უძლებ მათ მიერ ჩადენილ უამრავ დანაშაულს, სიავესა და სიბოროტეს? როგორ უყურებ უშფოთველად მრავალთა სხვათა – ყოვლად უზნეთთა და უმაქნისთა – გალადებას, წრეგადასულ თავგასულობასა და მგელკაცობას და, იმაგდროულად, ცხოვრების ყველა სიამით ტკობას? ნუთუ ასეთი ბრმა და ყრუ ხარ, ყველაფერზე თვალებს რატომ ხუჭავ, ავსა და კარგს რატომ არ არჩევ თუ ვერ არკვევ, სად არის აქ სამართლიანობა?

დედამიწამ მაშინვე უპასუხა:

– ჰა, ჩემო კარგო საზამთროვ, როგორც იქნა, ჩემთან საუბრისთვისაც მოიცალე და მაშინვე საყვედურებითაც ამავეს? ჯერ შენ თვითონ მიპასუხე: რადგან ასეთი დიდი გაიზარდე, დიდი გულიც მოგეცა და თვითონ დაფიქრდი – გულზვიადობის მონა გახდი განა?.. მე ხომ შენი დედა ვარ და მხესა და მთვარეს რომ გაუბი მუსაიფი, მე ხომ არ მემდური, უპირველესად ჩემთან, მშობელთან არ უნდა გესაუბრა?

– მართალი ბრძანდები, დედაო ჩემო, ბოდიშს ვიხდი, თუ გაწყენინე! მაგრამ მზე ხომ შენი დედაც არის? ჩემი კი – დედაც და დიდდედაც ანუ დიდი დედაც! მთვარესთან კი ხშირად რატომ გსაუბრობ, იცი?.. ღამით, ხომ იცი, სანამ ეს რია-რია დაიწყებოდა, მარტო ვიყავი, ლაყუნას მეტს არავის ეცალა ჩემთვის, ყურადღებას არ მაქცევდნენ, მოწყენა მომეძალა და... სხვათა შორის, მთვარეც ხომ შენი შვილია! ანუ ჩემი ძმა! თუ და?.. თავდაპირველ კითხვაზეც, გთხოვ, მიპასუხე: ამდენ ნაძირალას რატომ ალადებ? კი, ყველას მშობლიური სიყვარული და სითბო უნდა უწილადო, მაგრამ გულბოროტებსა და ხარბებს რატომ ანიჭებ უპირატესობას და აჩაგვრინებ უცოდველთა, კეთილთა, მშრომელთა... საბრალოებმა, რა დააშავეს ისეთი? ისევ გეკითხები: განა ეს შენი მხრივ უსამართლობა არ არის?

– ჩემო დიდო და კეთილი გულის საზამთროვ, – პასუხობს დედამიწა, – უნდა გულწრფელად ვაღიარო, რომ შენ გარკვეულწილად მართალი ბრძანდები, მაგრამ არც ისე მარტივადაა საქმე, შენ რომ წარმოგიდგინია: აქეთ შავია, უნდა დაიგმოს და დაითრგუნოს ან სულაც გადაშენდეს, იქით – თეთრი, მხოლოდ ის უნდა არსებობდეს და ხარობდეს... ჯერ ჯველი ხარ, უწვრთნელი, უმწიფარი, ბევრი რამ არ გესმის, ტყუილად კი არ ხარ მწვანე... შენთან ბევრი ლაილასი არც თავი მაქვს და არც – დრო, უამრავი სხვა საქმეც მეღის, ამიტომ მოკლედ გეტყვი: მე ისეთი გუ-

ლუხვი და ხელხვაგერიელი ვარ, ისე მიყვარს მრავალფეროვნება, რომ ჩემს შვილებში ათასი ჯურის, სულ სხვადასხვაგვარი არსებობს, მათ შორის – შენს მიერ დასახელებული პიროვნებაც, – ვიდაც ბაქიბუქა, – რომლის სახელიც, მართალი გითხრა, აქამდე არც კი გამეგონა... შენ გინდა, უბრძოლველად ეწიო სიმშვიდესა და ყველა სიკეთეს, ამით კი, ჩემო კარგო, ცხოვრებას ხომ აზრი ეკარგება, მხოლოდ გარჯითა და ბრძოლით მოპოვებულს აქვს ჭეშმარიტი ფასი და გემო... ახლა კი ჩემს ერთ კითხვაზეც უნდა მიპასუხო: სხვას რომ ასე მკაცრად განიკითხავ, აბა ერთი შენს საკუთარ თავსაც ჰკითხე: თვითონ უცოდველი კრავი ხარ? ვითომ სიმშვიდის მოტრფივად ბრძანდები და განა მთვარესთან საუბარში ჩემთან მეტოქეობა არ განიზრახე? გულზვიადობა ცხადად გამოავლინე! მაშინ სხვა ვინმე მოგეძებნა, შენი ფარდი, შენს მშობელს ვით ეპაექრები? ეგ არაფერი, მე ჩემი შვილებისგან უარესსაც მოვითმენ, მაგრამ იქამდე არ უნდა გათავსედდე, რომ ამპარტავნულად თვით მზესაც კი შეეხო! ეს ხომ დიდი ცოდვაა, გაუგონარი მკრეხელობა, შენთვის სიკეთის მეტი რა გაუკეთებია!

– ჩემო მშობელო დედაო მიწავ, – უპასუხა საზამთრომ, – ეგ ხომ მხოლოდ და მხოლოდ უწყინარი ხუმრობა იყო, დალოცვილო, ამას რა დიდი მიხვედრილობა უნდოდა! თანაც ერთი ძველი ანდაზა არ გაგიგონია? “ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა!” – ალბათ, ამ შემთხვევაში, დედას! ამასაც საღალბოდ გეუბნები, რასაკვირველია, მე ვით გაეხდები მზის ხელა, გინდაც შენსეულა ან თუნდაც – მთვარის ტოლი, ხომ ხელავ, რამხელაც ვარ! როგორაც უნდა ვიბრძობოდე: “იმოდენა გავიზრდები, ყველას გადაავასწრებ!”, სინამდვილეში შეგძლებს კი განა, ზომი-წონით ოდნავ მაინც დაგემგვანოთ? ეგ ხომ ზღაპარია! გარდა ამისა, თქვენ თუ მარადიულები ან თითქმის მარადიულები ხართ, მილიონი და მილიარდი წლებია, ახარებთ ყოველ ცოცხალ არსებას და კიდევ დიდხანს გააგრძელებთ ამ კეთილ საქმეს, მე ხომ ძალიან მოკლე დღე მიწერია – დღეს-ხვალ საერთოდ გააქრები, ეს არის ჩემი ბედისწერა! და აქ მეორე ანდაზას მოვიშველებ: “კიბრი ვერ გახდება შირაზის შუშა, გინდაც მადლა თახჩაშიაც დაჰკიდონ!”. ჰოდა, დალოცვილო, ისედაც, როგორც იტყვიან, ერთი თუ ორი პარასკევი მაქვს დარჩენილი და რას მე მართლები, აღარც ვიხუმრო? ბრძოლისკენაც მომიწოდებ, იმას კი აღარ იკითხავ, მე რა შემობლია, ჩემი ბუნებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, რისი შემძლე ვარ? მაგრამ ხუმრობას კი ვერავინ დამიშლის, მეტი რაღა დამრჩენია!

– ამდენს რომ ლაქლაქებ, მოკლედ ვერ იტყვი, რა გინდა? გვარიანად მომაცდინე, ხომ გითხარი, უამრავი საქმე მაქვს...

– მხოლოდ ერთ რასმე გთხოვ... ჩემო დედავ, მფარველო და მწყალობელო, იქნებ რამენაირად ეს საქმედალეული ბაქიბუქა მომაცილო თავიდან, – მის დამქაშებიანად, – ჩემს მიმართ რაღაც სულელური ზრახვები რომ დაუფლებიათ... მაცალონ, მშვიდად განვლო ჩემი დარჩენილი მცირე დღენი; ეს ერთი თხოვნა შემისრულე, შენ ეგ არ გაგიჭირდება... შენც კარგად ხელავ: მომისია ქვეყნის არამზადები და ათას ხრიკს მიწყობენ, რათა ჭეშმარიტ პატრონს წაართვან ჩემი თავი! საკუთარ თავს არ ვჩივი, დღეს თუ ხვალ ჩემს ამქვეყნიურ დანიშნულებას პირნათლად შევასრულებ ანუ შემეჭამენ, დამლოცავენ და შემდგომშიც კეთილად მომიგონებენ, მაგრამ სოფლებებმა რა დააშავეს, მათთვის ჩემი წართმევა რომ სურთ? ამ ნამუსგარეცხილ მიმტაცებლებს თითქოს რაიმე წვლილი ჰქონდეთ ჩემს მოვლა-პატრონობაში, ახლა კი დიდი მადა გაეხსნათ! საწყალ სანდაოცვლებს, ცემა-ტყეპითაც უმასპინძლებიან – როგორ ბედავთ ურჩობასო... როგორმე გვიხსენი ამ მოძალადეებისგან! ჩემთან ჭიდაობა არ გაუვიდათ, ძვრაც ვერ მიყვეს; ჩემი განადგურება არ გაუჭირდებოდათ, მაგრამ სულთნის რისხვას დაიმსახურებდნენ და ეშინიათ... ახლა, როგორც გავიგე, სულთანი თვით აპირებს აქ ჩამობრძანებას, თითქოს საკუთარი, ფრიად პატივცემული, რუმბივით გასივებული გვამის ხილვით დიდად გამაბეზნიერებს – ისე აუღვა გვერდები, როგორც მისი წერწეტი ტანის დანახვა მომნატრებოდეს... მოგეხსენება, ბაქიბუქა უფრო სანაქებო მადით გამოირჩევა, ვიდრე სიმამაცით და იქნებ ოდნავ შეაშინო? “რაც არ გერგება, არ შეგერგება” – ეს ანდაზა ამჯერადაც თუკი ასრულდება, ფრიად მადლიერი დაგიჩივები, დედაო ჩემო! ოღონდ ძალიანაც ნუ გაიმეტებ ამ უბედურ დღეზე გაჩენილ მოძალადეს, საყვარელო, მსუბუქად, ოდნავ დააფრთხე... მოუხდება, ხომ იცი, მადა მოაკლდება და იქნებ მართლა წერწეტი გახდეს, – სიმკვირცხლე მოემატოს! არ გინდა, სეირი ნახო, ბაქიბუქა გმირთა გმირი როგორ კურდღელივით მოკურცხლავს აქედან?

– კი, ბატონო, შეგისრულე მაგ თხოვნას, შევაშინებ, მით უმეტეს, არც მე მომდის თვალში ხარბი და უსამართლო ადამიანები. ჩემთვის ეგ იოლი სამსახურია, ამისთვის შესაფერ დროს შეგურჩევ; ერთი ნეკის ოდნავ გატოკება დამჭირდება და...

– საყვარელო, რას იზამ?

– მაგას მალე ნახავ, ოღონდ, იცოდე, ყველასთვის მოულოდნელი რაღაც მოხდება და შენ თვითონ არ შეშინდე!

კარი XIX.

საერთაშორისო გამოცახილი: მოულოდნელად ქვეყნას საგარეო საფრთხე დაემუქრა!

როცა ბაქიბუქა რადიო-ტელეგადაცემებში ჩვეულებრივ ბაქიბუქობდა, როგორ უდიდეს წარმატებებს და არნახულ სიძლიერეს მიაღწია მისი ძველამოსილი ხელმძღვანელობით პანდურეთმა ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სამხედრო თუ ნებისმიერი სხვა თვალსაზრისით, კულტურის, ხელოვნებისა თუ განათლების დარგებში, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის მხრივ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, სრულიად მოულოდნელად ანტირესპუბლიკა რია-რიას ფრიად სერიოზული საფრთხე შეექმნა... მეზობელი დიდი სახელმწიფოს, ყინულეთის, შაჰინშაჰმა ბახ-ბახმა, ყველაზე დიდმა და ყოველად ძლიერმა, ინება და პანდურეთის სულთანს ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენ ცერცეტ-წერწეტას მეგობრული უსტარი გამოუგზავნა.

– წამიკითხე! – უბრძანა სულთანმა ბაქიბუქა I-მა ვაზირთ ვაზირ დიახ-დიახს. – ხმამაღლა და ლაზათიანად გამოთქმით, ვითარცა ჩემი დიდი მეგობრის, ყინულეთის ყოველსშემძლე შაჰინშაჰის მიერ საგანგებოდ გამოგზავნილ ამ დონის საბუთს ეკადრება!

ვაზირთ ვაზირ დიახ-დიახის მიერ კონვერტის გახსნის დროს იქ მყოფთა შორის დაძაბულობა მატულობს...

– მოწყალეო ხელმწიფე, თითები გამეყინა! – ვაზირთ ვაზირმა, როგორც იქნა, დალუქული კონვერტი გახსნა, ამოღებული უსტარი გაშალა და უცებ იქიდან ყინულები გადმოცვივდა, გაიფანტა ხალიჩაზე.

– ძალიან ცივი უსტარი ჩანს, მაგრამ სხვა რა დაგვრჩენია, მაინც წაიკითხე! – ბრძანა ბაქიბუქამ. – იცოდე, ხმა არ გაგეყინოს!

დიახ-დიახმა გათოშილ თითებს ერთი-ორჯერ გასათბობად სული შეუბერა და მერე ხრინწიანი ხმით დაიწყო:

“საყვარელო და სანახავად სანატრელო სულიერო ძმავო ჩემო ბაქიბუქა!

უპირველესად, გულითადად მოგიკითხავ და იმედს გამოვთქვამ, რომ, როგორც პირადად ჩვენს შორის, ასევე, ჩვენს მიერ ღვთის შეწევნით მართულ ქვეყანათა და, ასევე, ხალხთა შორისაც, გაგრძელდება გრადიციული მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა. მაგრამ არ დაგიმაღავთ: ჩვენთვის ფრიად საკვირველია, რომ თქვენს ქვეყანაში, რომლის ერთი ბოლოდან რომ გადააფურთხო, მეორე ბოლომდე უწვდენ და კარგა გვარიანად გადააცილებ კიდეც, ასეთი უცნაური, უზარმაზარი ზომის საზამთრო მოგიწევიათ და, ამის გამო, მთელს ეგრეთწოდებულ მოწინავე, ვითომ განათლებულ, ცივილიზებულ, სინამდვილეში კი – ბრიყვ და ბნელეთით მოცულ, დამპალ დასავლეთის ქვეყნებში ერთი ამბავია ატეხილი! ვაი თქვენსა და იმათ პატრონს! თქვე დედამამანათლებულებო, განა ვინმესთვის დიდ საიდუმლოს წარმოადგენს, რომ ეგ დიდსაზამთრო ჩვენია? ამ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას წყალი არ გაუვა, დიახ! ყველამ უნდა იცოდეს: ამქვეყნად ყველაფერი, რაც დიდია, ოდითგანვე ჩვენ გვეკუთვნის – ეს უფლება თვით ღმერთმა მოგვანიჭა! აი, კიდეც ერთი ჭეშმარიტი საბუთიც: თქვენი წვინტლიანი მარხნაალა ქვეყნისგან განსხვავებით, ჩვენს ყინულეთის დიად ქვეყანაში მთელს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერება ჰყავის, ბრწყინვალე მეცნიერები იღვწიან და, უეჭველია, ჩვენი ერთ-ერთი გენეტიკური კვლევების ცენტრიდან არის მაგ გამორჩეულად დიდი საზამთროს თესლი თაღლითურად მოპარული!

ჩემო საყვარელო და სანახავად სანატრელო სულიერო ძმავო!

ჩემი მთავარი გზავნილი: იცოდეთ, ეგ არნახული ვერაგობა არ შეგვრჩებათ და მეგობრულად გირჩევთ: ვიდრე მართლა არ გაგებრამბებულვარ, ნებაყოფლობით, დროულად და სრულად დაცულ-შენახული დაგვიბრუნეთ ჩვენი კანონიერი ნივთი – დიდი საზამთრო, ამასთანავე, მოვალენი ხართ, ჩვენი, ყინულეთის დიდი და დიადი ქვეყნის საზღვრამდე მისი გრანსპორტირება და მოგაცემისა თუ ნებისმიერი სახის დაზიანებისგან დაცვა სავსებითა და მთლიანად უზრუნველყოთ თქვენი საკუთარი სახსრებითა და საშუალებებით. კიდეც ერთხელ მეგობრულად გაფრთხილებთ: წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლო სავალალო შედეგების დადგომისთვის ჩვენ ხელი დაგვიბანია და სრული პასუხისმგებლობა უპირობოდ დაეკისრება თქვენს დიდად პატივცემულ მხარეს.

დასასრულ, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ პანდურეთისა და მისი ხალხის, აგრეთვე, პირადად თქვენი უმაღლესობის – დიდად პატივსაცემი სულთნის, ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენის ცერცეტ-სერსეტის – მიმართ ჩვენი ურყევი კეთილგანწყობისა და ძმური გრძნობების დასტურად, ჩვენთვის, დიდი საზამთროს კანონიერი მეპატრონისთვის, დაბრუნებიდან სულ მოკლე ხანში, დიდი სიამოვნებით, უპრეცედენტო ფასდაკლებით, მოგაწვდით ჩვენი მეცნიერების მიერ გამოგონებულ გენური ინჟინერიის ჭეშმარიტ საოცრებას – ჩვეულებრივი კომბლისგან გამოყვანილ დიდ ხელკეტს, – ნებისმიერი რაოდენობით, საფირმო სახელწოდებით “Ultima ratio” (“უკანასკნელი საბუთი” – ფრიად დამაჯერებელი!), რომელიც

მოწინააღმდეგეზე ყოველი დარტყმის შემდეგ ავტომატურ რეჟიმში სიგრძეში საგრძობლად იზრდება და უფრო მძლავრსა და მტკივნეულ დენის დარტყმასაც გამოიძულებს! იოგის ოდენა ეჭვსაც ნუ შეიტანთ, მისი შექენით დიდად კმაყოფილი დარჩებით: უმაღლესი დონის, თანამედროვე მეცნიერული და ტექნოლოგიური მოთხოვნების შესაბამისი აღნიშნული ხელკეტი-საოცრება უებარი სამუალებათა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი არასანქცეიონირებული შეკრებებისა და დემონსტრაციების უმოკლეს ხანში წარმატებით დასაშლელად, არეულობებში მონაწილეთა დასამოშმინებლად, რაშიც თქვენ, გამოყენების შემთხვევაში, თვით თვალნათლივ დარწმუნდებით და დიდად მადლიერნიც დარჩებით. ეს ჩვენი უახლესი “ნოუ ჰაუ” ნაღდად სახატრელია ყოველი ჭეშმარიტად თავისუფლებისა და დემოკრატიის მოგრაფიულ ხელისუფლისა და ხელისუფლებისთვის!

ძმურად გეხვევით და დავრჩები ყოველმხრივ თქვენი უაღრესად პატივისმცემელი და მარადის კეთილის მსურველი –

შაჰთა შაჰი bax-bax yvel aze didi da yo vl ad Zi eri,

მფლობელი სრულიად ყინულებით უსაზღვრო ქვეყნისა და მპყრობელი სხვათა და სხვათა მრავალთა,

წითელქალაქი, 2018 წლის 5 აგვისტო”.

სანამ ვაზირთ ვაზირი დიახ-დიახ წერილს ბორძიკ-ბორძიკით კითხულობდა (ეგრევე მიხვდებოდი, რომ კითხვაში მაინცდამაინც არ იყო გავარჯიშებული), სულთან ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეტი-წერწეტა და კარისკაცნი სულ უფრო მეტ შიშს განიცდიდნენ – ყველას ფერფერი წაუვიდა! მოეჩვენათ, რომ მოესმათ: ჯერ – დიპლიმატოს ჟღარუნი, შემდეგ – დაფდაფების შეტევაზე გადმოსვლის მანიშნებელი სისხლის ამჩქროლებელი ომახიანი ბრაგუნი, ბოლოს კი – თითქოს სადღაც ქვემეხმა რამდენჯერმე საშინლად დაიგრუნუნა, – ბახ! ბახ! ბახ! – რომელსაც ზეციდან დაერთო მოიერიშე ბომბდამშენების ავისმომასწავებელი მწყობრი გუგუნით თუ ღრინვა...

უცებ ბაქიბუქა გმირთა გმირი იატაკზე დაფენილ ძვირფას სპარსულ ხალიჩაზე განერთხო, – საბრალოს, დღეს რიგით ორმოცდამეხუთე ბანანის ბოლომდე შეჭმა არ დასცადა! – მაშინვე ზეციდან ბრგე პირადი მცველები მსწრაფლ გადაეფარნენ, თან სიჩქარეში ისე ძალუმად დაახტნენ, რომ ჩვენს გმირთა გმირს ლამის სული გააფრთხობინეს...

დანარჩენი იქ მყოფნი, ამ ამბის შემხედვარენი (გარდა უფროსი ბანანთ ვაზირის ჟმეტიასი, – ხელში მეუფისთვის მისაწოდებლად გამზადებული ბანანი ეჭირა, – და მისი ბანანებით სავსე ლანგრიანი დამხმარესი), დამფრთხალნი, ყურებზე იფარებენ ხელისგულებს, აქეთ-იქით იცქირებიან: ემანდ რამე საშინელება ხომ არ ხდებაო...

ბაქიბუქა I საწყალობლად კრუსუნებდა და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გაბედა თავის წამოწევა, როცა დარწმუნდა, რომ ცრუ შიშით იყო შეპყრობილი. დარცხვენილი სულთან წამოდგა, ხელში ანაზღად შერჩენილი ბანანის მონარჩენი მოისროლა და უდანაშაულო ვაზირთ ვაზირს ყვირილით შარი მოსდო:

- რატომ შეწყვიტე წერილის კითხვა?
- დიდო მეუფეო, წერილის კითხვა დავამთავრე... ძლივს მოვახერხე – საოცრად ცივად არის დაწერილი, ხელები დამაზრა! თქვენო უდიდებულესობავ, თვითონაც ხომ იხილეთ: როცა უსტარი გაეშალე, ფურცლიდან ყინულის ნატყეხები გადმოცვივდა!
- აკრიფეთ და საჩქაროდ გვერდებსა და ზურგზე დამადეთ, ამ ოხრებმა და რეგვენებმა სულ დამალურჯეს!
- დიახ, დიახ, ახლავე, თქვენო ბრწყინვალეობავ!

ვაზირები დაფაცურდნენ და ერთმანეთს ასწრებდნენ ბაქიბუქას დაბეგვილ გვერდებზე ყინულის ნატყეხების დადებას.

მხოლოდ ვაზირთ ვაზირი დიახ-დიახ ვერ ეხმარებოდა მათ: გათოშილ თითებს გასათბობად სულს უბერავდა.

როცა სულთანს ტკივილი ოდნავ დაუამდა და შიში გაუნელდა, სული მოითქვა, ჩვეულად ტახტზე მოიკალათა და მაშინცე ბანანი მიართვეს. ბაქიბუქამ ბანანს მოკბინა და ამჟამად მასთან ყველაზე ახლოს მყოფ (ასევე – გადატანითი მნიშვნელობითაც) საშიშროების ვაზირ ყურდიდას, რომელსაც სხვებზე მეტად ენდობა, ეკითხება:

- საიდან გაიგეს მაგ შეჩვენებულებმა ჩვენი საოცარი საზამთროს შესახებ? ნამდვილად გასაკვირველია! სახელად ყურდიდა ტყუილად გქვია? ბუზიყლაპია ღონდლოვ, პირდია დაღლარავ, დაგავიწყდა შენი უმთავრესი დანიშნულება, რომ დაუცხრომელი ყურცქვიტაც და თვალდიდაც უნდა იყო?! დაამტკიცე, რომ ასეთი ჩემი შეფასება შენთვის შეუფერებელია – უეჭველად სასწრაფოდ გაარკვიე: საიდან, როგორ, ვისგან გაჟონა სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო ინფორმაცია?

– ბრძენთა ბრძენო, თქვენო უდიდებულესობავ! თქვენი ფეხთა მტვერი უმდაბლესად მოგახსენებთ: ალბათ კოსმოსიდან აქვთ მიღებული ჩვენი, – ბოდიში, თქვენი, – დიდი საზამთროს შესახებ დაწვერილებითი ცნობები!.. კოსმოსური თანამგზავრის თანამედროვე ოპტიკური აპარატურა შესაძლებელს ხდის, მხოლოდ ჩვეულებრივი საზამთროს კი არა, საზამთროს თესლის ხელა ნებისმიერი ობიექტის ხილვას, ყოველი ხოჭოსა და პეპლის გადაადგილების გაკონტროლებას, ადამიანებზე, კერძოდ კი – ჩვენზე, აღარაფერს ვამბობ! არ გამოვრიცხავ, რომ ახლა, სწორედ ამ დროს, იმ დაწვევლილი ყინულეთის საგარეო დაზვერვის შტაბ-ბინაში გვიყურებენ და გვისმენენ, ყოველი ჩვენი სიტყვა მათთვის ცნობილია!

“ამ სასახლის სახურავი რომ არ უშლიდეს, იმასაც მშვენივრად დაითვლიდნენ, დღეში რამდენ ცალ ბანანს მიირთმევ, ღორმუცელავ!” – გაიფიქრა ყურდიდამ, მაგრამ ხმამაღლა, ცხადია, ამის მსგავსი არაფერი უთქვამს.

– როგორც შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს, მოსალოდნელია აგრესია ყინულეთის მხრივ, რა ვიღონოთ? – დანადგლიანდა ბაქიბუქა. – სიტყვით კი: ხან – დაუფარავად გვემუქრებიან, ხან – გვეფიცებიან სიყვარულსა და პატივისცემას, მაგრამ გინდაც კოჭი გავუგოროთ, მაინც ვერ მოვიგებთ მათ გულს...

– დიახ, დიახ, თქვენო უმაღლესობავ, ყინულელთა მტაცებლურ ბუნებას არაფერი ეშველება: თუ თავფეხიანად არ გადაგვყლაპეს, მაგათ გულთბილ ჩახუტებას მაინც ვერ გავუძლებთ – ნეკნებს ჩავგიღვწავენ!

– სად არის ჩვენი შველა?

– ჩვენო დიდო სიბრძნის საჭურჭლე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიჩვილოთ სასწრაფოდ! – ამჯერადაც არ დაახანა პასუხის გაცემა დიახ-დიახმა.

– მერე, შედეგი? რაიმე ჩვენთვის სასიკეთო შედეგს მივადწევთ ამით? დიდი დიპლომატიური სკანდალი კი აგორდება, მაგრამ ჩვენ ის რას მოგვიტანს, რას მოვიძიებთ? მხოლოდ ყინულეთის კიდევ უფრო გადიზიანებას! გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რასაკვირველია, მხარს დაგვიჭერს, საგანგებო რეზოლუციით თანაგრძნობას გამოგვიცხადებს და სრულ მხარდაჭერასაც დაგვპირდება, მაგრამ ყინულეთის აგრესიის შესაჩერებლად ქმედით ღონისძიებას არა და ვერ მიმართავს – ეს ხომ ეჭვს გარეშავ!

– დიახ, დიახ, სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებს თქვენი უმაღლესობა, – მაშინვე ისევ დაეთანხმა ვაზირთ ვაზირი, – სიტყვით, რა თქმა უნდა, ვითომ ჩვენს გვერდით იდგომება, აი, საქმით კი... თითხაც არ გაანძრევინ, ფუჭი ლაქლაქით დამთავრდება ყველაფერი! ისიც ხომ ცხადია, რომ ბახ-ბახა, ამქვეყნად ყველაზე დიდი მტარვალი, დიდ შარზე არის, არაფრით მოისვენებს, სანამ თავის მიზანს არ მიადწევს, ამიტომ მისგან ახალ-ახალ პროვოკაციებს უნდა ველოდეთ... მიმანინია, რომ, როგორც უნდა ფრთხილად და მოზომილად მოვიქცეთ, აგრესიას თავიდან მაინც ვერ ავიცილებთ...

– მივცეთ ეგ დასაწვავი დიდი საზამთრო, იქნებ თავი დაგვანებოს და მოვისვენოთ! – ხელი ჩაიქნია ბაქიბუქამ.

– სწორია, თქვენო ბრწყინვალეობავ! ოღონდ ოფიციალურად გაგაფორმეთ ჩაბარება-მიღების აქტი საერთაშორისო შუამავლების მეშვეობით და შეთანხმებაში აუცილებელ პირობად ჩავდეთ, რომ ერთ ცალ საზამთროს თესლს მოგვცემენ! ეს იქნება პანდურეთის უდიდესი დიპლომატიური და მორალური გამარჯვება!

– პოლიტიკურად ნამდვილად მოგებულები დავრჩებით და ჩვენს უშიშროებას განვამტკიცებთ! – დაადასტურა საშიშროების ვაზირმა ყურდიდამ.

– ის დებილები, რაღა გიგანტური საზამთროს ახალი გენმოდიფიცირებული ჯიშის გამოყვანას იბრალდებენ, რა ჯანდაბად უნდათ? – ხმა ამოიღო სოფლის მეურნეობის მოშლისა და გატიანების ვაზირმა ჩურჩუტ-ჩერჩეტმა. – ბარემ ბანანისა და ქოქოსის ახალი ჯიშებიც გამოყვანათ, სულერთია, ყინულეთში ვერცერთი იხარება!

– ალბათ ყინულეთს დაგეგმილი აქვს მომავალში ახალი ტერიტორიების დაპყრობა სამხრეთში და თადარიგს იჭერენ – სხვა ტროპიკული კულტურების ახალი ჯიშებიც გამოჰყავთ... – ბაქიბუქა უცებ ტახტიდან ზეზე წამოხტა, თვალები გაუბრწყინდა და ბანანის ჭამასაც დროებით შეეშვა: – სხვათა შორის, სამხედრო თვალსაზრისითაც წარმატებას მივადწევთ!.. რა შავ ჭირად გვინდა, მივაშავოთ ეგ დიდი საზამთრო, ოღონდ წადებამდე გამოვდრუტნოთ და შიგ ჩვენი მეომრები ჩავსხათ! როცა ყინულეთის დედაქალაქ წითელქალაქში ჩაიტანენ, ტროელთა ცხენის მსგავსად, იქიდან, ზუსტად ზეიმის მწვერვალზე, გამოვლენ ჩვენი გმირები, გამოვარდებიან და დასცხებენ! რასაკვირველია, უპირველესად დედას უტირებენ ბახ-ბახ დიდსა! ეს იქნება მსოფლიო დონის ატრაქციონი! სასურველია, იგი ტელევიზიით გადაიცეს მთელი მსოფლიოს ტელეარხებით! იცით, როგორ? ჩვენს მებრძოლეთან ერთად, ტელევიზიის გადაძვლებთა ბრიგადაც ჩავსხათ შიგა! ჰა, ხომ გენიოსური პროექტია?..

– დიახ, დიახ, თქვენო უმაღლესობავ, ეგ ისეთი მართლაც გენიოსური პროექტია, უეჭველად გავიმარჯვებთ! – სულთნის მამებელთა შეხმატბილებულ გუნდში პირველი ხმა არავის დაუთმო ვაზირთ ვაზირმა.

– ჭეშმარიტად, თქვენო უდიდებულესობავ! – მას აჰყვა ყურდიდა.

- თქვენო უბრძნეობავე, დედას ვუტირებთ მაგ თავხედ ბახ-ბახსა და თქვენი სწორუპოვარი მხედართმთავრული ნიჭის შესახებ მთელ მსოფლიოში გაცხადდება! - იყვირა როზგა-როზგამაც, თავისი მძლავრი ბანი შეაშველა ღიახ-ღიახსა და ყურდიდას.

დანარჩენნი ხმის ამოდებას ვერ ბედავდნენ...

თუმცა, არა, საოცარია, მაგრამ დისონანსად გაისმა ერთი ხმა - ქონების დანიაგების გაზირმა ძლომილამ, საკუთარი თავის საუბედუროდ, ასეთი რამ წარმოსთქვა:

- თქვენო უმაღლესობავე, იმ 14 თუ 15 მილიონ ფლურს რაღა ეშველება, რომელიც დიდი საზამთროს გაყიდვით უნდა მიგვედო? ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტს ანუ თქვენი უმაღლესობის განკარგულებაში მყოფ თანხებს ხომ მნიშვნელოვნად დააკლდება? საკმაოდ საგრძნობი დანაკარგი იქნება, თქვენო უდიდებულესობავე!

- ძლომილა ჩემო, ძვირფასო, შენ დაგავიწყდა, რომ დიდი საზამთრო პირადად ჩემი საკუთრებაა და მის გაყიდვას არ ვაპირებდი! - იტყუა პასუხად ბაქიბუქამ. - რაც შეეხება დიდი საზამთროს გაყიდვით მისაღები თანხები რომ დაგვაკლდება... შენი ზრუნვა ბიუჯეტის შევსების საკითხების მოსაგვარებლად ფრიად მისასაღმებელია და ადვილად გადასაწყვეტიც: ყურდიდამ მომახსენა, რომ ბაჰამის კუნძულებზე დიდი მამული შეგიძენია 175 მილიონ 255 ათას დოლარად და 37 სენტად - სასახლით, საცურაო აუზებით, ჩოგბურთის კორტებითა და გოლფის სათამაშო მოედნით! მამულის ყურეში ნაემისადგომთან შენი პირადი იახტა ღვას, პირადი ვერტმფრენი მზადაა, ყოველ წუთს მოგემსახუროს... იმედი მქონდა, რომ დამპატიებდი და ერთად მშვენივრად გავერთობოდით, მაგრამ... არა, უშავს, რომ დამიმალე, მეც შენს ადგილზე ასე მოვიქცეოდი! ძალიან დიდ ბოდიშს კი ვიხდი, ჩემო ლამაზო და მშვენიერო, მაგრამ, სამწუხაროდ, მოვიწყვეს ამ ზღაპრული მამულის გაყიდვა და ნებაყოფლობით 250 მილიონი ფლურის დაყაჭვა ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჰი-ჰი-ჰი!.. მე მგონი, არ ღირს შენთვის იმის შესხენება, რომ ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის უანგაროდ შევსება ყოველი ჩვენთაგანის მამულიშვილური მოვალეობაა და იმედი გქონდეს: შენს დვაწლს ღირსეულად დააფასებს შთამომავლობა, ჰი-ჰი-ჰი!.. ჩემო ძლომილა, რა დაგემართა, ლამაზო, რა მოხდა ისეთი, ნუ გვიკლავ გულს ფრიად დამწუხრებული ადამიანის გამომეტყველებით, წყენას ვაჟკაცურად უნდა მოერიო! გული ნუ დაგწყდება: იმდენი ფული კი გაქვს კიდევ გადამალული სხვადასხვა ქვეყნების ბანკებში, სხვა მშვენიერ ვილასაც თავისუფლად შეიძენ! კარგად მოგეხსენება, როგორი მოკრძალებული ადამიანი გახლავარ და იქაც სიამოვნებით გესტუმრები, თუ რასაკვირველია, ჩემი დაპატიჟება ისევ არ დაგავიწყდება! ხომ იცი, აქლემი ისე არ დაგარდება, რომ ვირის ტვირთი ვერ ზიდოსო, ჰოდა, შე კაცო, რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი? საკმაოდ დიდი თანხა მაინც დაგჩეხა, სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველად გაატარებ და შეიღებსაც ბლომად ძვირფას ქონებას დაუტოვებ, ასე არ არის?!

ძლომილამ აღარ იცოდა, რომელ სოროში შემგვრალიყო, ენა ჩაუვარდა მუცელში - მხოლოდ თანხმობის ნიშნად სულთანს თავს უკრავდა... თან გუნებაში ბედისწერას მადლობას სწირავდა, რომ ამჯერად სულთანმა მთლად არ გაწირა: ციხეში დაღპობასა და, მოკლე ხანში, იქნებ უკვალოდ გაქრობასაც კი გადაურჩა...

* * *

გადარჩა საოცარი საზამთროც, - გამოდრუტნას და ყინულეთში “დანაელთა ძღვნად” წადებას! - რადგან, იმავე დღის საღამოსთვის, ყინულეთსა და პანდურეთს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის მდგომარეობა, მთელი მსოფლიოს საერთაშორისო მიმომხილველებისა და ჟურნალისტების მიერ “დიდი საზამთროს კრიზისად” შერაცხული, სრულიად მოულოდნელად ძირფესვიანად შეიცვალა.

წარმოქმნილი ახალი გარემოებისა და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ბაქიბუქას სამოქმედო გეგმებიც შეიცვალა.

- დიდო სულთანო, მთავრობის გამსვლელი საზეიმო სხდომის გამართვა ხომ არ გადაიდება? - იკითხა სულთანთან სასწრაფოდ დაბარებულმა ვაზირთ ვაზირმა ღიახ-ღიახმა.

- არა, რას ბუჭტურობ, თუ იცი! სასწრაფოდ მოემზადეთ ყველანი სანდაოცეთში დირიუბლით გასაფრენად! მე წინდაწინ რჩევა გკითხე ჩემი კარის ასტროლოგ ვირთამამას და მან დამარწმუნა, რომ პლანეტების განლაგება ამ მოგზაურობისადმი კეთილ განწყობას სრულად და სავსებით ადასტურებს! გარდა ამისა, ჩვენი გადაწყვეტილება, რომ აღარ გადადებულყოფო სანდაოცეთში მთავრობის გამსვლელი სხდომის ჩატარება, განაპირობა ფრიად მნიშვნელოვანმა ახალმა ფაქტმა: სულ ახლახან მაცნობეს, რომ ყინულეთის მუქარას ჩვენს დასაცავად დაუპირისპირდა მძლავრი ძალა - მხედველობაში მაქვს დოლარეთის გაერთიანებული რესპუბლიკის უმაღლესი პირის დღევანდელი განცხადება, ფრიად მნიშვნელოვანი მთელი მსოფლიოსთვის და, განსაკუთრებით - ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის!

ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცვტ-წერწება ფრიად იშვიათად ამბობდა სიმართლეს, მაგრამ ამჯერად სწორედ ამგვარ გამონაკლისთან გექონდა საქმე, ამიტომ მის ყურებს ამჯერად დაგრძობება არ შეტყობია.

ბაქიბუქას ყურები დაგრძელებისგან, ხოლო, რაც ბევრად მნიშვნელოვანია, საოცარი საზამთრო “დანაეღთა ძღვენის” მსგავსად გამოყენებისგან, აი, რამ გადაარჩინა.

ყინუღეთის მხრივ ჯილა საზამთროს მიმართ გამოვლენილი პრეტენზიების გამო აგორებული სკანდალი ელვისებურად მოედო მთელ მსოფლიოს და ფრიად მნიშვნელოვანი გამოსხამურებაც მოჰყვა: იმავე დღეს დოღარეთის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბაფალო ბილმა (უმცროსმა) საგანგებოდ მოწვეულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ პანდურეთში გიგანტური საზამთროს გამოჩენამ შექმნა სრულიად ახალ გარემოებათა კომპლექსი, რამაც, შესაბამისად, შეცვალა ძალთა ბალანსი და ამასთან დაკავშირებული სამხედრო-სტრატეგიული სიტუაციაც მსოფლიოს ამ რეგიონში, ამიტომ იგი ყურადღებით აკვირდება იქ განვითარებულ მოვლენებს. დოღარეთის მთავრობა და პირადად ქვეყნის პრეზიდენტი არ დაუშვებენ მისი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების შეღახვას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში და, ყინუღეთის შაჰინშაჰის ფრიად უპასუხისმგებლო და პოტენციურად საშიშროების მომტანი განცხადების საპასუხოდ, ამცნობს მთელი მსოფლიოს მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ ამიერიდან პანდურეთის მთელი ტერიტორია გამოცხადებულია დოღარეთის გაერთიანებული რესპუბლიკის განსაკუთრებული ინტერესების სფეროდ! დოღარეთის გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობა ყინუღეთის მხრივ ყოველ ამგვარ უპასუხისმგებლო და პოტენციურად საშიშ გამოწვევას საკადრის პასუხს გასცემს მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით. მისი, როგორც დოღარეთის გაერთიანებული რესპუბლიკის უმაღლესი მთავარსარდლის, ბრძანებით ქვეყნის შორეული მოქმედების სამხედრო-საზღვაო და სტრატეგიული დანიშნულების სამხედრო-საჰაერო ძალები და სარაკეტო დანაყოფები, ასევე, კოსმოსური ბაზირების კომპლექსები, მოყვანილია გაძლიერებული მზადყოფნის მდგომარეობაში; პანდურეთის სანაპირო წყლებისკენ უკვე დაიძრა ატომური ავიამზიდი “ბობ ჰოუპი” და სარაკეტო კრეისერი “ბასტერ ვიტონი” – თანმხლები უფრო მცირე სამხედრო ხომალდებითა და ტანკებით; ასევე, მათთან შესაერთებლად ემზადება დიდი ვერტმფრენ-მზიდები “ჰაროლდ ლოიდი” და “ჩარლი ჩაპლინი”, რომელთა ბორტზეც ბაზირებულია რამდენიმე ათეული მიიმე ვერტმფრენი, შეიარაღებული “ჰაერი-ჰაერისა” და “ჰაერი-მიწის” ტიპის საბრძოლო რაკეტებითა და მსხვილფაღობიანი ტყვიამფრქვევებით.

ამრიგად, პანდურეთის უშიშროებას საგარეო საფრთხე მოეხსნა, დროებით მაინც, და ბაქიბუქამაც შეგბით ამოისუნთქა: შეეძლო, ძველებურად გაეგრძელებინა ჩვეული ცხოვრება – ყოველდღიური გართობა და ტაშ-ფანდური...

რასაკვირველია, ფრიად საინტერესოა, როგორ განვითარდება მომავალში პანდურეთისა და ყინუღეთის ურთიერთობა, მაგრამ ამ მტკივნეული გლობალური პრობლემის გადაწყვეტას მე არაფერს მეკითხება და სჯობს, ჩემთვისაც და მკითხველისთვისაც, უფრო მცირე საკითხებზე თხრობით შემოვიფარგლო.

კარი XX.

ბაქიბუქამ გადაწყვიტა: საოცარ საზამთროს პირადად უნდა ესტუმროს!

ნათქვამია: თუ მთა არ მიდის მაჰმადთან, მაჰმადი მიდის მთასთან...

საოცარი საზამთროს მიტანა სულთნის სასახლის ბაღში ჯერჯერობით ვერ მოახერხეს, ჰო-და, ეჰ, რაღას იზამდა, თვით ძვირფასმა გვამმა, მისმა უმაღლესობამ, დიდმა სულთანმა პანდურეთისა ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენმა ცერცეტ-წერწეტამ, გადაწყვიტა, თვით პირადად ხლებოდა საოცარ საზამთროსა და ამ მიზნით დირიჟაბლით გამგზავრებულიყო სანდაოცეთში თავისი მრავალრიცხოვანი ამალით, სტუმრებით, გაძლიერებული დაცვითა და რამდენიმე კინო და ტელეგაღამდეები ჯგუფით. სხვათა შორის, ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენის ცერცეტ-წერწეტას ბრწყინვალე ამაღას განუმეორებელ პეწს მატებდნენ მომხიბლავი პურიები – უცხოეთიდან სულთნის თვითმფრინავით საგანგებოდ ჩამოყვანილი სამი ულამაზესი მომღერალი ასული, რომლებიც ჩვენს გმირთა გმირს უკვე ორი კვირაა სტუმრობდნენ და ფრიად ალამაზებდნენ მის ყოფას... ვინმე ხომ არ გამომჩნა? ჰო, ბაქიბუქას პირადი მზარეულები – ჩინელი, ფრანგი და მექსიკელი; ორი პირადი დეკუსტატორ-გამსინჯველი: ერთი – კერძებისა, მეორე – ღვინოებისა; პირადი ფსიქილოგი (პირადი ექიმ-თერაპევტი, პირადი სტომატოლოგი და პირადი ფარმაცევტი სულთანს დირიჟაბლში თან ახლდნენ), ორი პირადი მასაჟისტი (ფრიად მომხიბლავი ქალბატონები), პირადი მწურთნელი ცურვაში, პირადი მწურთნელი ძიუდოსა და კარატეში, პირადი მწურთნელი ფიზიკურ ვარჯიშში, პირადი მექისე, პირადი დალაქი, პირადი უღვაშების ოსტატი-სტილისტი, პირადი ვარცხნილობის ოსტატი-სტილისტი (ბაქიბუქას სულთანად აღზევებისთანავე სამივენი პარიზიდან იყვნენ ჩამოყვანილნი და მოგზაურობისას მას ყველგან თან დაჰყვებიან), პირადი სამოსის მომვლელ-მეთვალყურე, პირადი ფეხსამოსის მომვლელ-მეთვალყურე, პირადი ქულების მომვლელ-მეთვალყურე, ორი პირადი ფრჩხილების მომვლელი (ერთი – ხელების, მეორე – ფეხების), ორი პირადი პარიკების კოლექციის მომვლელ-მეთვალყურე (ბაქიბუქას ოთხსამდე ნაირგვარი მოწითალო ელფერის, სტაფილოსფერიდან ჟოლოსფრამდე, პარიკი ჰქონდა! – ერთი კაცი სათანადოდ ვერ მოუგლიდა),

ორი ლოგინ-თეთრეულის მომგლეღ-მეთვალყურე, პირადი ასტროლოგი ფუსფუსა, პირადი მაკია-
უის ხელოვანი, 16 პირადი მრჩეველი, ორი დაღმაცევი ჯიშის ძვირფასი ოთხფეხა მეგობარი ბა-
ქიბუქასი; ასევე, რა თქმა უნდა, ორი პირადი ძაღლთა მომგლეღი. მთელ ამ ამბავში მხოლოდ
ერთი რამ მიკვირს, ხომ იცი: ჩვენს ხონთქარს, ბოლიში, სულთანს, წითური ფერის ძაღლების
შოვნა გაუჭირდა?

ბარემ იმასაც მოგახსენებთ, რომ დირიჟაბლის დაცვას უზრუნველყოფდა ექვსი სამხედრო
ვერტმფრენი...

იქნებ არც ღირს ამის აღნიშვნა, რომ, გარდა ამისა, საჭაერო ქარავანში შედიოდა რამდენიმე
დიდი სამოქალაქო ვერტმფრენიც, რომლითაც სანდაოცეთში მიემგზავრებოდნენ სულთნის ამა-
ლის ის წევრები, რომლებიც დირიჟაბლში ვერ ჩაეტივნ, კერძოდ: ვაზირთ-ვაზირი დიახ-დიახ, სა-
ხალხო წარმომადგენელთა დარბაზის თავმჯდომარე ალიბაბა მარჯაკელი, უფროსი და უმცროსი
ბანანთ ვაზირები, დანარჩენი ვაზირები და სხვა წვრილფეხობა, მათ შორის – ძაღლთა მზარეუ-
ლი და ვეტერინარი.

ორივე მხარისთვის, – სულთნისა, ამალითურთ, და შორიახლოდან მოყვანილთათვის, – სა-
ნატრელ და სასიამოვნო შეხვედრას დიდი წინასწარი მუშაობა და შესაშური ძალისხმევა დას-
ჭირდა. საქმე იმაში გახლავთ, რომ დაჭერისა და პანჩურის გემრიელად ამორტყმის ვაზირს როზ-
გა-როზგას სურდა, ჩვეულებისამებრ, დიდი წითელი ავტობუსებით სანდაოცეთში ჩამოყვანა და-
ქირავებული ტაშის დამკვრელებისა და, ასევე, ერთ-ერთი პერიფერიული თეატრის მსახიობთა
დასტისა – მისი უმაღლესობის, სულთან ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენის ცერცერტ-წერწეტას “ადგი-
ლობრივ მოსახლეობასთან”, “გულითადი შეხვედრის” ტელემაყურებელთათვის საჩვენებლად; ისი-
ნი საკმაოდ დიდი თანხის გადახდის სანაცვლოდ დაითანხმეს წინასწარ დადგმულ წარმოდგენა-
ში მონაწილეობას, უფრო კი იმის დაპირებით, რომ დიდ საზამთროს უფასოდ ნახავთ, სხვა
დროს ამის შესაძლებლობა აღარ გექნებათო, ამასთანავე, არ არის გამორიცხული, რომ თვით
ლეგენდარული საზამთროს ჭამითაც გული იჯეროთო.

მაგრამ დახე მოულოდნელად გამომტყვრად უსიამოვნო შემთხვევითობასა (უფრო ზუსტი თუ
ვიქნები, უპირანია, უსიამოვნო გარდუვალობა ვუწოდო!) სანდაოცეთისკენ მიმავალი ერთადერთი,
მრავალი წლის განმავლობაში მოუგლეღობით გვარიანად გაოხრებული, გზა მანქანებმა და ავ-
ტობუსებმა ვერ დაძლიეს... წინა დამით მოულოდნელად მოვარდნილი შხაპუნა წვიმის გამო გზა
ისე გაფუჭდა, რომ სატრანსპორტო საშუალებები ლაფში გაიჭედა; მათი გათრევა ტრაქტორები-
თაც სინჯეს, მაგრამ საგალი ნაწილი იმდენად დაზიანებული იყო, ამოდ გაისარჯნენ...

ამ სიახლის ბაქიბუქასთვის მოხსენება ვერაფერს გაბედა: დიდი ხანი არ იყო გასული მას შემ-
დეგ, რაც “ერის მამამ და მხსნელმა” (ბრძენთა ბრძენს უყვარს, როცა ასეთი “ტიტულით” მოიხ-
სენიებენ!) ტელევიზიით საჯარო გამოსვლისას სახეიმოდ დაიტრაბახა, რომ პანდურეთში მისი
ზეობის ხანაში უკლებლივ ყველა სოფელი უკვე უზრუნველყოფილ იქნა არა მხოლოდ ელექ-
ტროენერჯისა და გაზის უწყვეტი მომარაგებით, არამედ, ასევე, წარმატებით და მთლიანად დას-
რულებულია პირადად მისი ინციატივით დაწყებული მთელი ქვეყნის მასშტაბით ინფრასტრუქტუ-
რის მოწყობის გრანდიოზული პროგრამა – უკლებლივ ყველა სოფლამდე მიყვანილია თანამედ-
როვე ტექნოლოგიური მიღწევების მიხედვით დაგებული უმაღლესი ხარისხის გზები, რომელთაც
რამდენიმე ათეულ წელს არ დასჭირდება შეკეთებაო...

ვაზირთ ვაზირი დიახ-დიახ იძულებული გახდა, მითითება მიეცა საშიშროების ვაზირ ყურდი-
დასა და საგანგებო სიტუაციების არეუ-დარევის ვაზირ ძრომილასთვის, რათა დახმარებოდნენ
გაჭირვებაში ჩავარდნილთ; მათაც არ დააყოვნეს (თუმცა გულში კი უხაროდათ ვაზირთ ვაზირის
ხელმოცარვა) და, ყველგანმავალი ავტომანქანებისა და სამხედრო ჯავშანტრანსპორტერების მო-
ბილიზაციით, სანდაოცეთს ჭაპანწყვეტით გადაიყვანეს გზაში გაჭედილი ავტობუსებიდან მმარ-
თველი პარტის დამშეული აქტივისტები და მსახიობები...

სანდაოცეთში კიდევ ერთი გაუთვალისწინებელი პრობლემა წარმოიშვა: ბაქიბუქამ გამოს-
ვლისას რამით ხომ უნდა დაიკვეხნოს? ჰოდა, სკოლის ახალი შენობა ან ახალი საავადმყოფო,
უკიდურეს შემთხვევაში, ამბულატორია მაინც გახსნას, მაგრამ ვაგლახ...

– რამდენიმე საათში მანდ ვიქნებით, ყველაფერი მზად არის? პანდურეთის ახალი ჰიმნი “დი-
დება დიდ საზამთროს” ადგილობრივი სკოლის მოსწავლეთა გუნდს უკვე შეასწავლეთ? –
ჰკითხა სულთანმა ტელეფონით უკანასკნელი საუბრისას საშიშროების ვაზირს ყურდიდას.

რაღა უნდა ექნა, ყურდიდა იძულებული გახდა, შეუღალაზებლად მოეხსენებინა ბაქიბუქას-
თვის არსებული მდგომარეობა:

– ჩვენო სულმნათო დიდო სულთანო, როგორც მომახსენეს, სანდაოცეთში ადგილობრივი
სკოლა ჯერ კიდევ ორი წლის წინ გააუქმეს...

– რატომ?.. ვინ რეგენმა გაბედა ასეთი სისულელის ჩადენა? – დაიგრგვინა ტელეფონში ბა-
ქიბუქას ხმამ.

– ბრძენთა უბრძენო, უმდაბლესად მოგახსენებთ: პანდურეთში, რამდენიმე წლის წინათ, გა-
ნათლებლის სისტემის რეორგანიზაციისა და ოპტიმიზაციის გეგმის შესახებ საკანონმდებლო დარ-
ბაზის მიერ მიღებულია კანონი, რომელიც თქვენი უმაღლესობის ხელმოწერით არის ძალაში შე-

სული. ამ კანონის შესაბამისად, მთელს ქვეყანაში უკვე ათასზე მეტი სკოლაა დახურული და ეს პროცესი დღესაც გრძელდება...

- ღავიჯერო, მაგ სოფელში ბავშვები აღარ არიან?

- დიდო მეუფე, ბავშვებიანი ოჯახების უმეტესობა სხვაგან გადავიდა საცხოვრებლად... სოფელი სანახევროდ დაიცალა...

- ისევე გეკითხები: მაგ სოფელში აღარ დარჩნენ სასკოლო ასაკის ბავშვები?

- თქვენო უბრწყინვალესობა, დიახ, როგორ არა, ალბათ ოცდაათამდე სასკოლო ასაკის ბავშვი კიდევ დარჩა, ისინი მეზობელი სოფლის სკოლაში დადიან – მხოლოდ მათი ნაწილი. როგორც აქაურებმა შემომჩივეს, უმრავლესობა სასკოლო ასაკის ბავშვებისა შინ ზის, რამდენიმე კილომეტრის სიშორეზე ყოველდღე ფეხით სიარული უჭირთ, განსაკუთრებით – ზამთარში.

- მაშინ რა პრობლემაა, სკოლა ახლავე აღადგინეთ!

- ჩვენო დიდო იმედო, დიდო სულთანო, ყოფილი სკოლის შენობა დანგრევის პირას არის მისული, რამდენიმე ათეული წელიწადია, არ შეუკეთებიათ... თქვენს ჩამობრძანებამდე კოსმეტიკური რემონტის ჩატარებასაც კი ვერ მოვასწრებთ, რომ ტელეგადაცემაში გამოჩნდეს...

ჰოდა, სულთანო რის ბრძენთა ბრძენი იქნებოდა, თუ მსგავს სიტუაციებში გამობრძმედილი არ იქნებოდა, არ დაიბნა და მაშინვე ახალი ბრძანება გასცა:

- თქვე ჩანჩურა ბედოვლათებო, დროზე მიხედეთ მაგ საქმეს, ახლავე სასწრაფოდ ახლო სოფელში მოძებნეთ და ტელევიზიით იმ სოფლის სკოლა ვაჩვენოთ! საჭირო რაოდენობის ბავშვები საიდანაც გინდათ, გააჩინეთ და წინასწარი რეპეტიციაც ჩაუტარეთ! მხიარულად უნდა იმდერონ და იცეკვონ, გადაცემას მთელი მსოფლიო ნახავს, სირცხვილი არ უნდა ვჭამოთ! ახალი ტანსაცმელიც იშოვოთ და ჩააცვიოთ!

- დიდო მეუფეო, რეპეტიციის ჩატარებასაც ვერ მოვასწრებთ...

- წინა გამოსვლის დროს რომ მოსწავლეები ამდერეთ, ისინი მოძებნეთ! როგორც გინდა, ისე ჩაიყვანეთ მაგ დაქცეულ სოფელში და ახალი ჰიმნის შესწავლაც მოასწრონ!

- დიდო ბრძენთა ბრძენო, ყოველმხრივ შევეცდებით, რათა გავამართლოთ თქვენი უმაღლე-სობის ნდობა...

- თქვე მაჩანჩალა მასხარებო, მეც იმედი მაქვს, თავს მოიკლავთ და ყველაფერს გააკეთებთ დიდ საზამთროსთან საზეიმო სხდომის წარმატებით ჩასატარებლად, თუ არა და, ჩემზე კარგად იცით, რაც მოგელით, განსაკუთრებით – შენ!.. არ გამაგიჟო ახლა და არ მითხრა, რომ ახალი საავადმყოფოს გახსნის ამბავი მაინც არ არის მოგვარებული!

ყურდიდას ერთი პირობა ენა ჩაუვარდა და ვერ ბედავდა, მოეხსენებინა სულთნისთვის, რომ სოფელში საავადმყოფო ან ამბულატორია კი არა, წამლად ერთი ექთანიც არ ჰყავთ, რომ გაჭირვებისას ავადმყოფისთვის აუცილებელი ნემსის გაკეთება იყოს შესაძლებელი; მერე კი, მეტი რა ჩარა იყო – იძულებული გახდა, ეს სამწუხარო გარემოებაც მოეხსენებინა მეუფისთვის.

- ბრიყვო ინდაურო, ჭკუა ჯერაც ვერ ისწავლეთ? ახლავე შეარჩიეთ შესაფერისი შენობა, იქ საჩქაროდ მიიტანეთ სამედიცინო ინვენტარი და განათავსეთ!

- თქვენო უბრწყინვალესობა, ადრე სანდაოცეთში რამდენიმე დიდი შენობა იყო, ახლა ყველა დანგრევის პირსაა მისული, მათში შესვლა საშიშია...

- აქამდე სად იყავი, ახლა მეუბნები მაგას, შე ყურებპანტურავ? ნუთუ სოფელში ერთი მოზრდილი შენობაც არ მოიძებნება? – გაუკვირდა სულთანს. – კულტურის სახლი ან კლუბი მაინც ხომ არის?

- დიდო სულთანო, ყოფილი კულტურის სახლის შენობა კი გახლავს, მაგრამ მოუვლელობით გაპარტახებულია, მისი ჭერი ჩაქცეულია და შიგ უკვე ხეებიც კი არის ამოსული... ერთადერთი ხეირიანი შენობა მთელს სოფელში მოურავის საცხოვრებელი სახლია, სოფლის გამგეობაც ჯერჯერობით იქ არის განთავსებული.

ბრძენთა ბრძენმა ბრძანება გასცა:

- ახლავე გავარდი და სანდაოცეთის მოურავის საცხოვრებელი სახლი დაცალეთ! იქ დროებით დადგით დედაქალაქის საავადმყოფოდან საჩქაროდ გადმოტანილი საწოლები და თანამედროვე აპარატურა!.. თქვე უხეირო უბედურებო, მსახიობებისთვის თეთრი ხალათების წამოღება არ დაგავიწყდეთ!

- მეუფეო, ადგილობრივებმა რომ სამედიცინო დახმარების გაწევა გეთხოვონ?

- საწოლებშიც მსახიობები ჩააწვინეთ!

* * *

დიახ, ამინდმა ბოლოს მაინც არ დააღალატიათ – იმ დღეს, დილის შხაპუნა წვიმის შემდეგ, შუადღისთვის, საამური დარი დადგა და, როგორც მოგახსენეთ, მაღალი სტუმრებისა და კინოექსპედიციის, ასევე, რამდენიმე კინო და ტელეგადაცემები ჯგუფის წევრთა დირიჟაბლითა და ვერტმფრენებით მოგზაურობაც კეთილად დასრულდა.

პანდურეთის მთავრობის საზეიმო გამსვლელი სხდომა სოფელ სანდაოცეთში გიგანტურ საზამთროსთან თვით სულთან ბაქიბუქა I-ის თავმჯდომარეობით, მოსალოდნელი იყო, დიდებულად

წარმართებოდა. მართლაც, დიდი სულთნის სტუმრობა დიდხანს დაამახსოვრდათ ადგილობრივებსაც და მოწვეულ თუ საკუთარი ნებით მობრძანებულ უამრავ სტუმარსაც. ამის დასტურად, თვითმხილველთა მონათხრობის გარდა, გამოდგება მომავალი თაობებისთვის დატოვებული უტყუარი დოკუმენტური მასალა: ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენების პარალელურად ხდებოდა მათი უწყვეტი კინოგადაღება და ტელეგადაცემაც მიმდინარეობდა – ათზე მეტი კამერა იყო ჩართული ერთდროულად.

დიახ, სულთნის სანახაგად უამრავი ხალხი შეიკრიბა! ისინი ექსტრაგაგანტური საჯარო გამოხვედებითა და ქცევით სახელგანთქმულ ბაქიბუქასგან ამჯერადაც საოცარ სანახაობას ელოდნენ და, მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნამდვილად არავის გაუცრუა იმედი! მე ხომ, მისი გმირული ამბების აღმწერი, მთლად ამაშენა: ისეთი უმაღლესი დონის ნამდვილი საცირკო წარმოდგენა მოაწყო, რომ ვერაფრით წარმოვიდგენდი! მრავალრიცხოვან მაყურებელთა და მსმენელთა დარად, მეც აღფრთოვანებული დავრჩი და მიღებული სიამოვნებისთვის ბაქიბუქას ახლა მაინც – დიდი დაგვიანებით! – უღრმეს მადლობას მოვასხენებ!

მკითხველმაც რომ გაიზიაროს ჩემი კმაყოფილება, ალბათ აჯობებს, თანმიმდევრობით მივყვე სანდაოცეთში ბაქიბუქას გმირული მოღვაწეობის დაწვრილებით ასახვას.

ღირიჟაბლის ტრაპთან მის უმაღლესობა პანდურეთის სულთან ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენ ცერცეტ-წერწეტას შეხვდა მხარისა და სანდაოცეთის რჩეული საზოგადოება; მისი უმაღლესობის გამოჩენას ბაქიბუქასა და საოცარი საზამთროს გამოსახულებიანი დიდი ტრანსპარანტებით, ხანგრძლივი ტაშითა და ხმამაღალი შეძახილებით შეხვდნენ: “ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..”.

ო, მჭედელ პატულანას პირმშვენიერი ქალიშვილი პოპოქიაც ამავე გულმხურვალედ გაიძახოდა! მკითხველი ალბათ მისაყვედურებს: “რას გადაეკიდე ამ ბაქიბუქას, ასეთი ტურფა არსება ხომ არ დაგავიწყდა?”. არა, რას ბრძანებთ, პირმშვენიერი პოპოქიას დავიწყება ნამდვილად შეუძლებელია! და სწორედ ახლა, ამ საზეიმო წუთებში, როცა სანდაოცელნი ასეთი აღფრთოვანებით ეგებებიან სანატრელ სტუმარს, სწორედ ის გამოდის ავანსცენაზე: გამორჩეულად კოხტა ასულს ერგო გამორჩეული პატივიც – არა მხოლოდ სხვებთან ერთად ეღრიალა “ბა-ქი, ბა-ქი!” და მისასალმებლად ნატიფი ხელიც აქეთ-იქით გამეტებით ექნია, არამედ სანდაოცეთის მიწაზე ადგილობრივი მოსახლეობის სახელით პირველი მისალმებოდა გულმხურვალედ ძვირფას სტუმარს!

ადრე დამავიწყდა აღნიშვნა და დაგვიანებით უნდა მკითხველს ისიც მოვასხენო, რომ წინდაწინ სასწრაფოდ ჩატარდა შესარჩევი კონკურსი – ალბათ ურიგო არ იქნებოდა, ამგვარი თვალმანარა სახილველისთვის ცალკე კარიც კი დამეთმო! – და, ფრიად მკაცრი შერჩევის შედეგად, სწორედ ტურფა პოპოქია გამოარჩიეს და ერთხმად ამოარჩიეს კიდევც, ის აღიარეს ყველაზე მეტად ღირსად ამ საპატო როლის შესასრულებლად – არა მხოლოდ სანდაოცეთისა და მხარის, არამედ მთელი პანდურეთის ღამაზ გოგოებში!

და არც შემცდარან!

სწორედ საგანგებოდ პარიზიდან ჩამოტანილ თეთრ ძვირფას კაბაში გამოწყობილი თვალისმომჭრელი პოპოქია შეხვდა ღირიჟაბლის ტრაპთან ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენ ცერცეტ-წერწეტას და, სოფელ სანდაოცეთისა და შეკრებილი სტუმრების, ასევე, მხარეში სულთნის რწმუნებულის სახელით მისალმების შემდეგ, მიეახლა და გულითადი დახვედრის ნიშნად, მიართვა სინით პური და მარილი; შემდეგ მიმართა სამადლობელი სიტყვით, რომელშიც აღნიშნა ბაქიბუქას უდიდესი დამსახურება სანდაოცეთისა და მთლიანად პანდურეთის ყოველმხრივ აყვავებაში და, კერძოდ, საოცარი საზამთროს ასეთი წარმატებით გაზრდაში!

სულთანს მოხიბლული დარჩა ნორჩი ქალწულის მშვენებით, მადლობა მოასხენა გულთბილი სიტყვებისთვის, მკერდში ჩაიხუტა, ერთი პირობა – საოცრულადაც გაიწია, მაგრამ დროულად შეიკავა თავი...

კარი XXI.

მთავრობის გამსვლელი სხდომა ველარ ჩატარდა...

სამაგიეროდ, მისი უდიდებულესობის დიდებულნი გამოსვლით გავიხარეთ!

ჩამოსულებმა გადაინაცვლეს სოფელ სანდაოცეთში, სადაც ჩატარდა კიდევ ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენ ცერცეტ-წერწეტას გულითადი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან – დღესასწაული დაიწყო! ამ დიდებულნი მოვლენის მოწმე, ტელევიზიით პირდაპირი ტრანსლაციის მეშვეობით, გახდა მთელი პანდურეთი, ასევე, სატელიტური კავშირგაბმულობის თანამგზავრის მეშვეობით, ბაქიბუქას ხილვით დიდად გაიხარეს პანდურეთიდან შიმშილსა და უიმედობას გარიდებულმა, საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად წასულებმაც – ასეთი კი გახლდათ ქვეყნის აღრინდელი მოსახლეობის მესამედი.

სანდაოცეთში, ამ მშვენიერ საღამოს, დიდ საზამთროსთან საზეიმო ღონისძიებისთვის საგანგებოდ გამართულ ფიცარანაგზე გამობრწყინდა სულთანის ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეტ-

წერწება, – პანდურეთის ჩახჩახა მზეცა და, იმავდროულად, სავსე მთვარეც, – საგანგებოდ ღუღღუღა წითლად შეღებილი მუხის ხის გადასატანი ტრიბუნის წინ, რომელსაც, სხვათა შორის, მისი დაღმბინელი ძაღლებისა და ტურფა ქალებისა არ იყოს, ყველა მოგზაურობისას სულ თან დაატარებს. მეუფის წითური პარიკისა და თმა-წვერის გამორჩენას დამსწრე საზოგადოება, როგორც ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მოსული, ისე პანდურეთის სხვადასხვა მხარიდან დიდ-დიდი წითელი ავტობუსებით საგანგებოდ მორეკილიც, – გამაყრუებელი ყიჟინით, ტაშითა და ომახიანი შეძახილებით შეხვდა.

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი-ბა-ქი!..

ხალხისა და კორესპონდენტთა უამრავი მიკროფონისა და ტელეობიექტივის წინაშე მიკროფონთან დგას ჩვენი ბაქიბუქა, ირგვლივ მიმოატარა არწივის მზერა და ხმამაღლა იკითხა:

– ის გოგო სად არის, ჩამოსვლისას დირიჟაბლის ტრაპთან რომ პურ-მარილით დაგვეხვდა?

ერთი წუთით ნაზირ-ვეზირებში დაბნეულობამ დაისადგურა, მერე საშიშროების ვაზირი ყურდიდა ცქვიტად გამოეხმაურა მეუფეს:

– ერთ წამს მადროფეთ, თქვენო უმაღლესობა!

გაძვრა-გამოძვრა, ხელქვეითებს ბოღმაგარეული, მოგუდული ხმით უბრძანა-დაუცაცხანა და სულ მოკლე ხანში უკვე აღიოდა ფიცარნაგზე – დარცხვენილ და, იმავე დროს, სიხარულით სახეგაბადრულ პოპოქიასთან ერთად!

მათ შეგება ბაქიბუქა, ქალიშვილს ხელი გაუწოდა, ყურდიდას კი მეორე ხელი აუქნია – მომწყდი თავიდანო, შემდგომ ასულს წელზე ხელი მოხვია და ყურში ნაზად უჩურჩულა:

– შენისთანა გასაყვეყნებელი ქალიშვილი ჩემს ცხოვრებაში პირველად ვიხილე! ჩემო ლამაზო, მზად ვარ, შენი ნებისმიერი სურვილი შევასრულო! – ბაქიბუქას გამოცდილმა თვალმა შეამჩნია, პოპოქია სიამოვნებისგან როგორ კინაღამ დადნა და ჩურჩული განაგრძო: – თუ გინდა, ამ საზამთროს შუაზე გადავაჭრევენებ და გულთავის შეჭმის შემდეგ, იქ საცურაო აუზს მოვაწყობინებ – იქ მხოლოდ მე და შენ ვიცურავებთ!

პოპოქია გაგიჟებულია სიხარულით: კიდევ ერთი, ამჯერად უშუალოდ პატივი ერგო – მისი უმაღლესობის უზენაესი ყურადღება მიიპყრო – და თან რა შესანიშნავი შემოთავაზებაც დაიმსახურა!

– უღრმესი მადლობა, დიდო სულთანო, თქვენ ნამდვილი ჯადოქარი ბრძანდებით, ოცნებაშიც კი ფიქრად ვერ გავივლებდი თქვენგან ამგვარ წყალობას!.. – თვალეგაბრწყინებული პოპოქია მოწიწებით წელში მოიხარა და თვალეები დახარა, შემდეგ გაიმართა და ნაზი ხმით გაბედა: – თქვენო უბრწყინვალესობავ, კინო-ტელევიზიიდან თუ იქნებიან? ჩემი სანუკვარი ოცნებაა, კინო-გარსკელავი გაგხდე!

– კი, ბატონო, შენს მოკრძალებულ სურვილს წინ ვერაფერი დაუდგება, ჩემო ლამაზო, ამას მე გაბრძნობ! ყოველმხრივ მხარში დაგიდგები, დღესასწაულის ჩათავების შემდგომ კი ჩემი სურვილია, ჩემს სასახლეში დაგპატიჟო, ხომ ხარ თანახმა?

– გადასარეგია, თავი სიზმარში მგონია!

– იქ შენს საპატივცემულოდ მშვენიერ ლხინს გაგმართავ, შემდგომ კი ყველა მოვიცილოთ თავიდან და აუზში მხოლოდ მე და შენ გემოზე ვიცვლქოთ!

– რა კარგია! – სიხარულით თავბრუსხვეული პოპოქია ლამის წაიქცეს. – ცურვა რომ არ ვიცი?

– ეგ არაფერი, ჩემო მშვენიერო, ისეთი ნიჭიერი ჩანხარ, ჩემი ხელმძღვანელობით სწრაფად ისწავლი, მერე კი... კინომსახიობობა შენისთანა მომხიბვლელი და ჭკვიანი გოგოსთვის რა საკადრისი საქმეა, უკეთესი ბედ-იღბლისთვის ხარ ნამდვილად დაბადებული – შენში ჯერაც გაუფურჩქნელ ჭეშმარიტად დიდ შესაძლებლობებს ცხადად ვხედავ და...

– თქვენი უბრწყინვალესობის კარზე ერთ-ერთ ფრეილინად თუ მიმიღებთ, ჩემზე ბედნიერი ამქვეყნად არავინ იქნება!

– ფრეილინობა რა ჩემი ფეხებია, ჩემი უზენაესი ნებით, ვაზირად დაგნიშნავ!

– მართლა? თავი სიზმარში მგონია, ამაზე ვერც ვიოცნებებდი! რის ვაზირად?

– ამოირჩიე, რომელი სახელოც გაგიხარდება – შენია! დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ დარგს დიდი წარმატებით გაუძღვები!

– მართლა? რა კარგია! – წამოიძახა პოპოქიამ. – ძილის წინ თქვენი უდიდებულესობის ფენისგულები ფხანის ვაზირად ყოფნას ვისურვებდი!

– შენი ხმალი და ჩემი კისერი, ჩემო ლამაზო! თუმცა, იქამდე რა გამაძლებინებს, დღესვე მოვახერხებ შენთან შეხვედრას... ერთი სული მაქვს, როდის დადამდება და მარტონი დავრჩებით, სიყვარულის შესახებ ლამაზ ზღაპრებსაც ხომ მიაშობ?

– შევეცდები, ჩემო მეუფე!

როგორ შეიძლება ერთხელ კიდევ იმის არ აღნიშვნა, რომ სულთანმა სანდაოცეთში თან ჩამოიყვანა სამი მზეთუნახავი პური, ტპილხმიანი მომღერლები, რომლებიც თეთრყირმიზნი და ღია ქერათმიანები იყვნენ, მაგრამ რატომღაც აღმოსავლური ეგზოტიკური სახელები ერქვათ: ზაირა, ზეინაბ და ზულეიკა! პოპოქიასთან, მათი აზრით, მეტისმეტად ხანგრძლივი საუბრის დროს ისინი ფიცარნაგზე სულთნის ზურგს უკან იდგნენ, თან საკმაოდ ახლოს და ბაქიბუქასა და პო-

პოქიას შორის საეჭვო ჩურჩული არ გამოჩენია მათ დაცქვეტილ ყურებს... ისინი ვითომ უღარ-ღელად იღიმებოდნენ და ჩვეულ ბრეკია პოზებს იღებდნენ ბუზივით მისეული უთვალავი ფოტო, კინო და ტელეკორესპონდენტებისა და უცხო სანახაობის სანახავად შეკრებილი, აუიფივიგებული ბრბოს დასანახად, მაგრამ ეჭვიანობის ჭიამ იმდენად ღრმად შეაღწია მათ გულეში, რომ უცებ გადაიქცნენ მძვინვარე ძუ ვეფხვებად და... სულთნის გულის მოსანადირებლად, ურთიერთქიში დაივიწყეს და მივარდნენ პოპოქიას – გაერთიანებული ძალებით გაწეწვას უქადიან, მაგრამ სოფელელ ჯანსად გოგოს, ბაღსა და ბოსტანში ბართა თუ თოხით გვარიანად ნავარჯიშევს, – შიგადაშიგ მჭედელ მამასაც ეხმარებოდა ლაყუჩას გაშეგირდებად! – რას დააკლებდნენ!

სიცილით მოკვდები, ისეთი კომედიური სცენა თამაშდება!

ბაქიბუქა არაფერს იმჩნევს, ვითომ ისიც გარეშე მაყურებელია, გულში კი ფრიად კმაყოფილია: არ მოელოდა, ისე გემრიელად გაერთო – გემით გაუთვალისწინებელი სახალისო წარმოდგენა იხილა!

თვალწარმტაცნი დიაცნი ჩხუბში მეტისმეტად გაცხარდნენ! და ბრძენთა ბრძენის ცალი წარბის აწევა საკმარისი იყო, რომ საშიშროების ვაზირის გაწვრთნილი სპეცრაზმელები – ნამდვილი ლომები! – ჩაერივნენ ტურფა ქალბატონთა მხრივ ერთმანეთის თმების წეწვის, სახის დაფხოჭვის და მუშტებით ფერდების დახელის პროცესის შესაჩერებლად... მაგრამ ცხადლივ დარწმუნდნენ, რომ თურმე მთავრობისა და სულთნის მოწინააღმდეგეთა გამძვინვარებული უზარმაზარი ბრბოს გაფანტვა ბევრად უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე პოპოქიასა და სამი ლამაზმანის ურთიერთ ბრძოლის შეწყვეტა!

როცა შავფორმიანი ჯანიანი ჯეელების მკლავების მარწუხებში მომწყვდეული, გააფთრებული ორთაბრძოლით ოფლად გახვითქული, აცრემლებული ქალბატონები, საშინელი წივილ-კივილითა და მშვენიერი ფეხების ჰაერში სხმარტალით, როგორც იქნა, იქაურობას მოაშორეს – ფიცარნაგი ბრძოლის მონაწილეთაგან გაანთავისუფლეს, – წარმოდგენის მეორე განყოფილება დაიწყო – ჩვენი სულთანი მიკროფონთან მივიდა, გულდას პირი მოხსნა და ჩვეულად ბაქიბუქობს:

– ჩემო საყვარელო პანდურელნო! მოხარული ვარ, რომ ვეწვიე თქვენს მშვენიერ სოფელს და გულითადი შეხვედრები მექნება მსოფლიოში ყველაზე ლამაზ, ყველაზე მამაც, ყველაზე ჭკვიან, ყველაზე განათლებულ, ყველაზე შრომისმოყვარე ადამიანებთან! უნდა გითხრათ, რომ პანდურეთის ეს მხარე განსაკუთრებულია, ყოველმხრივ გამორჩეულია და მისი ჭეშმარიტი ნატვრისთვის კი გახლავთ სოფელი სანდაოცეთი! დიახ, გულახდილად გეტყვით: რაც კი აქამდე სოფელი მინახავს, ეს ჭეშმარიტად ყველაზე საინტერესო და განუმეორებელი ადგილია და აქ მართლაც დიდებული ხალხი ცხოვრობს! მართალია, ჯერჯერობით უკიდურესი გაჭირვება გაწუხებთ, ბევრი სხვა პრობლემაც გადასაწყვეტია, მაგრამ მე გპირდებით: სულ მალე სანდაოცეთი ყველაზე მაგარი სოფელი გახდება მთელს პანდურეთში! მთელ ამ რეგიონში! მთელ მსოფლიოში!.. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია სტრატეგიული მნიშვნელობის სასარგებლო წიაღისეული, ჩვენ არ გვაქვს ნავთობი და გაზი, მაგრამ შემოდგომა, ამაყად განგაცხადო: სამაგიეროდ, ჩვენ გაგაჩნია ყველაზე დიდი სიმდიდრე ამქვეყნად – ჩვენ გვყავს გმირი სანდაოცელნი და ახლა კი კიდევ უფრო გაემდიდრდით და გაემდიდრდით – უხემა ბუნებამ კალთა დაგვაბურტყა და გვაქვს დიდი საზამთრო! დიახ, ამაყად შემოდგომა, განგაცხადო: სრულიად პანდურეთის დიდი სიმდიდრეა აქაური ხალხი და დიდი საზამთრო!..

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..

– ჩემო საყვარელო სანდაოცელნო! უნდა გაგახაროთ, ამ სახეიმო დღეს გპირდებით: ახლა ვიწყებთ გმირულ სოფელ სანდაოცეთის არნახული აღმშენებლობის ხანას – აქ უამრავი გრანდიოზული პროექტი განხორციელდება და, დარწმუნებული ვარ, თქვენი და ჩვენი ყველაზე თამამი ოცნებები სრულად აღსრულდება აქ, თქვენთან, სანდაოცეთში! ჩვენს გასახარად და ჩვენი მტრების ჯინაზე, მათი გულის გასახეთქად!.. სულ მალე აქ დაიწყება არნახული ტურისტული ბუმი! ამას მოჰყვება არა მხოლოდ სანდაოცეთის, არამედ მთლიანად ამ მხარის ეკონომიკური აღმავლობა, რომელიც საერთოდ ქვეყნის წინსვლაზეც აისახება; გაჩნდება უამრავი ახალი სამუშაო ადგილი, გაჩნდება დოვლათი – დადგება ნანატრი ოქროს ხანა!

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!.. – პასუხად ისევ გუგუნებს ხროვა.

ბრბოში ხვლიკებით დაძვრებიან-დაძრწიან პიჯაკ-ჩაჰალსტუხებული ცქვიტი ახალგაზრდები; ისინი გამჭოლი მზერით ბურღავენ და იდეოლოგიური “რენტგენული სხივებით” აშუქებენ შეკრებილთ, რათა გამოავლინონ საეჭვო სულიერი განწყობის პიროვნებები, რომელთა სახეების გამომეტყველებაც არასაკმარისად ლოიალური მოეჩვენებათ და რომლებიც, მათი ეჭვით, ნაკლებ გამოხატავენ საყვარელ სულთანთან შეხვედრით გამოწვეულ აღტაცებას – ტაშსაც არ უკრავენ მთელი მონდომებით, აშკარად ზოგავენ ძალებს... ამ მხვერავთა ფარული მითითებით, ეჭვმიტანილთ მაშინვე ეცემიან სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ახმახი, სქელკისერა ჯეელები, გაგარჯიშებული ილეთით მსწრაფლ გადაუბრუნენ ხელებს და ჯიკაგ-ჯიკავით სწრაფად გააცუნცუნდებენ გაურკვეველი მიმართულებით...

საგანგებოდ მორეკიდ “თაყვანისმცემელთა” ღრიალის ოდნავ დაცხრომის შემდეგ, ბაქიბუქამ უკვე ყველა აფრა აუშვა და ძალუმაღ მიაჭენებს:

– ნახეთ ერთი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები რა დღეში არიან – მატულობს ინფლაცია, გიგანტური საბიუჯეტო დეფიციტი ახრჩობთ, უზარამაზარი საგარეო ვალები გაკოტრებით ემუქრებით... საყოველთაო გაფიცვები, პოლიტიკური დემონსტრაციები, ქუჩური ცემა-ტყეპა და ვანდალიზმი, ძარცვა-გლეჯა, ძალადობა... ჩვენთან კი არანახული აღმავლობაა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რგოლში! ეს ფაქტია და ჩვენი დაუძინებელი მტრებიც კი იძულებულნი არიან, ეს აღიარონ! ძალიან მახარებს, რომ შორეული სახელმწიფოებიდანაც კი პანდურეთში უწყვეტ ნაკადად ჩამოდიან სხვადასხვა უწყებათა დელეგაციები, რათა თვალნათლივ დარწმუნდნენ ჩვენს უჩვეულო წარმატებებში და გაიზიარონ ჩვენი გამოცდილება მრავალი მიმართულებით, იქნება ეს სახელმწიფო მართვის დარგი, განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა და მრავალი სხვა. ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებზე აღარას ვამბობ, ჩვენ, დემოკრატიის კაშკაშა შუქურას, მთელი მსოფლიო შურით შემოგვეყურებს, – კეთილდღეობისა და მშვიდობის ოახის საყოველთაო დესტაბილიზაციისა და კრიზისის მშფოთვარე ოკეანეში! და, აი, თქვენ თვითონ ხედავთ ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებით კიდევ ერთ თვალსაჩინო დადასტურებას, ჩვენი ქვეყნის წარმატებების უტყუარ ნიმუშს, უმაგალითო წინსვლის სიმბოლურ გამოხატულებას – გიგანტურ საზამთროს!

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..

მქუსხარე, სანგრძლივი ტაში ოვაციაში გადაიზარდა, სულთანმა სული მოითქვა და შემდეგ ჩვეული შემართებით გააგრძელა:

– ახლა დამებადა დიდებული ახრი: – გამოაცხადდეს დიდი საზამთრო ეროვნული დიდების ძეგლად! მისი სამარადჟამოდ უკვდავყოფის მიზნით, ჩემი ბრძანების თანახმად, პანდურეთის ქალაქ-სოფლებში ყველგან დიდი საზამთროს ფორმის შუშის დიდ-პატარა შენობები ავაგოთ, დედაქალაქში კი – სულთნის ახალი სასახლე – ისიც გამჭვირვალე შუშისა! დიახ, იგი გახდება სიმბოლო ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და წარმატებისა!

ისევ გაისმის ბრბოს მქუსხარე ოვაცია და აღტაცებული შეძახილები, სულთანი კი კვლავ ჩვეული აღმაფრენით განაგრძობს:

– არა, შუშა რას მიქვია, ჩემი დიდსაზამთროს ფორმის სასახლე ბროლის იქნება! როგორც ჩვენს ბავშვობის საოცნებო ზღაპრებშია!

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..

– არა, ლალისფერი ბროლის აჯობებს, ნამდვილად! – აღვზნებუღია ბაქიბუქა, – ხომ ათჯერ უკეთესი სანახავი იქნება?! ჩვენ ხომ მზერას გაგვიხალისებს, სამარადჟამოდ მომავალ თაობებსაც გაახარებს!.. ადრე თუ გვიან ჩვენ წაგაღო, მშობლიურ მიწას მივებარებით, ჩვენი ეპოქის ეს დიდებული, ხელთუქმნელი ძეგლი კი დარჩება და საუკუნეების შემდეგაც ისევ ისე იბრწყინებს და აღაფრთოვანებს მის მხილველს!.. ხომ ყველანი მეთანხმებით?

– დიახ, დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, დიდებული იქნება, ბრწყინვალე სასახლე ყველას თვალს მოსჭრის, მტერსაცა და მოყვარესაც ერთნაირად განაცვიფრებს და დაატკობს!.. – დასტური მისცა ბაქიბუქას გამოსვლაში მოულოდნელად უშნოდ ჩაჩხერილმა დიახ-დიახმა; ეტყობა, ძვალ-რბილში გამჯდარმა ჩვევამ, სულთნისთვის ხშირ-ხშირად ეგორებინა მამებლობის კოჭი, ამჯერადაც აცდუნა, ოღონდ ბოლოში უნებურად გამოფრენილმა კითხვამ კინაღამ წყალში ჩაუყარა წინა ნათქვამი: – ერთი პატარა პრობლემა იქნება მოსაგვარებელი: მასეთი ბროლი სად უნდა ვიშოვოთ?

– სად და, უმეცარო ბრიყვო, ჩვენი ბედნიერი და აყვავებული პანდურეთის მეცნიერებათა აკადემია რას მიკეთებს? დარწმუნებული ვარ, ჩვენს მსოფლიოში ყველაზე მაგარ მეცნიერებს ეგ არ გაუჭირდებათ! ჩვენი მხრივ კი ყოველმხრივ დავეხმარებით; მსოფლიოში ყველაზე მაგარი ბროლის სასახლის მშენებლობა ჩვენ ქვეყნის პრესტიჟის საქმეა და ასეთი საშვილიშვილო საქმისთვის არაფერი უნდა დავიშუროთ!

ვაზირთ ვაზირი დიახ-დიახ თავს ვერ იკავებს – ნეტავ რა თავმოყვარეობის ბუზანკალი შეუჯდა? – და, მისდა უნებურად, საკმაოდ ხმამაღლა ისევ წამოიძახებს:

– შერეკილია ეს შობელქაღლი, მთლად გააფრინა! – მერე, შეშინებული, ხომ არავინ გაიგონა ჩემი ნათქვამიო, დაბალ ხმაზე ამბტებს: – თუთიყუში ხომ არ არის, ყველაფერზე რომ გაუთავებლად იმეორებს: “ყველაზე, ყველაზე, ყველაზე!”... იმ ყველაზე დიდ და მშვენიერ სასახლეში ცეცხლისფერი იქნება ყველაფერი – მტრისას! ყველაფერს რომ წითელი ფერი იქნება ირგვლიც, არ გაგიჟდები? ან საჭმელსაც რომ წითელი ფერი ექნება, რა გემო უნდა ჩაატანო? ეს ხალხი რაღამ გადარია, ყველა რომ აიყოლია და ტაშს უკრავს...

მის ზურგს უკან ვიღაცამ დაამატა, ეტყობა, დიახ-დიახის სიტყვებს ყური მოჰკრა:

– აბა, რა იქნება, დღედაღამ ყურები აქვთ გამოჭედილი ტყუილებით... უფრო ის არის გასაკვირველი, რომ მთელი მთავრობა და დეპუტატებიც ჩვენს ახირებულ ბრძენთა ბრძენს ყველა მამალ სისულელეზე ერთხმად კოჭს უგორებენ: “არიქა, ნიშანი მოგცევს – ყველამ ერთსულოვნად ტაში დავაგუგუნოთ!”.

კაი ბიჭი იყავი და საგანგებო მანიპულატორების მიერ ნიშნის მიცემისთანავე ტაშისცემას არ ასტყენდი, – ხომ მოხვდებოდი იმ განკიცხულთა სიაში, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას ჯეროვნად არ ასრულებენ! საყვედურისა და ლანძღვის გარდა, დაპირებულ ფულად ანაზღაურე-

ბას ხომ ვერ მიიღებდი, ეგეც არაფერი – დამატებით, სულ ცოტა, შენი ოჯახის წევრებს სამსახურიდან დაითხოვდნენ...

არ ვიცი, ღონისძიების დამგეგმავთა მიერ ამჯერად რამდენჯერ იყო გათვალისწინებული სულთნისთვის ოვაციით სიტყვის შეწყვეტა, – ტელეწამყვანები ითვლიდნენ, რათა შემდეგ ამაყად განეცხადებინათ: “ჩვენს საყვარელ ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენს აღტაცებულმა მოსახლეობამ 47-ჯერ შეაწყვიტინა სიტყვა მქუხარე აპლოდისმენტებით!” – წესისამებრ, სიყვარულისა და ერთსულოვნების გამომხატავი ასეთი აქციის რაოდენობა ოცდაათიდან ორმოცდაათამდე მერყეობდა, ჯერჯერობით კი ბაქიბუქა, ჩვეულებისამებრ, ქარის წისკვილივით იქნეოდა ხელებს და დობლებს ჰყრიდა:

– ცხოვრების ყველა სფეროში წარმატებული რეფორმების სიკეთემ, ყველა დარგში მიღწეულმა სასიკეთო ცვლილებებმა ყოველი ოჯახის, თითოეული ადამიანის კეთილდღეობის ამადღებაზე იქონია გავლენა! მე კვლავაც არ დავიღვებ ხალხზე ზრუნვით, ჩვენ ყველამ ერთად უნდა განვაგრძოთ წინსვლა ყველა მიმართულებით! ერთხელ კიდევ გავაცნობიეროთ, რომ ეს დღე განსაკუთრებულია ჩვენი ქვეყნისთვის, გამორჩეული მოვლენის მომსწრენი და მოწმეები ვართ – დიდი საზამთროს გამოჩენა დიდ სიმბოლურ დატვირთვას იძენს! იცით, რატომ?! უკვე 10 წელი სრულდება, რაც ჩვენი ბრძენი მოსახლეობის ნებით, სულთნის ტახტი მიჭირავს და ამ საიუბილეო თარიღს ჩემს საყვარელ ხალხთან ერთად ხომ ღირსეულად სჭირდება აღნიშვნა? თქვენი მხრივ ჩემი გულმხურვალე მიღება ამის დასტურია და დაე, აღსრულდეს ნება თქვენი – ჩემი დაბადების დღე ამიერიდან გამოცხადდება ეროვნულ დღესასწაულად! როგორც დიდ ბრიტანეთში, აბა! ახლა იმაზეც ვფიქრობ: იქნებ ჯობს, პანდურეთის მთავარ ეროვნულ დღესასწაულად ჩემი სულთანად დაჯდომის დღე ავირჩიო...

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..

– ასე იქნება თუ ისე, მთავარი ეროვნული დღესასწაულის თარიღი ჩემ საყვარელ პანდურელთა სურვილის გათვალისწინებით დადგინდება, ერთი რამ კი უკვე გადაწყვიტე: მსოფლიოს 192 ქვეყნის მეთაურებს დაეგზავნებათ მოწვევა, ჩამობრძანდნენ ჩვენს ბედნიერ ქვეყანაში და ჩვენთან ერთად გაიზიარონ ჩვენი საერთო სიხარული! კიდევ ერთი დიდებული დღესასწაული შეემატება პანდურეთს და ყველა ღონეს ვიხმართ, რომ იგი უმაღლეს დონეზე ჩატარდეს! ეჭვი არავის ეპარება, რომ საკადრისად დაგვხვდებით სტუმრებს და ერთხელ კიდევ ვასახელებთ ჩვენს სამშობლოს სტუმართმოყვარეობით! რით ვართ ჩვენ სხვაზე ნაკლები? ჩვენ სანიმუშო წესრიგი და სიმშვიდე დავამყარეთ პანდურეთში და – საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა გამოკვლევის დასკვნით – მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო, თითოთ საჩვენებელი ქვეყანა გავხდით!.. ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ვიამაყოთ, რომ ჩვენთან აღკვეთილია ძალმომრეობა, ძარცვა-ყაჩაღობა წარსულს ჩაბარდა და ვერ დამისახელებთ სხვა ქვეყანას, სადაც უბრალო ქურდობაც კი არ ხდება! შეიძლება, ზოგიერთი სახელმწიფო მხოლოდ ერთი რამით გვჯობდეს – სიდიდით, მაგრამ ვერც ერთი ჩვენზე ბევრად დიდი ქვეყანაც კი ვერ გაგვიტოლდება იდეურად! გვიხარია, რომ ჩვენს ქვეყანას თანამედროვე მსოფლიოში აკისრია გამორჩეული, განსაკუთრებული მისია და სულ მაწვალდება ფიქრი: “როგორი სასახლე ეკადრებოდა თქვენს საყვარელ სულთანს?”... და, ბოლოს, ღმერთმა ინება, საიუბილეოდ გამოგზავნა ჩემს სამფლობელოში ეს საოცარი საჩუქარი, დიდი საზამთრო, რომლის წინაშეც გვაქვს ბედნიერება, ახლა ჩვენ ყველანი ვიდგეთ, და მაშინვე გამიჩნდა ბრწინვალე იდეაც – ახალი სასახლე უნდა იყოს ამ დიდებული დიდსაზამთროს ფორმისა!.. ბროლის ახალი სასახლის აშენება საერთო-სახალხო საქმეა და ყოველი პანდურელის მამულიშვილური მოვალეობაა, საკუთარი წვლილი შეიტანოს შემოწირულობის სახით და ამ საყოველთაო მისწრაფების დასაკმაყოფილებლად და განსახორციელებლად ჩემი ბრძანებით ვაარსებ საგანგებო ფონდს ამ გრანდიოზული მშენებლობის დასაფინანსებლად! მას ეწოდება “ბროლის დიდი სასახლის მშენებლობის სახალხო ფონდი”!..

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..

– როცა ბროლის დიდებული სასახლის მშენებლობა დასრულდება, მოეწყობა დიდი დღესასწაული! მოვიწვევ სახელგანთქმულ ფეხბურთელებს მთელი მსოფლიოდან, მათ შორის იქნებიან: ლიონელ მესი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი, ფრანკ რიბერი, ქარიმ ბენზემა, დიდი დროვანოვი, კრიშტიანუ რონალდუ, ფერნანდო ტორესი, ჩავი ერნანდესი, კარლოს ტევესი, მარიო გომესი, კლარენს ზეედორფი, ჯონ ტერი, კაკა, კარლეს პუიოლი, დანი ალვიში, ანდრეს ინიესტა, ბრანისლავ ივანოვიჩი, ჯენარო გატუზო, ხერარდ პიკე, აშლი კოული, ფრანკ ლამპარდი, ხავიერ ძანეტი, პეტრ ჩეხი, იკერ კასილასი და სხვები. მათგან პირადად შევადგენ მსოფლიოს ორ ნაკრებს – ორივეს მწვრთნელი მე ვიქნები და ორივე გუნდი მოედანზე წითელი ფორმით გამოვა!

– ჰეი, დაბდურო, მაშინ ერთი გუნდი იქნება! – იყვირა ბროლიდან ვილაცამ. – მართლა რა მაგარი ხარ!

– ერთ გუნდს ყაყაჩოსფერ მაისურებს ჩავაცმევ, მეორეს – ჟოლოსფერს! – იპოვა გამოსავალი ბრძენთა ბრძენმა.

– ვინ არის ეგ შფოთისთავი, ახლავე დაიჭირეთ! – ფიცხლად გასცა განკარგულება საშიშროების ვაზირმა ყურდიდამ. – ეგ მამაძაღლი ლაყუჩა იქნება შეჭველად!

– ჩემო საყვარელო სანდაოცელებო! უნდა დიდი კმაყოფილებით გაცნობოთ და, დარწმუნებულად ვარ, დიდადაც გაგახარებთ, რომ გადაწყვეტილი მაქვს: მეც ჩავიცვამ ერთ-ერთი გუნდის ფორმას და გამოვალ მოედანზე – მე ხომ ძველი ფეხბურთელი ვარ! აბა, წინ ვინ დამიდგება: პირველ ტაიმში “ყაყაჩოსფრების” გუნდში ვითამაშებ და სამ ბურთს მაინც გავიტან მოწინააღმდეგის კარში, მეორე ტაიმში კი, რომ გული არავის დასწყდეს, – იცით ჩემი სამართლიანობის ამბავი, – “ჟოლოსფრების” გუნდის ფორმას ჩავიცვამ და “ყაყაჩოსფრების” გუნდის კარში კიდევ არანაკლებ სამ ბურთს გავიტან!..

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..

– გაჰ, რა მაგარი ყოფილხარ, ბარემ მსაჯიც შენ იყავი! – კვლავ დაიძახა ბრბოდან იგივე ხმამ, ოღონდ სხვა ადგილიდან; და ყურდიდა არ შემცდარა – მართლაც ლაყუნა იყო ის თავხედი, რომელიც ასე მოურიდებლად ბედავდა დიდი სულთნისთვის რეპლიკების სროლას.

– აბა, როგორ! – გაიჯგვიმა ტრიბუნეზე მდგომი ბაქიბუქა, – მოთამაშე მსაჯი ვიქნები! მაჩის დასრულების შემდეგ გაიმართება სახეიმო მიღება და გრანდიოზული მეჯლისი, რომელსაც დაესწრებიან მთელი მსოფლიოდან მოწვეული საპატიო სტუმრები – ხონთქრები, შაჰინშაჰები, ყაენები, პრეზიდენტები, პრემიერ-მინისტრები!.. დაუკრავს საგანგებოდ ჩემს მიერ პირადად მოწვეული სახელგანთქმული მუსიკოსები, შეგაკრებ გასაყეყნებელ ორკესტრს, რომელიც გამართავს გალაკონცერტს!.. შესრულდება ჩემი დაბადების დღისთვის საგანგებოდ დაწერილი სახეიმო ოდა ხუთი სოლისტის, დიდი შერეული გუნდისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისთვის! ტექსტისა და მუსიკის ავტორი მე ვიქნები, ოღონდ გაორკესტრებაში დასახმარებლად მსურს მოვიწვიო სახელგანთქმული კომპოზიტორი ანდრიუ ლოიდ ვებერი!

– ღირიჟორად ალბათ თქვენს უბრწვინგაღესობას ვიხილავთ! – გაისმა ისევ ლაყუნას რეპლიკა, ოღონდ ისევ სულ სხვა ადგილიდან; ასე რომ, საშიშროების ვაზირს თავსატეხი კვლავ ჰქონდა – საზოგადოებრივი სიმშვიდისა და წესრიგის დამრღვევი ადგილსამყოფელს მუდმივად იცვლიდა და ჯერაც თავისუფალი იყო.

“ღირიჟორი როგორი იქნება, არ ვიცი, დიდი ჯორი კი ნამდვილად იქნება...” – გაიფიქრა ვაზირთ ვაზირმა დიახ-დიახმა, ხმამაღლა კი წამოიძახა:

– ჭეშმარიტად, ეს იქნება წარმოუდგენელი დღესასწაული მუსიკის ჭეშმარიტი მოყვარულეებისთვის! რომელიმე სოლოსაც ხომ არ შეასრულებთ?

– არა, არ ვაპირებ. სოპრანოს პარტიას შეასრულებს კატია რინარელი, ტენორისა – პლასიდო დომინგო, ბანისა კი – პაატა ბურჭულაძე. მეძო სოპრანოსა და ბარიტონის პარტიების შესაფერისი ვარსკვლავ-შემსრულებლების კანდიდატურების შერჩევა ჯერ არ დასრულებულა. და, დასასრულ, ყველაფერი დაგვირგვინდება ლხინით დიდებულ სუფრასთან! ამისთვის პარიზიდან საგანგებოდ ჩამოვიყვანთ უმაღლესი კვალიფიკაციის მზარეულებს, სომელიეებსა და ოფიციალტებს, ასევე – დიზაინერებსაც გარემოს გასამშვენიერებლად! პარიზიდანვე ჩამოვიტანთ ღვინოებსა და სხვა სასმელებსაც, ჰოლანდიიდან თვითმფრინავით ჩამოვიტანთ ერთ მილიონ ყვავილს – ვარდს, ტიტას და ასე შემდეგ! მთელ მსოფლიოს ავალაპარაკებთ! პანდურეთის სახელი მთელ მსოფლიოს მოეფინება! პანდურეთს, მისი სახელის პოპულარიზაციასთან ერთად, უშესანიშნავესი შანსი გაუჩნდება უმუშევრობის სრულ ლიკვიდაციასთან ერთად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ტურისტების მომრავლებისა – უმოკლეს ვადაში მათ მოსამსახურებლად ჩვენი მოსახლეობის რესურსი აღარ გვეყოფა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან აქ სამუშაოდ მოვიწვევთ უმაღლესი კვალიფიკაციის მომსახურე პერსონალს!

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..

– ისიც მინდა გახაროთ, რომ, დიდებულ ბრბოლის სასახლეში გადასვლის შემდეგ, ძველ სასახლეში გაიხსნება ჩემი სახელობის მუზეუმი! და თქვენ, ჩემო ძვირფასო პანდურელნო, შეგებლბათ, გაიხსენოთ ჩემს ბრძოლითა და შრომით გავლილ ცხოვრებასთან დაკავშირებული უამრავი ღირსშესანიშნავი მოვლენა, ხოლო ჩვენი ნიჭიერი მომავალი თაობისთვის ამის გაცნობა დიდად საინტერესო იქნება და დიდად სასარგებლოც... და ცხადად დარწმუნდება – რა დიდი და გმირული ცხოვრებისეული გზა გავიარე დღემდე! დიდი სიამოვნებით გადავცემ მუზეუმს ჩემს ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებულ ჩემს პირად არქივსა და პირად ნივთებს, რომელთა შორისაც მრავლად არის ფრიად უნიკალურიც; მაგალითად, მე შენახული მაქვს ჩემი სტუდენტობის დროინდელი გაცვეთილი ფენსაცემელი, რომელსაც ამშვენებს საგულისხმო დეტალი – მის ქუსლში კენჭი არის გაჭედილი! ამ სიმბოლური და მეტყველი ექსპონატის მნახველი თვალნათლივ დარწმუნდება, რა უდიდესი სიძნელების გადალახვა მომიწია წუთისოფლის ნარეკლიან გზაზე, რა უმძიმესი ბრძოლები გადავიტანე გაუკაცურად, სანამ პანდურეთის სულთანის გაგზავნილი და სულთნის სასახლეში გამარჯვებული შევაბიჯებდი!..

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..

– თქვენს მიერ შეჭმული რომელიმე ბანანის კანიც თუ იქნება მუზეუმის ექსპოზიციაში? – გაისმა დამცინავი შეძახილი.

ამჯერად ეს ხმა ლაყუნას არ ეკუთვნოდა: საშიშროების ვაზირს მალევე მიჰგვარეს კითხვის დამსმელი გოგონა – ერთ-ერთი თავისუფალი გაზეთის კორესპონდენტი აღმოჩნდა. რასაკვირველია, საშიშროების ვაზირ ყურდიდას ბრგე ბიჭებმა ქალიშვილი მაშინვე იქაურობას მოაცილეს...

(მეორე დღეს, კორესპონდენტი გოგონას დაპატიმრებისა და გაუჩინარების საპასუხოდ, პანდურეთის დედაქალაქში გაიმართა ჟურნალისტთა საპროტესტო მანიფესტაცია, რომელიც პოლიციამ დაარბია. ქალიშვილის მშობლებმა მისი ადგილსამყოფელი ორი დღის განმავლობაში არ იცოდნენ; შემდეგ გოგონა გამოჩნდა – ორი დღის უჭმელი, ფეხშიშველი; ისეთი დაშინებული ჩანდა, რომ მისმა კოლეგებმაც ვერაფერი ათქმევინეს, რა გადახდა თავს... მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ ქალიშვილმა დაწერა წიგნი საკუთარი თავგადასავლის შესახებ, რომელშიც აღწერა, როგორ წაიყვანეს იგი, რატომღაც გააკოჭილი, რომელიღაც მიყრუებულ ხეობაში, იქ ხელ-ფეხი გაუსხნეს და ტყეში მარტო დააგდეს – საჭმელი და წყალიც კი არ დაუტოვეს).

ემსში შესულმა ბაქიბუქამ კი ახალი, სრულიად მოულოდნელი სენსაცია გამოაცხო: – მთელს მსოფლიოში ყველამ რომ იოლად გაიგოს, რომელი გამორჩეული ქვეყნის შვილები ვართ ჩვენ, მიბრძანებია: დიდი საზამთროს პატივსაცემად, ამიერიდან ჩვენს ქვეყანას დაერქვას: “სახელმწიფო უტკბილესი მელონი”! მე ადრე განზრახული მქონდა, “ბანანეთი” მეწოდებინა, მაგრამ, დამეთანხმებით, ბანანს საზამთრო სჯობს, თუნდაც იმით, რომ შიგნით წითელია! ასე რომ, გაუმარჯოს სასულთნო უტკბილეს მელონი!

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..
– “მელონი” ინგლისურად ნესვს ნიშნავს... – წამოიკანავლა ვაზირთ ვაზირმა დიახ-დიახმა და, მეუფის რისხვის შიშით, ისე მოიკუნტა, ლამის თავის ხელა გახდა.

– გაუნათლებელი რეგენო, ნესვსაც ჰქვია და საზამთროსაც! – დაიგრგვინა ბაქიბუქამ, არ დაიხარა, მაშინვე გაჭირვებით დაიხარა, მარჯვენა ფეხიდან ოქროსფერი ქოში წაიძრო, მის წინ საკმაოდ მოშორებით, მისი უახლესი გარემოცვის წარმომადგენლებს შორის ყველაზე წინ მდგომ დიახ-დიახს ესროლა და ზუსტადაც მოახვედრა პირდაპირ თავში! ბანანის მონარჩენით სროლაში ყოველდღიურმა ვარჯიშმა თავისი ნაყოფი გამოიღო!

დიდი სულთანი, წარმატებული ტყორცნით ფრიად კმაყოფილი, შეჩერდა, ტუჩები ააცმაცუნა, ბანანი თუ მოენატრა, შემდეგ ძველებური რიხით განაგრძო:

– ასევე, ისიც უნდა იცოდეს ყველამ, რომ ამერიკელებმა იციან საზამთროს გემოს ფასი და “მელონი” მათებურად, მოგებასაც ნიშნავს, მოგებიდან დამატებით წილის მიღებასაც – ტანტიემს, აბა! ჭკვიანი ხალხია! ახლა კიდევ ერთი ჭკვიანური აზრი დამებადა: საჩქაროდ შეიცვალოს ჩვენი ქვეყნის დროშაც, მასზე უეჭველად დიდი საზამთრო უნდა იქნეს გამოსახული!.. ღირსეულად წარმოჩენილი!.. ჩემი გადაწყვეტილებით, ასევე, შეიქმნება კომისია, რომელიც ხვალვე გამოაცხადებს ღია კონკურსს ქვეყნის ახალი დიდებული ჰიმნის შესაქმნელადაც, რომელიც განადიდებს დიდსაზამთროს სიდიადეს, მის საუცხოო ფორმას, ფერსა და გემოს! ამასთანავე, აყვავებული უტკბილესი მელონის სიძლიერესა და სიტურფეს!.. აბა, იმდერეთ ჩემთან ერთად: “ქებათა ქება უტკბილეს მელონს – დიდი საზამთროს ქვეყანას!”... ყოჩაღ მე – ხომ მშვენიერი სიტყვები და მელოდია გამომივიდა?! დიდებულია!.. გადაწყვეტილია: ისინი დაედოს საფუძვლად ქვეყნის ახალი ჰიმნის ტექსტსა და მუსიკას!..

დიახ-დიახს კინაღამ წამოსცდა: “ქვეყნის სახელთან ერთად მისი დროშა და ჰიმნიც ხომ ცოტა ხნის წინ ხომ უკვე შევცვალეთ”, მაგრამ გაჩუმება არჩია: დროულად შენიშნა – სულთანს ხელში ახლა მეორე ქოში ეჭირა და, ტრიბუნაზე მისი რიტმული დაკაკუნებით, ცდილობდა მსმენელების სამდერლად აყოლიებას.

ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეც-წერწეტა, თავისი უსაზღვრო წარმოსახვის მხედარზე ყინჩად ამხედრებული, ვერა და ვეღარ ჩერდებოდა:

– აქედან ჩემს სასახლის ბაღში წადებული ამ დიდი საზამთროს სანაცვლოდ, სოფელ სანდაოცეთს, ჩემი უზენაესი ნებით, – ბაქიბუქა ხმას თანდათან მაღლა უწევდა, ბოლოს კი შლეგიანივით იყვირა: – ამიერიდან მიენიჭოს ქალაქის სტატუსი და ყველა ოფიციალურ საბუთში იწოდებოდეს ქალაქ საზამთროლიდა!

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..
– გაუმარჯოს ჩვენ მამასა და მარჩენალს, ბედნიერი სახელმწიფო უტკბილესი მელონის ბრძენთა ბრძენ წინამძღოლს! – ძალუმად დაიძახა დიახ-დიახმა, მერე ბაქიბუქასთან მიცუნცულდა, მოწიწებით დაიხარა და ფეხზე ქოში ჩააცვა.

სოფლის მეურნეობის მოშლისა და გატიალების ვაზირი ჩურჩუტ-ჩერჩეტი წინ გამოხტა და კიდევ უფრო მჭახე ხმით დაიყვირა:

– ბრძენთა ბრძენო! თქვენი ბრძნული გადაწყვეტილებით, როგორც თქვენ ბრძნულად ბრძანეთ, ამ მხარეში არნახულად აყვავდება სოფლის მეურნეობა, მოაწყდებიან მთელი მსოფლიოს ტურისტები – სანდაოცეთი, ბოლიში – ქალაქი საზამთროლიდი, უჩვეულო ეკონომიკური და კულტურული აღმავლობით სამაგალითო იქნება არა მხოლოდ ამ რეგიონისთვის, მთელი ქვეყნისთვისაც და მეტიც – მთელს მსოფლიოში ცოტა ვინმე თუ შეედრება!

სულთნის მამამებლობის დოღში დიახ-დიახსა და ჩურჩუტ-ჩერჩეტს არც დეზინფორმაციის ვაზირი დღალუნა ჩამორჩა:

– თქვენო უბრძნესობაგ, დიდო სულთანო! უეჭველია, თქვენ განსაკუთრებული მისია გაკისრიათ ჩვენი სამშობლოსა და მისი ხალხის წინაშე და სწორედ ამიტომ გაჩნდა თქვენს სამფლობელოში განსაკუთრებული დიდსაზამთრო! ამ ჩვენთვის სასიხარულო, ხოლო ზოგიერთი ჩვენი არა-

კეთილმოსურნესთვის ფრიად დამამწუსრებელი, ინფორმაცია უკვე მთელს მსოფლიოში გავრცელდა და ახალი სახელი და დიდება მოუხვეჭა თქვენს უდიდებულესობასა და მთელ ჩვენს ქვეყანას! ჩვენი უწყება გამოდის წინადადებით: უტკბილესი მელონის ბრძენთა ბრძენი ბელადის დამსახურების აღსანიშნავად ჩატარდეს საერთო-სახალხო ღია კონკურსი ჩვენი დიდი სულთნის ოქროს დიდი ძეგლის დასადგმელად, დევიზით: “ქებათა ქება ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენს”!.. და, თუ მისი უბრწყინვალესობის ნება-სურვილიც იქნება, ეს ძეგლი დაიდგას აქ, ქალაქ საზამთრო-დიდში!.. და უნდა გულახდილად ვადიაროთ: დიდად სამწუხაროდ, ამგვარი დიდებული ძეგლის აღმართვა დიდად დავაგვიანეთ, დროა გამოვასწოროთ დაშვებული შეცდომა!

ამგვარი სიტყვებით ატაცებული ბაქიბუქა საკუთარი აგზნებული წარმოსახვის ბედნიერ ბედაურს კვლავ გამეტებით უთავაზებს დეხებს და თავაწყვეტით მიაქროლებს:

- ჩემო გმირო და ლამაზო საზამთროდიდელებო, კიდევ უკეთესი აზრი დამებადა!.. გბრძანებ: სახელმწიფო უტკბილესი მელონის დედაქალაქი გადმოტანილ იქნას აქ, ქალაქ საზამთროდიდში!.. დაუყოვნებლივ!.. დაუყოვნებლივ შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება უტკბილესი მელონის კონსტიტუციაში! ამით დიდი საზამთროს ახალ ადგილზე ტრანსპორტირება, რაიც უზარმაზარ გადაუჭრელ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, აღარ დაგვიჩირდება, დიდძალ თანხასაც დაგზოვავთ! ეს თანხა კი, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მოხმარდება ყველა თვეგანის კეთილდღეობის კიდევ უფრო ამადლებას! აქვე აშენდება ბროლის ახალი სასულთნო სასახლეც და აქვე, საზამთროდიდში, უმოკლეს დროში გადმოვა პანდურეთის, ბოდიში, უტკბილესი მელონის მთავრობა და უმადლესი საკანონმდებლო ორგანო – პანდურეთის... ბოდიში, უტკბილესი მელონის პარლამენტი – სახალხო წარმომადგენელთა დარბაზი – და სხვა უმადლესი სახელმწიფო დაწესებულებები!.. ეს გაბედული და ბრძნული სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილება, უეჭველზე უეჭველია, მითხვოს ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, გიგანტურ მშენებლობებში ჩაიდება კოლოსალური თანხები, რაიც დიდად შეუწყობს ხელს ადგილობრივ მოსახლეობაში უმუშევრობის შემცირებას, წარმატებით უზრუნველყოფს მთლიანად ამ მხარის უჩვეულოდ სწრაფ ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლას, განაპირობებს არნახულ აღმავლობას ცხოვრების ყოველ სფეროში! დიას, ჩვენს ყველაზე თამამ ოცნებებს ფრთა შეესხმება: ახალ დედაქალაქში ისეთ არნახულად გიგანტურ ცათამბჯენებს ავაშენებთ, მიმიქარავს ნიუ იორკი, შიკაგო, ყატარი და სინგაპური! ამ ოდესღაც მივარდნილ, საუკუნეების განმავლობაში ჩამორჩენილ კუთხეში აღმშენებლობისა და განახლების სიო დაჰბერავს; გიგანტური გაქანებით წარმოებული ფართო სამშენებლო სამუშაოების წყალობით, დედაქალაქ საზამთროდიდის მოსახლეობა სულ რამდენიმე წელიწადში მილიონნახევარს გადააჭარბებს და ყველაზე დიდი, ყველაზე ლამაზი და ყველაზე კეთილმოწყობილი ქალაქი იქნება არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს ამ რეგიონში!.. და მთელ მსოფლიოშიც!..

- ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..

- ეს ბრძენი ოპოზიციური პარტიები, ასე რომ მომრავლდნენ, როგორც სოკოები გაზაფხულზე, დღე და ღამე ჩვენი ღვარძლიანი კრიტიკის მეტს არაფერს აკეთებენ – რად გვინდა ამდენი ახალი გზა, შადრვენები, ამდენი ახალი სასტუმრო, ამდენი ახალი საავადმყოფო, ამდენი ახალი სკოლაო... მაგრამ ამ სულგაყდულებს ტყუილად აქვთ წარმატების იმედი: თავიანთი უსუსური დემაგოგიური კნავილით ვერ მოატყუებენ უტკბილესი მელონის მოსახლეობას, ვერ გადაგვახვევინებენ დიადი აღმშენებლობის კურსიდან! უმოკლეს დროში გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი უპრეცედენტოდ შეღავათიანი პირობებით, სანდაოცეთში, ბოდიში, საზამთროდიდში, მსოფლიო დონის აეროპორტს ავაშენებთ!.. უმოკლეს დროში!.. მას დაერქმევა “საზამთროდიდი”! ტურისტული ბუმი აგორდება, ასსართულიან კომფორტულ სასტუმროებს ავაშენებთ, ყველაზე მაგარს მსოფლიოში! ათვარსკვლავიანს! ყატარსა და დუბაის სულ შურიტ გულს გაგუხეთქავთ! – ისეთი გამეტებით იყვირა ბაქიბუქამ, კინაღამ თვალები გადმოსცივიდა და ლამის იყო, შთაგონების ცხარე ცხენიდან გადმოვარდა.

- ათვარსკვლავიანი? – იკითხა ლაყუნამ და მეწისქვილე პეტრიკელას იდაყვი გაჰკრა. – ბიჭო, ეს ჩვენი ბაქიბუქა ძალიან უყვარს მის გარემოცვასა, პოდა, ვერ ხედავენ, რომ სულ მთლად გააფრინა ამ საწყალმა? მეცოდება, ხომ იცი, ისე გადარეულივით იქნევს ხელებს, ლამის ტრიბუნლიდან ცაში აფრინდეს!

- მართალი ხარ, თვითონ თუ ესმის, მისი წისქვილი რასა ფქვავს? – დაეთანხმა პეტრიკელა. – არა, უფრო სხვა სიტყვა მოუხდება – როშავს!

- ისეთ აღტყინებას აუტაცნია, საკუთარი ბოდვებისა სჯერა! მეტი უბედურება ისაა, მისთვის სიმართლის მთქმელი გარემოცვაში არავინ ჰყავს და, ეტყობა, ამ გაძვალტყავებულ და მშვიერ ქვეყანას, ისედაც ყელამდე ვალებში ჩაფლულს და ყოველხრივ გაუბედურებულს, კიდევ ასეულობით დოლარის საგარეო სესხების აღება მოუწევს...

ბაქიბუქა კი განაგრძობდა შეშლილივით ყვირილს და დორბლების ყრას:

- ბედნიერო დიდსაზამთროელნო!.. არა, ბოდიში, საზამთროდიდელებო!.. ნება მიბოძეთ, ამიერიდან ასე მოგმართოთ, თქვენ ეს დაიმსახურეთ!.. როგორც მოგახსენეთ, ამ გიგანტურ მშენებლობებს დასჭირდება შესაბამისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა: საზამთროდიდამდე ჩვენ მსოფლიოში ყველაზე უკეთეს ჩქაროსნულ გზას გავიყვანოთ, უმადლესი დონის ავტოსტრადას!

იმავედროულად – მსოფლიოში ყველაზე ჩქარ რკინიგზასაც საპაერო ბალიშზე, ისეთს, უტკბილესი მელონის ახალ დედაქალაქს რომ ეკადრება!.. დიახ, ჩვენ ამით არ დავკმაყოფილდებით და კიდევ მრავალ სხვა, ახალ, კიდევ უფრო გიგანტურ პროექტებსაც განვახორციელებთ, რომლის დარც მსოფლიოში არ იქნება – მტრებიც და მოყვარენიც გაკვირვებისგან პირს დააღებენ!!!

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..

– მაგრამ, თქვენ კარგად იცით, რომ, დიდად სამწუხაროდ, ჩვენს მოქალაქეთა შორის მოიძებნებიან ცალკეული ტვინნადრძობი ადამიანებიც, რომლებიც უიმედოდ და ღრმად არიან ჩარჩენილნი წარსულში, დრომოჭმული წარმოდგენების ტყვეობაში იმყოფებიან და რომლებისთვისაც მიუღებელია ჩვენი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხედვა ქვეყნის შემდგომი განვითარების გზისა, ხალხის ბედნიერი მომავლისა... მაგრამ ჩვენ არ ავყვებით ამ ავყია ცოცხალ ლეშების პროვოკაციებს, რომლებიც გააფთრებით გვექაჩებიან რევრესისკენ და მაჩანჩალობის ჭაობში სურთ ჩვენი ჩახრჩობა! ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული, რომ განსაკუთრებული მისია გვაკისრია ქვეყნის ჩამორჩენილობის დასაძლევად, მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად და განუხრელად გავატარებთ ჩვენს მიერ შემუშავებულ მკვეთრად გამონატულ პოლიტიკას, გინდაც მავანს ეს გულზე დიდად არ ეხატებოდეს – ჩვენს საყვარელ სამშობლოში რეფორმებისა და აღმშენებლობის კურსს! დასახული მიზნების მისაღწევად ჩვენ ვიქნებით მტკიცენი და შეუვალნი, არ დავიხვეთ უკან ხისტი, და ზოგიერთთა შეფასებით, მეტისმეტად მკაცრი ხერხების გამოყენებისგან უგუნერებისა და უმეცრების წინააღმდეგ, თუნდაც მავანთ უსულგულობასა და სისასტიკეში დაგვანაშაულონ!..

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..

– ძვირფასო საზამთროდიდელებო!.. ახლა კიდევ ერთი რამით უნდა გაგახაროთ! როცა საზამთროდიდს მოვადწიეთ და დირიჟაბლიდან ჩემი დიდი საზამთრო დავინახე, ისეთმა უჩვეულო სიხარულმა შემიპყრო, კინაღამ ჩასახუტებლად მაღლიდან გადმოვფრინდი, მაგრამ გულახდილად გეტყვით, ერთი რამ კი მეხამუშა... მთელს მსოფლიოში, მოგესვენებათ, საზამთროები გარედან მწვანე ფერისაა, ჩემი დიდი საზამთრო კი განსაკუთრებულია და, ჩემი შეხედულებით, გამორჩეული, სხვებისგან განსხვავებული ფერიც უნდა ჰქონდეს! და სანამ გენეტიკოსები ჩემი დაკვეთით გამოიყვანენ სხვადასხვა, უპირველესად – წითელი, ფერის საზამთროს ჯიშებს, მე გადავწყვიტე, ჩემი დიდი საზამთრო კიდევ უფრო გალამაზდეს და გამშვენიერდეს – წითლად შეიღებოს! ოჰ, რა მშვენიერი შესახედავი იქნება! არა, სჯობს, ორფერი იყოს: ზედა ნაწილი – ყვითელი და ქვედა – წითელი! ხომ კარგი იქნება?

– ბა-ქი, ბა-ქი!.. ბა-ქი, ბა-ქი!..

– ჩემო ლამაზებო და მშვენიერებო, კიდევ ერთხელ გეტყვით: გიხაროდეთ – ჩვენს საყვარელ ქვეყანას დიდი, განსაკუთრებული მისია აკისრია თანამედროვე მსოფლიოში!.. ჩვენ ყოველთვის ვიმარჯვებდით და ახლაც ამ ახალ საქმეს უეჭველად დიდი წარმატებით დავაგვირგვინებთ!.. ასე მითქვამს და ასე იქნება!.. გაუმარჯოს ქალაქ საზამთროდიდს და გმირ საზამთროდიდეებს, ვაშა და დიდება დიდ საზამთროს!.. – გამოსვლის ბოლოს, დასკვნად, განსაკუთრებული სიძლიერით დადრიალება იწება დიდმა სულთანმა და საგანგებოდ გაკეთებულ გადასატან მუხის ტრიბუნას ერთი ისე ძალუმად დაჰკრა ხელი, რომ, ცირკის ძალოსანი რეკორდსმანივით, სულ იოლად ჩაამტვრია და სულ ნაფოტ-ნაფოტ დაშალა.

ბაქიბუქას თაყვანისმცემლებმა, სულთნის მგზნებარე გამოსვლით აღტაცებულ-აღტყინებულებმა, უცებ წინ ნიაღვარივით იხუელებს, გაარღვიეს სულთნის უშიშროების დამცველთა საკმაროდ მძლავრი კორდონი და გაიჭრნენ ტრიბუნისკენ! ნუ გგონიათ, აღფრთოვანებულთ, დიდი ორატორის გულში ჩახუტება ეწადათ, – ბრძენთა ბრძენის ვაჟკაცური შემართების ნაყოფს, მიმოფანტულ მუხის ნაფოტებს დაესივნენ! არა მგონია, ზამთრისთვის შემას იმარაგებდნენ, ალბათ უფრო მაღალი დანიშნულებისთვის სჭირდებოდათ: შინ, სერვანტის ვიტრინაში საპატიო ადგილს მიუჩინდნენ, ვითარცა შესანიშნავ სუვენირს თუ საბუთს, რომელსაც მრავალი წლის შემდეგ სიამაყით უჩვენებენ შვილიშვილებს!

შემდგომ, ბრწყინვალე სიტყვით თვითონაც გვარიანად ადგზნებული, ოფლად გახვითქული სულთანი ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენი ცერცეტ-ჩერჩეტა თუ წერწეტა ტრიბუნისგან ჩამობრძანდა – ეს გამოთქმა სიტყვის მასალად ვიხმარე, თორემ სადღა იყო ტრიბუნა! – და, კონსულტანტ-მრჩეველთა და, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტთა რეკომენდაციის თანახმად, დაიწყო “ერის დიდი მამის” “ხალხში გასვლა” ანუ “ადგილობრივ მოსახლეობასთან გულისთადი შეხვედრა” – უამრავი ტელეობიექტივისა და კიდევ მეტ პირად მცველთა ფხიზელი მზერის თანხლებით...

პირადი დაცვის ბრგე ჯეელებით გარს შემორტყმული ბაქიბუქა მორვევით მღელვარე ბრბოში მიიკვლევდა გზას და, სახეზე ნიღაბივით აფარებული ღიმილით, მისკენ გამოწვდილი ხელების ტყიდან წინდაწინ საგანგებოდ შერჩეულ მოხუცსა თუ ახალგაზრდას ხელს ართმევდა და გულისთადად მოიკითხავდა: “როგორ ბრძანდებით?”, “როგორ ბრძანდებით?”, “როგორ ბრძანდებით?”; შიგადაშიგ რომელიმე ხნიერ ქალბატონს გულში ჩაიხუტებდა, დედის ხელში ატატებულ ბავშვს თაყზე ალერსიანად ხელს გადაუსვამდა... ამასთანავე, ფრიად უხვი და მოწყალეც იყო –

მოსუცებს პენსიის გაზრდას ჰპირდებოდა, ახალგაზრდებს – საზღვარგარეთ სასწავლებლად გაგზავნას, ხოლო ბავშვებს – ახალთახალ კომპიუტერს...

ვაჟ, ვერაფრით მოვახერხე, ლაყუნა და ბაქიბუქა ერთმანეთისთვის პირისპირ შემეხვედრებინა და! მე თვითონ მინტერესებს, ხომ იცი, რა მოხდება ამ დროს? ლაყუნა, ბაქიბუქას მსგავსად, მოუსვენარია, ოღონდ სულ სხვა ყაილის პიროვნებაა: თუ ბრძენთა ბრძენი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, საკუთარ სიამოვნებაზე ზრუნავს, ლაყუნა სხვა მისწრაფებითაა გამსჭვალული, სხვათათვის კეთილი საქმის კეთება ამოძრავებს და არ ასვენებს...

მკითხველი სხვა მხრივაც მისაყვედურებს და ამის საფუძველიც აქვს: ბაქიბუქას კაიკაცობის შესახებ მეტიმეტად ბევრი ისაუბრე, თვითონაც ხომ იმდენი ილაპარაკა, ლამის თავი წაგეჭაბა და რამდენად სამართლიანია, ყველა ცოდვას რომ მას აჰკიდებ, ის ხომ მართლ არ არის? მისი დასაყრდენია მისი გარემოცვა, რატომ მათზე არაფერს ამბობ, ისინიც ხომ პიროვნებები არიან, ნუთუ მათში საინტერესო არაფერია? რა ვიცი, იქნებ ადრე იყვნენ კიდევ ისინი საინტერესო პიროვნებები, – ყოველი მათგანი მკაფიო, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხასიათით, განსხვავებული თვისებებით შემკული, მაგრამ... მაგრამ ერთი კაცის ნების უსიტყვო მორჩილებამ მათი ინდივიდუალობა ნელ-ნელა წაშალა... მისწრაფებამ, მონურად შეასრულონ მეუფის ყველაზე ახირებული მოთხოვნები, ყველაზე უცნაური სურვილები, ისინი ერთმანეთს დაამსგავსა: მამებლობა-მლიქვნელობა, საკუთარი შეხედულების დათრგუნვა, გადაზრდილი უინციატივობა და საკუთარი მოქმედების შეზღუდვაში, საბოლოოდ მიიყვანა ისინი მორჩილების განწყობასა და ტვინის თავისებურ ვარჯიშამდე: “როგორმე რაც შეიძლება მეტად უნდა ვასიამოვნო სულთანს, რათა კიდევ უფრო დაგუახლოვდე, ამისთვის კი ყველა ხერხს ვიხმარ, მათ შორის, ყველაზე ნაცადს – “კონკურენტების” “ჩაძირვას” მათი “გაშავებით”...

სამართლიანი საყვედურია, მაგრამ რა ვქნა: ყველაფერს ვერ გავწვდები და მეორეც – მე ხომ საბრალდებო დასკვნას არ ვწერ, წვრილმანები იმათ გამოიძიონ, ვისაც ეს საქმე სამსახურებრივად ევალებათ! ხომ მართალი ვარ?

კარი XXII. ბედისწერის ბარათი

დამხედურთა პირველი ტალღის გარდგევის შემდგომ, ბაქიბუქა უკვე სრულიად სხვაგვარი, მისთვის ფრიად უჩვეულო ხალხის გარემოცვაში აღმოჩნდა...

– სად არის ყურდილა დეგენერატი? – იღრიალა ბრძენთა ბრძენმა, ცოტა არ იყოს, შიშნარევი ხმით.

– აქ გახლავარ, თქვენო უდიდებულესობავ! – წამში მასთან გაჩნდა წელში მოხრილი საშიშროების ვაზირი.

– რაა, ბიჭო ყურცქვიტავ, ეს, გარშემო რომ ამდენი ნიღბოსანი მარტყია? ეს რა ნიღბებია, დღემდე მსგავსი არსად მინახავს... დღეს აქ კარნაგალია თუ რა უბედურება ხდება?

– ალბათ თქვენი უდიდებულესობის ჩამობრძანების აღსანიშნავი დიდი ზეიმის ერთი მცირე ნაწილი გახლავთ...

– “ალბათ, ალბათ!” – გამოაჯავრა სულთანმა, – აღარ გავიგონო ამგვარი “ალბათ”, ყველაფერი ზუსტად უნდა იცოდე, ეს ელემენტარული გარემოება მე უნდა ავიხსნა, ჭკუაძვირო ბრიჭვო? ამისხენი, ყველას ერთნაირი ნიღაბი რატომ უკეთია?... დარწმუნებული ხარ, რომ ტერორისტული აქტის ჩატარების საშიშროება არ არის?

– დიდო სულთანო, სანდოცეთში, – ბოდიში, საზამთროდიში, – თქვენი უდიდებულესობის ჩამოსვლის წინ, დაუმორჩილებლობისა და არეულობის პრევენციისა და თქვენი უმაღლესობის უსაფრთხოების მაქსიმალურად უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროდ ჩავთვალეთ სოფლისა და მიმდებარე ტერიტორიის საეჭვო ელემენტებისგან “გაწმენდის” ოპერაციის ჩატარება; უპირველესად, გავეცი ბრძანება აქაურ შფოთისთავთა მეთაურის, ვინმე ლაყუნას, ადგილსამყოფელის სასწრაფოდ დადგენისა და დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ...

– ოჰ, ისევე ეგ ლაყუნა... დიდი საზამთროს უკანონოდ დაუფლებას არ შეგარჩენ! მერე, ეს ნიღბები რა შუაშია?

– სამწუხაროდ, ამ საშიში დამნაშავეს ადგილსამყოფელის აღმოჩენა და, შესაბამისად, მისი დაკავება ვერ მოხერხდა... დიდო მეუფეგ, ენერგიულად გცდილობთ, დამნაშავეს თავშესაფარი დროულად გამოგაგლინოთ, მაგრამ აქაურებს, თითქმის ყველას, ლაყუნას ნიღაბი უკეთია და ოპერაციის ჩატარება ფრიად გაძნელებულია...

– პირდაპირ აღიარე, შე ბედოვლათო, ოპერაცია ჩაფლავდა? – გაბრაზებულმა ბაქიბუქამ ოქროს ქოში გაიძრო, ჯერ სურდა, ჩვეულებისამებრ, ყურდიდასთვის ეტყორცნა, მაგრამ აქ სასახლის ჩვეული რბილი ხალიჩა არ იყო დაგებული, თანაც დიდი ალბათობა არსებობდა, რომ პარიზში საგანგებო შეკვეთით გაკეთებული ძვირფასი ქოში ბრბოში დაეკარგებოდა და ამჯობინა, ყურდიდასთვის ახლოს მისვლა ებრძანებინა, შემდეგ მხოლოდ გამეტებით ჩაერთვა კინკრიხოში და ქოში ისევ ჩაეცვა.

- ჩვენი დიდო სულთანო, რაც ჩვენს ძალებში არის, ყველაფერი ვიღონეთ, მაგრამ ყველა, დიდ-პატარა, ლაყუნას ნიღბებით დადის და რა ვქნათ...
- ჩამოგლიჯეთ!.. ცხვირ-პირი დაუმტვრეთ!.. აკი ეს ნიღბოსნები ჩემს მისასაღმებლად არიან აქ მოსულებით, მომატყუეთ?
- მზის დარო თქვენო უმაღლესობავ, თქვენი უბრწყინვალესობის მომტყუებელი ჯერ ამქვეყნად არ დაბადებულა და გინდაც გამოჩნდეს, ამას როგორ გაბედავს? მაინც საიდან გაიგეს ამ შობელძაღვლებმა ზესაიდუმლო ოპერაციის შესახებ? – გააკირვებული ყურდიდა კინკრისოს იხეღდა დასაამებლად.
- მერე, შე დებილო, მაგას მე მეკითხები? ტყუილად ტრაბახობდი, რომ ისიც კი ვიცი, ნებისმიერ ხეზე ერთი ფოთოლი მეორეს რას ეჩურჩულებათ? რად ჩამომიყვანე აქ, ამ ავაზაკთა ბუდეში, თუკი უშიშროების ყველა ზომა დაცული არ არის?
- ამ დროს, ბოშათა წინამძღოლის თმაგაჩეჩილი ცოლი, რადა, მოხერხებულად დაუსხლტა სულთნის ახმას პირად მცველებს, ბაქიბუქასთან მიიჭრა, მისი მიხტომით შეშინებულს, გაუცინა და უბოდიშოდ, როგორც თავის ტოლს, ეუბნება:
- ლამაზო, გიმკითხავებ!
- საიდანღაც მაშინვე გამომტყვრალი კარის ასტროლოგი ვირთამამა (აღბათ წინდაწინ იცოდა, რომ ამგვარი რამ მოხდებოდა!) ცდილობდა რაღას ჩამოცილებას:
- მოშორდი აქედან!.. ბრძენთა ბრძენო მეუფეო, ეს ბოშა მატყუარა რაში გჭირდებათ, როცა ასტროლოგთა და მაგთა აკადემიის უმაღლესი კატეგორიის დიპლომის მფლობელი უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი აქ განხლავარ!
- არ დაუჯერო, იცოდე, ინანებ! – კვლავ გაუღიმა სულთანს რაღამ.
- უგუნებოდ მყოფი სულთანი მკითხავს გამოეჭმამა:
- არა უშავს, გაუშვი, ცოტას მაინც გავერთობი!
- ბოშა ქალმა სულთანს ყელსაბამი გაუწოდა:
- ლამაზო, აი, შენ თილისმა – უნდა გაჩუქო!
- რა არის ეს?
- ვერ მიხვდი? საზამთროს ფორმის პატარა ბურთულებით შექმნილი მძივებია, ხომ მოგწონს? ვინც მას შეიბამს, ჩვენი სულთანივით მდიდარი, ბედნიერი და დღეგრძელი იქნება.
- სულთანი თვითონ მე ვარ!
- მართლა, ლამაზო? გაიკეთე ეს მძივები და გაბრძობი: კიდევ უფრო მდიდარი და ბედნიერი იქნები! რასაც ისურვებ, ყველაფერი შეგისრულდება!
- მე ისედაც ყველაფე სურვილი მისრულდება! – ამაყად უპასუხა ბაქიბუქამ, მერე წარბები შეჭმუნა: – რას ჰგავს ეს ვითომ მძივები, არ მომწონს, წითლად მაინც შეგელება!
- სად გინახავს წითელი საზამთრო? ლამაზო, ეს შენი დამცველი მაიმუნი რომ გყავს, მე რას მერჩის? ძალიან უზრდელი ჩანს; არაფერი იცის და გატყუებს, მამაძაღლობს, ნუ დაუჯერებ! მე გიმარჩიელებ და ზუსტად გიწინასწარმეტყველებ შენს მომავალს, შენი ბედისწერა შენს ხელისგულზე სწერია და წაგიკითხავ! თუ ჩემი წინასწარ განჭვრეტისა არ გჯერა, მაშინ შენ თვითონ ამოიჩიე და წაიკითხე – აგერ ჩემს მწვანე თუთიყუშს ხომ ხედავ? სწორედ ის ამოიღებს შენთვის ყუთიდან ამ გაკეცილი ქალღვლებიდან ერთ-ერთს, გაშლი და იქ წერია, მომავალში რაც გეგლის... ოღონდ წინასწარ ხუთი ფლური უნდა მაჩუქო!
- რაღამ პატარა ყუთი წინ დაიჭირა, ყუთის კიდეზე ჩამოსკუპებული პატარა, მწვანე თუთიყუში თავს ატრიალებდა, მრგვალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.
- რა ამბავია ხუთი ფლური! – გარს შემოხვეული ხალხისა და მრავალრიცხოვანი კორესპონდენტების გასაგონად იყვირა ბაქიბუქამ. – ასე რომ ვფანტო სახელმწიფო სახსრები, კარგი დახლი დაგვიდგება! ყველამ, ყველამ გაითავისოს, რომ გაჭირვებული მოყვასის მიმართ თანადგომა და დახმარება ჩვენი უპირველესი ზნეობრივი ვალია! ახლანდელი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის და მოსახლეობის გაჭირვებისგან დასაცავად, ჩვენ ყველამ ქამრები უნდა შემოვიჭიროთ! ეს არის ჩვენი სახელმწიფოსა და პირადად ჩემი ოფიციალური გადაწყვეტილება! ზემოთქმულიდან გამომდინარე, ახლა მხოლოდ ერთი ფლურის მოცემა შემიძლია, თანაც მაგ სწავლულ თუთიყუშსაც წავიყვან! მომეწონა ფრიად, ძალიან მხიარული და ცოცხალი ჩიტუნა ჩანს, გამართობს! თან – ბედ-იღბალსაც მიწინასწარმეტყველებს!
- ვაზირთ ვაზირმა დიახ-დიახმა ივაჟკაცა და მკითხავ ქალს ხელიდან უხეშად გამოდლიტა ყუთი, რომლის კიდეზეც წყნარად იჯდა ბედურის ტოლი მშვენიერი ავსტრალიური ჩიტი – ხუჭუჭა თუთიყუში – და ცნობისმოყვარედ აკვირდებოდა, თუ როგორ უცებ შეიცვალა მისი ბედი – აღბათ წინდაწინ იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო!
- დამიბრუნეთ ჩემი მარჩენალი ყუთი და თუთიყუში, რას მიშვრებით, თქვე ოხრებო, უღუკმაპუროდ მტოვებთ? ჩემს რვა შვილს რაღა ეშველება? – იყვირა რაღამ.
- აბა, რა გეგონა, ლამაზო და მშვენიერო? – სიცილით უპასუხა კონკურენტის ჩამოცილებით განხარებულმა კარის ასტროლოგმა ვირთამამამ. – ახია შენზე: რატომ საკუთარი ბედისწერა ვერ გამოიცანი?

– გაიწი იქით, თუ არ გინდა, ინანო!.. – დაემუქრა ქალბატონს როზგა-როზგა, – გირჩევნია, ახლავე მოშორდე აქაურობას, თორემ ამოპანდურებას არ გაკმარებ!

– დამიბრუნეთ ჩემი თუთიყუში, მომეცით ჩემი ყუთი, თქვე ყაჩაღებო! – გაჰკიოდა ღაცვის მიერ გააკავებული რაღა.

– გაჩერდი, – აშოშინებდა რაღას როზგა-როზგა, – ნუ არღვევ საზოგადოებრივ წესრიგს, თორემ, გაფრთხილებ: ხელისუფლების წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწვევისთვის, მიგაბრძანებთ სათანადო დაწესებულებაში და გაბრძნობ: იქ კი ნაღდად არ იქნები ყვირილის ხასიათზე! გაჩუმდი და დროზე მოშორდი აქაურობას!

რაღა დამკავებლებს არ ეპუებოდა, გაჰკიოდა:

– ამ თაღლითმა ერთი ფლურის გადახდას დამპირდა და ისიც შეიტყაპუნა! გამიშვით, თვალები უნდა ამოვპორტყნო მაგ გათახსირებულს!

ქალს ხელები გადაუგრიხეს და იქაურობიდან გაურკვეველი მიმართულებით სასწრაფოდ გააქცუნეს; მისი წყველა და ლანძღვა-გინება სულთანის ყურს კარგა ხანს სწვდებოდა, სანამ პირში ჩვარი არ ჩასჩარეს. ბაქიბუქა ინტიბარს არ იტენდა, მეტიც – გახალისდა, თითქოს სიამოვნებდა კიდევ, რომ საწყალი ქალი ასე გაამწარა.

ბოშა ქალისთვის ჩამორთმეული ყუთი მეუფეს მიათვეს, ბაქიბუქამ მწვანე თუთიყუშთან გასაუბრება ინება:

– აბა, ჩემო კარგო, წითელი რომ ყოფილიყავი და ცოტა დიდიც, არ იქნებოდა ურიგო, მეტად დაგაფასებდი, იქნებ ჩემს სასახლეშიც წამეყვანე! იქ უკვე მყავს თუთიყუშები, – შენი შორეული ნათესავები, – წითელი არა და წითელი ღორი... ახლა კი, ვნახოთ ერთი, რა ბიჭიც ბრძანდები, ამოიღე ჩემი ბედისწერის ბარათი!

თითქოს ახალი პატრონის ბრძანება გაიგო, თუთიყუშმა მაშინვე ჩაუნისკარტა ყუთში ჩარიგებულ გაკეცილ ფურცლებს და ერთ-ერთი ამოიღო.

– ყოჩაღ, რა ცქვიტი ყოფილხარ! – ბაქიბუქამ გამოუღო ბარათი ნისკარტიდან და მაქებარვაზირ მიდი-მოდი გაუწოდა: – წაიკითხე!

ასეთი დიდი პატივით აღელვებულმა მიდი-მოდი გაშალა რამდენჯერმე დაკეცილი ბარათი და ბორძიკ-ბორძიკით წაიკითხა:

– “ამ ბარათის პატრონს გაგიმართლა, ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული, მაგრამ, თუ გინდა, რომ ყოველთვის გაიმარჯვო და ბედისწერით წინდაწინ განპირობებული სიკეთე აგიხდეს, ჯიბეში ყოველთვის უნდა გქონდეს თილისმა – სულ ცოტა 5 ფლური, კიდევ უკეთესი იქნება, თუ მეტსაც ჩაიდებ. დიდი ოცნება გაქვს, შორი მოგზაურობა და მრავალი თავგადასავალი გელის, ბევრ ხიფათს გადაეყრები, მაგრამ ყოველთვის უნებელი გადარჩები. ბოლოს, შეგხვდება ის, რომელზეც ოცნებობდი, რომელიც ძალიან ხშირად გესიზმრებოდა; თქვენი შეხვედრა სასიხარულო იქნება, დიდხანს იქნებით ერთად და ბედნიერად”...

– რომ იცოდე, შენს პატრონს გავეხუმრე, ფული ჯიბეში, ერთი ფლურიც კი, არასდროს მიღვეს! აბა, ახლა დიახ-დიახისთვის ამოიღე! – უბრძანა თუთიყუშს ბაქიბუქამ.

თუთიყუშმა სურვილი შეუსრულა, მიდი-მოდი გაშალა მეორე ბარათი და წაიკითხა:

– “ამ ბარათის პატრონს დიდი ოცნება გაქვს, შორი მოგზაურობა გელის, ბევრ ხიფათს გადაეყრები, მაგრამ ყოველთვის უნებელი გადარჩები. ბოლოს, შეგხვდება ის, რომელზეც ოცნებობდი და ძალიან ხშირად გესიზმრებოდა, თქვენი შეხვედრა სასიხარულო იქნება. ბედნიერ ვარსკვლავზე ხარ დაბადებული, მაგრამ თუ გინდა, რომ ყოველთვის გაიმარჯვო და ბედისწერის წიგნში ჩაწერილი აგიხდეს, სახლიდან გასვლისას ჯიბეში ყოველთვის უნდა გქონდეს თილისმა – სულ ცოტა ხუთი ფლური”...

– ჰი-ჰი-ჰი! – გაიცინა ბაქიბუქამ, – არც მაგას სჭირდება ჯიბეში ნაღდი ფული, რა ჯანდაბად უნდა!

– დიდო სულთანო, ჩემთვისაც ამოაღებინეთ ბედისწერის ბარათი! – შეეხვეწა საშიშროების ვაზირი ყურდიდა.

– ვაჰ, მაგას დაგამადლი? ოღონდ ახლა ეს ყუთი და თუთიყუშიც მე მეკუთვინის და ბარათი ფასიანია: აბა, ჯიბეში ცქვიტად ჩაიყავ ხელი! ნაცნობობით იაფად მოგემსახურები – ერთი ფლური მომეცი! თუ ჩემსავით ისეთი ღატაკი ხარ, სულ არაფერი მოგეძეება? თუმცა, ბედისწერის ბარათი რად გინდა, თუ ერთი ფლური გენანება, მე ისედაც ზუსტად გეტყვი, რაც მოგეგის!

– თქვენო უბრძენოსობავ, ეგ თქვენს უბრწყინგაღვსობას არ გაგიჭირდებათ! – თავდახრით უპასუხა ყურდიდამ, ჩუმად კი, დაბოღმილმა, კბილები გააკრაჭუნა.

– მართალი ხარ, ხომ იცი, ვირთამამას ბეჯითი მოწაფე ვარ! – სიცილით უპასუხა ბაქიბუქამ. – კარგი, უფასოდ გიმარჩიელებ, ვიცი, რომ არც შენ ატარებ ჯიბით ფულს! შენ აჯანყებული ხალხი დაგიჭერს და როგორც ოპოზიცია გიწინასწარმეტყველებს, გაგასამართლებენ უდანაშაულო ადამიანების მკვლელობებისთვის, უამრავი ხალხის უკანონო დაჭერისთვის, ფულის გამოძალვისთვის, ბევრ სხვა ცოდვასაც გაგიხსენებენ და ციხეში კარგა ხნით ჩაგსვამენ! იცოდე, მე ვერაფერს გიშველი, გირჩევნია, დროზე გაიქცე საზღვარგარეთ, იქ ბანკებში ბლომად ფული გაქვს გადაძალადი, იცხოვრებ დიდხანს, ლამაზად და ბედნიერად!.. ჰი-ჰი-ჰი!.. უკეთესი რაღა გინდოდა, შე კაი კაცო, რატომღაც დიდ სიხარულს ვერ გატყობ!

ვაზირთ ვაზირმა დიახ-დიახმა თავი ვერ შეიკავა სულთნის ხუმრობაზე და გულიანად გადაი-
ნარსარა.

საშიშროების ვაზირი ყურდიდა ფრიად გაბრაზდა, მაგრამ საკუთარი გრძობების გამჟღავნე-
ბისთვის ლაგამის ამოდებას ყოველთვის ახერხებდა და ახლაც გარეგნულად სახე არ მოექუფრა,
თუმცა ერთხანს ხმას ვერ იღებდა; გულის მოსაფხანად გუნებაში სულთანსაც და ვაზირსაც ერ-
თი ლაზათიანად შეუკუთხა და გაიფიქრა: “ჰო, დამცინეთ, დამცინეთ, რამდენიც გაგიხარდებათ,
აი, ბოლოს ვინ გაიცინებს, ის არის საკითხავი! მე თქვენზე უკეთ მაქვს დაჭერილი თადარიგი,
საზღვარგარეთის ბანკებში თქვენი ანგარიშების ნომრებიც მშვენივრად ვიცი და ტროპიკულ კუნ-
ძულებზე ვილების მისამართებიც მომეხსენება – აგერ ვნახავთ, ბოლოს ვინ დარჩება მშრალზე!”.
შემდეგ ნაძალადეგად გაიღიმა და, სხვა საკითხზე ყურადღების გადატანის მიზნით, წელში მოწი-
წებით მოხრით, წარმოსთქვა:

– დიდო და ბრძენთა ბრძენო სულთანო, სანდაოცეთში, ბოდიში, საზამთროდიდში თქვენი
უმაღლესობის ვიზიტის განრიგში ახლა ახალაშენებული საავადმყოფოს სახეიმო გახსნაა გათ-
ვალისწინებული. მანამდე, მე გთავაზობთ, თუ თქვენი უდიდებულესობის სურვილიც იქნება, ცო-
ტა გაერთოთ, ხალისიან სანახაობას გპირდებით...

– ჰო, საავადმყოფოს ნახვა, თუნდაც სრულიად ახლისა, მაინც ერთგვარად ნაღვლიან გუნე-
ბა-განწყობილებაზე მაყენებს, ეს კი პანდურეთის სახელმწიფოსთვის კარგის მომტანი არ არის,
გართობა ბევრად მიზიდველია! სულთნის გართობისა და სურვილების ასრულების ვაზირს ტა-
ში-ტუშას თანამდებობას ხომ არ ეცილები? ჰი-ჰი-ჰი!.. მაინც რას მთავაზობ?

– თქვენო უბრწყინვალესობავ, როგორც ახლახან ჩემთვის ცნობილი გახდა, ოპერატიული
მონაცემების თანახმად, სანდაოცეთურას ჭალაში გამართულია ცირკი-შაპიტო და მხიარულ წარ-
მოდგენას დღეში სამჯერ თამაშობენ, უამრავი ხალხი ესწრება. თუმცა, როგორც მომახსენეს,
ფრიად საეჭვო შინაარსის წარმოდგენა ჩანს, რასაც მისი აფიშებიც მოწმობს – მთელ სოფელ-
შია ღობეებზე და სახლთა კედლებზე გაკრული, დიდ საზამთროზეც ოც ადგილას იყო მიწებე-
ბული... ხომ არ ინებებთ, ნახოთ და თვით შეაფასოთ?

ბაქიბუჯა შეჩერდა, ყურდიდას მიერ სახელდახელოდ გაშლილ მოზრიდ ქაღალდის ფურ-
ცელზე დიდი ფერადი ასოებით აჯღაბაჯღად დაწერილს მიაჩერდა და ტუჩების ცმაცუნს მოჰყვა
(კარგა ხანია, წიგნი ხელში არ დაუჭერია – ერთ ადგილზე ხუთ წუთსაც კი რა გააჩერებს! – და
წაკითხვა თუ გაუჭირდა):

“ცირკი-შაპიტო “დიადი ხონთქარი”
გეპატიუებით დიდი მრავალფეროვანი პროგრამის
“საოცარი ნესვთა მეფე და სხვები” სანახავად
ორ განყოფილებად!
დიდი ატრაქციონი:
ყვითელქუდიანი ხონთქარი და მისი ყვითელი ნესვი!
აგრეთვე, კლოუნები, ეკვილიბრისტები და
გაწვრთნილი ცხოველების დიდი ჯგუფი!
წარმოდგენის დასასრულს – სენსაციური ნომერი:
ადამიანისა და ვეფხვის ორთაბრძოლა!
ბავშვები და ძაღლები წარმოდგენაზე არ დაიშვებიან!
ინქარეთ, ბილეთის ფასი – 2 ფლური”

ფურცლის თავში გაუწაფავი ხელით დახატული იყო საზარლად თვალგაღმორკაკლული
და პირდაფრენილი, თავზე დიდი ოქროსფერი ჩალმით დამშვენებული მაჯლაჯუნა, რაიც, აფიშის
შემსრულებლის ჩანაფიქრით, ალბათ ხონთქარი უნდა ყოფილიყო; ხონთქარს ხელში რაღაც ყვი-
თელი საგანი ეჭირა, როგორც ჩანს – შესაჭმელი ნესვი. ამ ფრიად მეტყველ სანახაობას შესცქე-
როდნენ აფიშის კიდებზე ჩამორიგებული რაღაც არსებები; მათი დასახელებისგან თავს შევიკა-
ვებ, რადგან ეს ფიგურები რომელ ცხოველებს გამოსახავდნენ, ძნელი გამოსაცნობი გახლდათ.
ფურცლის ბოლოში გამოსახული იყო ერთმანეთს გადაჭდობილი პირდაფრენილი ჭრელი ვეფხვი
და ნახევრად შიშველი კაცი; ვეფხვი კატას წააგავდა, კაცი კი – მაიმუნს...

– ვაჰ, ამ ნესვიანი ხონთქრის ამბავი თავშესაქცევი იქნება! – წამოიძახა ბაქიბუჯამ. – მიყ-
ვარს ჩხუბის ყურება, ხომ იცი! ქალების დღევანდელ წეწვა-გლეჯას არ ემგვანება, ალბათ უფრო
გაუკაცური ბრძოლა იქნება!

– დიდო სულთანო, წარმოდგენის ხილვას ინებებთ? – ჰკითხა ვაზირთ ვაზირმა.

– აუცილებლად! მაგ წარმოდგენის მესვეურებს ყურის აწევა მოუხდებათ, ხომ იცი, – ისევ
აფიშას დახედა ბაქიბუჯამ, – ხონთქარს წითელი ქუდი უფრო მოუხდებოდა! გარდა ამისა, მე
ყველგან ჩემი ორი საყვარელი დალმაციელი ძაღლი მახლავს და ვნახავ ერთი, როგორ გაბედა-
ვენ მათ გარეთ დატოვებას, ჰი-ჰი-ჰი!

– დიახ, სრულ სიმართლეს ბრძანებს თქვენი უბრწყინვალესობა, ხონტქრების, იმპერატორებისა და გენერლების ფერი ნამდვილად წითელია! – დანარჩენებს დაასწრო დაჭერისა და პანწურის ამორტყმის ვაზირმა როზგა-როზგამ და, ბაქიბუქას გაღიმებით გათამამებულმა, განაგრძო: – თქვენო უდიდებულესობაგ, ნება მიბოძეთ, შემოგთავაზოთ ფრიად მომგებიანი რამ: თუ თქვენ ინებებთ ამ ვეფხვთან ბრძოლას ცირკის ასპარეზზე, ეს უდიდესი მოვლენა ტელეარხების მეშვეობით გადაიციემა, მთელ მსოფლიოს მოეფინება და ახალ დიდებას მოუტანს თქვენი უდიდებულესობის ბრწყინვალე სახელს!

– ეს კაცი სრულ ჭკუაზე არის?! – შეიცხადა ბაქიბუქამ თვალების ბრიალით, მერე ფერფერი წაუვიდა და ფეხებში ისეთი სისუსტე იგრძნო, იძულებული გახდა, შემოშველებულ სკამზე დაბრძანებულიყო. – გალიაში მყოფი ვეფხვის დანახვაც კი მზარავს, ჩქარა, რამე დამალევინეთ, ლამის არის, გული წამივიდეს...

როზგა-როზგას დიდი სურვილი აქვს, ვაზირთ ვაზირი ან საშიშროების ვაზირი მაინც გახდეს და იმიტომაც იაქტიურა, სულთნის მხრივ ასეთ ცუდ გამოცხილს სულ არ ელოდა... მით უმეტეს, არ ელოდა, რომ ვაზირთ ვაზირი დიახ-დიახ და საშიშროების ვაზირი ყურდიდა – ერთმანეთის დაუძინებელი მტრები – ამჯერად ერთი სულისკვეთებით გაერთიანდებოდნენ მის წინააღმდეგ. ისინი მაშინვე მივარდნენ როზგა-როზგას და ერთმა მარჯვენა ხელი გაუკაფა დიდი სიამოვნებით, მეორემ კი არანაკლები კმაყოფილების გრძნობით მარცხენა ხელი გადაუგრინა... იმაგდროულად, ერთიც და მეორეც ისეთი სანაქებო მონდომებით უმასპინძლდებოდნენ მუხლებით როზგა-როზგას ფერდებში ქიმუნჯებით, თითქოს მის მიერ გაწვრთნილები იყვნენ – “ავანსის” სახით; ახლო მომავალში კი დაჭერისა და პანწურის ამორტყმის ვაზირს ალბათ ბევრად უარესი “ჯილდოს” მოლოდინიც უნდა ჰქონოდა...

– დიდო სულთანო! – განწირული ხმით იყვირა როზგა-როზგამ, – ნუ მოაკვლევინებთ ჩემს თავს, ჯერ ერთი-ორი სიტყვა მაინც მათქმევინეთ!

– დიახ, თქვენო უბრწყინვალესობაგ, მხოლოდ ერთი სიტყვა მიბრძანე და ახლავე ჩემი ხელით გამოვაყრევინებ ნაწლაგებს ამ დამპალ მოღალატეს, ამასა! – მიაჩერდა ბაქიბუქას ფრიად კმაყოფილი ვაზირთ ვაზირი და გამეტებით უთავაზა საკუთარი ჩექმის ქუსლი როზგა-როზგას ფეხებში.

– თქვენო უდიდებულესობაგ, თქვენი ცალი წარბის აწევა საკმარისი და თქვენს თვალწინ გაუფხეთქავ ტილიან თავსა! – დიახ-დიახს მხარი აუბა საშიშროების ვაზირმა ყურდიდამ და კიდევ ერთხელ გამეტებით ამოარტყა მუხლი ფერდში ორად მოხრილ როზგა როზგას.

– მოიცადეთ, მამულიშვილნო! – ბრძანა ბაქიბუქამ. – დაგავიწყდათ, რომ ჩვენ ერთი გუნდი ვართ? ჰი-ჰი-ჰი! რა უნდა მითხრა? – როზგა-როზგას მიუბრუნდა.

– დიდო სულთანო, გეფიცებით, თქვენთვის კარგის მეტი არაფერი მინდოდა! გთხოვთ, გააჩერეთ ეს კაციჭამიები, ერთი მთელი ნეკნი არ შემარჩინეს!

– შე კაი კაცო, ვეფხვის ხახაში მაგდებდი, ეგ არის შენი ერთგულება და კაიკაცობა?

– არა, დიდო სულთანო, ეგ საშინელება რამ გაფიქრებინათ? ასეთ უბედურებას ჩემს დაუძინებელ მტერსაც არ ვუსურვებდი! თქვენო უდიდებულესობაგ, მე წინასწარ ყველაფერი გამოვიკითხე და დავადგინე, რომ ცირკის ასპარეზზე მსახიობს ნამდვილი ვეფხვი კი არა, ვეფხვის ტყავით შემოსილი მეორე მსახიობი ვითომ ებრძობება!

– მართალს ამბობ?

– ტყუილს როგორ გაკადრებთ, თქვენო უბრწყინვალესობაგ! ერთი მსახიობი პატარა ტანისაა, მეორე კი, ვეფხვის ტყავსანი, ორმეტრიანი ახმახია; სინამდვილეში – ისინი ღლაბუცობენ და მეტი არაფერი! ჩვეულებრივი საცირკო ნომერია, თქვენო უდიდებულესობაგ! ვიფიქრე, ჩვენი დიდი სულთანი ხომ დიდი მსახიობიცაა და დიდად გაუხარდება, ერთხელ კიდევ დაანახოს მთელ მსოფლიოს, რა დიდი მოღვაწე ჰყავს პანწურეთს-მეთქი... ბოლოში, უტკბილეს მელონს... თან გემოზე გაერთობოდით, თქვენო ბრწყინვალეობაგ!

დიახ-დიახმა და ყურდიდამ უნებურად ხელი უშვეს როზგა-როზგას.

– შენ რა საშიშროების ვაზირი ხარ, უბრალო ამბავი ვერ გაგიგია წესიერად! – იგრავინა ბაქიბუქამ და ყურდიდას გვარინი პანწურიც მიართვა. – რომ იცოდე, როგორ მომაბეზრე თავი, დღეს უკვე მერამდენედ ჩაფლავდი! გადამიყენებინარ შენი სახელოდან და ამ თანამდებობას ვუბოძებ როზგა-როზგას!

ახალგამომცხვარმა საშიშროების ვაზირმა როზგა-როზგამ ყურდიდას გაოგნებით ისარგებლა და ისეთი ალიყური მიართვა, ორმაგად აუნახდაურა მისგან ფერდებში მიდებულ საჩუქარი.

– ჰი-ჰი-ჰი, კარგი იყო! – გახალისდა ბაქიბუქა, როზგა-როზგას მიმართა: – ვაზირთ ვაზირსაც მართებს შენი, მაგრამ ჯერ საცირკო წარმოდგენას დავესწროთ, იქნებ მეც მივიღო მასში მონაწილეობა... აბა, არ შეარცხვინო ახალი თანამდებობა და გაგვიძე წინა! ჰო, ის ლამაზი გოგო სად დაიკარგა, რა ჰქვია?

– პოპოქია, თქვენო უდიდებულესობაგ! – მაშინვე უპასუხა ახალმა საშიშროების ვაზირმა როზგა-როზგამ.

– მერე, რას ამასხლიტეთ, თქვე ცანცარებო, ახლავე აქ გააჩინეთ!

საშიშროების ახალი ვაზირი მაშინვე დაფაცურდა – დიდი ხანია, ამ სახელოზე ოცნებობდა და წინდაწინ გააზრებულ-ნაფიქრიც ჰქონდა, ახალ თანამდებობაზე როგორ უნდა ემოქმედა, რომ სულთნის კეთილგანწყობა არ დაეკარგა.

“რა სულ გართობაზე აქვს თვალები დაჭყეტილი, – ფიქრობდა დიახ-დიახ ბაქიბუქას მისამართით, – აი, ეგ არის ჭეშმარიტი სულთანი! ოპოზიცია ტყუილად კი არ მოითხოვს მის ფსიქიკურ გამოკვლევას, შიზოფრენია სჭირსო – გადამეტებული სქესობრივი აქტიუობა, ღორმუცელობა, ლოთობა, ლაპარაკის მარად ადგზნებული ნირი, თავის გამოჩენისადმი შეუკავებელი ლტოლვა... თეატრალური ეფექტების გიჟია, დემაგოგიასა და თვალებში ნაცრის შეყრამში ხომ მსოფლიოში ყველას აჯობებს... ახლაც, ალბათ, ცირკში იმ ლტოლვამ წამოიყვანა, რომ სურს, კიდევ უფრო დაოსტატდეს: “აბა, ვნახო ერთი, ილუზიონისტები მაყურებლებს როგორ გააცუცურავენ!”. ტყუილად არ უეიჟინებენ, წადი, წადიო... მაგრამ ეგ ცოცხალი თავით არსად არის წამსვლელი – მზად არის, ქვეყანა ნაცარტუტად აქციოს და ხალხი პირწმინდად ამოხოცოს, ოღონდ ტახტი შეინარჩუნოს... ამ უბედურ როზგა-როზგას რა უხარია ნეტავ, საშიშროების ვაზირის სახელო რომ უბოძეს, კაცმა არ იცის, ბაქიბუქას მეორე წუთს თავში რა შეუფრიკინებს... ცირკის დიდი თავგანისმცემელია, გარემოცვაშიც ხომ ტაკიმასხრული წარმოდგენებით ძალიან ერთობა, როცა ვაზირები ერთმანეთს წაეკიდებიან... არ არის გამორიცხული, ყურდიდას ბედი მეც მალე გავიზიარო... ძალიან ფინთადაა საქმე... მიკვირს, კარგა ხანს შევრჩი მორიელების ბუდეს, ხომ არ ჯობს, ამ აბსურდის თეატრს დროულად გავეცალო?”.

ვაზირთ ვაზირი გუნებაში ამგვარად კი ბჭობდა, მაგრამ, პოპოქიას ბაქიბუქასთან მიყვანის შემდეგ, მეუფეს მაინც ცუხცუხით უკან მისდევდა ერთგულ ფინთასავით, თან ფიქრს განაგრძობდა: “რა კარგ დროს გამოტყვრა ეს ცირკი! ვაითუ ამ ჩერჩეტმა გაიხსენოს, რომ მოსწავლეთა გუნდი უნდა დახვედროდა და უტკბილესი მელონის ახალი ჰიმნი შეესრულებინა”... მოწაფეებს გაჭირვებით კი ჩამოიყვანდა – ასეთი კარგად გაწვრთნილი მომღერალი ჯგუფი დიახ-დიახს, უკვე კარგა ხანია, შეკრებილი ჰყავდა და, თუკი ბაქიბუქა სადმე გამოდიოდა, იქ მიიყვანდა ხოლმე და ამღერებდა კიდევ, მაგრამ იმას რაღა ეშველებოდა, რომ უტკბილესი მელონის ახალი ჰიმნის ჯერ არც ტექსტი არსებობდა და არც მუსიკა იყო დაწერილი?

კარი XXIII. ბაქიბუქა ცირკში

ხუთ წუთში სპეციალური დანიშნულების ასოციაციანი რაზმი ცირკს გარშემო შემოერტყა, სულთნის პირადი დაცვის რაზმი კი შაპიტოში შეიჭრა; წარმოდგენის დაუწყონებლივ შეწყვეტა ბრძანეს და მაყურებელთაგან დარბაზიც ფიცხლად “გაწმინდეს”...

როცა მისი უბრწყინვალესობა სულთანი ბაქიბუქა I შაპიტოში შებრძანდა, რასაკვირველია, პოპოქიას თანხლებით, თავისი ორი ძაღლითა და უახლოესი გარემოცვის წევრებიანად, ცირკის გვარიანად დამფრთხალ მეპატრონეს როზგა-როზგამ მოსთხოვა წარმოდგენის თავიდან დაწყება, რათა უზენაესი ხელისუფლების წარმომადგენლებს, სულთნის თამაღობით, შესძლებოდათ საცირკო ხელოვნებით სრულყოფილად დატკბობა.

ბაქიბუქა სხვებთან ერთად ხომ არ დაჯდებოდა, ამიტომ ფიცრებისგან სახელოდახელოდ შეკოწიწებულ “ტახტზე” დადეს დიდი ბალიში, რომელზეც დაბრძანდა კიდევ მედიდურად ჩვენი სულთანი, გვერდზე პოპოქია მოისვა და ამ წყვილს აქეთ-იქიდან გვერდს დაღმაციური ძაღლები უმშვენებდნენ. ბაქიბუქამ პოპოქიას ხელი მოხვია, ტურნეში აკოცა და, თავის მოწყალედ დაქნევით, დასტური მისცა, მისი გართობა დაეწყოთ.

წარმოდგენის პირველი განყოფილება წარმოდგენდა ბუფონადს, რაიც ცირკს სწორედაც რომ შეეფერებოდა: ყვითელქუდიანი და ყვითელხალათიანი ხონთქარი ტარაკუჭა II ბრიყვთა ბრიყვი არნახული სიმსუნაგით გამოირჩევა და მონინდომებს ყველა ნესვის შეჭმას, რაც კი მის ქვეყანაში – ჩანჩურეთში – არის მოწვეული; ჰოდა, ტახტზე ნებიერად მჯდომი ხონთქრის წინ გაიჭიმება ნესვის მომრთმევე მამებელთა გრძელი რიგი... ტარაკუჭაც ხარბად მიირთმევს და მიირთმევს, – მეტი რა საქმე აქვს! ისეთი ღორმუცეალაა, ქერქებსაც კი არავის უთმობს, არ ტოვებს შეუსანსლაგს! ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ჭამით ვერ ძღება და თანდათან მუცელი ებერება, ებერება... გარშემო კი დგანან ნიღბოსანი “ნაზირ-ვაზირები”: მლიქვნელი “მელა”, საშინელი “მგელი”, ბურდღუნია “დათვი”, ყურგრძელი “კურდღელი” – ისინი ხონთქრის გმირულ ძალისხმევას ერთხმად ტაშს უკრავენ, გმირული შემართების გაგრძელებისკენ ომახიანად აგულიანებენ და თან ნერწყვს ყლაპავენ...

ბაქიბუქას სახეზე სიამოვნების ღიმილი დაბორიალობდა, ისიც უნებურად ტურნეს ილოკავდა.

– ჰე, მართლა ბრიყვია ეს უპატრონო ხონთქარი, განა საზამთრო არ სჯობდა? ან კიდევ უკეთესი – ბანანი! – წამოიძახა ბაქიბუქამ და მხლებლებმაც მაშინვე კვერი დაუკრეს, რომ მისი უდიდებულესობა სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებდა, სულთანი კი განაგრძობდა: – ახლავე მომართვით, სად დაიკარგა ბანანთ ვაზირი?

“ნუთუ ისეთი ჭკუასუსტია, ვერ ხვდება, ამ ასპარეზზე რაც ხდება? ეგ უნდა იყოს მეუფე და მე მაგის სულელური ახირებების უსიტყვო შემსრულებელი?” – გაიფიქრა ვაზირთ ვაზირმა დი-ახ-დიახმა; გადახედა მარად მეტოქეს, საშიშროების ყოფილ ვაზირ ყურდილას – იმანაც შეხედა, ცბიერად გაუღიმა და თავი გააქნია, აგრძობინა: “ჩემო კეთილო, ცოტაც მოიცადე და ეს დარეხვილი შენც ჩემსავით უბოდიშოდ ამოგკრავს პანდურს და მადლობელი იყავი, თუ კიდევ უფრო უშუაღვლეს წყალობას არ გიბოძებსო”...

გალიზიანებული ბაქიბუქა მოუთმენლად ფეხზე წამოხტა და უდრიალა უფროს ბანანთ ვაზირ ჟღარუნას:

– რას უდგეხარ, შე ყვეყნო, დაბდურო, ჭკუადარეხვილო! ახლავე ბანანი მომართვი, თორემ მომკლა ნერწყვის ყლაპვამ!

და უცებ, – თითქოს ამ ყვირილს ვერ გაუძლო, – ტკაც! უზომოდ გაბერილი “ხონთქარი ტარაკუჭა” გრგვინვით გასკდა!

და ჩვენს გმირთა გმირ ბაქიბუქასაც კინაღამ გული გაუსკდა – შეშინებული, ტახტზე დაეძნევა!

ისეთი გრიალი გაისმა, – უზარმაზარ დოღს ალბათ კულისებში კომბალი გამეტებით დასცხეს, – რომ გეგონებოდა, ქვეყნიერება დაიქცაო!..

ეტყობა, სულთნის მოულოდნელი სტუმრობით უზომოდ დამფრთხალმა და თავგზააბნეულმა “ხონთქარ ტარაკუჭას” გამბერავმა ვერ მოზომა – ზედმეტი მოუვიდა...

პოპოქიამ იკივლა, ჟღარუნას ბანანებიანი ლანგარი ხელიდან გაუვარდა...

უცებ სინათლე ჩაქრა, ფრიად შეშინებული ბაქიბუქა ტახტიდან ბრაგვანით გადმოვარდა – სადღა ახსოვდა პოპოქია! ალბათ გადმოხტომა სურდა, მაგრამ არ გამოუვიდა – და საზარლად აღრიალდა: “მიშველეო!”, თან ტახტის ქვეშ შეძრომას ამაოდ ლამობდა.

სამწუხაროდ, თათარიახნად შეჭედილი ტახტი – მდგრადობისთვის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით – ოთხმხრივ შეჭედილი გამოდგა და მოფართხალე ბრძენთა ბრძენი ფიცრებს ტყუილად ურახუნებდა თავს...

ძვირფასო მკითხველო, დამეთანხმები: ყველაფერი ეს უცხო თვალისთვის ფრიად სასაცილო ჩანს, მაგრამ სულ არ ეცინებოდათ ამ ტრაგიკომედიურ ორომტრიალში გახვეულთ. ახალდანიშნული საშიშროების ვაზირის როზგა-როზგას ბრძანება-ყვირილი სულ ზედმეტი იყო – ბაქიბუქას პირადი მცველები უკვე ისედაც დაფაცურდნენ: ერთნი სულთანს გადაეფარნენ, სხვებმა შაპიტოს ყველა გასასვლელი მსწრაფლ გადაკეტეს, თოფ-იარაღი ხომ ისედაც სულ მომარჯვებული ჰქონდათ და ორ-სამს მოულოდნელად დაბნეულობისგან გაუვარდა კიდევც... ამ არზაურში და ნახევრად სიბნელეში ვაზირებმა თუ სხვა თანმსლებმა პირებმა საკუთარი ძვირფასი თავის გადასარჩენად მთელი ძალით გაიბრძოლეს და სიჩქარეში ერთმანეთი გადათელეს; ზოგს ცხვირში მოხვდა ხელი თუ თავი, ზოგს – იდაყვი ფერდში, ზოგიც – დაჯახებით ან უნებლიე ფეხის გამოდებით მიწაზე გააგორეს... საბოლოოდ კი, მხიარული სანახაობის მომწყობნი და მისი ხილვის მოყვარულნიც ერთ ბედქვეშ აღმოჩნდნენ, უფრო სწორედ, ერთი ბრეზენტის ქვეშ: ამ ბლლარპუნსა და გაწეგ-გამოწეგაში შაპიტოს გუმბათი ჩამოიქცა და ყველანი – მსახიობებიცა და მაცურებლებიც – მის ქვეშ განწირულად აწივლდნენ-აფართხალდნენ...

წარმოიდგინეთ ახლა, რა მოხდებოდა, ვეფხვი რომ ნამდვილი ყოფილიყო – თუნდაც უწყინარი, კარგად გაწვრთნილი!

სულთნის პირადმა მცველებმა მომჩვარული ბაქიბუქა – საბრალოს გული წაუვიდა – ხელში აიყვანეს და სასწრაფოდ გამოაძვრინეს შაპიტოს ბრეზენტის ჩამომხობილი გუმბათ-კედლებიდან გარეთ; მათ უკან ლანძღვა-გინებითა და ფორთხვა-ფორთხვით მიჰყვა მთელი ამაღა.

როცა მიწაზე გაშოტილ სულთანს საჩქაროდ ვედროთი რამდენჯერმე წყალი შეასხეს სახეში, მან ჯერ თვლები გაახილა და როცა ოდნავ მოსულიერდა, მისი გამკვირვანი ხმა დასაკლავი ღორის ჭყვირილს ჰგავდა:

– მოგკლავ!.. დაიხუროს!.. მოისპოს!.. განადგურდეს!.. გადაიწვას!..

ვაზირნი ამჯერად თვითონაც ისეთი დამფრთხალნი და დათრგუნულნი იყვნენ, რომ მეუფის სურვილ-მოწოდებებს ყურადღებას ვეღარ აქცევდნენ, მხოლოდ ვაზირთ ვაზირი დარჩენილიყო შეღარებით ყოჩაღად და, დაქოქილ თოჯინასავით, თავის რიტმული კანტურით უდასტურებდა:

– დიახ, თქვენო უბრწყინვალესობავ!.. დიახ, თქვენო უდიდებულესობავ!.. დიახ, თქვენო უმაღლესობავ!..

ბაქიბუქას ოდნავ გაუარა თუ არა გაოგნებამ, განწირული ხმით განაგრძო ყვირილი:

– განგებ შემომიტყუეს ამ დაწყვედილ ცირკში, შეთქმულება ჩემს წინააღმდეგ! დედას გუტირებ, არ შევარჩენ!

– ეს ოინი ლაყუჩას მოწყობილი იქნება! – წამოიძახა საშიშროების ყოფილმა ვაზირმა ყურდილამ.

– ახლავე დაიჭირეთ და ჩემთან მომგვარეთ, მე პირადად გაგუსწორებო! – ახლა როზგა-როზგა აყვირდა.

– ახლავე ბლომად ბანანი მომართვით, ამდენი მღელვარებისგან პირი გამიშრა... – მოულოდნელად წყნარად წამოიკენეს-წამოიკნავლასავით მომჩვარულმა ბაქიბუქამ.

სამწუხაროდ, სურვილი მაშინვე ვერ აუსრულეს: უფროსი ბანანთ ვაზირი ისეთი დაშავებული იყო, ფეხზე ვერ დგებოდა; ბანანებიანი ლანგარიც არსად ჩანდა და არც – უმცროსი ბანანთ ვაზირი... საბრალო, ალბათ შაპიტოს ჩამოქცეული გუმბათის ქვეშ უნდა მოექცნათ, ბანანები კი ნამდვილად იქვე, იატაკზე იქნებოდა მიმოფანტული და დაჭყლეტილი – სანდაოცეთის, ბოდიში, ქალაქ საზამთროდის, ღორების ფრიად გასახარად.

* * *

ახალი საშიშროების ვაზირის როზგა-როზგას მრავალრიცხოვანი მსტოვრები გამალებით დაძრწოდნენ ხალხმრავალ ადგილებში, დარიგებული ჰქონდათ ლაყუნას ფოტოსურათები და გაფაციცებით აკვირდებოდნენ ახალგაზრდებს.

ლაყუნას დამალვაში დაეხმარნენ ბოშები და ცირკის მსახიობები – ვინც დაჭერას გადაურჩა! გრიმით მოთხუპნეს, ტანზეც ისე მორთეს და მოკაზმეს, საოცარმა საზამთრომაც კი ძლივს იცნო, ისიც – წითური თმებით!

ლაყუნას საზამთრო ეუბნება:

– ჩემო ლაყუნა, ისეთი ჟღალი თმები გაქვს, თითქოს თავზე ცეცხლი გიკიდიო, სასწრაფოდ რაიმე დაიხურე! ბაქიბუქას, როგორც შევატყვევ, წითელი ფერი გამორჩეულად უყვარს, – მისი თანმხლებნი ყველანი ამ ფერის სამოსში იყვნენ გამოწყობილნი, – და ვერაფრით მივმხდარვარ, შენ რატომ გპტრობს, რა ჯანდაბა უნდა?

– მე კი პირადად ალბათ არაფერს მერჩის, შენი დაპატრონება სურს!

– მერე, ხომ ყველამ იცის, სულთანი რა უღმობელია, უკან არაფერზე დაიხვეს, ოღონდ თავისი ხუმრული აისრულოს... შენ და შენი რაზმელები ჩემს დასაცავად რომ შეებრძოლოთ, საბოლოოდ მაინც დამარცხდებით და ბაქიბუქა არ დაგინდობთ! შენმა ნაგაზებმა – ლომამ და ნეფხვამ – შენს დასაცავად დიდი სამსახური გაგიწიეს, მაგრამ საშიშროების ვაზირ ყურდიდასა და დაჭერისა და პანჩურის ამორტყმის ვაზირის როზგა-როზგას საგანგებოდ დაგეშილი სასტიკი რაზმელებისგან საბოლოოდ მაინც ვერ დაგიცავენ. სანდაოცეთში ახალგაზრდები ისედაც ცოტა ხანს დარჩენილნი და თუ ბაქიბუქასთან ბრძოლას შეეწირეთ, სოფელი საბოლოოდ გაპატრონდება და მოისპობა...

– ყურდიდა საშიშროების ვაზირი აღარაა, სულთანმა მის მაგივრად როზგა-როზგა დანიშნა...

– ჩემო ლაყუნა, ეგ დიდი შეღავათი არაა, ახალი საშიშროების ვაზირი უარესი იქნება, ეცდება, მეტი უღმობელობით დაუმტკიცოს ბაქიბუქას ერთგულება.

– აბა, რა გვეშველება? – დაღონდა ლაყუნა.

– ცხვირის ჩამოშვება არ შეგ შეეინს, უნდა ბოლომდე იბრძოლო! მაგრამ ჯერ მე მაცალე და იქნებ უფრო ადვილ გამოსავალს მივაგნო, გპირდები: ძალადობისგან მოგებული არავინ დარჩება!.. ჩემმა მშობელმა დედამიწამ ამას წინათ, მასთან საუბრის ბოლოს, მითხრა: როცა გაგიჭირდება, ჩემი იმედი გქონდეს, მოგეშველება, ოღონდ გაფრთხილებ, შენ თვითონ ნუ შეგეშინდებაო... მისი დანაპირების შესრულების დროც დადგა! და, ჩემო ლაყუნა, გირჩევ, რაც უნდა მოხდეს, არც შენ შეგეშინდე! ახლა კი გირჩევ: დროზე გამცილდი და ყურდიდას, ბოდიში, როზგა-როზგას მსტოვრებს დაემალე!

ამ დროს დედამიწამ მოულოდნელად ოდნავ შეაზანზარა ის ადგილი, სადაც დიდი საზამთრო იდგა...

საოცარი საზამთრო გატოკდა და რხევა-ცეკვა დაიწყო, აქეთ-იქით შეზარხოშებული კაცივით ქანობდა, გეგონებოდა, ახლა ფეხს აიდგამსო!

საოცარი საზამთროს გარშემო შეკრებილი, შიშისგან გაოგნებული ხალხი ჯერ გააშეშდა, მერე იხუვლა და საზამთროდან განზე გაუტია – ფორმიანი პოლიციელები და დაცვის წევრები თუ სპეცრაზმელები და უფორმო მოქალაქენი ერთმანეთის გასწრებას ლამობდნენ...

– არიქა, თავს ვუშველოთ, ეგ რომ დაიძრას, ხომ გაგვსრისა ტილებივით!

– უფრთხილდით, ხალხო! მისი გაბარიტებიდან და მოვლენების არაპროგნოზირებადი განვითარებიდან გამომდინარე, პოტენციურად მეტისმეტად საშიშია! რომ დაგორდეს, რას უშვრები, შვილოსა – ნახევარ სოფელს გადათელავს და მიწასთან გაასწორებს!

– და მერე საით გაუტევს, ვინ იცის! იქნებ დედაქალაქსაც შემოსწვრეს და იქ ცოლგა-მადლი დაატრიალოს!

ჩვენი გმირთა გმირი, ბურთივით მრგვალი ბაქიბუქა, მისთვის წერწეტა რომ მხოლოდ დაცინვით შეგვეძლო გვეწოდებინა, პანიკური შიშით შეაყრობილი, მორიგი ბანანის ჭამას შეეშვა და კი არ მირბოდა, მიგორავდა და თან ისტერიკულად ყვიროდა:

– ვინც მაგ დაწყევლილ საზამთროს გაეკარა, ყველა ხიფათს გადაეყარა, ავი სული ბუდობს შიგა!.. დამაცა, დედას ვუტირებ, დედასა, ვინც ეგ აგბედითი საზამთრო მოიგონა! ვინც ეგ ბეყერა საზამთრო ჩემთან ახსენა პირველად! ვინც მაგ მაჯლაჯუნა საზამთროს დაპატრონება მირჩია და მაფიქრებინა! საზამთრო კი არა, სატანაა, ყველაფერს სპობს! მთავარია, ჩემს სასახლეს არაფერი ავნოს, დანარჩენი ყველაფერი წყალსაც წაუღია დ მეწყერსაც დაუმარხავს!..

* * *

ამრიგად, სანდაოცეთის მოურავის სახელში სულთნის მიერ ახალი “საავადმყოფოს” საზეიმოდ გახსნის მოლოდინში მყოფი “სამედიცინო პერსონალი” და “ავადმყოფები”, ასევე, მრავალრიცხოვანი ჟურნალისტები, ფოტოკორესპონდენტები, ტელე და კინოგადაღებები ჯგუფები, ამოდელოდენ მისი უბრწყინვალესობა სულთნის მობრძანებას. სხვათა შორის, მომსახურე პერსონალი გადაურჩა კიდევ ერთ ფრიად შრომატევად სამუშაოს: გათვალისწინებული ჰქონდათ, ბაქიბუქას მიერ “ახალი საავადმყოფოს” გახსნისა და შემდგომ ბედნიერ “ავადმყოფებთან” გულთბილი საუბრის შემდეგ, შენობა სასწრაფოდ უნდა მთლიანად დაეცალათ, რათა “პალატები” მაშინვე გადაკეთებულიყო სალხინო დარბაზებად და ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელით დაზინული გრძელთავგრძელი სუფრები გაშლილიყო...

სანდაოცეთის მოურავი ბატონი ტაბოცია ფრიად ყოჩაღი კაცი ჩანდა – მართლა დიდებული სახლი ჰქონდა, ბარაქადა!

ბაქიბუქა იმდენად იმას კი არ ნაღვლობდა, რომ ვერც “ახალი საავადმყოფო” გახსნა და ვერც შემდგომ მოილხინა, უფრო იმას დარდობდა, ლხინის შემდეგ რომ იყო დაგეგმილი ნახევარსაზამთრო-საცურავ აუზში გართობა, ის ჩაუფლავდა... არადა, ოცნებით წინდაწინ რამდენჯერ წარმოიდგინა: წელში გადაჭრილ საზამთროს ერთ ნახევარს, ანუ ნახევარსაზამთროს, მიაღებო ფრანგული საფირმო კონიაკით შეხურებული, მოუთმენლობით აღსავსე ბაქიბუქა, მერე შიგ ჩახტება და, იმავდროულად, მას მიბაძავენ ტურფა პოპოქია და ნარჩევი სამი პური – მომღერალი ქალიშვილები! კინოგადაღებები ჯგუფები კი 12 სხვადასხვა წერტილიდან სინქროულად იღებენ ყოველივეს – იწყება წარმოუდგენელი სანახაობა! ერთნი პირდაპირ ხელით “მოითლიან” წითელ სასუსნავს და პირში იტენიან, მეორენი ახვანცალებენ ხელ-ფეხს და ირგვლივ სურნელოვანი ტკბილი წვენი დგება, მესამენი ამ გემრიელ წვენს ხვრეპენ, მეოთხენი ერთმანეთში ხუმრობით ძიძგილაობენ, ცდილობენ ერთმანეთი წითელ ტკბილ ფაფაში ჩაძირონ!.. კიდევ კარგი, ყველას მაშველი რგოლები აცვია, თორემ მართლა დაიხრჩობოდნენ! ამ ღლაბუცში ისმის ხორხოც-სიცილი, წამოკივლება, ბაქიბუქა კი – განცხრომაშია! ხან ერთ ქალიშვილს წაეპოტინება და პროშტნის, ხან მეორეს ჩაიხუტებს... თუ ქალბატონები ერთმანეთს შიგადაშიგ რაიმე ოინს მოუწყობენ, მთლად უკეთესი!

ბაქიბუქა ტკბილად ღულავს თვალებს და, უცებ სინამდვილეში დაბრუნებული, ბრაზით კბილებს აღრჭიალებს...

სადღაც ღრმა ხეში ჩაგორებულა და დაბეგვილი ფერდების ტკივილმა გონს მოიყვანა! სხვათა შორის, ლაყუჩასა და მის მეგობრებს განზრახული ჰქონდათ ბაქიბუქასთვის ლხინის დროს სახალისო სიურპრიზის მოწყობა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, საოცარმა საზამთრომ უკეთესი გამოსავალი მონახა.

ასევე, უნდა მწუხარებით გაუწყოთ, რომ როგორც გაირკვა, ბაქიბუქას სრულიად უცოდველი დაღმატინელი ძაღლები დაუგლეჯიათ ნეფხვასა და ლომას, ალბათ საწყლების ერთადერთი ცოდვის გამო – ისინიც ხვადები იყვნენ. კიდევ კარგი, ძაღლთა ორი მომგლელი, ვეტერინარი და მზარეული უვნებლად გადარჩენილან, თუმცა, ვინ იცის, ბაქიბუქა რომ ამ ამბავს შეიტყობს, მათ რა ბედი ეწევათ...

ბაქიბუქა საყვარელი ძაღლების დაღუპვის სანაღვლოდ სულ არ ეცალა, არც ბანანების მირთმევა გახსენებია, იმდენად დამფრთხალი გახლდათ. ჩვენი გმირთა გმირი ისეთი განწირული ხმით ბღაოდა და შეველას ითხოვდა, რომ იოლად აღმოაჩინეს მისი ადგილსამყოფელი... სასწრაფოდ გააცუნცულეს ღირიჟაბლისკენ, რათა დაუყონებლივ გასცლოდა, მისი განცხადებით, ამ დაწყველის ადგილს! მაგრამ დახე ბედის უკუღმართობას: ბაქიბუქა მისი ამალით უკვე ღირიჟაბლში იყო გასამგზავრებლად გამზადებული, რომ აღმოჩნდა: თანმხლები სამხედრო ვერტმფრენებიდან საწვავი მოუპარავთ! ვინ და როგორ – ამის გარკვევა არც უცდიათ, უკიდურესად დამფრთხალი ბაქიბუქას ბრძანებით ღირიჟაბლი “მიუნხჰაუზენ ტარასკონელი” მაშინვე სასწრაფოდ ჰაერში აიჭრა, სრულიად დაუნანებლად ფაცხაფუცხით დატოვა პანდურეთის, ბოდიში, უტკბილესი მელონის, ახალი დედაქალაქი საზამთროდიდი და, ყოველგვარი დაცვის გარეშე, გეზი ძველი დედაქალაქისკენ აიღო. კიდევ კარგი, ღირიჟაბლის გამგზავრებას სრულიად უქარო ამინდი დაემთხვა, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ბაქიბუქა მისი ძვირფასი ამალით სადღაც აფრიკის შორეულ კუთხეშიც კი აღმოჩენილიყო და მე იძულებული ვიქნებოდი, კიდევ ერთი წიგნი დამეწერა ჩემი გმირთა გმირის ფათერაკიანი მოგზაურობის შესახებ; ძალიანაც არ შემეცოდებოდა, – ჩემი ნება არ არის? – ღირიჟაბლს პირდაპირ ბანანის პლანტაციაში დაგვამიდი... კიდევ კარგი, გადაგრჩი ამ სახლაფორთო საქმეს: მართალი მოგახსენოთ, ბაქიბუქამ გვარიანად მომაბეზრა თავი, ერთი სული მაქვს, როდის მოვიცილებ თავიდან...

კარი XXIV.
გამოსავალს ლაყუნა პოულობს –
დიდი ძლიერებისილი “ომი” გაიმართა!

ყველა, ყველა და ამ საოცარ საზამთროს რა მოგუხერხოთ?

ზღაპრული ამბის წესი და კანონია – ყველაფერი კეთილად უნდა დასრულდეს, აუცილებლად! და მე რა ნება მაქვს, ასწლებლების წინათ ხალხის მიერ ბრძენულად დადგენილს გვერდი ავუქციო? ჰოდა, მოგახსენებთ: ჩვენს გაჭიანურებულ ამბავსაც დიდი საზამთროს შესახებ სწორედ რომ ბედნიერი ბოლო ექნება, გპირდებით! თუმცა... ზოგიერთ პერსონაჟს, ჩემი შეხედულებით, შედარებით იოლად კი გამოვაძვირებ მათთვის შექმნილი რთული მდგომარეობიდან, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ თვითონ მთლად კმაყოფილი დარჩნენ ჩემი გადაწყვეტილებით...

აგვისტოს მიწურულის მზიანი დილა გათენდა სანდაოცეთში; მცხუნვარე დღე იქნება – საზამთროს დიდ ნაჭერს რომ მოგანატრებს! და ორს, სამსა და მეტსაც კი თავისუფლად გაუშვებ! ჭამით ვერ გაძლებ! უჰ, მეც ამ სიტყვების წერისას – დეკემბრის მიწურულია, ხვალ დავასრულებ “საოცარი საზამთროს” პირველი, ესკიზური ვარიანტის წერას, ზეგ კი ახალი, 2012 წელი გვესტუმრება! – ნერწყვით ამევსო პირი!

სანდაოცეთში დღე-დღეზე ელოდნენ დედაქალაქიდან სამთავრობო კომისიის ჩამობრძანებას, რომელიც ადგილზე გაარკვევდა, პრაქტიკულად როგორ უნდა უზრუნველყოთ სულთნის ნების აღსრულება – საოცარი საზამთროს გადატანა დედაქალაქში; ხონთქრის, ბოდიში, სულთნის, სასახლის ბაღში უკვე გამოყოფილი და მოწყობილი იყო ადგილი მისი განთავსებისთვის. გეგმაში ჰქონდათ წვიმა-მზისგან დამცავი კაპიტალური შუშის საფარით ადგილის გადახურვა, გაგრილება-გათბობის სისტემის მოწყობა და სხვა; შემდგომ განზრახული იყო თვით დიდი საზამთროს ნესტსაიზოლაციო და საკონსერვაციო ნივთიერებებით დაფარვა და მის თავზე ბატონ ბაქიბუქას ოქროს ქანდაკების დადგმა, მაგრამ... მაგრამ ამასობაში, სანდაოცეთში იმგვარად განვითარდა მოვლენები, რომ ამ ჩანაფიქრმა ჩაიღურის წყალი დალია...

ჯობს, თანმიმდევრობით მოგიყვებ, როგორ მოხდა ყოველივე.

დიდიდანვე უამრავი სოფლელი შეიკრიბა საოცარ საზამთროსთან.

– ბიჭო, მაგათ რას ეურჩები, ჯობს, ნებით მისცე სულთანსა! – ურჩევს ლაყუნას მამამისი ნაცერა. – შენ რა, ჩვენს სულთანზე ჭკვიანი გგონია თავი? ნეფეს ვით უტოლდები?

– მამაჩემო, თუ ბაქიბუქას ვჯობივარ ჭკუით, ესე იგი, მასზე ძლიერიც ვარ! – პასუხობს ლაყუნა.

– ხომ იცი, დიდ სულთანთან ჭიდაობა არ ივარგებს, თავს წააგებ! – განაგრძობს თავისას ნაცერა.

– თუ მაგარი ბიჭია, მოვიდეს და დამეჭიდოს! – იცინის ლაყუნა. – რო წამოვიდებ კისრულითა და შენს თვალწინ ბეჭებით მიწას დავახეთქებ, მაშინაც ვერე იგალობებ?

დიდი საზამთროს კი ლაყუნას ეუბნება:

– იცოდე, ბაქიბუქა ისევ არ ისვენებს... რა თქმა უნდა, შენი დიდად მადლიერი გახლავარ, რომ ზრუნვა და მოვლა-პატრონობა არ დამაკელი, მაგრამ თუკი სულთნის ნება ასრულდება, მთელი შენი შრომა წყალში ჩაიყრება...

– ვიცი, ვიცი, ჩემო საზამთროვ! – პასუხობს ლაყუნა. – შინაურიც კი მეჩხუბება, მივაშავოთ ხელმწიფეს ეგ საზამთრო, იქნებ რაიმე წყალბა გვყოს, მაგის შეჭმის ნებას მაინც არ დაგვრთავენო, მაგრამ შენს თავს როგორ დავთმობ? არც სოფელი დაუშვებს, რომ ძალადობამ და უსამართლობამ გაიმარჯვოს!

– მაშ, თუ ვერე გადაწყვიტე, აბა, ჰე, დიდ-პატარას დაუძახე, გაიხარეთ: რასაც ამდენ ხანს ელოდით, აღსრულდა – საბოლოოდ დავმწიფდი!.. გეპატივებით ყველას, ყველას – ნახეთ, დარწმუნდით, რა გემოც მაქვს, დატკბით!.. ჩემი აღსასრულის დღეც დადგა, მე გავქრები, მაგრამ მინარია – რამდენ ადამიანს მივანჭებ კმაყოფილებს და გავახალისებ!

– ჩემო საზამთროვ, ეს დღე მართლაც ყველას დაამახსოვრდება, ვინც კი შენი ერთობლივი შესანსვლის მოვლენაში მიიღებს მონაწილეობას, ეს დიდი ზეიმი იქნება!.. გთხოვ, ერთ რამეში გამარკვიო: რას ნიშნავს – ყველა მოვიწვიო? მთელი დედამიწის მოსახლეობა? შეიგ მილიარდზე მეტ ადამიანს ეყოფი ვითომ? არ მეგონა, თუ ასეთი, მეტისმეტად დიდი წარმოდგენა გქონდა საკუთარი შესაძლებლობის შესახებ!

– არა, ლაყუნავ, მეც მშვენივრად მომეხსენება, მთელ მსოფლიოს კი არა, პანდურეთსაც ვერ ვეყოფი! აი, სანდაოცელებს კი ვპირდები – დიდ სიამოვნებას განაცდევინებ! კიდევ გეუბნები: აბა, ჰე, მოიწვიე შენი თანასოფლელები და მათი სტუმრებიცა, ყველას გავწვდები! ჩემთან შეიყა-

რენით – ერთად ყოფნა თავისთავად დიდად სახალისოა; იცეკვეთ, იმხიარულეთ და მეც უკეთეს გემოს ჩამატანთ!

– კეთილი, რადამც შენი სურვილი ეს არის... – დაეთანხმა ლაყუნა და ირგვლივ შემოკრებულთ შესძახა: – ვერა, ვერ ეღიროსება ბაქიბუქა ჩვენი საოცარი საზამთროს დაპატრონებას! მაიტათ ერთი დიდი დანა!

– რათ გინდა, კაცო!

– დრო მოსულა – ჩვენი საოცარი საზამთრო უნდა დაგვტრათ, ეს მისი ნების ასრულებაც იქნება!.. ხომ მიირთმევთ დიდი სიამოვნებითა, ჰა?

– მაშა, მაშა!

– ჰოდა, მანამდე საოცარ საზამთროსთან გამოსამშვიდობებლად ყველამ ხელი მოვაწეროთ მის მრგვალ გვერდზე – ნუ გეშინიათ, მის ბარაქიან ფერდზე მთელი პანდურეთის მოსახლეობის ხელმოწერაც კი დაეტევა! ვისაც სურს, ლექსი წააწეროს, ან სურვილი, ან მიმართვა, ან ნატვრა – ვისაც რა გაუხარდება!.. აბა, ჰე, შევეჯიბროთ ერთმანეთს საოცარი საზამთროსადმი სიყვარულის გამოხატვაში!

– ლაყუნ! მე მთელი პოემა ვუძღვენი, შაიძლება? – ეკითხება ჭკუამხიარული აბლაყი. – ამისთვის წერა-კითხვის სწავლა მომიწია!

– როგორ არა, ადრეც ბევრს დაუმშვენებია წარწერებით საოცარი საზამთროს გვერდები, მაგრამ ახლაც იმდენი თავისუფალი ადგილია დარჩენილი, ას და მეტ პოემასაც ეყოფა! მერე ის შენი ნაწერი კონტად ამოტყერი და ქერქი შინ წაიღე შენი სიყვარულის და საოცარი საზამთროს სამახსოვროდ – შენს შვილთაშვილებთან იამაყებ!

მიესია ხალხი, ზოგი ნახშირმომარჯვებული, ზოგს – ცარცი უჭირავს ხელში, ზოგს – ჯიბის დანა, ზოგს რა და ზოგს რა; ვინც ვერაფერი იშოვა, წვეტიანი ქვით ამოფხანა, რისი წარწერაც გულით სურდა.

– გამიშვით, ჩემი დროც მოვიდა! – დაიძახა ლაყუნამ. – მაიტათ ჩემი გაფხავებული მწვემისი დანა! არა, არ მამწონს, ამოტოლა საზამთროსთვის ესა კბილის საჩიჩქნა ჰგავ, უფრო დიდი არავის აქვს? მამაპაპური საგმირო ღახვარი მაიტათ!

– ეჰ, ძველებური იარაღ-საჭურველი ვისდა აქვს, სულ მოხეტიალე ტურისტებს მიჰყიდეს ან ჯართად ჩააბარეს, მხოლოდ ქალაქს თუ ნახავ – მუზეუმში!

– არც სათული შერჩა ვინმესა?

ბოლოს, მიურბენინეს ყასაბ ღომფაშოს გრძელი დანა, კარგად ალესილი, სულ ავად გაუდიოდა ლაპლაპი.

– ამას თითქო არა უშავ რა!

– ბიჯო, – ეუბნება ერთი ხნიერი კაცი, დურგალი დოლა, ლაყუნას, – ჭკუით იყავ და ქვევიდან მოჭრა არ გაბედო, არ შაიძლება – ვერა ხედავ, საოცარი საზამთრო ჩვენი მოურავის სახლზე ბევრად დიდია, რა ვი, იქნებ – სულთნის სასახლეზეც და უცებ რომ ჩამოიქცეს ან დაფერდეს, სად მიდიხარ, შვილოსა, ხომ მოგიტანა ქვეშა! ნატვრების მოჭრა აუცილებლად ზევიდან უნდა დაიწყო!

– სწორი ბრძანდები, მე კიდენა სხვა რამ მადონებს: ვაჰ, იქ, საზამთროს წვერზე როგორღა ავიდე? – დაფიქრდა ლაყუნა. – მიუდგომელი “ქაჯეთის ციხეა”, ფეხს ვერაფრით მოიკიდებ, არც ხელმოსაჭიდი რამ ჩანს... საგანგებო სიტუაციების არე-დარევის ვაზირ ძრომიდალას საგანგებოდ გაწურთნილ-ნავარჯიშევ ბიჭებსაც კი გაუჭირდათ მადლა აძრომა... ვერა, ასე ადვილად ვერ მოვექცევი საზამთროს თავზედა...

ერთი ამბობს:

– ბიჯო ლაყუნ, საზამთროს ლერწს აღმა გაჰყე! კონტად ზედ ყუნწთან გახვალ – საზამთროს “მწვერვალზე”!

მეორე ფრთხილობს:

– არა, ძმაო, საშიშია: უკვე გახმობას იწვებს და გაუძლებს კი კაცის სიმძიმესა? უცებ რომ გიდალატოს – ეგ შენი ლერწი გაწყდეს და ჩიტვივით გადმოფრენა მოგიწიოს?

მესამე ხუმრობის ხასიათზეა:

– მადლა ასვლა თუ გინდოდა, ერთი ოცდაათი წლით ადრე აქ, მის გვერდზე, ალვის ხის ნერგი უნდა დაგერგა და ახლა გამოგადგებოდა – იქიდან ისკუპებდი!

– ეგ საყვედური თუ დაგვიანებული რჩევა მამაჩემს უთხარი, ოცდაათი წლის წინათ მე დაბადებულიც არ ვიყავი, – უპასუხა ლაყუნამ. – ამ საოცარ საზამთროსზე აბობლებას კი რამენაირად შეგძლებ, აბა, დამწკრივდით, ბიჭებო!

ერთი ბიჭი მეორის მხრებზე დადგა, მესამე აძვრა და მეორის მხრებზე აცოცდა და ასე – სადამდისაც შესძლეს, ათამდე მარჯვე ბიჭი ძველებით აიზიდა ზევით... სულ ბოლოს კი ლაყუნა აძვრა, მაგრამ საოცარი საზამთროს წვერამდე მანაც ბევრი დარჩა.

– ჰა, კიდევ რამდენიმე კაცი გვჭირდება, მოგვეშველეთ!

ერთხანს ამოდ უხმობდნენ მამაც მოხალისეს, მაგრამ მეტი მსურველი უფასო საცირკო წარმოდგენაში მონაწილეობისა, სამწუხაროდ, არ აღმოჩნდა და ძველები ჩამოიშალა.

– არაფერი გვეშველება! პარაშუტით თუ გადმოვახტუნებთ ლაყუნას საოცარი საზამთროს წვერზედა, სხვა საშველი არ ჩანს!

– ალპინისტები უნდა მოვიწვიოთ ან მეხანძრენი თავისი გრძელი კიბითა! – დაღონებულთა გასამხნეველად იხუმრა ლაყუნამ, მერე უცებ წამოიძახა: – კიბე, კიბე! აბა, სოფელში ყველაზე გრძელი კიბე ვისა აქვს!

მოიტანეს ყველაზე გრძელი კიბე, რომელიც კი სოფელში მოიძებებოდა...

– არა, არა ჰყოფნის... ბიჭებო, დოლას დამიძახეთ, დურგალ დოლასა, მაგარი ოსტატია, ის შეძლებს გრძელთაგრძელი კიბის შეკვრასა!

დოლას გაკეთებული კიბე საზამთროს მრგვალ გვერდს მიაყუდეს; ლაყუნამ ერთი დანა ქამარში გაიჩყო, მეორე, უფრო დიდი დანა, მხარიდლივ გადაიკიდა ხმალივით, და ზევით-ზევით აუყვა კიბეს.

– ბიჯო, ლაყუნ, სიმაღლის ხომ არ გეშინია?

– მეშინია და მეტი არა? შენი ბებო მიაყვა, იმას ვენდობი, მეტს არავის – მე ჩამოვალ და ის ავიდეს!

მიადწია ლაყუნამ კიბის ბოლოს, მერე რაღა ჰქნას? დოლას გაკეთებული კიბის სიგრძეც არ იყო საკმარისი...

დოლას მეორე კიბეც გააკეთებინეს, ის მეორე გრძელი კიბე პირველს წააბეს... რა უბედურებაა – კიდევ ბევრად უფრო ზევით არის ასასვლელი!

მოიმარჯვა ლაყუნამ ის ყანბის დანა და შეუდგა საოცარი საზამთროს ფერდზე ნაფხურების ამოჭრას, თითქოს ალპინისტი იყო ყინულოვან ფერდობზე – უკვე საკმაოდ მაღლა მოახერხა ამრომა და ფერდი ისე ციცაბო აღარ იყო – და ასე ნელ-ნელა მიიწევა ზევით-ზევით...

ლაყუნამ საზამთროს მწვერვალს მიადწია, დიდი დანა ზე აღმართა, ხმალივით დაიქნია და დასჭყვივლა:

– ჰაიტ, ახლა ვიწყებ ომსა, აი!

რომ დაუსვა ლაყუნამ საზამთროს ჭრელ ზედაპირს – ზუსტად ერთ-ერთი მუჭი და ბაცი ზოლის საზღვარს დაუყვა ქვემოთ სიგრძივად, მერე – ორი მტკაველი გადაზომა ხელმარჯვნივ და ისევ ჩამოუსვა დანა – ისევ სიგრძივად...

ქვემოდან ხელმოჩრდილვით უცქერიან მოწიწებით, ზოგი ამხნეებს:

– შენი ჭირიმე, ბიჯო, ეგრე, ეგრე უნდა, შაუტივ, მაგ გაბერილსა!

ზოგი – დასცინის:

– მიდი, მიდი, გერან, რისა გეშინია – ვითომც ჩვენი მოურავის, ტაბოციას, ათფუთიანი დორისთვის გაგიყრია გულში!

ტაბოცია იქვე ტრიალებს, იმუქრება:

– ეს ღალატია ჩვენი დიდი სულთნისა და სახელმწიფოს წინაშე! სისხლის სამართლის დანაშაული! დროზე ჩამო, თორემ ინანებ!

ლაყუნა იმ სიმაღლეზე იყო, ქვევდან ხმა სუსტად აღწევდა და არც ეცალა მოსასმენად; ორ ზოლს შუა ჩაარჭო დანა, ცოტა გვერდზე მიხარა და თავისკენ მოქაჩა...

საზამთროს ნაჭერის ამოღება სწადდა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო!

– ნამეტანი დიდი მომივიდა, ეს ოხერი, – წამოიძახა ლაყუნამ, ქვევით ჩამოსძახა: – ჩემთან შინ გაიქეცით და პაპანემის პაპის ნაქონი ძველთაძველი ხმალი გვაქვს კედლის ხალიჩაზე ჩამოკიდებული, იქნებ ის გამოდგეს წამალი!

გაიქცნენ და მოიტანეს, ლაყუნას მიერ ზევით ჩამოგდებული თოკის ბოლოზე მიაბეს.

აქაჩა ლაყუნამ პაპისეული ხმალი და ქარქაშიდან რომ ამოაძვრინა, მზის სხივნაკრავი მისი პირი ისე აელვარდა, ღამის თვალები დაახუჭვინა ყველას.

ლაყუნამ ახლა ის დაუსვა ორმხრივ ძველ ნაჭრილობებზე საზამთროს, ტარამდე დავიდა, მიწია, მიწია... მერე ზედა კიდეზე ხელი მოჰკიდა და თავისკენ მოქაჩა...

ეჯაჯგურა, ეჯაჯგურა...

ხალხი ამხნეებს, ზოგი – ისევ დასცინის, მაგრამ სად აქვს მათი მოსმენის თავი!..

უცებ მოსკდა ეს საზამთროს ამოჭრილი სეგმენტი, ზევით ამოვარდა და ეს ჩვენი ლაყუნა კინაღამ ქვეშ მოიტანა! კიდევ კარგი დროზე უშვა ხელი!

და ისევ და ისევ – კიდევ კარგი, საოცარ საზამთროს ზედა ნაწილი იმდენად ფართე ჰქონდა, რომ ეს ნაჭერი ძირს არ გადმოვარდა, თორემ... რბილი კი იყო, მაგრამ ვინმეს რომ თავში დასცემოდა, დიდ სიამოვნებას ნაღდად არ განაცდევინებდა!

ჰო-ჰო, რა წითელმა გულმა გამოანათა! ეჰ, აქ არ იყო, თორემ მისი ხილვა ბაქიბუქას დიდ სიამოვნებას განაცდევინებდა!

ლაყუნამ გრძელი თოკი, რომლის ცალი ბოლოც ქვევით ეჭირათ ბიჭებს, საზამთროს ნაჭერს გარდიგარდმო გადაატარა და კვანძიც შეკრა, მერე დიდის ჭაპანწყვეტით გააჩონა მეორე მხარეს... ქვევით მყოფმა ბიჭებმა თოკი ნელ-ნელა მოაბოშეს, უზარმაზარი ნაჭერი საზამთროს მეორე მხარეს აუჩქარებლად ჩააცურეს და ქვევით-ქვევით ნელ-ნელა დაუშვეს.

ზოგიერთი სულსწრაფი მივარდა დანებით წითლად მოღუდღუდე ნაჭერსა, მაგრამ ლაყუნას რაზმელები ფხიზლად იყვნენ და ახლოს არავინ მიუშვეს.

- რა დაგემატათ, ხალხო, ნუ გადათელეთ ერთმანეთი, ყველას ეყოფა! გაიწით გვერდზე, ვინმე არ დამარცხდეს! - დაიყვირა საოცარი საზამთროს წვერიდან ლაყუნამ, თან უცნაური სანახაობით ფრიად ხალისობდა.

ამგვარი გაფრთხილების შემდეგ, ლაყუნა ისევ მარჯვედ დატრიალდა; მეორე ნაჭერიც ჩამოაცურეს ქვევით ბიჭებმა, მესამეც და მეათეცა!.. საქმეს ბოლო არ უჩანდა!

- ამას საზამთრო ვინ დაარქვა? საზამთრო კი არა, საზაფხულო უნდა ერქვას!

ყველაზე მარიფათიანებმა ხანჯლები მოაცუნცულეს სახლებიდანა და ურიკებიც, ზოგიერთებმა კი ურმებიც მოაგორეს - ჭრიდნენ და საზამთროს დიდ-დიდ ნაჭრებს ზედ აწყობდნენ...

დაღლილ ლაყუნას მისი რაზმელი ყოჩაღი ჯეკლები შეენაცვლნენ - თოკის კიბე გამართეს და იოლად აძვრნენ მალდა.

და ამ მშვენიერ დღეს, ვითარცა მოსისხლე მტერს, ნერწყვმომდგარი დაესია საოცარი საზამთროს ნაჭრებს ქალიცა და კაციც, მოხუციცა და ახალგაზრდაც, ბავშვებზე ხომ რაღა ითქმის - ჟივილ-ხივილით იკლებდნენ იქაურობას! საკვირველია, თან მშვენივრად ჭამასაც როგორ ახერხებდნენ! მერე კი კაციშვილის ხმა აღარ ისმოდა, მხოლოდ თქლაფათქლუფი - ვინც ლაყუნას გასამართლებითა და ციხით ემუქრებოდნენ, ყველაზე მეტად სწორედ ისინი ამუშავებდნენ ყბებსა; სულ არ ნაღვლობდნენ, რომ ნიკაპზე წითელი სითხე ღვარად ჩამოუდიოდათ და პერანგ-შარველები წვიმაში მოხვედრილებივით დაუსველდათ...

დიდ-პატარას ხელში საოცარი საზამთროს დიდ-დიდი ნაჭრები უჭირავს და განცხრომაში! ბევრი უდანოდაც მშვენივრად გადის იოლას და ყურებამდე ტკბილი წვენი მოთხვრილნი, სიამით კვლავ და კვლავ ჩაასობენ კბილებს საზამთროს წითელ "ხორცს"...

იფ-იფ-ფიფ, მეც კი, ამის დამწერს, ნერწყვი მომადგა!

თაფლი იყო, თაფლი!

კურკები ჰქონდა იმხელა, რიყის ქვასავით დიდი - ფრთხილად უნდა ყოფილიყავ, ფეხზე არ დაგცემოდა!

- რა გერქარებათ, თქვე კაი ხალხო - ყველას ეყოფა! - ამუნათებს მოჯიკავე თანასოფლელებს ლაყუნა.

მართლაც, შიში არაფრისა უნდა ჰქონდეთ - რა აუვა ამხელა "მთის" შეჭმას! ამას გარდა, იმდენი საზამთროს ქერქიც დახვავდება, მთელი სანდაოცეთის ღორებიც გაიხარებენ, ძროხებიცა და დიასახლისებიცა! ეს უკანასკნელები მშვენიერ საზამთროს მურაბას მოხარშავენ, თანაც იმდენს, რომ, ნათესაობასა და მეგობარ-ნაცნობებს ხომ დაურიგებენ, მთელ პანდურეთსაც მოედება მათი ნახელავი! საზღვარგარეთაც გაიტანენ: ვინ არ იყიდის, როცა ქილაზე ეწერება: "სახელგანთქმული დიდი საზამთროს საოცარი მურაბა"!

ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ლაყუნამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდსულოვნება გამოიჩინა და არ იკადრა ძმებისთვის სამაგიეროს გადახდა; მეტიც, მოიპატიჟა ისინი საერთო დღესასწაულზე! ლაშუნა, ლაფა, ლაჩინა და ლაჯუნა ჯერ მორიდებით მოცუნცულდნენ საოცარ საზამთროსთან, ახალმოყვანილი პატარძალივით მორცხვად აიღეს თითო-თითო ნაჭერი საზამთროსი, მერე და მერე კი ისე შევიდნენ ეშხში, რომ შენი მოწონებულნი!

სამი დღე და სამი ღამე შეუსვენებლივ მიდიოდა ტკბილი "მადნის" უზარმაზარი "საბადოს" საგულდაგულო დამუშავება. მართალია, შეჯიბრი საზამთროს სწრაფ ჭამაში არ გამართულა, ისე კი მაგრად ამუშავებდნენ ყბებს; არანაკლები ჯაფა დაადგათ კბილებსაც, მაგრამ არა, არა, ვტყუი - ეს გადაჭარბებული მომივიდა - საზამთროს ჭამისას ისეთი რბილად ჩასაკებნი და დასადეჭი რბილობი აქვს, უკბილოც მშვენივრად უმკლავდება...

აი, სხვა მხრივ კი მართლაც წარმოიშვა ერთგვარი უხერხულობა...

ვთქვა თუ არა?..

ვიტყვი!..

მოგეხსენებათ, საზამთროს, სანაქებო გემოსთან ერთად, ბოდიში და, ძლიერი შარდმდენი თვისებაც ახასიათებს... და, რაღა გასაკვირია, რომ მისი უზომო რაოდენობით მირთმევის შემდეგ, ხშირ-ხშირად შენიშნავდი გაჭირვებულთა სირბილს მოფარებული ადგილების მოსაძებნად... ჰოდა, "დიდი საზამთროჭამიობის" დღესვე, საღამოსპირს, მდინარე სანდაოცეთურა მოულოდნელად მოდიდა, მერე - აღიღდა და იმდენად, რომ პეტრიკელას წისქვილი მოარღვია და წაიღო... კიდევ კარგი, ამ დროს თვითონ მეწისქვილე წისქვილში არ იმყოფებოდა - ამ დროს სხვებთან ერთად დიდი საზამთროს ნობათისადმი პატივის მიგებით იყო დაკავებული, თორემ ისიც, მდინარის მიერ გატაცებულ წისქვილთან ერთად, ქვემოთ რამდენიმე ათეულ კილომეტრში გამოირიყებოდა ან, არ არის გამორიცხული, უარესიც დამართნოდა... გადარეულმა მდინარემ გზა-გზა სხვა გამირობებიც ჩაიდინა: ალაგ - ხიდები წაიღო, ალაგ - ჯებირები მოარღვია, ნაპირი გადალახა და ყანა-ბაღები დატბორა, ალაგ - სოფლებსაც მიუხტა და სახლებში შეიჭრა; ბოლოს - დედაქალაქ პანდურდიდსაც უწია, დაბალზე მყოფი უბნები არ დაინდო და მრავალი სახლი საცხოვრებლად უფარგისი გახადა... სტიქიური უბედურების ასეთი მასშტაბი მდინარის უბრალო ადიდების გამო არ არის გასაკვირი: ბიუჯეტში შესაბამისი მუხლით გამოყოფილი ფული, ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებისა და ჯებირების აშენების მაგივრად, დახარჯეს საზღვარგარეთის ტელეარხებზე საჩვენებელი კლიპებისა და უცხოურ პრესაში დაკვეთილი წერილების განსათავსებლად: რო-

გორი საოცარი წარმატებები მოიპოვა პანდურეთმა ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში – გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის, სულთან ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენის ჩერჩეტ-წერწეტის, სანაქებო ხელმძღვანელობით...

დავუბრუნდეთ ჩვენი საოცარი საზამთროს ამბებს.

ღიახ, სანდაოცელნი მიეცემიან უზრუნველ დროსტარებას – დიდი ზეიმი!

ამოდენა ტკბილ “საბადოს” მხოლოდ ჭამით ვერ გაუმკლავდებოდნენ და ხელი მიჰყვეს საზამთროს წვენიდან ბადაგის დადუღებას, ზოგმა წვენის დუღილის შემდეგ არაყი გამოხადა, სხვამ – შინ სარდაფში პატარა კუსტარული “ქარხანა” გამართა და ლეგენდად ქცეული საზამთროს შესქელებული წვენი ბოთლებში და ქილებში ჩამოასხა გასაყიდად.

მეოთხე დღეს: საოცარი საზამთროს გაქრობის შემდეგ, იმ ადგილზე წარმოიშვა უზარმაზარი სიცარიელე... რაღაც ფრიად დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენა სოფლის ცხოვრებაში უკან დარჩა და, ფრიად საგრძნობი დანაკარგის გამო, სინანულის გრძობა წარმოშვა...

არა, მთლად უკვალადაც არ გაქრება საზამთრო – მისი ხატება სამარადჟამოდ დარჩა მოგონებებში: დიდედები და პაპები შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს მოუთხრობენ საოცარი საზამთროს ამბავს, ზოგიერთებმა ლამაზი ზღაპრებიც შეთხზეს და კიდევ უფრო გააცისარტყელურეს, ფერადოვანი წარმოსახვით გააღამახეს საოცარი დიდი საზამთროს ამბავი.

* * *

როგორც ყველა ზღაპარი, ჩემი გაჭიანურებული მონათხრობიც, როგორც დაგპირდით, კეთილად სრულდება: მთელი სოფელი სანდაოცეთი ილხენს – საოცარ საზამთროსთან ხომ პირს უფრო ბავშვები იტკბარუნებენ, უფროსობაც საზამთროს მიირთმევს – და არა მხოლოდ მას! – გრძელ სუფრაზე, რომელიც სანდაოცეთურას ჭალაშია გაშლილი, სადაც ადრე ბოშათა ბანაკი იყო, აი, იქ მიდის დროსტარება! ბოშები კი სადღა არიან? როგორც უჩუმრად გამოჩნდნენ სანდაოცეთში, ისევე მოულოდნელად გაუჩინარდნენ – ეტყობა, ატეხილ აურზაურს მაშინვე გაეცალდნენ... ისე კი, სანდაოცელებს ამ ბოლო რამდენიმე დღეში იმდენი საფიქრალ-საზრუნავი ჰქონდათ და საკმაოდ შიშაც განიცადეს, რომ მათი არც მოსვლისთვის მიუქცევიათ ყურადღება და არც უცაბედი გაუჩინარება გაკვირვებით – ამისთვის ვის სცხელოდა!

სანდაოცელებმა მეზობელი სოფლებიდანაც დაჰპატიჟეს ნათესავ-მეგობრები – მეტოქენი მოქარგული სადღეგრძელოების წარმოთქმაში, გრძელი სუფრული სიმღერების შესრულებაში, ცეკვა-თამაშში, ჯიხვის ყანწების ტრიალში და სადღეგრძელოების ენამზეობაში!

ლხინის დაწვებამდე და, სულ ბოლოში, თაფლა საზამთროს დიდ-დიდი ნაჭრების ჩამოარიგებამდე, ბევრი სხვა რამის დაგემოვნება მოუწიათ: ზეიმი, დიდი ზეიმი – შეჯიბრი ჭიდაობაში, კაფიაობასა და ლექსების გამოთქმაში, სათამაშოების, დედოფალებისა და თოჯინების კეთებაში, ზღაპრების მოყოლაში!

და სწორედ ამ დროს ბატონ ბაქიბუქას გამოგზავნილი ემისრები, ამჯერად ვაზირთ ვაზირ ღიახ-ღიახის თამადლობით, ისევ ჩამობრძანდნენ სანდაოცეთს – რამდენიმე სამხედრო ვერტმფრენით დიდი საზამთროს წასაღებად! ბაქიბუქა საკუთარ ახირებას ვერა და ვერ ელევა, მაგრამ სადღაა დიდი სულთნისთვის მისართმევი – ნახევარზე მეტი უკვე შეჭმული ყოფილა! ღიახ-ღიახსა და მის ხელქვეითებს რაღა უნდა ექნათ, თავში ცემით და გლოვით საქმეს მაინც ვერაფერს უშველიდნენ; ღიახ-ღიახი საკმაოდ ჭკვიანი გამოდგა და საუკეთესო გადაწყვეტილებას მიაგნო: უარი არ თქვა ლაყუნას წინადადებაზე! ჰოდა, თვითონაც კოხტად მიუჩონდა დიდ საზამთროსა, რა თქმა უნდა, თავის ამფსონებთან ერთად, და დიდ-დიდ ნაჭრებს ისეთი ეშხით მიეძალდნენ, მოგეცათ ლხენა – დოლაბებივით ამუშავებდნენ ყბებსა და სიამისგან კამეჩებივითა ფშვინავდნენ! ამ დროს ალბათ საწყალ ბაქიბუქას ასლოკინებდა და ასლოკინებდა, ვერ კი გაეგო მიზეზი!

ამრიგად, ღიახ-ღიახი უკან ხელმოცარული გაბრუნდა, თუმც ბაქიბუქას გულის მოღობა ფანდით სცადა – თან პირმშვენიერი პოპოქია მიჰყავდა!

სანდაოცეთში გამართულ იმ დიდ დღესასწაულს მეც დავესწარი, და ვადასტურებ – ღმერთმანი, ეგეთი გემრიელი საზამთრო ჯერ ჩემს დღეში არ შემხვედრია!.. მხოლოდ ერთ რამეზე კი ფრიად დამწყდა გული, ხომ იცი: გარკვეული მიზეზების გამო, შეჯიბრი საზამთროს სწრაფ ჭამაში არ ჩატარებულა! მე კი არ ვაპირებდი შეჯიბრში ჩართვას, ღმერთმა დამიფაროს, თუმც საზამთრო ძალიან, ძალიან მიყვარს, არა, სულთან ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენის ცერცვტ-წერწეტას გმირული შემართების ხილვა მეწადა ძალიან – უკეთესს რას ნახავდა კაცი! ფრიად მაინტერესებდა, რამდენ კილოგრამ საზამთროს გაუმკლავდებოდა ჩვენი გმირთა გმირი? ეჭვიც არ მეპარება: გინესის რეკორდსმენთა სიაში საპატიო ადგილს ნამდვილად დაიმსახურებდა!

აფსუს, დიდებულ სანახაობას ვერ მოვესწარი!

კარი XXV.

ვემშიდობებით ალაღ ლაყუჩას,
 ბრძენთა ბრძენ ბაქიბუქასა
 და პირმშვენიერ პოპოქიას...
 გაუმარჯოს საოცარ დიდ საზამთროსა!

ჩემი სვე თითქმის ბოლომდე გავიტანე და მოკლე ხანში მკითხველს დავემშიდობები... მანამდე კი, ცოტა მოსაყოლი კიდევ დამრჩა.

რას აკეთებდა ბაქიბუქა, სანამ მე საოცარი საზამთროს სხვებთან ერთად გემრიელად მივირთმევიდი? ამასაც მოგახსენებთ და მოკლედ – ბრძენთა ბრძენის შემდგომ ბედსაც...

სანდაოცეთში ბაქიბუქას მიერ წარმოთქმული ბრწყინვალე სიტყვის შესახებ პანდურელნი მეორე დღეს ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებებს:

– ეს დაქოქილი კოკობზიკა, საკუთარ თავს რომ “პანდურელთა მამას” უწოდებს, ნეტა გაფუჭებული გრამოფონი ხომ არ არის, ყველგან სულ ერთსა და იმავეს იმეორებს: პანდურეთის გიგანტური წარმატებები დემოკრატიის არნახულ გაფურჩქნაში და მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში; რა თქმა უნდა, გულისხმობს, რომ მისი ბრძნული წინამძღოლობით... განათლება, კულტურა, ჯანმრთელობის დაცვა, უშიშროება და სხვა ხომ იმ დონეზე ავიდა, უცხო ქვეყნებიდან ჩამოდიან გამოცდილების გასაზიარებლად! დანარჩენ ქვეყნებში – საშინელი კრიზისი და “ჩამოშლა” ყველა მიმართულებით...

– მაგრამ გუშინ მისი გამოსვლა განსაკუთრებით შთაბეჭდავი გამოდგა! ნამდვილად კარგი სანახავი იყო, მე და ჩემმა ღმერთმა, დიდად ვისიამოვნე – ჩვენი ბაქიბუქას თითო ყური სულ ცოტა ნახევარმეტრიანი მაინც იყო!

– მომილოცავს, მომილოცავს, ბაქიბუქამ ბაქიბუქასა და ტყუილების დახვავებაში ახალი რეკორდი დაამყარა, ტელევიზორში ყურების მეტი არაფერი ჩანდა!

ბაქიბუქამ იმ დღეს, სანდაოცელთა წინაშე გამოსვლის დროს, ერთი კეთილი საქმე მაინც გააკეთა – ფრიად გაახალისა პანდურეთისა და მთელი მსოფლიოს ტელემყურებლები!

ბოლოს კი, თვითონ რა ხასიათზე გახლდათ? უარესი არ შეიძლება!

როცა ბაქიბუქას ხევიში მიაგნეს და დირიჟაბლით სასწრაფოდ დედაქალაქში გადაიყვანეს, ლოგინში მოსაფერიანებლად ჩაწოლილმა, ბრძანა (თან კრუსუნებდა, თან მორთმეულ ნაირ-ნაირ საჭმელ-სასმელს გამალებით გემრიელად გეახლებოდათ):

– წყეულიმც იყოს სოფელი სანდაოცეთი, ჯანდაბას იქაურთა თავი, არაფრის ღირსნი არ არიან!.. ოხრები, გათახსირებულები, ასე უნდა სცენ პატივი მათი სახელმწიფოს პირველ პირს?.. ნამუსგარეცხილები, უმადური ღორები!.. როგორ არა, დედაქალაქს იქ გადავიტან კი არა, მიაყენეთ ბუღდოხერები და მიწასთან გაასწორეთ, მაგათი... შემდეგ გადახანით და კონინდარი დათესეთ, ამ დაწყვეტილი სოფლის კვალიც არ დარჩეს!

– თქვენო ბრწყინვალეებო, დიდ საზამთროს რა მოგუხერხოთ? – კითხვა მორიდებულად გაბედა და ვაზირთ ვაზირმა დიახ-დიახმა.

– მართლა ეგეთი სულელი ხარ, თუ ძალად იაბდლებ თავს? ყვეყნების უსტაბაშო, გაუნათლებლო ბრიყვო, მაგას რა დიდი ტვინიკოსობა უნდა, რომ მიხვდე: დიდი საზამთრო საჩქაროდ გადმოსატანია ჩემი სასახლის ბაღში! ახლავე დაიწყეთ საზამთროს ფორმის შუშის ახალი სასახლის მშენებლობაც!

– დიდო სულთანო, ადრეც ვცადეთ და ვერაფრით მოვახერხეთ – შესაფერისი გზა რომ არ არის, როგორ წამოვიდოთ?

– ტვინდასეტყვილო რეგვენო, ჩიტირეკია ხეპრეკ! სულ ფეხებზე მკილია, როგორ მოახერხებთ ჩემი დიდი საზამთროს დედაქალაქში გადმოტანას, თუნდაც სანდაოცელები დააწვინეთ იმ გემრიელ ლაფში და მათ ტანებზე გადმოატარეთ! ხომ გითხარი, ბუღდოხერები გამოიყენე – გზასაც გაიყვან და იმ დაწყვეტილ სანდაოცეთსაც დედა უტირეთ! დროზე, დროზე გაინძერით, თქვე წელმოწყვეტილო მკვდრებო, თუ არ გინდათ, ეგ ჩლუნგი თავები დაგაყრვეინოთ!

ბაქიბუქას ხუშტურების ატანა დიახ-დიახსაც კი ყელში ამოუვიდა, გაიფიქრა: “ნუთუ არაგინ გამოჩნდება ისეთი, ვინც ამ ბაქიბუქას ლაგამს ამოსდებს?”, სულთანს კი მაშინვე მდაბლად დაუკრა თავი:

– თქვენო უბრწყინვალესობაგ, ყველაფერს ვიღონებთ, რათა თქვენი დაგალება უმოკლეს დროში შევასრულოთ – დიდი საზამთრო თქვენს ბრწყინვალე სასახლეს მალე ბრწყინვალედ დაამშვენებს!

დიდი საზამთროს ხსენებაზე ბაქიბუქას საოცრად მოუნდა საზამთროს ჭამა და სანამ სანდა-ოცეთიდან “საკუთარ” დიდ საზამთროს ჩამოუტანდნენ, თურმე ასი ჩვეულებრივი საზამთრო შეთ-ქველიფა. გასკდა თუ არა ჭიპზე ამგვარი ღორმუცელობისგან მისი უმაღლესობა, ჩემთვის უცნო-ბია და, მართალი გითხრათ, არც მინტიერესებს...

წინ გადავხტები ამბის მდინარებაში და ახლავე მოგახსენებთ, რომ, სულთან ბაქიბუქა I ბრძენთა ბრძენ ცერცეპტ-წერწეტას, სანდაოცეთში გატარებული საოცარი დღის შემდეგ, საქმე კი-დეგ უფრო ცერად წაუვიდა... საოცარი საზამთროს არამცთუ ხილვა აღარ ღირსებია, მისი ერთი ნაჭერიც კი არ დაუგემოვნებია... ეგ არაფერი, ბევრად თავში საცემი ამბებიც იგემა – პანდურ-დიდში დაბრუნების შემდეგ, მეორე დღით, კარგად გამოძინებაც არ აცალეს და, საერთო-სა-ხალხო აჯანყების შედეგად, სულთნობასაც გამოემშვიდობა... ბაქიბუქას, სასამართლოში მისი მრავალრიცხოვანი ბრალდების მრავალტომიანი საქმის განხილვის მოლოდინში, წინასწარი პა-ტიმრობა მიუსაჯეს და ბედს უნდა მადლობას სწირავდეს, რომ ცოცხალი გადაარჩა. მის სულში ბოლმის ცეცხლი ბრიალებს, იგონებს მკითხავი ბოშა ქალის, რადას, წინასწარმეტყველებას და გულში ღვარძლიანად აგინებს, შიგადაშიგ – ფრიად ხმამაღლად!..

ბაქიბუქამ მოახერხა “საჭირო ხალხის” მოსყიდვა და გასამართლებისგან თავის გადარჩენა – არც არის გასაკვირი: ისეთი გაქნილი გაიძვერა, კეველის ხერხელში გაძვრება! – და პანდურეთი-დან გაქცევა მოახერხა კიდევც, თანაც, მარტომ კი არა, – პოპოქიასთან ერთად! ამისთვის დას-ჭირდა უღალი წვერ-ულვაშის მოპარვა, თავზე პარიკის დაკოსება და წითელი ფერის სამოსზე უარის თქმა, რათა ვინმეს არ ეცნო! ბაქიბუქამ რატომ აიკრა გულა-ნაბადი, სავსებით გასაკვებია, აი, პანდურეთიდან როგორ გაიქცა, ამის გარემოებები კი ჩემთვის ჯერჯერობით უცნობია; შემიძ-ლია, მხოლოდ ვივარაუდო. კი ესეკვდილებოდა ჩვეული სასახლის დატოვება, მაგრამ სხვა რა ჩარა იყო – სულ ცოტა, ხეზე ფეხებით დაკიდება ემუქრებოდა! ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ საპატიო ყარაული არ აცილებდა და არც ვინმე ნათესავი თუ ახლობელ-მეგობარი, – ჰყავდა კი მეგობარი საერთოდ? – ჩუმად გაიპარა პოპოქიასთან ერთად...

რაც ბაქიბუქას თავს გადახდა ტახტის მიტოვების შემდეგ, რატომ და როგორ მოხდა ყოვე-ლივე სინამდვილეში, ყველაფრის თქმას ახლა ვერ მოვახერხებ... ის კი შემიძლია, დარწმუნებით მოგახსენოთ: შემდგომ ბაქიბუქას ჩვეული წყნარი და უზრუნველი ცხოვრება აღარ ღირსებია – რა აღარ გადახდა თავს განუწყვეტელი მოგზაურობისას! მხოლოდ ის რად ღირს, რომ რესპუბ-ლიკა სიმღერეთის – ქვეყანამ ძველი სახელი დაიბრუნა – ხელისუფალთა მოთხოვნით, “ინტერ-პოლი” დასაჭერად ეძებდა “წითელი” – მისი საყვარელი ფერის – ცირკულარით! ფრიად აღონებ-და, რომ საკუთარი პიროვნების შენიღბვის წესები უნდა დაეცვა და იძულებული გახდა, წითელი ფერის სამოსს სამუდამოდ გამოემშვიდობებოდა... როგორც ადრე მოგახსენეთ, ძალაუნებურად უღალ წვერ-ულვაშსაც შეეღია და იმდენად დამფრთხალი იყო, რომ წითელი ფერისას ჰაღსტუხ-საც კი არ იკარებდა! ის კი არა, პოპოქიას წითელი ფერის პომადის ხმარებაც კი აუკრძალა!

და, რამდენიმე კონტინენტისა და მრავალი ქვეყნის მოვლის შემდეგ, ბაქიბუქასა და მისი ტურფა თანამგზავრის ხანგრძლივი ხეტიალი დედამიწის მეორე ნახევარსფეროში დასრულდა – დაფუძნდა წყნარი ოკეანის დასავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ დიდ ქალაქში და მეტ-ნაკლები წარ-მატებით შოულობს პურის ფულს მისთვის უჩვეულო საქმიანობით – პოლიეუდში კინოხელოვნე-ბას ემსახურება, მაშ!.. ისეთი ფილმების გადაღებაშიც მიუღია მონაწილეობა, რომლებშიც მთავა-რი გმირები იყვნენ მეფეები, შაჰები, ხონთქრები თუ სულთნები, მაგრამ, უნდა მწუხარებით ვაღი-არო, რომ, წესისამებრ, ამ მაღალი გვამების როლს კი არა, ხელზე მოსამსახურე ბიჭის ან შოფ-რის როლის შესრულება თუ აღირსეს... სადამოებით კი, მარტო დარჩენილი, – პოპოქიამ მიატო-ვა, რის სამწუხარო გარემოებებსაც მოგვიანებით მოგახსენებთ, – წარსულის ტკბილ დღეებს იხ-სენებს და მიიმედ ოხრავს, ოხრავს... განსაკუთრებით გული ეთანადრება, რომ, პანდურეთიდან გამოქცევისას, სიჩქარეში მისი სასიყვარულო ამბების ამსახველი დავთარ-აღბომი სასახლეში დარჩა... დიახ, ადრე ამის აღნიშვნა ვერ მოვახერხე და ახლა მოგახსენებთ: სულთნობისას ბაქი-ბუქამ საგანგებო დაკვეთით დაამზადებინა დიდებული დავთარი – გამოყენებითი ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში – და მასში საკუთარი ხელით წითელი მეღვინით შეჰქონდა იმ ქალბატონთა სახელები, რომელთაც მისი უაგვუსტესობის ყურადღება დაიმსახურეს და მათი ფერადი ფოტო-პორტრეტებიც!.. ახლა, მოცალეობის ჟამს, იმ ტკბილი დღეების მოგონებებით სულდგმულობს ჩვენი გმირი და, ფრიად სამწუხაროდ, მრავალი მშვენიერი ქალბატონის სახელს ვეღარ იხსენებს – სია გრძელთა გრძელი გახლდათ! და იმ დავთარში, ის რომ პატრონს არ დაეკარგა, ალბათ ტურფათა გრძელთა გრძელი სიის ბოლოში გაბრწყინდებოდა ტურფა პოპოქიას სახელიც...

იმედი ვიქონიოთ, რომ, ადრე თუ გვიან, ეს ლეგენდებით მოსილი, სახელგანთქმული დავთარი – მისი არსებობით ბაქიბუქა სახალხოდ ამყობდა კიდევც, რა ჰქონდა დასამალი! – რომელიმე მსოფლიოში ცნობილი აუქციონის გასაყიდად გამოტანილ რარიტეტთა კატალოგში აღმოჩნდება და, თუკი ამის საშუალებას ჯიბე მოგცემთ, გირჩევთ, ეს ლოტი, გინდაც ძვირი იყოს, აუცილებ-ლად შეიძინოთ! როგორც მოგახსენეთ, ეს დავთარი ხელოვნების ნამდვილ შედეგს წარმოადგენ-და – ამშვენებდა ოქროჯედილი, ძვირფასი ქვებით უხვად შემკული ყდა! მის ყდის ქვეშ კი რა სა-ინტერესო ჩანაწერებიც გელოდებოდათ, იმაზე აღარას ვამბობ!

ჰო, ათასი თუმნის ბოდიში მომირთმევი, მკითხველო, სულ გამომჩნა მე გამომშტერებულსა, ვერ მოგახსენეთ, პირმშვენიერ პოპოქიას რა ბედი ეწია... აბა, ასეთი ტურფა ქაღალტონის დავიწყება იქნებოდა? მაგრამ ეჰ, სიბერეს რა ვუთხრა! ახლა მსურს, ორიოდ სიტყვით მაინც მოგახსენოთ მისი შემდგომი თავგადასავალი და დანაწილობრივ გამოვისყიდო ჩემი უნებლიე შეცოდება...

როგორც უკვე მოგახსენეთ, პოპოქია საზღვარგარეთ გაქცეულ ბაქიბუქას თან გაჰყოლია!

საიდუმლოდ გეტყვით, – ხომ არავინ გვისმინს? – რომ ბაქიბუქასა და პოპოქიას თან ჩემოდნით წაღებული ფული მალე გაუთავდათ... ამის მიზეზი რამდენიმე გარემოება გახლდათ. ჯერ ერთი, ვერცერთი ბანკიდან ბაქიბუქას საიდუმლო ანგარიშებზე არსებული თანხა ვერ გამოიტანეს – სიმღერეთის მთავრობის მოთხოვნით, ყველა დაყადაღებული იყო. მეორეც, როცა კალიფორნიაში მიფრინავდნენ, – ორივეს კინოვარსკვლავის კარიერა აბრმავებდა! – ბაქიბუქა სტიუარდ ქალიშვილს წამდაუწუმ სთხოვდა ბანანს; როცა ბორტზე ბანანების მარაგი ამოიწურა, აღშფოთებულმა ექს-სულთანმა ჯერ გვარიანად შეამკო მომსახურე პერსონალი, – რა თქმა უნდა, მისი ნათქვამის ინგლისურად თარგმნა პოპოქიას აზრადაც არ მოსვლია! – შემდგომ კი, როცა ბანანს ვერა და ვერ ეღირსა, გაანჩხლებულმა, დებოში ატეხა... როცა ლოს ანჯელესში ჩაფრინდნენ, ბატონი ბაქიბუქა პოლიციის განყოფილებაში მიაბრძანეს – თვითმფრინავის ეკიპაჟის მართვით შეურაცხყოფის მიყენების ბრალდება წაუყენეს...

ეჰ, საწყად ბაქიბუქას რა ბედი ჰქონია – სასამართლოს მაინც ვერ გადაურჩა!

სასამართლოში საქმის გარჩევის დროს ბაქიბუქას იმან უშველა, რომ პოპოქიას მიერ დაქირავებულმა ერთობ ძვირადღირებულმა ადვოკატმა მისი კლიენტი გიჟად მონათლა და მიაღწია ყოფილი სულთნის განთავისუფლებას – ფრიად სოლიდური ჯარიმის გადახდა მაინც საჭირო გახდა...

რა გასაკვირია, რომ შემდგომ პოპოქია და ბაქიბუქა იძულებულნი გახდნენ, შიმშილიც გვარიანად დაეგემოვნებინათ. ამ ფრიად საწყენ გარემოებას დადებითი მხარეც გააჩნდა: ბაქიბუქა ისე გახდა, რომ “ინტერპოლის” აგენტები კი არა, საკუთარი მშობელიც ვერ იცნობდა!

თავს რით ირჩენდნენ? ჯერ რესტორნებსა თუ სასაუზმეებში ჭურჭელს რეცხდნენ, ცოტა ფული იშოვეს და წვრილმან ვაჭრობას მიჰყვეს ხელი – პლაჟზე ნაყინს, პოპკორნს, ღვეზლებს, ხილს, გამაგრებულ სასმელებსა და მისთანას ჰყიდდნენ. მაგრამ ერთხელ ჩვენმა ბაქიბუქამ ძველი ჩვეულება გაიხსენა – გასაყიდად შექენილი მთელი მარაგი ბანანებისა ანაზად შემოეჭამა და ისევე ფინანსურ მეჩჩეზე გარიყულები აღმოჩნდნენ...

და ფრიად გაიხარეს, როცა ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ბაქიბუქას ძველი ნაცნობი, კინოს სამყაროს გამოჩენილი მოღვაწე, სახელგანთქმული იტალიელი კინორეჟისორი ჯანდავიდე ჯანდაბინი შეხვდათ, რომელიც ამჟამად უფრო დიდი სახელის მოსახვეჭად (და – უფრო დიდი ფულისაც!) პოლივუდში გადმობარგებულიყო! მისი დახმარებით, ერთ-ერთი ფილმის გადაღებისას, მასობრივ სცენებში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ...

შემდგომ პოპოქიას გამორჩეული სილამაზე შეუმჩნეველი როგორ დარჩებოდა და შესაბამისადც დაფასდა – ამ რეჟისორის საყვარელის “როლი” კონტად მორგო და, რა თქმა უნდა, ხატონად რომ მოგახსენოთ, ბაქიბუქას უბოდიშოდ პანდური ამოარტყა – როგორც ორბიტაზე გასული რაკეტა მოიშორებს უკვე ზედმეტ ბარგად ქცეულ პირველი საფეხურს! პოპოქიას უბრალო უმადურობას ნუ დაეწამებთ – ამის ფრიად საფუძვლიანი საბაბიც ჰქონდა: ბაქიბუქას სხვადასხვა ბოღვითი იდეები შეესია; ერთ-ერთი ის იყო, რომ ჯერ პოპოქიას აუხირდა, გშურს, მე შენზე დიდი მსახიობი რომ ვარო; მერე ესეც არ აკმაბრა – ჩემი გამარცხვა გინდაო და აღარაფერს ენდობოდა, მისგან ყველაფრის დამალვა დაიწყო, პურის ჩვეულებრივი ნატეხისაც კი; ბოლოს კი ისე გაუტია – ჩემი სიკვდილი გსურს, მოწამვლას მიპირებო... პოპოქიას თვალში ბაქიბუქას დიდების შარავანდედი ადრეც დაკმაოდ გახუნდა – უკვე აღარ უყურებდა, როგორც ღმერთს; დაინახა, რომ თვითონ ბევრად უკეთ მოერგო ეკრანს... ნელ-ნელა კამათიც დაუწყო, რომელიც, არცთუ იშვიათად, ჩხუბითა და აყალმაყალით თავდებოდა... რა ბოლოც ჰქონდა მათ ურთიერთობას, უკვე მოგახსენეთ – თითოეულმა საკუთარი გზა მონახა.

პოპოქიამ ჯანდავიდე ჯანდაბინის რამდენიმე ფილმში მთავარი როლიც შეასრულა; ასე რომ, ბავშვობის ოცნება აისრულა – კინოვარსკვლავი გახდა! აი, სად გამოადგა ინგლისურის ცოდნა! სახელიც შეიცვალა, ფილმთა ტიტრებში მოიხსენიებდნენ როგორც **Popo Kiss** – “პოპო ქის” ანუ პოპო-კოცნა! მისი ფოტოები პოპულარული ჟურნალების ფერად ყდებსაც ხშირად ამშვენებდნენ, შემდგომ კი, როცა ჯანდავიდე ჯანდაბინიმ ახალი საყვარელი გაიჩინა, კინოვარსკვლავ პოპოქიას ვარსკვლავიც ჩავსვენა... ერთხანს კიდევ გაიბრძოლა პოპულარობის შესანარჩუნებლად, მაგრამ ვერც უკიდურესმა ზომამ – შიშვლად ფოტოსესიების ჩატარებაზე თანხმობის მიცემამ – უშველა... და დაიკარგა, როგორც ცხოვრების მშფოთვარე ოკეანის ტალღებში მოხვედრილი ლამაზი ყვავილი...

ბაქიბუქას რაღა დაემართა?... მისი თავგადასავალი უფრო მრავალფეროვანი გამოდგა. ადრეც მოგახსენეთ, რომ ეპიზოდურ როლებს აძლევდნენ პოლივუდის ფილმებში, ერთხელ კი ბედმა გაუდღიმა და ერთი შედარებით დიდი როლიც შეასრულა, – ერთ ერთი მაჩანჩალა სახელმწიფოს დიქტატორისა, – **Baki-Buka**, – ასე ერქვა! ბაქიბუქას ფილმში “საკუთარი თავი” უნდა ეთამაშა, – ფილმის სცენარი მის მიერ მოთხრობილი საკუთარი თავგადასავალის მოტივების მიხედვით

იყო აგებული, – იფიქრეს, ადვილად გაართმევს თავსო, მაგრამ შეცდნენ: თურმე ცხოვრებაში თამაში, ამის დიდოსტატი ბაქიბუქა მართლა იყო, და სცენაზე ან კინოში თამაში – სულ სხვადასხვა რამ ყოფილა! ისე უნიჭოდ გაისარჯა, რომ “ოქროს ყოლოს” ანუ “ანიტი-ოსკარის” ჯილდოც ერგო ყველაზე ცუდად შესრულებული როლისთვის... სხვათა შორის, ბაქიბუქას “წარმატებაში” დიდად არც პოპოქია ჩამორჩა – ერთხელ მანაც გაუგო გემო “ოქროს ყოლოს” დიდ პრიზს: როცა ჯანდავიდე ჯანდაბინის ერთ-ერთ ფილმში შეასრულა მთავარი როლი, კინოკრიტიკოსებმა ყველაზე უგემოვნოდ ჩაცმული მსახიობის ნომინაციაში პოპოქიას პირველობა არგუნეს!

ბოლოდით იდეების გამო, ბატონ ბაქიბუქას მოუწია, ხელი აეღო კინოვარკველავის კარიერის ვარდისფერ ოცნებაზე და ერთი პირობა, ლუკმაპურის საშოვნელად, იძულებული გახდა, მაღიბუს პლაჟზე საკუთარი ფოტოები – ფილმში დიქტატორის როლში, აგტოვრაფით! – გაეყიდა... იფიქრებდი: ნუთუ ეს ჩანჩურა – ბაქიბუქაა? ძალიანაც გახდა – ველარ იცნობდი – ნუთუ ეს ჩონჩხივით კაცი – ყოფილი სულთანის ბაქიბუქაა? ეჰ, დრონი, დრონი... ბოლოს კი, მრავალი წვრილ-წვრილი საქმიანობის შემდეგ, – სასაუბრეში თეფშებს რეცხდა, ქუჩაში გახეთქეს ჰყიდდა, აფიშებს აკრავდა, ფენსაცმლის მწმენდავიც კი იყო, – ჭეშმარიტ მოწოდებას მიაგნო – ცირკ-შაპიტოში იპოვა თავისი ღირსეული ადგილი! თამაშობს ახირებული მეფის როლს ბუფონადაში “ბედნიერი ფამფალეთი” – საკუთარ თავს! ამჯერად, მეფის როლში ასე თუ ისე დამაჯერებლად გამოიყურება – გაახსენდა სანდაოცეთში, ცირკ-შაპიტოში ნანახი “ნესეთა მეფე” და საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებაც ფრიად დაეხმარა!

ხოვჯერ ძველ დროში ჰგონია თავი, ახლაც არ იშლის ამპარტავნობას და კოლეგები სამაგიეროს იმით უხდიან, რომ წარმოდგენის მსვლელობისას, პანდურის ამორტყმის იმიტაციის მაგიერად, გამოსაფხიზლებლად მართლა აჯილდოვებენ სრულფასოვანი, “მატერიალური”, ფრიად შესაგრძნობი პანდურით! დიახ, სცენაზე ბაქიბუქას ხშირ-ხშირად ამოჰკრავენ ხოლმე პანდურს, რისი ღირსიც, მართალი მოგახსენოთ, კარგა ხნით ადრე, პანდურეთში იყო! ამჯერად კი სულ სხვა ბაქიბუქაა – ამ “ჯილდოს” ნაძალადევი ღიმილით ხვდება და “დამსახურებელს” დიდ მადლობასაც უხდის!

მაყურებლები ამ სცენას ყოველთვის ტაშით აჯილდოვებენ, რაიც ბაქიბუქას პანდურის გემოს დიდად უპარებებს, წარმოდგენის დასრულების შემდგომ კი ისევ მწარე რეალობას უბრუნდება – მარტოა, უმეგობრო, უნათესავო, უფულო, უსახლკარო...

ერთი გულის მოსაფონებელი მხოლოდღა წარსულის ტკბილი მოგონებებია, რომლებისთვისაც ახლა დროს იშვიათად პოულობს... სამაგიეროდ, სიზმრებში ლაღად შლის ფრთებს: მარად ახალგაზრდაა, მარად სულთანია – ჰაი გიდი! უფრო ხშირად – საზარელი ზმანება გამოადვილებს ხოლმე: ესიზმრება, თითქოს თვითონ არის დიდი საზამთრო! ვითომ დამწიფდა, თავს დაესხნენ და დიდი დანებით მიადგნენ შესაჭმელად!

ჰაკლუცინაციებით დათრგუნულ-შიშნაჭამი ბაქიბუქა ექიმებში დაწოწილობს; სანამ ჯიბე ამის საშუალებას აძლევს, ფსიქოთერაპევტთა მუდმივი პაციენტია, მაგრამ მხოლოდ მცირე ხანს შეგელის დანიშნული მხარდამჭერი თერაპია და რემისიის შუალედები სულ უფრო მცირდება...

აღბათ მკითხველისთვის ისიც იქნებოდა საინტერესო, ამჟამად რაზე ოცნებობს ბაქიბუქა, რას ფიქრობს შორეულ ქვეყანაში გადახვეწილი, თუ ანალიზებს წარსულ ცხოვრებას და რა დასკვნებს აკეთებს და მათ გათვალისწინებას მომავალში როგორ აპირებს... ამჯერად ყოველივე ამის აღწერისგანაც თავს შევიკავებ; დაწვრილებით ჩვენი გმირთა გმირის თავგადასავლის მოყოლაც შემდგომისთვის გადავდოთ, როდესაც კარგად გამოვიკვლევ საქმის ნამდვილ ვითარებას. საზღვარგარეთ ბაქიბუქას თავგადასავლის მოსაყოლად აღბათ მთელი რომანის დაწერა დასჭირდება და, ბოდიში და კიდევ ბოდიში მომიხსენებია, მგონი, ჩემდა უნებურად, უკვე მისი ესკიზის წერაზე გადავერთე კიდევ... ამ საქმეში მასალების მოსაგროვებლად ერთი გარემოება შემიწყობს ხელს: როგორც ერთ ფრიად სოლიდურ შურნალში მოთავსებულ მოზრდილ წერილში წავიკითხე, თურმე ბაქიბუქას იქ ავტობიოგრაფიული წიგნი გამოუცია – ინგლისურად! აღბათ ამ წიგნის მიხედვით გადავიდეს სწორედ ის ფილმი, რომელშიც ბაქიბუქამ მთავარი როლი შეასრულა. ამ შურნალში მოთავსებული წერილის მიხედვით, ბაქიბუქას მწვერლად გახდომის ჩემთვის უცნაური ამბავი – თუმცა ბაქიბუქასგან რა უნდა გაგიკვირდეს! – ასეთნაირად არის მოთხრობილი: როგორც ჩანს, პერმანენტული ფინანსური კრიზისის კლანჭებიდან თავის დასახსნელად, ბაქიბუქამ განიზრახა ავტობიოგრაფიის დაწერა და გამოქვეყნება, შემდგომ კი, თუკი წიგნი წარმატებით გაიყიდებოდა, მისი ეკრანიზაციის უფლება სარფიანად მიეყიდა რომელიმე ცნობილი კინოკომპანიისთვის... რადგან საათობით წიგნის საწერად მაგიდასთან მიჯაჭვა და ტვინის ჭყლეტა მას არ ძალუძს, – ცანცარაა, ხუთ წუთსაც ვერ გაუძლებს სკამზე ჯდომას! – და დოლარეთში ყოფნისას მხოლოდ საყველპურო დამახინჯებულ ინგლისურს დაეუფლა, ლიტერატურულ “ზანგად” დაიქირავა მწვერალი ჯო ვო, მისი ნაკარნახევის – საკუთარ თავგადასავალს, რა თქმა უნდა, ფრიად შეღამაზებულ-გაკეთილშობილებულად წარმოაჩინდა! – ლიტერატურული ჩანაწერის გასაკეთებლად და დასამუშავებლად. სულთანყოფილის აბდაუბდა ნაამბობიდან ჯომ, შეძლებისდაგვარად, მოახლათფორთა საკმაოდ გამართული ტექსტი, – დიდი დრო და შრომა დაახარჯა! – რომელიც ბაქიბუქამ ასეთი სათაურით გამოსცა: “იდეალისტის თავგადასავალი”!

ამ “იდეალისტმა” ჯოს კუთვნილი ანაზღაურება არ მისცა – ფული კი საკმაოდ იშოვა! ბაქი-ბუქა მეტის მოხვეჭასაც აპირებდა: ცირკში მუშაობას თავი დაანება და მთელი დრო და ენერჯია მიმართა ლიტერატურულ აგენტებთან ურთიერთობას – მისი ოპუსის ეკრანიზაციის უფლებით რამდენიმე კინოსტუდია მართლაც დაინტერესდა.

ჯო ვომ მის “კეთილისმყოფელს” სასამართლოში არ უჩივლა – მის მონაწილეობას წიგნის შექმნაში ვერაფრით დაამტკიცებდა: შეცდა – ენლო ყოფილ სულთანს და წინასწარ არ გაუფორ-მებია ხელშეკრულება ბაქიბუქასთან, ახლა კი ეს უკანასკნელი ჯოსთან ნაცნობობასაც კი საჯა-როდ უარყოფდა!

ჯო წაგებულ მიინც არ დარჩენილა – დაწერა ავანტიურული რომანი, ძველებური გრძელი სახელწოდებით: “თავშესაქცევი თავგადასავალი წვრილფეხა თაღლითისა, მისი უმამაძაღლესო-ბის ბათქაბუთქასი – თავგაპირველად ერთი ყოვლად უფერული პიროვნებისა, რომელიც შემ-დგომ ქვემძრომობით, მოტყუებით, დემაგოგიითა და ძალადობით ერთ საწყალ ქვეყანას სულთანად მოველინა; ამჟამად კი, დამხობის შემდგომ, დოლარეთს გადმოხვეწილი, ცხოვრების ფსკერზე და-ლოდავს და ძველებურად ცუდლუტობითა და გაიძვევრობით გააქვს თავი”.

თუკი გადავწყვიტ, შევქმნა ბაქიბუქას დოლარეთში გმირული მოღვაწეობის ჩემუელი ვერსია, “იდეალისტის თავგადასავალსა” და ჯოს წიგნსაც გამოვიყენებ; როგორც ვატყობ, კაი საღალღო-ბო ამბები კი დახვავდება, მაგრამ, მკითხველო, ალბათ დამეთანხმები: სჯობს, ჯერ დაწვებული ამბავი დავამთავრო...

* * *

ღიას, ამჟამად საოცარი საზამთროს ამბავს მივუბრუნდები, რაც ბევრად მნიშვნელოვნად მი-მანია – ბაქიბუქასნაირნი რამდენიმე ასეული მიინც ახსოვს ისტორიას, საოცარი საზამთრო კი ერთადერთი და განუმეორებელია!..

მშვენიერ სოფელ სანდაოცეთში გამართული საოცარი საზამთროსადმი მიძღვნილი საოცარი ზეიმის შესახებ თხრობას იმით დავასრულებ, რომ მე არც ცეკვა-სიმღერაში და არც სუფრის მხიარულებაში გავრეულვარ – უკვე თითქმის 76 წლის ჯეელი გახლავარ და სხვებს ჩემი ხუნ-ტრუც-ბუქნაობით გუნებას ვერ გავუფუჭებდი! ისე კი, გულახდილად მოგახსენებთ: ნახევარი საუ-კუნით უფრო ახალგაზრდაც რომ გყოფილიყავი, მაშინაც თავს ვერაფრით გამოვიჩენდი – ცეკვა-ცა და სიმღერაც არასდროს მეხერხებოდა! აი, ზღაპრების შეთხზვაში კი ახლა გავბედე და შე-ჯიბრშიც ჩავერთე – გრძელთაგრძელი ზღაპარი მოგყე, მაშა! აბა, თუ მიხვდებით, რა ჰქვიოდა?.. “საოცარი საზამთროს ზღაპარი”!

მონაყოლი დამიწუნეს, ხომ იცი, ნაკლი ნაკლზე დამიხვავეს: ზღაპრისთვის ნამეტანი დიდიაო, ძალიან გაწედილიაო, მთქნარებით ყბები მოგვეგრავო, ამ ხნის კაცს ალბათ საქმე გამოგეღია, სულ მთლად გააფრინეო, თვითონაც ამოდ დაშვრი და ჩვენ რაღას გვერჩოდო...

გული მიინც არ დამწყვიტეს და ძვირფასი ჯილდო მომცეს – საოცარი საზამთროს ერთი ცალი ჭრელი თესლი!

არა გჯერათ? ჩემთან თუ სტუმრად მოხვალთ, განახვებთ და თვით დარწმუნდებით – რიყის ქვის ტოლაა! შინ მიტანა გამიჭირდა!

დასაჩუქრება ძალიან გამიხარდა!
საზეიმო ვითარებაში ლაყუნას მიერ ჩემთვის საზამთროს თესლის გადმოცემის შემდეგ, – ერთადერთი ცალი მერგო, მეტს მიინც ვერ წამოვიღებდი, – როგორც მოგახსენეთ, რიყის ქვის ტოლა იყო! – ლაყუნამ თან ორი რჩევა-დარიგებითაც – ფრად ძვირფასით! – დამაჯილდოვა:

– აბა, შენ იცი! ჯობს, წიგნების წერას შეეშვა და ამ თესლიდან აღმოცენებულ საზამთროს კარგად მოუარე! მაგ წიგნების წერამ, ხომ ხედავ, სასიკეთო ვერაფერი მოგცა, აი, საზამთრო კი... ოჰ, რა კარგია საზამთრო! რამოტოლა იყო, ბიჭო, და რა უცებ შეიჭამა, არც კი მჯერა! ჰო, სა-ზამთროს მოყვანა ნაღდად სჯობს წიგნების შეთხზვის სახლადფორთო საქმესა! – თან მანუგეშა: – ეგ არაფერი, რომ საზამთროს თესლი მხოლოდ ერთი ცალი გერგო, – ხომ ხედავ, რამდენი მსურველია, – თუ არ იზარმაცებ და შესაბამის მოვლას არ მოაკლებ მაგ თესლიდან აღმოცენე-ბულ დივსა, მხოლოდ მთელი შენი ოჯახი კი არა, მთელი ნათესაობა ერთი კვირის განმავლობა-ში მოილხენთ!.. იფ-იფ!.. ახლა აქ რამდენი მივირთვი და მიინც საზამთროს ხსენებაზე პირი ნერ-წყვით ამევსო... ჰო, შენს ამხანაგ-მეგობრებსაც დაჰპატიჟებ და კიდევ – კაი ხალხსა ბლომდა, ვინც რომ მოგწონს და ისინიც ძალიან გაიხარებენ – ძღომისად მიირთმევენ უგემრიელს რასმე, რაც კი ამქვეყნად არსებობს... მეტი რაღა გინდა?

რას ვუპასუხებდი?
– სხვა არც არაფერი მინდა – მხოლოდ ყველას კარგად ყოფნა-მეთქი!..

მკითხველისთვის დავამატებ:
ჩვენი, თქვენი და სხვებისაც!..

და კიდევ: არ მოგაკლებოდეთ მართალ საქმეში გამარჯვება, კეთილი ღიმილი და გულიანი სიცილი!

ასე რომ, ჩემო მკითხველო, როგორც ჩანს, გაუძელი, ამ ჩემი ნაჯახირვევის ბოლომდე წაკითხვის მოთმინება გეყო და, ამასთანავე, თუ საზამთროც გიყვარს, – ვის არ უყვარს! – გულითადად გაატიჟებ ჩემს მიერ მოწეული საოცარი საზამთროს დასაგემოვნებლად!..

ოღონდ, რას იზამ – მომავალი წლის აგვისტომდე მოცდა მოგიწევს!

იმედი მაქვს, მეც მივალწევ იმ დრომდე და რაღაც-რაღაცეების წერასაც განვაგრძობ – ლაყუჩას ხუმრობით ნათქვამს არ დაგუჯერებ! – და, თუკი მოვერიე, ახალ რომანსაც – “წუთისოფლის გრძელი მატარებელი” – დაგახვედრებ!

2011 წლის 2 ნოემბერი –
2012 წლის 27 ივნისი,
თბილისი.